ფოლიო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის
აჭარის განყოფილების
ალმანახი

15

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი
1953

ი. გრიშაშვილი

ის ყველაფერი იყო ჩვენთვის

ის აღარ არის... დაჰფენია გულს მდუმარება.
სიტყვა არ მყოფნის ლექსს გადავცე ღრმა მწუხარება.

კაცობრიობას არ ჰყავს მსგავსი არსად ნახული,—
იგი ზღვა იყო—ზღვა ნაპირებ-გადალახული.

ის ყველაფერი იყო ჩვენთვის: სუნთქვა! მარჯვენა!
მან ლენინის გზით კომუნიზმის გზები გვაჩვენა.

ჩვენც ფიცი მივცეთ, ვით ფიცს სდებდა სტალინი ბრძენი,
რომ დიდ მომავალს, მეგობრებო, შევყუროთ რწმენით.

ის აღარ არის... ცამ ქარცეცხლი ჩამოგვაფრქვია,
მაგრამ წაქცეულ მუხას განა მუხა არ ჰქვია?

1953 წ. 6 მარტი

შავი არშია

შენი სურათი, ღიმილით სავსე,
სტალინ! გულში მაქვს ღრმად ჩაკირული.
მეორეც მიძევს მაგიდის თავზე,
რომ ჩამინერგოს ბრძოლა გმირული.

ვაჰმე! დღეს ცრემლით აგვევსო თვალი,
გმინვა ამოსკდა ხალხს უნებური...
სადაც კი შევხვდი შენს სურათს, სტალინ,
ირგვლივ ძაძა აქვს შემოვლებული.

მე კი გიყურებ კვლავ ძველებურად,
ცოცხალს მოგძახი: „მას გაუმარჯოს!“
არა და არა! შენს ნათელ სურათს
ვერ შემოვავლებ ღამისფერ ჩარჩოს.

1953 წ. 7 მარტი

საბჭოთა მესაზღვრის პასუხი

საით მოიწურები... ნუ გგონია შარაგზა,
საზღვარია, ვერ ხედავ, ჩვენმა ჯარმა ჩარაზა.

გასწი-მეთქი, გაბრუნდი, ნებითა ვარ მთხოვარი...
აღას ფეშტამალი ხარ, გამყიდველი, მსტოვარი.

შენ შენი ხმა ვინ მოგცა, ისაკუთრებ სხვისასა,
ვინც მეტს შემოგთავაზებს—იმით ივსებ ქისასა.

ჩვენში აგრე როდია! მოდის სულ სხვა თაობა,
წინ ნამუსი მიგვიძღვის, შრომა, გამბედაობა.

მიღწევებით ახალით ქალაქები დამშვენდა,
სადაც იყო უდაბნო, იქ ქარხნები აშენდა.

ჩვენს დროშაზე სწერია: მეგობრობა! მშვიდობა!
მაგრამ მტერი... მტერი კი ჩვენში არ დაინდობა.

შენ კი გინდა გაჰყიდო უცნობი თუ ნაცნობი
და სიმართლით ნათქვამი ხალხს სიმრუდით აცნობო.

სხვისთვის შარბათს ამზადებ, ჩვენთვის ლესავ დანებსა,
— ჩემი ტყვია დაეძებს სწორედ შენისთანებსა.

პარმენ ლორია

შემოქმედების ძაღა

თეატრის სარეპეტიციო დარბაზში შეკრებილი მსახიობები, რეჟისორის მოლოდინში სხვადასხვა საქმით გართულიყვნენ, ვინ რვეულში გადაწერილ როლს კითხულობდა, მიმიკასა და პოზას იჭერდა, ზოგიერთი გაზეპირებულ მონოლოგებს იმეორებდა და ექსტაზში შესული, ხელებს აქნევდა, ვინ კიდევ ამხანაგს ცხარედ ეკამათებოდა.

ერთი ახალგაზრდა, რომელსაც სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ხაკისფერი ხალათი ეცვა, პატარა მოწაფესავით იმეორებდა ლექსის ნაწყვეტს. იქვე ახლოს, სკამზე ჩამომჯდარი, უმანკო და ლამაზი სახის ქალიშვილი გონებაგაფანტული მიჩერებოდა კედელზე ჩამოკიდებულ ძველ პორტრეტს.

—„იმღერე ჩემო მგოსანო,
ხმა გამაგონე ტკბილი.“

იმეორებდა ახალგაზრდა და ხშირად გადახედავდა ფიქრებში გართულ ქალიშვილს.

— ეთერი, ეთერი, შემაჩერე, გეთაყვა, მომეცი რეპლიკა!—მიმართა მან ქალიშვილს, როცა შეატყო, რომ როლი გაზეპირებული ჰქონდა, ხოლო მისი პარტნიორი არ ფიქრობდა გამოხმაურებას.

ქალიშვილი გაფანტულობიდან გამოიყვანა ვაჟის სიტყვებმა. კედელზე დაკიდებულ პორტრეტს თვალი მოაშორა, თავი ნახევრად შემოაბრუნა და ვაჟს ახედა.

— დამეხმარე, ეთერი.—თხოვნის კილოთი მიმართა ვაჟმა,—რეპლიკა მომეცი!

— რა ჩემი დახმარება გინდა,—უგულოდ მიუგო ეთერიმ და კვლავ მის მიერ ამოჩემებულ პორტრეტს მიაპყრო თვალები.

— დიდი რამ.—წყენით თქვა ვაჟმა,—ხომ შეიძლება არ შეგიცვალონ როლი, მაშინ?

— დამეხსენი ერთი, არავისი როლი არ მსურს.—ქალიშვილი სწრაფად წამოდგა და დარბაზიდან გავიდა.

— თითქო ჭინჭარზე წოლილა, ისეთ ხასიათზეა.—თვალი გააყოლა ახალგაზრდამ; როცა ეთერი თვალს მიეფარა, მობრუნდა და კვლავ კითხვა განაგრძო.

— „დიდება უფალს, ჩვენს მფარველსა და მწყალობელს... შენ რაზედ ფიქრობ, ჩემო ნუგეშო“...—ახლა მეორე ახალგაზრდა მსახიობი ალაპარაკდა პიესის გმირის სიტყვებით და მწუხარე რაინდის პოზა მიიღო.

— „მე შენი არა გამეგება რა... წყეულიმც იყავ, მხეცო, ნადირო“!— აღრიალდა იქვე მეორე მსახიობი, რომელიც სწრაფად მოტრიალდა, რომ მიზანსცენა გამოეცვალა, მაგრამ როლის კითხვაში გართულ სხვა მსახიობს ატაკა თავზე თავი და დაბარბაცდა.

— უჰ, შენ მართლა ნადირო და მხეცო!—შესძახა მსახიობმა, რვეული ხელიდან გაუვარდა და თვალები აემღვრა.

— უი და რისხვა.—გაჯავრდა პირველი.—ბრმა ხომ არა ხარ, ამოდენა კაცი ვერ დამინახე? აჰ, აჰ, როგორ მატკინე.—შუბლზე მოისვა ხელი.

— ყმაწვილებო, ჩემი სათვალე არ გიპოვნიათ?—შემოსვლისთანავე იკითხა საკმაოდ შეჭაღარავებულმა კაცმა და იქ მყოფთ მოავლო თვალი.

— სათვალე რომ მეპოვნა, ამ ეშმაკის კერძს გავუკეთებდი და თავის გატეხას ავცდებოდი, პატივცემულო სევა!—უპასუხა სხვების მაგივრად „შუბლგატეხილმა“ მსახიობმა და კვლავ შუბლზე მოისვა ხელი.

— უსათვალებოდ ვერას ვხედავ, ყმაწვილებო, იქნებ შენ წააწყდი სადმე!—და სევა კუთხეში ატუზულ ახალგაზრდას მიუბრუნდა.

— შინ დაგრჩებოდათ, პატივცემულო სევა, ან იქნებ ჯიბეში გაქვთ, გაისინჯეთ!—მიუგო ახალგაზრდამ.

სევას ახლა მოაგონდა და ჯიბე გაიჩხრიკა.

— აჰ, აქა მქონია.—აღტაცებით წამოიძახა მან.—მადლობელი ვარ შენი.—სევამ სათვალე მოირგო და ახლა ისე მიიხედ-მოიხედა.

— ყველანი შეკრებილხართ, ასე უნდა მეგობრებო, დისციპლინა მთავარია ყველა დარგში, ჩვენთვის კი ყველაზე ძვირფასია.

— პატივცემულო სევა, დამეხმარეთ, იდუბლიორეთ ეთერის მაგივრად.—თხოვნით მიმართა ახალგაზრდამ სევას.—რაღაცაზე გამიფხუკიანდა და გამექცა.

სევამ ცალი თვალით გადმოხედა ახალგაზრდას.

— ა? ეთერის მაგივრად?—სერიოზულად შეეკითხა იგი.—არა, ჩემო კეთილო, ქალწულის მაგივრობას ვერ შევასრულებ.

— სულ ორიოდე რეპლიკაა საჭირო, პატივცემულო სევა,—არ ეშვებოდა ახალგაზრდა.

— წარმოიდგინეთ, ჩემს დღეში დედაკაცის როლში არ გამოვსულვარ, არ მეხერხებოდა, მით უმეტეს ახლა სულ ვერ დავიმშვენებ, არც ასაკი მიწყობს ხელს და არც ეშხი, რას იტყვით მეგობრებო?—სევამ ღიმილით გადახედა იქ მყოფთ. შემდეგ სათვალე მოიხსნა და პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო.

— მართალია, მართალი.—დაუმოწმეს იქით-აქედან.

ახალგაზრდა მსახიობი გაწბილებული მიბრუნდა, სვეტთან მივიდა, გაჩერდა და თავისთვის აბუტბუტდა.

„იმღერე ჩემო მგოსანო,
ხმა გამაგონე ტკბილი,
მთა-ბარი შეიმოსაო...“—მიიხედ-მოიხედა, იქნებ ვინმემ რეპლიკა მესროლოს, შემაჩეროსო, მაგრამ, რომ არავინ გამოეხმაურა, ისევ თვითონვე იკისრა პარტნიორის მაგივრობაც და ქალის ხმით შეესიტყვა თავის თავს—„ვის უმღერ ყმაწვილო?“—შემდეგ ისევ საკუთარი ხმით

ამეტყველდა.—„აჰ, ეს შენა ხარ, ძვირფასო თეო?“—და ამრიგად ახალგაზრდამ გაიარა პოეტისა და მისი შეყვარებულის შეხვედრის პატარა სცენა.

დარბაზში თანდათან მოემატნენ მსახიობები. გამოჩნდნენ ცნობილი და დამსახურებული არტისტები, შემოვიდა ახლახან გაბუტვით გასული ეთერიც და აქოშინებული შემოვარდა პატარა ტანის თვალებცქრიალა თალიკოც.

— უჰ, რამდენი ვირბინე!—მკერდზე ხელის დადებით წარმოთქვა მან, ამხანაგებს გადახედა და საერთო სალამი მისცა.—მეგონა, დამაგვიანდა... რეპეტიცია არ დაგიწყიათ?

— ჯერ ხომ ადრეა.—უპასუხა სხვების მაგივრად ამ წუთში შემოსულმა ახალგაზრდა მსახიობმა და მაჯის საათზე დაიხედა.

— განა რომელი საათია?—იკითხა ვილაცამ.

— ათს ათი წუთი აკლია.—სხვებს დაასწრო ახალგაზრდამ და კვლავ საათს დახედა.

ყველამ თავისი საათი შეამოწმა; ზოგმა თქვა ათის ნახევარიაო, ათს თხუთმეტი უკლიაო, მაგრამ უეცრად რეპროდუქტორი ალაპარაკდა და საკამათო საგანი გადაწყდა. ადგილობრივი დროით ათი საათიაო, გამოაცხადა მან და მსახიობთა რამდენიმე საათის ისრებმა გადაინაცვლეს ადგილი.

ცოტა ხანი და დარბაზში საშუალო ხნის ქალი შემოვიდა, მაღალი ტანის, დარბაისლური მიმოხვრის, დიდრონი თვალებისა და ბროლისფერი კბილების მქონე. მან ერთბაშად მოავლო თვალი იქ მყოფთ და თავაზიანად მიესალმა.

— ქალბატონ ანიკოს ვახლავარ!—გამოეყო სხვებს სევა, მსახიობ ქალთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— ჩემი სალამი საყვარელ სევას!—გულთბილად შეაგება ხელი ანიკომ სევას ხელს.—როგორ ბრძანდებით? კარგა ხანია არ მინახავხართ, როგორც ვიცი, ამ პიესაშიაც...

— ცარიელია ჩემი ადგილი, ქალბატონო ანიკო!—დაასწრო სევამ.—მაგრამ უსაქმოდ სახლში ვერ მომიცდია. წარმოიდგინეო, წინანდებურად ვერ ვურიგდები მარტოობას... მყუდროება საშინლად მოქმედებს ჩემზე.

— ჰოდა, ეს ძალიან კარგი რამის შომასწავებელია.—ჩაერია ლაპარაკში ახალგაზრდა, რომელიც აქამდე ყველასაგან განმარტოებით იდგა.

— მაინც?—ღიმილით გადახედა ანიკომ ახალგაზრდას.

ახალგაზრდამ უხერხულად მიიხედ-მოიხედა.

— ნუ გერიდებათ, თქვით ბარემ!—წააქეზა ანიკომ.

— მე ვფიქრობ ამ მოკლე ხანში ძია სევას ბინის ფანჯრიდან მანდილოსანი გადმოიხედავს...—ახალგაზრდა სევასთან მივიდა და მხრებზე მოხვია ხელები.—ხომ დაშვენდება, ძია სევა, თქვენი ბინის ფანჯარას მანდილოსანის გადმოხედვა?

— გამეცალე იქით, შე ხუმარავ!—სიყვარულით უთხრა სევამ ახალგაზრდას.—როცა დრო იყო, მაშინ არ მიქნია სიკეთე და აწი რაღა დროს ჩემი ეგეებია.

ამ ხუმრობაზე ყველას გულიანად გაეცინა. აქამდე ჩაბუტული ეთერიც კი დადგა მხიარულ ხასიათზე და სახე გაეხსნა.

სევამ მიიხედ-მოიხედა.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, იტყვიან ხოლმე.—თქვა მან.— ერთ დროს ბევრ თქვენგანს არ ჩამოვრჩებოდი, მაგრამ... აბ, სადა მაქვს ის ოხერ-ტიალი!—კვლავ სათვალეს დაუწყო ჯიბეებში ძებნა, იგი პიჯაკის გულის ჯიბეში აღმოაჩნდა და დამშვიდდა.

ანიკო ახალგაზრდებს გაესაუბრა, ჯერ თალიკო მოიკითხა, შემდეგ ხაკისფერხალათიან ვაჟს გაელაპარაკა, ბოლოს ეთერისთან მივიდა, მკლავში ხელი გამოდო და კუთხეში გაიყვანა.

— შენ კვლავ უხასიათოდ ხარ?—დედობრივი მზრუნველობით შეეკითხა იგი ახალგაზრდა მსახიობ ქალს.

— არ უნდათ, რომ ამ კოლექტივში ვმუშაობდე და ისაა.—მოკლედ და ნაღვლიანი ტონით მიუგო ეთერიმ.—სხვა რამით არ შეიძლება აიხსნას ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება.—თვალებში ცრემლები აუბრწყინდა.

— დამშვიდდი, გეთაყვა, დამშვიდდი.—ტკბილად უთხრა ანიკომ.— მუდამ ის როლი როდი შეგხვდება, რომელიც მოგწონს. რატომ არ გსურს თამარის როლის შესრულება ამ პიესაში? ის მეტად მომხიბლავი როლია...

— მაგრამ ჩემი შესაფერი არაა!—შეაწყვეტინა სიტყვა ეთერიმ,— განა იმაზე სუსტად შევასრულებ ნანულის როლს? თვით ლევანმა მითხრა, ნანულის როლი შენთვის დავწერეო. მე მგონია, ავტორის აზრსაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

— მართალია, მაგრამ ჩვენთვის, როგორც მსახიობებისათვის, რეჟისორის აზრისა და მითითებების მიღებაა საყალდებულო. დრამატურგმა თავისი საქმე უკვე გააკეთა. დამდგმელმა კი თავისი უნდა გააკეთოს... კარგი, ამას თავი დავანებოთ. შენ ნიჭიერი ქალი ხარ, ამ შემთხვევაში ურიგო როლი არ გაქვს, თუ ბეჯითად იმუშავებ, დარწმუნებული ვარ, სახელს მოიხვეჭ!—კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს რეჟისორი შემოვიდა და ყველამ მისკენ მიიხედა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო,—მიესალმა იგი მსახიობებს, შემდეგ დარბაზს მოავლო თვალი.—ყველანი ვართ?—იკითხა, და რომ დარწმუნდა, ყველანი იყვნენ, პასუხისთვის არ დაუცდია—დავიწყოთ, ამხანაგებო! გავდიეართ მესამე მოქმედების პირველ სცენას. ვახტანგ, დაიკავე შენი ადგილი!

ახალგაზრდა მსახიობი შუა ადგილას გაჩერდა და უკვე შემუშავებული პოზა მიიღო.

„იმღერე ჩემო მგოსანო,
ხმა გამაგონე ტკბილი,
მთა-ბარი შეიმოსაო"...

აქ ეთერი უნდა გამოჩენილიყო და რეპლიკა მიეცა, მაგრამ ის გაოგნებული იდგა და ისე იცქირებოდა, თითქოს მას არაფერი შეეხებოდა.

— რას ელოდები, მიეცი რეპლიკა!—ოდნავ აწეული ხმით უთხრა მას რეჟისორმა.

ეთერიმ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა, უხალისოდ გადადგა ნაბიჯი, ახალგაზრდას მიუახლოვდა და დაგვიანებული რეპლიკა მიაწოდა. მეტად ცუდად გამოუვიდა. თვითონაც გააკვირვა გამოთქმული სიტყვების უხეშობამ. დამნაშავე ბავშვივით მობრუნდა და რეჟისორს შეხედა.

— არ გამომდის, პატივცემულო გიორგი, ეს როლი.— უთხრა და თვალები დაბლა დახარა.

— ლაპარაკი!— დაიყვირა რეჟისორმა.— მოექეცით ამ მხარეს!— ხელი მოკიდა და მეორე მხარეზე გადაიყვანა.— განაგრძე!

ეთერიმ რაღაცა წაიბუტბუტა, მაგრამ შემდეგ ორივე ხელი ჩაიქნია, ძიტრიალდა და აქვითინდა.

— არ შემიძლია, თუნდაც მომკალით, არ შემიძლია!— ლუღლუღით წავიდა და სვეტს მიეყრდნო თვალებზე ხელებაფარებული.

გიორგიმ იქ მყოფთ გადახედა. არავინ ხმას არ იღებდა, ყველას ეთერისაკენ გაქცეოდა თვალები, მისი ამგვარი გაკერპება აკვირვებდათ. არავის არ სჯეროდა, რომ ეთერი, საკმაოდ ნიჭიერი და უნარიანი მსახიობი, ისე დაკნინდებოდა, რომ ერთ უბრალო ქალის როლს ვერ შეასრულებდა.

— დღევანდელი რეპეტიცია მოხსნილია!— მტკიცედ განაცხადა გიორგიმ და დარბაზიდან გავიდა.

მსახიობები, რომლებიც აქამდე დუმდნენ, ახმაურდნენ, ეთერის გარს შემოეხვივნენ და საყვედურები დააყარეს.

— ეს რა ჩაიდინე, გოგო!— მიჯაზე წააყლო ხელი თალიკომ.— შენი მიზეზით დღე რატომ უნდა გაგვიცდეს?

— განა მარტო ერთი და ორი დღე გაგვიცდენია მაგის უხასიათობისა და კაპრიზობის გამო?— წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ.— ეს ხომ პირველი არაა!..

— მაგრამ უკანასკნელი უნდა დარჩეს!— მტკიცედ დაუმატა მეორემ. ამხანაგების საყვედურმა, შეძახილებმა და მუქარამ უფრო აღელვა ახალგაზრდა მსახიობი ქალი. მან არა თუ შეიგრძნო თავისი დანაშაული, არამედ უფრო გაკერპდა.

— სუსტად მოქმედებს ჩემზე თქვენი მუქარა!— მკვახედ მიახალა მან ამხანაგებს.

— თუ ასეა, უფრო ენერგიულად ეიმოქმედებთ!— და კვლავ მუქარა გაიმეორეს.

სევას მაინც შეებრალა ახალგაზრდა კოლეგა, რომელიც თავისი კერპი ხასიათის გამო ასეთ ‘ბდგომარეობაში მოემწყვდა. სცადა გამოქომაგება.

— ზომაზე მეტად ფიცხობთ, ახალგაზრდებო.— უთხრა მან ეთერის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდებს.— ჩვენი ეთერი ურიგო ქალი როდია, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტ ეინიანობას იჩენს. ზოგი რამ უნდა დავუთმოთ, ზოგი ვაპატიოთ, ზოგს, რასაკვირველია, თვითონაც დათმობს და შევთანხმდებით. ხომ ასეა, ჩემო პატარა მეამბოხევ?— თავზე გადაუსვა ხელი და გაუღიმა.

ეთერიმ თავი გაიქნია და ისე მოიშორა სევას ხელი.

— გთხოვთ გონიერად ილაპარაკოთ, თუ საერთოდ ლაპარაკი გსურთ!—მწყრალად უთხრა მას ეთერიმ და ზურგი შეაქცია.

— სრული ჭეშმარიტებაა, სრული ჭეშმარიტება.—სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა დაბნეულმა სევამ.—უხერხულად მიბრუნდ-მობრუნდა.—სადა მაქვს ის ოხერ-ტიალი?—როგორც იქნა მოძებნა სათვალე და კვლავ კმაყოფილად მოითქვა სული.

ეთერი წივწივაძე ამ თეატრის კოლექტივში ყველაზე უმცროსი იყო წლოვანებით. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის და რამდენიმე ახალგაზრდა კურსდამთავრებული ამ თეატრში გამოგზავნეს. თალიკო ნოზაძეც იმავე ნაკადს ეკუთვნოდა, მანაც ეთერისთან ერთად დაიწყო მუშაობა ამ კოლექტივში. მართალია. ეთერი გაცილებით უფრო ნიჭიერი იყო, მეტი უნარისა და ენერგიის მქონე, მაგრამ ზვიადი ხასიათი, ზედმეტი თავმოყვარეობა და ჟინიანობა ხელს უშლიდა დაწინაურებაში. თუ როლი არ მოეწონებოდა, მასზე არ იმუშავებდა, თავის შესაძლებლობას არ გამოიყენებდა. მუდამ რეჟისორებზე საყვედურობდა, მემტერებიან, ჩემი დაწინაურება არ სურთო. ერთი სიტყვით, მისი შესაფერი ჯერ არც როლი დაწერილა, არც დრამატურგი და რეჟისორი გაჩენილა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა დრამატურგი, რომელმაც ახალი პიესა წარმოუდგინა თეატრს და, რაკი თეატრმა მისი დადგმა გადასწყვიტა, ახალგაზრდა დრამატურგმა თავისი შეხედულებისამებრ წამყვანი როლები მოწინავე მსახიობებს მიაკუთვნა. ახალგაზრდა შეყვარებული ქალიშვილის როლი კი ეთერის შეჰპირდა. აქ ეთერის სილამაზემ უფრო იქონია გავლენა ახალგაზრდა დრამატურგზე. ლამაზი მსახიობი ქალის ეშხით გატაცებულმა მწერალმა გაუხსნა მკერდი სატრფიალო არსებას და გულში ჩაახედა. დრამატურგის სიტყვებმა ეთერი დაარწმუნეს, რომ პიესა დაწერილია მისი შთაგონებით, რომ ავტორი წერის დროს საზრდოობდა სიყვარულის მიერ მინიჭებული მადლითა და შთაგონებით, რომ პიესის მთავარი გმირი ქალის სახე შექმნილია ეთერისათვის და რომ ეთერია პროტოტიპი იმ ბედნიერ, შეყვარებულ ქალიშვილისა.

მაგრამ რეჟისორმა როდი გაუწია ანგარიში ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შორის გამართულ მიჯნურობას. მან როლები გაანაწილა საკუთარი შეხედულებისამებრ.

მოხუცი ქალის როლი, რომელზედაც, რასაკვირველია, ეთერს პრეტენზია არ ჰქონდა, ანიკოს მისცა, მოსამსახურე ქალის როლის შესრულება თალიკოს დაავალა. დანარჩენი ქალების როლები უფრო მეორეხარისხოვან მსახიობებზე გაანაწილა, ეთერის ახალგაზრდა ქმარიანი ქალის როლი არგუნა, ხოლო ის როლი, რომლისაკენაც ეთერი უმიზნებდა, გაუნაწილებელი შემოინახა.

მართალია, ეთერის არ ესიამოვნა როლების ასე განაწილება, მაგრამ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, რადგან ფიქრობდა: „ალბათ, ეს დროებითია, დამუშავების პერიოდში გამოჩნდება, ვინ რომელ როლში გამოდგება, ვის რისი დაძლევა შეუძლია“. ამ იმედით ის ორ როლს სწავლობდა, თავისას, რომელიც რეჟისორის მიერ ჰქონდა მიცემული და მეორესაც, რომელიც, დრამატურგის თქმით, მისთვის იყო შექმნილი.

მაგრამ იმედი არ გამართლდა. მალე გამოირკვა, რომ რეჟისორს ის როლი შემოუნახავს ახალგაზრდა ცნობილი მსახიობი ქალის, ლალი გულისაშვილისათვის, რომელიც თეატრის დირექციას მოუწვევია მუდმივ სამუშაოდ თეატრში და შტატშიაც ჩაურიცხავს.

ყველასათვის სასიხარულო ეს ამბავი, თავზარდამცემი გახდა ეთერისათვის. ლალი გულისაშვილის სახით მან დაინახა სასტიკი მტერი, მეტოქე და მოქიშპე. მართალია, პირადად ვერ იცნობდა ის გულისაშვილს, არც მისი ზნე და ხასიათი იცოდა, მაგრამ განაგონით წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც ზედმეტად თავმოყვარე, ამპარტავანი, მიუკარებელი და მეტიჩარა... დიახ, ასეთი უნდა ყოფილიყო ის, რადგან, როგორც იცის, მეტისმეტად ლამაზია, კარგი თვალტანადი, ნიჭიერი, გაზეთებში მრავალჯერ შექებული. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოსკოვის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობდა და ეთერისათვის ნათელი ხდებოდა გულისაშვილის ქალის გაამპარტავნებული და მიუკარებელი პიროვნება.

— მაშ ყველაფერი წასულია.—ფიქრობდა გულგატეხილი ეთერი.— მოვა, მოიტანს ახალ სიტყვებსა და ახალ ამბებს, მოსკოვში შეძენილ კაბებსა და მოსასხამებს, იქაურ გაზეთებში მოთავსებულ სტატიებსა და სურათებს. გაიცნობს მოწინავე ახალგაზრდობას, მიიზიდავს მაყურებლებს, გაჩნდება თაიგულები, მილოცვები, ტაშის გრიალი, ზედიზედ გამოძახება... ეთერი კი ამ დროს...

— საწყალი გოგო!—თავისთავს იბრალებს წივწივაძის ასული. ფრთების გაშლაც ვერ მოასწრო, კარგი რეცენზიაც ვერ დააწერინა ვინმეს. მუდამ რჩევასა და მითითებებს აძლევენ. სუსტად იცოდა როლი, არ უმუშავნია სახის გახსნაზეო. მართალია, განა თავად არ იცის, რომ ეს ასეა? იცის, გრძნობს კიდეც, მაგრამ ერთი სცადონ და მისცენ ისეთი როლი, როგორიც მას მოსწონს და მაშინ ნახონ როგორ მოამზადებს, როგორ სახეს შექმნის. რა გულით უნდა იმუშაოს ისეთ როლებზე, რომელიც მის ხასიათს არ ეგუება. ამიტომაა, რომ რეცენზენტები მოხსენიების ღირსადაც არ თვლიან ეთერის. აქამდე ნიჭიერს მაინც უწოდებდნენ, მრავალ მწარე სიტყვებში ორიოდე ტკბილ სიტყვასაც გამოურევდნენ ხოლმე, დღეიდან კი სრულიად დავიწყებას მისცემენ, რადგან უფრო სახელოვანი მსახიობი გამოჩნდება.

აქ ეთერის გულში მეორე ეჭვიც გაჩნდა.

ახალგაზრდა დრამატურგი ლევან ნებიერიძე, რომელიც მისი თაყვანისმცემელი იყო და მუდამ იმას ცდილობდა, როგორმე ახალგაზრდა მსახიობი ქალის გული მოეგო, ლალი გულისაშვილის გამოჩენის შემდეგ სავსებით ჩამოშორდება მას და სახელგანთქმული მსახიობი ქალის გულის მოგებას შეეცდება. ამიტომ იყო, რომ ეთერი მუდამ ცხვირჩამოშვებული დადიოდა, ყველას ეჩხუბებოდა, თუ თეატრის ხელმძღვანელობიდან ვინმე საწყენს ეტყოდა, მაშინვე განცხადებას წერდა და თეატრიდან განთავისუფლებას მოითხოვდა.

მიუხედავად მისი ამგვარი უჯიათო ხასიათისა, თეატრის ადმინისტრაცია და მსახიობთა კოლექტივი არ იყვნენ განწყობილნი ეთერისადმი ცუდად. გრძნობდნენ, რომ ახალგაზრდა მსახიობ ქალში იყო ტალანტი, ნიჭი, შეიძლებოდა მისგან სახელოვანი მსახიობის გამოსვლა

და უფრთხილდებოდნენ მას. მრავალჯერ წასულან დათმობაზე, უპატიებიათ ისეთი დანაშაულიც კი, რომლის მსგავსს არავის აპატიებდნენ. უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქცევით გაანებივრეს კიდეც, თორემ იგი თავიდანვე ასეთი არ იყო. ინსტიტუტში ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, დამჯერე, დისციპლინიანი და თავაზიანი იყო. აქ კი რამდენიმე თვის შემდეგ ისე შეიცვალა, რომ ამხანაგებიც ვერ ცნობდნენ.

ბავშვს ფერება წაახდენსო, ნათქვამია.

ეთერი რომ თეატრში მოვიდა, მთელი კოლექტივი სიყვარულით შეხვდა. ყველამ ბავშვივით დაუწყო ალერსი და ფერება. ცდილობდნენ ახლო ყოფილიყვნენ მასთან, დახმარებოდნენ, ხელი შეეწყოთ.

პირველ ხანებში ეთერიც სამაგიეროთი პასუხობდა ყველას, მაგრამ შემდეგ თანდათან შეეჩვია, შეეგუა და ბოლოს სავალდებულოდაც კი გაუხადა ზოგიერთებს ყოფილიყვნენ მისი მორჩილი და პატივისმცემელნი.

დიდხანს არ დარჩენილა ეთერის ამგვარი საქციელი შეუმჩნეველი. კომკავშირის პირველადმა ორგანიზაციამ მალე გახადა მსჯელობის საგნად წივწივაძის საქციელი და მითითება მისცა. არ დაუჯდა ეთერის ასეთი რამ. როგორ თუ გაუბედეს მითითების მიცემა, გაკრიტიკება. არა, ეს მეტისმეტია, შეურაცხყოფაა, აბუჩად აგდებაა და...

განცხადება დაწერა.

დიახ, არ სურს იმუშაოს ასეთ კოლექტივში, ასეთ ამხანაგებში, სადაც მას პატივისცემით არ ეპყრობიან. აქვითინდა.

დირექტორმა დაამშვიდა, მოეფერა. ტკბილი სიტყვა უთხრა, ბევრი რამ შეპირდა.

ანიკომაც არ დაიშურა თავისი ალერსი. დედასავით მოექცა, დაარიგა, ზოგი რამ დაუწუნა, ზოგი მოუწონა და აიძულა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ უკან წაეღო.

რამდენიმე დღე დასევდიანებული დადიოდა, ხშირად იცრემლებოდა, ოხრავდა, რის გამო მთელი კოლექტივის ყურადღებას იქცევდა და ამხანაგების თანაგრძნობას იწვევდა. ბევრს გულწრფელად ებრალებოდა ეთერი, მის ბავშვურ თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლები გულს უთუთქავდა. მაგრამ ეთერის ამგვარი დამწუხრება სრულიად არაფრად მიაჩნდა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანს ზურაბ თოიძეს. არა უშავს, იტირებს, იგლოვებს და ჭკუას ისწავლისო, ამბობდა იგი და ეთერის პესიმისტური განწყობილების ამბავს გულთან ახლოსაც არ იკარებდა. პირიქით, ბევრჯერ დააყენა საკითხი ორგანიზაციის კრებაზე და უფრო სასტიკად გაკიცხა მისი მეშჩანური საქციელი.

— თუ ასე გაგრძელდება, საკითხს დავსვამთ წივწივაძის კომკავშირის რიგებში ყოფნის შესახებ.—განაცხადა მან მტკიცედ.

ამის საპასუხოდ ეთერის გული წაუვიდა და ისე გამოიტანეს კრებიდან ამხანაგებმა.

მეორე დღეს ეს ამბავი ყველამ იცოდა და ზურაბს საყვედურობდნენ.

— მართალია, თავისებური, კერპი ხასიათის ახალგაზრდაა, ბევრი რამ არ უვარგა, მაგრამ მაინც არ უნდა მოვექცეთ ისე, რომ გული წაუვიდეს, გონება დაკარგოს, ხომ ხედავ, როგორ მოქმედებს მასზე მცირე შენიშვნაც კი?—უთხრა პარტორგანიზაციის მდივანმა ზურაბს.—

შენ დაკვირვებული ახალგაზრდა ხარ, უნდა შეგეძლოს ახალგაზრდა კადრებთან საერთო ენის გამონახვა. მათი სულიერი სამყარო უნდა იყოს შენთვის ცნობილი. მართალი გითხრა, ჩემზე ძალიან იმოქმედა წივწივაძის ისეთმა მდგომარეობამ; ადამიანების აღზრდა რეპრესიებითა და სასჯელებით როდი შეიძლება, საჭიროა აღზრდის კომუნისტური მეთოდის გამოყენება, ამხანაგო ზურაბ!

ზურაბი ხმაამოუღებლივ უსმენდა უფროს ამხანაგებს და თავისი საქციელის მიზანშეწონილობას ამოწმებდა.

— თქვენ მართალი ხართ, ამხანაგო არჩილ!—კარგა ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა ზურაბმა პარტორგანიზაციის მდივანს,—მაგრამ თქვენ კარგად არ იცნობთ ეთერის. მე კი მას მეექვსე წელია ვიცნობ, ერთად შევედით ინსტიტუტში, ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ და აი აქაც ერთად მოვხვდით. ამხანაგი წივწივაძე ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. მე არ ვიცი, როგორ და რა წესით დაამთავრა მან საშუალო სასწავლებელი, მაგრამ ინსტიტუტში რომ შემოვიდა, თექვსმეტი წლის იყო, სრულიად ბავშვი...

— მით უმეტეს გმართებთ მისდამი განსაკუთრებული მიდგომა.— შეაწყვეტინა სიტყვა არჩილმა.—როგორც ვატყობ, ეთერი უნიჭო მსახიობი არ არის. მართალია, ჯერჯერობით თეატრალურ რეცენზიას მასზე კარგი არა უთქვამს რა, მაგრამ ჩემი შეხედულებით... მე არ ვიცი, შეიძლება თქვენ ჩემი შეხედულების საწინააღმდეგო აზრი გქონდეთ, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ წივწივაძე ჩვენს კოლექტივში არც თუ ისე უბრალოდ ხელწამოსაკრავი მსახიობია.

— მე უფრო მეტს ვიტყოდი, ამხანაგო არჩილ!—მიუგო ზურაბმა,— ეთერის ნიჭისა და შესაძლებლობის მსახიობი ქალი ჩვენს კოლექტივს არა ჰყავს. უფრო შორს წავალ, მასეთი ძალა საქართველოს ბევრ თეატრს არ მოეპოვება, მაგრამ...

— ეს კი მეტისმეტი გაზვიადებაა, ამხანაგო ზურაბ!—ღიმილით თქვა არჩილმა.—ჯერჯერობით ჩვენ მაგის მსგავსი არაფერი შეგვიმჩნევია წივწივაძეში.

— არ დაკვირვებიხართ, ამხანაგო არჩილ!—სერიოზულად უთხრა ზურაბმა.—ეთერის შეუძლია გაითამაშოს ისეთი სცენა, რომლის მსგავსს იშვიათად შესძლებს ვინმე. მან იმდენად შეითვისა მსახიობის ოსტატობა, იმდენად შეიჭრა მის არსებაში სახეების შექმნისა და მიმბაძველობის ძალა, რომ დღეს მისგან თავის დაღწევა, ძალიანაც რომ მოინდომოს, არ შეუძლია. მისთვის მთელი ქვეყანა სცენაა. ის მსახიობობს ყველგან, გარდა ჩვენი თეატრის სცენისა, რადგან აქ იგი როლებისადმი გულგრილი და ცივია. ის მსახიობობს ამხანაგებთან, მეგობრებთან, კრებაზე, თათბირზე, შინ და გარეთ. ყველგან ზედმიწევნით კარგად ასრულებს მის მიერ შერჩეულ როლს. თუ რამდენიმე დღის წინ სცენაზე მეტად სუსტად შეასრულა თავისი როლი პიესა „ქალბატონებში“ და ვერასგზით ვერ მოახერხა გულწასული მანდილოსანის სახე შეექმნა, გუშინ კი, კომკავშირის კრებაზე, მსგავსი როლის შესრულებაში თავი ისახელა...

— როგორ, თქვენი აზრით მისი გუშინდელი საქციელი სიმულიანტობა იყო, გათამაშება?—გაკვირვებით შეხედა თვალებში არჩილმა ზურაბს.

— რასაკვირველია, ამხანაგო არჩილ!—მიუგო ზურაბმა.—ჩემზე უკეთ ვინ იცნობს ამხანაგ წივწივაძეს... და, როდესაც ჩვენ მას ვსაყვედურობთ და მითითებებს ვაძლევთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სურვილია ახალგაზრდა და ნიჭიერი მსახიობი სწორ გზას დაადგეს, სახეები შექმნას, ითამაშოს სცენაზე და არა ცხოვრებაში, არა თათბირებზე და კრებებზე.

არჩილმა თავი გააქნია გაკვირვების ნიშნად.

— არა მგონია, სავსებით სწორი იყოს თქვენი შეფასება... თუმცა მართალი გითხრათ, აქამდე არ დავკვირვებივარ, არ შემისწავლია ეს ახალგაზრდა და ეს ჩემი დანაშაულია!.. კარგი, ვნახოთ, თუ მკურნალობაა საჭირო, ნუ მივაკლებთ, მაგრამ სწორი დიაგნოზის დასმა აუცილებელია, ამხანაგო ზურაბ!

ამის შემდეგ სულ სხვანაირად დაუწყეს ცქერა ეთერის. ახლა ბევრს აღარ სჯეროდა მისი ცრემლების, გულის წასვლის თუ გაბუტვის. მაგრამ რატომღაც ამ ახირებული ამხანაგის სიყვარული და პატივისცემა გულიდან ვერ ამოეღოთ, ხშირად ექომაგებოდნენ და მის მხარეს იჭერდნენ. განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა ანიკო, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ამაყი და ზვიადი შეხედულების, მაგრამ არაჩვეულებრივად გულკეთილი და საყვარელი ადამიანი. ანიკოს ყურადღებას უფრო აფასებდა ეთერი, პატივისცემით ეპყრობოდა, უსმენდა, უჯერებდა, ზოგჯერ საყვედურსა და დატუქსვასაც ითმენდა მისგან, მაგრამ დანარჩენების არაფერი სწამდა. ინსტიტუტის ამხანაგ ქალთან, თალიკო ნოზაძესთანაც არ იყო კარგ ურთიერთობაში. ამის მიზეზი გახლდათ ის ყურადღება, რომელსაც მაყურებლებისაგან იპყრობდა სრულიად უპრეტენზიო, არც თუ ისე დიდი ნიჭისა და უნარის მქონე მსახიობი ქალი, თალიკო ნოზაძე.

ზედმეტი ტაშიც არ ემეტებოდა ეთერის ამხანაგისათვის. ყვავილი და თაიგული ხომ სულ უკლავდა გულს.

მაგრამ ახლა, როცა ახალი საფრთხე გამოჩნდა, უფრო გავლენიანი და სახელმოხვეჭილი მსახიობი ქალი მოიწვიეს, ეთერიმ თალიკოსადმი დამოკიდებულების შეცვლა მოიწადინა. პირველად მას გაუმხილა ფიქრი ლალი გულისაშვილის გამოჩენით მოსალოდნელი საშიშროების შესახებ.

— რას ამბობ, გოგო!—გაკვირვებით შეაჩერდა თალიკო ამხანაგს.—ყველას როლს ლალი ხომ ვერ ითამაშებს? ჩვენ-ჩვენი ადგილი მუდამ გვექნება.

— ჩვენ-ჩვენი ადგილი!—გამოაჯავრა ეთერიმ.—რად გინდა მერე ისეთი ადგილი, რომელიც არავისგან შენიშნული არ იქნება, კანტიკუნტად გადმოგდებულ ტაშსაც არ გაიმეტებენ ჩვენთვის. მე კარგი, არც აქამდე ვიყავი ძოწონებული, ახლა ხომ სულ ვანებებ თავს სცენაზე მუშაობას, მაგრამ თქვენ, შენ, ანიკო, ლამარა, თქვენ ხართ ცოდონი.— და ეთერის თვალები ცრემლებით აევსო.

— შენ ხომ არ გასულელებულხარ, გოგო, მართლა სერიოზულად ამბობ ასეთ რამეს?—თვალებში ჩახედა თალიკომ,—ჩემი ღირსება და ადგილი ვის შეუძლია წამართვას თეატრში?.. არა, ჩემო დაია, მაგისი შიში ნუ გექნება! ჩვენს ქვეყანაში ყველა თავისი ნიჭის, უნარისა და შრომის მიხედვით ფასდება, იზრდება და წინ მიდის. მე ვფიქრობ, ჩვენს თეატრში ლალის სამუშაოდ გადმოსვლა მთლიანად ჩვენი კოლექტივის გამარჯვებაა, მასთან ამხანაგობა და მუშაობა ერთი-ორად ასწევს ჩვენს ავტორიტეტს, აგვამაღლებს. პირადად მე საამაყოდ მიმაჩნია ლალი რომ ქართველი ქალია და ცნობილი მსახიობი. როდესაც მოსკოვიდან რადიოთი ვისმენდი იმ სპექტაკლს, რომელშიაც ლალი გულისაშვილი მონაწილეობდა, აღტაცებული ვიყავი. თეატრის დარბაზის ოვაციებს ჩემი ტაშიც უერთდებოდა აქედან. და აბა მითხარი, როგორ არ ვიქნები კმაყოფილი, როცა ასეთი ადამიანი ჩემს გვერდით დადგება, ჩემთან იმუშავებს და იმეგობრებს, ჩვენ ბევრი რამე შეგვიძლია ვისწავლოთ მისგან. ავმაღლდეთ, გავიზარდოთ.

ეთერის არ მოეწონა ამხანაგის სიტყვები. აბა როგორ შეიძლება იფიქროს ადამიანმა სხვისი ნიჭითა და სახელით საკუთარი თავის დაწინაურებაზე? დიახ, კარგია, რომ ლალი ქართველი ქალია, მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი, მაგრამ მისი ადგილი რომ ეთერის ეჭიროს, უკეთესი არ იქნებოდა? ახლა კი ეთერი სრულიად არაფერს არ წარმოადგენს. როგორც მსახიობი, ის თანდათან თუ ჩამოქვეითდება, გულისაშვილის გვერდით ის საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ეთერის ოცნებას ფრთები შეეკვეცა. მერე, როგორ გატაცებული იყო, როგორ ფიქრობდა დიდ სახელზე და კარგ მომავალზე. მთელი ძალღონით ეწაფებოდა ხელოვნების საქმეს. ინსტიტუტში ყოფნისას ყველას ჯობდა სწავლაში. დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მასზე.

მაგრამ მოცილდა ინსტიტუტს, დაშორდა დედაქალაქს და ყველაფერი გაქრა სიზმარივით, საოლქო ქალაქმა ვერ გაუმართლა იმედები.

თუმცა... ხანდახან, თავისი სინდისის წინაშე პირდაპირ დადგება ეთერი და გულწრფელად აღიარებს, რომ ჯერ მას არ უმუშავნია არც ერთ როლზე ისე ბეჯითად, როგორც საჭირო იყო, როგორც იქ, ინსტიტუტში, ან დედაქალაქის სცენაზე მუშაობდა. საოლქო ქალაქის თეატრი მეორეხარისხოვნად მიიჩნია მან და ამ თეატრის მაყურებელმა კი მეოთხეხარისხოვანი მსახიობის „წოდება“ მიაკუთვნეს მას, მიუხედავად მისი სილამაზისა, ეშხისა და ქედმაღლობისა.

რეცენზენტებს ხშირად აღუნიშნავთ, ნიჭიერი მსახიობი ქალი მოუმზადებელი გამოდის, როლსა და სახეს დაუფლებული არ არისო.

აუგი ყველასათვის საწყენია, მაგრამ ხელოვნების მუშაკისათვის ხომ სულ გამანადგურებელი...

ეთერი მთელი დღეები მგლოვიარესავით არის მისი მუშაობის ასეთად შეფასების გამო. იგი ერთხელაც არ ცდილა გამოესწორებინა ნაკლი, ემუშავნა ბეჯითად და გულმოდგინედ.

მუდამ უკმაყოფილო და გულნაკლული იყო, არ იქნა და არ მოხერხდა მისი სასურველი როლის პოვნა, ვერც მისი შესადარი ტანსაცმელი შეკერა ვინმემ. მუდამ საყვედურობდა და მიზეზობდა, მაგრამ დღევანდლამდე როლის შესრულებაზე ასე კატეგორიულად არ განუც-

ხადებია უარი. ხან რეჟისორს სცემდა პატივს, ხან დირექტორს, ხან ანიკოს ხათრით იყო გაჩუმებული, მაგრამ დღეს კი ოჩან ცხენივით დაიხია, გაკერპდა, გაჯიუტდა და არავის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია.

არ მინდა, არ მსურს, ვერ შევასრულებ, არ გამომდისო, და ხელაღებით უარი განაცხადა რეპეტიციის გავლაზე, თუმცა როლი კარგა ხანია მიღებული და შესწავლილიც ჰქონდა.

II.

ეთერის საქციელმა მთელი დასი ააღელვა. ახალგაზრდებმა სასტიკი დღე დააყენეს მას. გაკიცხეს, გალანძღეს, მეტიჩარა და კაპასი უწოდეს. არც თეატრის წამყვანმა და მოწინავე მსახიობებმაც დაინდეს.

ანიკომაც სასტიკი საყვედური უთხრა, მაგრამ ამჯერად ეთერი უფრო გულმაგარი გამოდგა. არ აქვითინებულა, არც ცრემლები გადმოუღვრია და, რაც მთავარია, გული არ წასვლია. პირიქით, მეტად გამომწვევად ეჭირა თავი და თვით თეატრის დირექტორსაც კი შეეკამათა.

— შენ გავიწყდება, ამხანაგო ეთერი, რომ სამსახურში ხარ და გარკვეული მოვალეობის შესრულება გევალებათ!—უთხრა დირექტორმა მას.

— სრულიადაც არა!—სწრაფად მიუგო ეთერიმ.—ერთი წუთითაც არ მავიწყდება ჩემი მოვალეობა, მაგრამ...—აქ განგებ შეწყვიტა სიტყვა და თითების სრესა დაიწყო.

— მაგრამ?.. —შეეკითხა დირექტორი.—გვითხარი ბარემ, რა იმალება მაგ „მაგრამს“ იქით. იქნებ ჩვენ მიგვიძღვის რაიმეში ბრალი. გამოვასწორებთ... რას იტყვით, ამხანაგებო!—იქ მყოფთ გადახედა დირექტორმა.

— ვარლამ პავლოვიჩ, არა ღირს სალაპარაკოდ. მართალია ჩვენი მეამბოხე ცოტათი გაგვიცხარდა, მაგრამ არა უშავს, დამშვიდდება, დაშოშმინდება და მუშაობას განაგრძობს. ხომ აგრეა, ჩემო ეთერიკო?—სიყვარულით მიუახლოვდა სევა ეთერის.

— მე თქვენ გთხოვთ, ნუ ერევით ჩემს საქმეში!—ისე მაგრად შემოულრინა ეთერიმ, რომ სევამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— მაპატიეთ, ბოდიში... სადა მაქვს ჩემი...—გაიქექა ჯიბეები.—აქა მქონია.—კვლავ სათვალე მოძებნა და ნელი ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა.

მიუხედავად ეთერის კერპი ხასიათისა, დირექტორმა მაინც შეძლო მისი დამშვიდება. ვარლამ პავლეს-ძე დახელოვნებული იყო ასეთ რამეებში. თეატრში ოცდაათი წლის მუშაობამ დიდი გამოცდილებით გაამდიდრა იგი. დაწვრილებით იცოდა ყველა მუშაკის ხასიათი, იცოდა მსახიობი ქალის ცრემლების ძალა, ქვითინისა და ისტერიკების დანიშნულება, ახალგაზრდა მსახიობების გაბრაზებისა და განდგომის მიზეზი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ სენის წამალიც იცოდა, იცოდა რომელთან როგორ მოქცეულიყო, ვისთან სისასტიკე და ვისთან ლმობიერება გამოეჩინა, ვის გაწყრომოდა და ვის მოფერებოდა. ერთი სიტყვით, იცოდა, რომ თეატრის კოლექტივი მრავალნაირი ხასიათის ადამიანე-

ბისაგან შესდგება და ეს ადამიანები თავისებურ მიდგომასა და მოპყრობას საჭიროებენ. ხელოვნების მუშაკთა კოლექტივი ყველა სხვა დარგის მუშაკთა კოლექტივისაგან განსხვავებული და თავისებურია. აქ უფრო მეტად გრძნობები ასრულებს წამყვან როლს. ტკბილი ენა, თაიგულები და ტაში ყველაზე საამური წამალია აქაური მუშაკისათვის. სახელის დამსახურება, ღირსების მოპოვება, მაყურებლის თვალში ამაღლება ყოველგვარ გასამრჯელოზე ძვირფასია ჭეშმარიტი ხელოვანისათვის, და ყოველი ხელმძღვანელი, რომელიც ხელოვნების მუშაკთა კოლექტივს უძღვება, ამ თავისებურებას უნდა იცნობდეს.

ეთერი დათანხმდა როლის მიღებაზე, თუმცა ისიც განაცხადა, რომ ეს როლი მას საბოლოოდ ამოაცლის გულიდან თეატრის სიყვარულს, ბოლოს მოუღებს როგორც მსახიობს, გაუტეხს ისედაც არასაამაყო სახელს და აიძულებს მიატოვოს არა მარტო აქაურობა, არამედ თეატრიც.

— არა, ჩემო კარგო, ეს ასე არ მოხდება, მართალია, ეს როლი ისეთი არაა, რომ მისი შესრულებით რომელიმე მსახიობმა დიდი სახელი მოიხვეჭოს, მაგრამ თუ გულწრფელად იმუშავებ, სირცხვილს არ ჭამ.—უთხრა ანიკომ და მოუწონა, რომ დირექტორის რჩევა მიიღო.

— დამეხათრა, მამისტოლა კაცია.—ჩაილაპარაკა ეთერიმ.—თუმცა მე მაინც...

— კარგი, კარგი, გეყოფა!—გააჩუმა ანიკომ.—ალბათ, გიორგი შემოვა და რეპეტიციას დავიწყებთ. შენ კი, ძალიან გთხოვ, მორიდებით იყო. თუ საკუთარ ხასიათსა და ნერვებს უფრთხილდები, სხვისასაც მოერიდე, რეჟისორი ხომ რკინისაგან გამოჭედილი არაა, მასაც გული და ნერვები აქვს, მთელ კოლექტივს ხელმძღვანელობს, ოვითეული ჩვენთაგანის მუშაობისათვის პასუხისმგებელია. ხუმრობა ხომ არაა, მთელი ცხოვრება აჩვენო სცენიდან თავისი დეტალებით. ჰოდა, ჩვენ თუ არ დავეხმარეთ, როგორ შეძლებს ასეთი ამოცანის გადაწყვეტას?

ეთერის მრავალჯერ მოუსმენია ამგვარი დარიგება, დარიგება კი არა, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ისმენდა ლექციებს თეატრსა და ხელოვნებაზე, მის ისტორიულ წარსულზე, შეუსწავლია ფსიქოლოგია, ლოგიკა და მრავალი სხვა საგანი, მაგრამ ახლა სკოლაში პირველად შესულ მოწაფესავით იდგა და უსმენდა ანიკოს სიტყვებს. მისი თვალები, ბავშვური უმანკოებით ავსებულნი, ციმციმებდნენ, გრძელი წამწამები დროგამოშვებით აიწევ-დაიწევდნენ და ოდნავ მკრთალ სახეს იერსა და სილამაზეს მატებდნენ. მეტად კარგი სანახავი იყო იგი ამ დროს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ მშვიდსა და სასოებით აღსავსე არსებას შეეძლო ვინმესთვის წყენა, ყოფილიყო შურიანი, ამაყი და თავმომწონე. ვინ იტყოდა, რომ იმ პატარა გულში, რომელიც ახლა ასე ნელა და მშვიდად ძგერდა, ქარიშხალია დაბუდებული, რომელსაც შეუძლია განრისხებით ამოვარდეს.

ადამიანს შეუთავსებლად მოეჩვენებოდა ასეთი შეხედ[illegible] ლიშვილში ის შეუფერებელი თვისებები, რაც სინამ[illegible] ახასიათებდა. თუ ეს ასეა, მაშინ მხატვარს არ შეძლებია ადამიანის [illegible] თის დახატვისას, მისი გარეგნული სახის გამოკვეთის [illegible] ადამიანის შინაგანი ბუნება დაგვანახოს. თუ მოქანდაკე ეთ[illegible]

მოაქანდაკებდა, ის ამით სიკეთის, უმანკოებისა და სილამაზის სიმბოლოს მოგვცემდა, ხოლო თუ მწერალი ამავე არსების შინაგან ბუნებას აღწერდა, ის შურიანობის, ქიშპობის, ზედმეტი თავმოყვარეობის, ამპარტავნობისა და მრავალნაირი ულირსი ჩვევებისა და ხასიათების უმსგავსოებას წაგვაკითხებდა.

რისთვის, ან რატომ გამომუშავდა ეთერში ასეთი თვისებები, ამის მიზეზი არავინ იცოდა. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ იბადებიან ადამიანები ასეთი ჩვევებისა და ხასიათისო, ზოგიერთები კი აღზრდას სთვლიდნენ ძიზეზად. უკანასკნელთ ემხრობოდა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ზურაბ თოიძე. მშობლების ერთადერთი ქალიშვილი, განებივრებული იზრდებოდა, ზედმიწევნით ლამაზი და სათუთი ბავშვი თანატოლებში სიყვარულითა და მორიდებით სარგებლობდა, ყველაზე უმცროსი გოგონა—სტუდენტი ინსტიტუტშიაც ყველასაგან გამორჩეული ჰყავდათ, როგორც უნარიანსა და ნიჭიერს განსაკუთრებულ პირობებსაც უქმნიდნენ. ყოველივე ეს ერთმანეთში გადაიზარდა, გადამუშავდა და მოგვცა ულირსი ადამიანის ხასიათი და ბუნებაო,—ამბობდა ზურაბი და ამხანაგებს ურჩევდა, შეეცვალათ დამოკიდებულება ეთერის მიმართ. მოპყრობოდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ ამხანაგს და არ ეცქირათ მისთვის იმგვარად, როგორადაც ძველად მორწმუნენი უცქერდნენ წმიდანების გამოსახულებას.

—დიახ, უნდა გარდავქმნათ უხეიროდ აღზრდილი ამხანაგი და მისგან ნამდვილი კომკავშირელი მივიღოთ!—განაცხადა ერთხელ ზურაბმა კრებაზე და მას ბევრმაც დაუჭირა მხარი.

და, აი სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ის ფაქტი, რომელმაც კინაღამ ჩაშალა რეპეტიცია. მაგრამ დირექტორის მოქნილმა და მოხერხებულმა საქციელმა შეძლო საქმის გამოსწორება. დაამშვიდა გულაღრენილი ეთერი და განაწყენებული რეჟისორიც დაუბრუნდა სამუშაოს.

III.

ეთერის მღელვარებასა და ნერვიულობას ახლა საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, მუშაობდა როლზე, მაგრამ მისი აზრი და გონება სხვაგან იყო. ის სულ მოსალოდნელ უბედურებაზე ფიქრობდა, იმ უბედურებაზე, რომელიც, მისი აზრით, სახელგანთქმული მსახიობი ქალის ლალი გულისაშვილის ჩამოსვლას მოჰყვებოდა. ახლა მას სავსებით სჯეროდა ის აზრი, რომ გულისაშვილი მას და მასთან ერთად მრავალ სხვასაც წაართმევდა უპირატესობას. დაიპყრობდა ქალაქის თეატრის ყველა მაყურებლებს, გახდებოდა ყველასათვის საქებ-სადიდებელი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ეთერისათვის ყველაზე საშიში ის იყო, რომ მასვე შეეძლო გავლენა მოეხდინა ლევანისა და ეთერის ურთიერთ დამოკიდებულებაზე, მათ სიყვარულზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩაისახა ამ ორ ახალგაზრდას შორის.

მართალია, ლევანი მტკიცე ნებისყოფის ვაჟია, სიტყვის კაცია, მაგრამ ლამაზი და სახელგანთქმული მსახიობი ქალიშვილი ვინ იცის როგორ გავლენას მოახდენს მასზე. ლევანის პიესაში მაინც არ ღებულობდეს მონაწილეობას, ისიც მთავარ და მეტად მიმზიდველ როლში!

ლალის მეორე უპირატესობაც აქვს, როგორც ამბობენ, ნიჭსა და სილამაზესთან ერთად შეძლებული მშობლები და ნათესავები ჰყოლია, უამრავი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი აქვს თურმე. მუდამ სხვადასხვანაირად მორთულ-მოკაზმული დადის. ეთერის კი... არც მშობლები ჰყავს, არც ქონება და დოვლათი აქვს. აქამდე ნიჭისა და სილამაზის იმედი ჰქონდა, ახლა ისიც არა შველის, გამოჩნდნენ უკეთესები, ახლა კი ერთი, მაგრამ მას, ალბათ, სხვებიც მოჰყვებიან, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, იტყვიან ხოლმე.

— საბრალო გოგო!—თავისთავს იბრალებს ეთერი და რაც უფრო ღრმად იხედება საკუთარ გულში, მით უფრო აუტანელი ეჩვენება ცხოვრება.

როგორ ჩქარა შეიკვეცა ფრთები მისმა ოცნებამ?!

საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, სწორედ მაშინ იწყო მისი ბედის ჩარხმა უკუღმა შემობრუნება. მშობლები, რომლებიც ასე ანებივრებდნენ მას, დაეხოცა. მამა სამამულო ომში დაეღუპა, დედა ტვინის დამბლით გარდაეცვალა და მას შემდეგ ეთერი ობლად იზრდებოდა. კიდევ კარგი, რომ ცუდი გზა არ აირჩია, დრო არ გაუშვა ხელიდან და საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო, ანგარიში არ გაუწია იმ დროს მის ცხოვრებაში მომხდარ ამბებს, ხელი ჩაიქნია ყველაფერზე და გზა განაგრძო.

„ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო," გაიხსენებდა ის ხშირად ხალხურ ანდაზას და იმედი ჰქონდა, რომ თავისი ენერგიით, ნიჭითა და უნარით ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდოდა და მრავალს მოიტოვებდა უკან.

ყველაზე ცუდია, როდესაც ადამიანი თავისთავს არწმუნებს, რომ ის სხვაზე უკეთესია, რომ მისი ბადალი დედამიწაზე არ დადის, რომ ის ჭკვიანი და ლამაზია. უკანასკნელი კი განსაკუთრებით უშლის ხელს ახალგაზრდა ქალის დაწინაურებას. ქალისათვის იმაზე უარესი მტერი არაფერია, როგორიც საკუთარი სილამაზის შეგრძნობა და თავისთავზე შეყვარება. ის გზაზე ეღობება და ფეხებს უბორკავს მას. მართალია, ეთერი არ იყო საკუთარი სილამაზის თაყვანისმცემელი, მას ამაზე მანამდე არც უფიქრია. თავისთავის პატივისცემა ეთერიმ თეატრში მუშაობის შემდეგ ისწავლა. შურიანიც შემდეგ გახდა. შემოქმედებითი შეჯიბრების მეთოდი მან ცუდად გაიგო. მისთვის თეატრის კოლექტივის მარცხი არაფერს წარმოადგენდა, თუ თვითონ პირადად გამარჯვებული გამოვიდოდა. კოლექტივიდან გამოთიშულს კი გამარჯვების მიღწევა უძნელდებოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ხშირად რეცენზიებში არ ახსენებდნენ რიგიანად. ასეთი რეცენზიები ლახვარივით ხვდებოდა ახალგაზრდა მსახიობის გულს და მის შემოქმედებითს მუშაობას დაღს ასვამდა. შენიშვნებისა და მითითებების მიღების ნაცვლად იგი ჯავრობდა, წუხდა, ნერვიულობდა და ყველაფერი ეს ცუდ გავლენას ახდენდა მის მუშაობაზე.

ერთხელ, წარმოდგენიდან გვიან დაბრუნებული ეთერი, ღია ფანჯარასთან ჩამომჯდარი, დიდხანს ფიქრობდა თავისთავზე. მეტად უიმედოდ ეჩვენებოდა მისი მომავალი. ხვალინდელი დღის გათენება სიხა-

რულს არ გვრიდა. უარესი და უარესი ამბებით იყო დატვირთული მისთვის ყოველი ახალი დღე.

ბავშვურ ცქრიალა თვალებში ნაღველი ჩამდგარიყო.

—ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.—ჩააწვეთა ვილაცამ ყურში და ეთერიმ თავი ასწია.

—მართალია.—გაიმეორა მან ხმამაღლა.—დიახ, სიკვდილი სჯობს, მაგრამ...

—მაგრამ რა, ფანჯარა ღიაა, ერთი გადახტრა და... ხა, ხა, ხა...—ეთერის ტანში გააჟრჟოლა. ვინ ოხერია, ასე ურცხვად რომ ეწევა სიკვდილისაკენ?!! ნუთუ ისე უმწეოა ეთერის მდგომარეობა, რომ სხვა გამოსავალი არა აქვს? მაშ რაშია საქმე? რატომ უნდა იფიქროს სიკვდილზე? არა, არა, ასეთ რამეს იგი გულში არ გაივლებს. რას იტყვიან ამხანაგები? კომკავშირელი მაინც არ იყოს, მერე როგორ უყვარს ეთერის კომკავშირი! მართალია, ახლა ძალიან ემდურიან ამხანაგები, გადაგვარებისაკენ იხრებიო, ეუბნებიან, მაგრამ ტყუილია, ეთერი იყო და დარჩება კომკავშირის ერთგული წევრი.

ის წუთები მოაგონდა, როცა პიონერის წითელი ყელსახვევით მკერდდამშვენებული გამოცხადდა კომკავშირის კომიტეტში და ბილეთი მიიღო. ის დღე და ის წუთები არასოდეს არ დაავიწყდება. ახალმიღებული ბილეთი მკერდზე მიიკრა და ისე გამოვიდა კარებში, თითქოს ფრთები გამოსხმოდეს. თვალებგაბრწყინებული, გულგამხიარულებული, მეორე დღეს უნდა გენახათ კომკავშირის საერთო კრებაზე სრულუფლებიანი წევრის ღირსებით რომ გამოცხადდა და უფროსი ასაკის კომკავშირლებს შორის ჩაჯდა.

რა ბედნიერი წუთები იყო! პიონერობიდან კომკავშირის რიგებში. თუმცა წითელი ყელსახვევის მოშორებაც ძალიან დაენანა. კარგა ხანს ატარებდა მას. რომ არ დასცინებდნენ, ახლაც სიამოვნებით გაიკეთებს და ისე ივლის. ნეტავ რომელს აირჩევდა ახლა ეთერი, პიონერობას თუ... იქნებ ისურვებდა პარტიის წევრი იყოს, სტაჟის მქონე, დინჯი, დარბაისელი, ისეთი, როგორიც ანიკოა, ან სხვა...

ამ ფიქრებში საკმაო ხანი გავიდა, ქალიშვილის თვალებს კი ძილი არ ეკარებოდა. მრავალნაირი მოგონებები ცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინა პლანზე მაინც უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები დგებოდნენ. ლევანის გაცნობა და მასთან დაახლოება, მისი შეყვარება, დიახ, შეყვარება.

ნუთუ მართლა?

ეთერი შეყვარებულია? მას ლევანი უყვარს?

დიახ, მართალია! სწორია!

მაგრამ...

მაგრამ რა, ეჭვი ეპარება ვინმეს?

არა, მაგრამ ლევანსაც უყვარს ეთერი?

ეთერი თავის გულს გაესაუბრა და ასეთი კითხვა დაუსვა და მანვე უპასუხა:

რასაკვირველია, უყვარს! ყველაფერი შეჰფიცა, მიყვარხარო. სინდისი, პატიოსნება, ვაჟკაცობა...

—ეგ არაფერია... ბუტბუტებს ვილაცა თავისთვის.—ვაჟების იარა-

ღი ქალების მოსატყუებლად ფიცი და ქათინაურებია. ყველა ღმერთებსა და წმიდანებს ჩამოიყვანენ ზეციდან, ყველა საფიცარს დაიფიცებენ, მუხლებზე დაეცემიან ან... არა, არა, სანდონი არ არიან ისინი, ოღონდ მიზანს მიაღწიონ და ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ.

ატირდებიან, აცრემლდებიან, შესაბრალისი მონა გახდებიან, მაგრამ მიაღწევენ რა მიზანს, მედიდურობითა და სიამაყით აღივსებიან და მათ მიერ მოტყუებულ არსებას ისე დაუწყებენ ცქერას, როგორც გადაგდებულ ვარდს.

ეთერი ჩააფიქრა ამ უცნაური მოკამათის სიტყვებმა. ეროი შეხედვით თითქოს მართალია, რასაც ამბობს. განა ცოტა მაგალითია ამის დამამტკიცებელი? გაცნობა, დაახლოება, ფიცი, პატიოსანი სიტყვა და ბოლოს ღალატი.

მაგრამ...

ვითომ ყველა ერთნაირია ფიცისა და სიტყვის შესრულებაში? ხომ არიან ნამდვილი ადამიანები, სიტყვისა და პირობის შემსრულებლები, ნამდვილი კომკავშირლები და კომუნისტები? ჩვენ ხომ იმ მოდგმის ადამიანები ვართ, ლენინისა და სტალინის მოძღვრებით რომ გავიზარდეთ და ვიზრდებით ახლაც. მათი მოძღვრება კი ოჯახის სიწმინდესა და სიყვარულის სისპეტაკეს მოითხოვს, ადამიანის ღირსებად სინდისსა და პატიოსნებას, სიტყვისა და პირობის მტკიცედ დაცვას აღიარებს.

ეთერიმ ზურაბის მაგალითი მოიშველია. სრულიად უბრალო გოგო შეუყვარდა, პირობა მისცა, შეირთო და დღეს პატარა, მაგრამ ტკბილი და ლამაზი ოჯახი აქვთ. პატარა ბიჭი, რომელიც ექვსი თვის წინათ შეეძინათ, მთელი მათი ცხოვრების ფასი და სიხარულია.

ჰოდა, ჩანს, ყველა ერთი ჯოხით არ გაირეკება. მართალია, ჩვენში მოიპოვებიან მახინჯი სულის ადამიანებიც, მაგრამ მეტი ნაწილი ხომ ჯანსაღია.

თავისივე სიტყვებმა გაამხნევეს ეთერი. მან ამჯერად სწორად განსაჯა საკითხი, მაგრამ ის შიში, რომელიც მის გულში შეიჭრა მოსალოდნელი მეტოქის გამოჩენის გამო, მაინც ძალაში დარჩა.

* * *

თეატრი განაგრძობდა მუშაობას ახალგაზრდა ავტორის პიესაზე. მსახიობები უფრო და უფრო ითვისებდნენ როლებს. ეთერიც დადიოდა რეპეტიციებზე, მაგრამ ახალმოწვეული მსახიობი ქალი ლალი გულისაშვილი ჯერ კიდევ არ ჩანდა. რამდენიმე დღის წინ დეპეშა გამოგზავნა, დედის გარდაცვალების გამო ვერ მოვდივარო, მაგრამ მისი როლი მაინც არავისთვის არ გადაუცია რეჟისორს. მოგვისწრებს, ანსამბლს აყვება, დაგვეწევაო, ამბობდა იგი.

რეჟისორის ამგვარი საქციელი ყველაზე მეტად ეთერის სწყინდა. რატომ ჩადის გიორგი ასეთ რამეს, რატომ არ სურს შეასრულოს სხვამ ის როლიო. თანაც დასძენდა, ქალს დედა გარდაცვლია, მგლოვიარედ იქნება, როგორ შეუძლია სცენაზე გამოვიდეს და ისიც ისეთ მხიარულ როლში, რომელიც მისთვისაა განკუთვნილიო.

ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ, მაგრამ დირექტორი და დამდგმელი თავისას არ იშლიდნენ და გულისაშვილის ჩამოსვლას ელოდებოდნენ.

ერთ დღეს, როცა რეპეტიციას მორჩნენ და ისვენებდნენ, შიკრიკი მივიდა რეჟისორთან და რაღაც უთხრა.

— მართლა!?—სიხარულით წამოიძახა გიორგიმ.—ამხანაგებო, ლალი ჩამოსულა.

— ლალი?—ერთხმად გაიმეორა რამდენიმე ხმამ.

— სად არის? წავიდეთ ვნახოთ!—თქვა თალიკომ და ეთერისაკენ გაიხედა.

ეთერის სახე გაუფითრდა, ოვალები დაუპატარავდა და ცახცახმა აიტანა, მაგრამ ის მაინც ძალას იკრებდა და ცდილობდა დაეფარა მისი აღელვებული განწყობილება.

— ლამაზი ქალია, ბიჭო? —შეეკითხა შიკრიკს ერთი ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც პიესაში ლალის შეყვარებული უნდა ყოფილიყო.

— მაჭანკალი ვარ, გიქო?—მოკლედ მიუგო შიკრიკმა.—ლამაზია, მაშ!

— წავიდეთ, გავეცნოთ, ამხანაგებო!—მიმართა იქ მყოფთ გიორგიმ და ყველაზე უწინ გავიდა სარეპეტიციო დარბაზიდან.

მსახიობები თანდათან გაყვნენ მას. ანიკომ ეთერისთან ერთად მოინდომა წასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისე მოახერხა, რომ დარბაზში მარტო დარჩა.

მარტოდ დარჩენილს უფრო აუფორიაქდა გული. გადაწყვიტა სახლში წასვლა, მაგრამ ეს უხერხულად ეჩვენა. ამით ის უფრო გამოამჟღავნებდა თავის დამოკიდებულებას ახალმოსულ კოლეგასადმი, ეს კი არ ივარგებდა. ამიტომ იქვე სარკესთან მივიდა, კულულები გაიშალა და თმის ვარცხნას შეუდგა. ამით მან გაიჩინა მიზეზი სხვებთან ერთად წაუსვლელობისა და თან დრო მოიგო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ თვალებგაბრწყინებული თალიკო შემოვარდა.

— სადა ხარ, გოგო! წამოდი ჩქარა!—მკლავზე მოკიდა ხელი.

— დამაცა! ხომ ხედავ, არა მცალია!.. რა მეჩქარება, აქ არ გვეყოლება, მოვასწრებთ გაცნობას.

— რასაკვირველია, მოვასწრებთ, მაგრამ ახლა ჯობს, მთელ კოლექტივთან ერთად.

— სწორედ, სწორედ!—შეაწყვეტინა სიტყვა ეთერიმ.—ახლა ჯობს, მთელმა კოლექტივმა ვეახლოთ და თაყვანი ვსცეთ მის ვარსკვლავებრ ბრწყინვალებას. ისედაც გაბღენძილია, ალბათ, და უფრო გაიბღინძება. თვალებიც იმას დაუდგება, მე მას არ ვეთაყვანო.—უფრო გაიწეწა კულულები.

— უმადური ხარ გოგო, რად წყევლი იმ ანგელოზივით დახატულ არსებას?—სარკეში ჩაიხედა და საკუთარი სილამაზე შეამოწმა.

— ჩანს მარტო მამაკაცებს არ ხიბლავს თავისი ეშხითა და საქციელით გულისაშვილის ქალი, შენზედაც უმოქმედნია, როგორც ვხედავ.

— თვალის დამტკბობი არსებაა, ის დალოცვილი. თუ ჩვენმა თეატრმა მისი შენარჩუნება შეძლო, ჩვენი კოლექტივის სახელი ერთიორად გაიზრდება.

— ქა, თქვენ აქა ხართ?—შემოსვლისთანავე უთხრა ქალიშვილებს

მატრონემ, თეატრის გარდერობის გამგემ, ორმოცი-ორმოცდახუთი წლის დედაკაცმა. — კი აქებდნენ და ღირსიც ყოფილა. იმ სილამაზესთან ერთად ხასიათიც რომ ლამაზი ჰქონია... წადით, წადით, გაეცანით.

— მე, უკვე გავეცანი, დეიდა მატრონე.—მიუგო თალიკომ და ეთერის მიუბრუნდა.—მორჩი გოგო, ჩქარა, წავიდეთ.

ეთერის კიდევ უფრო არ ეამა თალიკოს სიტყვები.

— იცი რა?—უთხრა ეთერიმ,—წადი შენ და მე კი ახლავე მოვალ... თუმცა კინაღამ დამავიწყდა, მკერავთან ვარ მისასვლელი... განა რა დაშავდება მაინცდამაინც ამ წუთში არ გავეცნო...

— კი, მაგრამ ულამაზოა. ლევანმაც კი შენიშნა იქ რომ არა ხარ.

— ლევანმა?!—შეკრთა ეთერი.—აქ არის ლევანი?

— ლევანი მანქანით სადგურში შეხვედრია. როცა ლალი ჩამოსულა და ტაქსი მოუკითხავს, ლევანს შეუთავაზებია თავისი მანქანა. ლალიც არ დაეჭვებულა. აქ რომ გადმოსულან, უცნობ „შოფერისათვის“ ოცდახუთმანეთიანი მიუწოდებია გასამრჯელოდ; ლევანს, რასაკვირველია, არ მიუღია და გაცნობია კიდეც.—სხაპასხუპით უთხრა თალიკომ.

თალიკოს მიერ მხიარულად ნათქვამი სიტყვები შხამიანი ისრების სიმწვავით ხვდებოდნენ ეთერის გულს.

— როგორ, ლევანი უკვე შეხვდა ლალის? გაეცნო? მანქანით მოიყვანა? ახლაც მის ახლოს ზის? გასაგებია. მაშ ეთერი უკვე აღარ არსებობს მისთვის, ის უკვე გაქრა, მისი ადგილი ლალიმ დაიკავა.

საშინელი ბოღმა მოაწვა, თავი ძლივს შეიმაგრა.

— წადი და მეც მოვალ, გესმის? წადი!—რაღაც უცნაური ხმით უთხრა მან ამხანაგს და ზურგი შეაქცია. მაგრამ შეატყო, უხეიროდ გამოუვიდა, გაბრაზების მიზეზი კულულებს გადააბრალა, რომლებიც თითქოს არ ემორჩილებიან მის სურვილს და წამდაუწუმ ჩამოიშლებიან ხოლმე.

თალიკო მიუხვდა ამხანაგს განწყობილების შეცვლის მიზეზს, არაფერი უთქვამს, უხმოდ მიბრუნდა და გავიდა.

მაშ ის ლამაზია, მოსაწონია, განათლებულია, სახელგანთქმულია. ეთერი კი... არა, აქაურობას უნდა გაეცალოს. სხვა ქალაქში უნდა გადავიდეს სამუშაოდ, იქ, სადაც ისეთი ძლიერი მეტოქე არ ეყოლება... გულმა საშინლად რეჩხა. სხვა ქალაქში... მაგრამ ლევანი?! ის ხომ აქ დარჩება თავისუფლად, ხელფეხაშვებული, ეთერის სიყვარულს ლალიზე გადაიტანს, ან კიდევ სხვას მოძებნის. რა უჭირს, მამაკაცია, თავისუფალი და უფლებამოსილი, შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორ-სამ ქალიშვილს აუხსნას სიყვარული, ყველას პატიოსანი სიტყვა მისცეს, ერთგულება შეჰფიცოს, ერთ რომელიმესთან მიზანს მიაღწიოს და შემდეგ მეორეზე დაიწყოს იერიშის მიტანა. ვინ მოსთხოვს პასუხს? ვინ დასჯის? კიდევ ქალს გაამტყუნებენ, თავს ვერ უპატრონაო, დასცინებენ, გაკიცხავენ. მერე და რატომ უნდა იყოს ასე?

ჩვენი ახალგაზრდები ხომ წითელყელსახვევიანი პიონერობიდან მოსული კომკავშირლები, კომუნისტური პარტიის წევრები არიან, ჰოდა, რატომ არ უნდა იყოს მათი სიტყვა მტკიცე, პირობადაურღვეველი?

მაგალითად, ეთერი სიკვდილამდე ერთგული იქნება იმ სიტყვისა და პირობის, რომელიც მან ლევანს ძისცა. მოკვდება და არ გადათქვამს ძას. ლევანმა კიდეც რომ უღალატოს, ეთერი ძაინც არ გაივლებს გულში საძაგიეროს გადახდას.

ამ ფიქრებში გართული ეთერი ჩქარი ნაბიჯით გავიდა სარეპეტიციო დარბაზიდან.

სანამ დირექტორის კაბინეტში შევიდოდა, სადაც ამჟამად თეატრის კოლექტივი ახალჩამოსულ ამხანაგთან იმყოფებოდა, ეთერი რამდენჯერმე ძედგა. თავისთავს გაესაუბრა და რჩევა კითხა. დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო და გაცნობოდა თუ არა ახალმოსულ კოლეგას. დაამცირებდა თუ არა ასეთი საქციელი მას. შეურაცხყოფდა თუ არა მის თავმოყვარეობას?

ალბათ საკითხი გადაწყდებოდა ისე, როგორც განზრახული ჰქონდა: გაიპარებოდა სახლში, მაგრამ ქალური ცნობისმოყვარეობა ძნელი დასამორჩილებელი გახდა. მართლაც, ისე როგორ წავიდეს, რომ შორიდან მაინც არ მოჰკრას თვალი ახალჩამოსულ ქალს, ან ლევანს ერთი არ ახედოს ალეწილ სახეზე.

არა, ერთხელ შეხედვა აუცილებელია. უამისოდ ამაღამ ვერ მოისვენებს ეთერი. რაც იქნება, იქნება, გაბედავს, შეხვდება, გაეცნობა. თუ ვინმე ისეთი მეტიჩარა და კუდაბზიკაა, ხმასაც არ გასცემს. ან ზედმეტი თავმოყვარე თუ არის... და ეთერის წარმოდგენაში მრავალნაირი სახისა და ზნეჩვეულების ქალები იხატებოდნენ: ზოგი მათგანი მაღალია, წერწეტა, ვიწროდ გამოქნილი წარბები აქვს, ზომაზე მეტად წითელი ტუჩები, საღებავებით შეთხუპნული ლოყები. ზოგი მეტად თხელი და პატარაა, მერცხალივით ცქვიტი და ცქრიალა, უფრო მეტად თვალებით საუბრობს. ერთსა და იმავე დროს ასერხებს რამდენიმე მამაკაცს გასცეს პასუხი. თავაზიანიც ჩანს, მაგრამ შემპარავი ძაღლივით იკბინება, მეტად გამჭირდავია.

ეთერი იცნობს ისეთ ქალებსაც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავისთავს სცემენ პატივს, დანარჩენებს ზემოდან დაჰყურებენ ხოლმე. პრანჭვა-გრეხა უყვართ, მდიდრული ჩაცმა-დახურვა, სიტყვაძვირობენ, მამაკაცებთან თავაზიანი და ლმობიერნი არიან, ქალებთან კი მეტად ზვიადნი და მიუკარებნი.

ჰოდა, რომელ ამათგანს ეკუთვნის ლალი?—ამის გაგება ყველაზე უფრო სწადია ეთერის.

ის იყო კაბინეტს მიუახლოვდა, რომ კარი გაიღო და დირექტორი გამოვიდა მხიარული, კმაყოფილი სახით.

— აჰ, კუდრაჭავ, სადა ხარ ამდენხანს?—უთხრა ეთერის, მაჯაზე მოავლო ხელი და კაბინეტში შეიყვანა.—ესეც ჩვენი სცენის დამამშვენებელი, ლალი ზურაბის ასულო,—ხელმოკიდებული ეთერი ლალისთან მიიყვანა.

ლალიმ ღიმილით შეხედა ეთერის. წამოდგა, მოეხვია, გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

— ეს მარტო თქვენი სცენის დამამშვენებელი როდი ყოფილა,—სიყვარულით თქვა მან,—დაბრძანდით!—სკამი შესთავაზა,—არა, არა, აქ დაბრძანდით, ჩემს ახლოს!—და თავის გვერდით მოისვა.

— ინსტიტუტელი ხართ? ბასული წლის გამოშვება? აჰ, ორი წლის წინანდელი? რატომღაც არ მაგონდებით, ორი წლის წინ თბილისში ვიყავი. თითქმის ყველა ინსტიტუტელს ვიცნობ. თქვენ კი როგორ გამომრჩით, ვერ წარმომიდგენია. სახასიათო როლებში გამოდიხართ?

— არა,—მიუგო ეთერიმ და მხოლოდ ახლა შეხედა პირდაპირ ახალგაცნობილ ქალიშვილს, ახლა დაინახა მისი სახე და გაუკვირდა, რომ მის მიერ წარმოდგენილ ტიპებთან ამ არსებას არავითარი საერთო არ ჰქონდა. მართალია, იგი იმაზე მეტი ლამაზი ჩანდა, ვიდრე ამბობდნენ, მაგრამ ამ სილამაზეში ხელოვნებას წილი არ ედო; ტუჩები ოდნავ ლალისფერი, წარბები ლამაზად დაწყობილი, თმა უბრალოდ დახვეული, თითები სანთელივით ჩამოქნილი და ფრჩხილები პირწმინდად დაქნილი. ასეთივე უბრალოება იგრძნობოდა მის მორთულობაშიაც. ჩვეულებრივი, უბრალოდ შეკერილი კაბა, თხელი ჩულქები და შავი ფერის ფეხსაცმელები. სამკაულთაგან მხოლოდ მაჯის ოქროს საათი.

ამ უბრალოებამ ჯერ გააკვირვა, შემდეგ კი მოხიბლა ეთერი. ის ახლა უფრო გულმოდგინედ დაუკვირდა ახალგაცნობილს და აღმოაჩინა, რომ ეს ქალი ლამაზია არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანი ბუნებითაც.

— როგორ მოგწონთ ჩვენი კოლექტივი?—უთხრა დირექტორმა ლალის.

— აღტაცებული ვარ.—მოკლედ მიუგო ლალიმ.—რომ ჩემი ეს უეცარი უბედურება არა, ვიტყოდი, სავსებით ბედნიერი ვარ-მეთქი.

— რა გაეწყობა, პატივცემულო ლალი. მართალია, მძიმეა დედის დაკარგვა, მაგრამ შვილმა მაინც იოლად უნდა აიტანოს.—ჩაერია ლაპარაკში ლევანი, რომელიც აქამდე უხმოდ იჯდა და ახალგაცნობილ ქალიშვილს ხარბად მიჩერებოდა, რაც ეთერისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

— გეყოფათ, ამხანაგებო!—გამოაცხადა დირექტორმა.—ამხანაგი ლალი ნამგზავრია, მოსვენება ესაჭიროება, დღეს დაისვენოს, ხვალ კი შევუდგეთ ერთად მუშაობას. ამხანაგო თენგიზ!—მიუბრუნდა ის თავის თანაშემწეს,—წაიყვანეთ ჩვენი სტუმარი ბინაზე... ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ოთახია, ამხანაგო ლალი, შემდეგ ვეცდებით, უკეთ მოგაწყოთ.

— არა უშავს,—წამოდგა ლალი,—ალბათ, პატივცემული ლევანი კვლავ დამდებს პატივს.

— დიდი სიამოვნებით.—თავაზიანად უპასუხა ლევანმა და სახე გაუბრწყინდა.

ეთერის თვალთ დაუბნელდა. სახეზე ალისფერი მოედო. გრძელი წამწამები აუთამაშდა და რომ ყველაფერი ეს დაეფარა, ცხვირსახოცი მოიშველია, შუბლზე მოისვა.

IV.

იმ დღეს რეპეტიცია გაგრძელდა, მაგრამ ეთერის მონაწილეობის გარეშე. მან თავის ტკივილი მოიმიზეზა და ლალისა და ლევანის წასვლის შემდეგ მალე დატოვა თეატრი. შინ მისული მეტად ცუდ განწყობილებაზე დადგა, ყოველგვარ სასიცოცხლო ძალაგამოცლილად ეჩვენა საკუთარი თავი. იმედის ერთი ბეწო ნაპერწკალიც არ დარჩენილა გულში. სძაგდა ყველაფერი, რასაც ხედავდა, თვით სამახსოვროდ ნაჩუქარ ლევანის სურათსაც კი ზიზღით უცქეროდა. ლალის გახსენებას კი სულ გამოჰყავდა მოთმინებიდან.

საღამომდე ასე აფორიაქებულად გაატარა. საღამოს კი დეიდა კატოსთან გადავიდა. დეიდა კატო იქვე, მახლობლად ცხოვრობდა, საკუთარ ბინაში, მარტოდ. მართალია, ის არავისი მკვიდრი დეიდა არ ყოფილა, რადგან და არ ჰყავდა, მაგრამ მას ყველა დეიდას ეძახდა მაინც. ის იყო საკმაოდ ხანდაზმული ქალი, თოვლივით თეთრი თმითა და სახეზე დაყრილი ნაოჭებით.

დეიდა კატოს ძლიერ უყვარდა თეატრი, ხელოვნების მუშაკები, ახსოვდა ბევრი ძველი ამბები, იცნობდა ქართული და რუსული თეატრების სახელოვან მოღვაწეებს, იცოდა მათი ბიოგრაფია. ძველად, როცა ქართული თეატრი ფეხს იდგამდა და მის ბედს რამდენიმე გულშემატკივარი ადამიანი განაგებდა, როცა სანთლით ეძებდნენ სცენისათვის გამოსადეგ ქალებს, კატო თავისი სურვილით მივიდა თეატრში და რამდენიმე წელი პირნათლად ემსახურა მას.

მართალია, ძალიან ცოტა მონაცემები ჰქონდა მსახიობისათვის და ამას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ თეატრისა და სცენის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ მოშორებას ვერ ახერხებდა. ბოლოს მაინც მიანება თავი, მოშორდა სცენას, როგორც მსახიობი, მაგრამ არ მოშორებია, როგორც მზრუნველი და გულშემატკივარი, არ მოშორებია ხელოვნების მუშაკებს, როგორც მეგობარი. არ მოიძებნებოდა თეატრში ისეთი მუშაკი, რომელსაც დეიდა კატოსაგან პატივისცემა არ ახსოვდეს. გაჭირვების დროს ხელისმომმართველი იყო. გულკეთილი და გულუხვი მოხუცი ხშირად თავად მიიკლებდა და საჭირო შემთხვევაში მსახიობს დაეხმარებოდა. უკანასკნელ დროს კი იგი უფრო გულუხვი გახდა. როდესაც მისმა ერთადერთმა შვილმა პავლე ლაზარეს-ძემ პოლკოვნიკის ხარისხი მიიღო და დაწინაურდა, დეიდა კატოს შემოსავალმა უფრო იმატა. ამიტომ მან გასავლის ნაწილი შემოსავალს გაუთანაბრა, ფართოდ გააღო ბინის კარები და ყველასათვის გულკეთილი მასპინძლის როლი იკისრა.

ახლა თითქმის ყოველ გამოსასვლელ დღეს დეიდა კატოსას იყრიდნენ თავს თეატრის მუშაკები. საუბრობდნენ, თამაშობდნენ, მხიარულობდნენ, თან მასპინძლის ხელგაშლილობით სარგებლობდნენ და პურ-ღვინოსაც მიირთმევდნენ.

ეთერის მისვლა დეიდა კატოს ესიამოვნა, მაგრამ მისმა ნაღვლიანმა გამომეტყველებამ ცოტათი შეაშფოთა.

— რა იყო, შვილო, რა მოგსვლია?—თვალებში ჩახედა სტუმარს მოხუცმა.

— ცოტა აკად შევიქენი!—იცრუა ეთერიმ, მაგიდასთან ჩამოჯდა და ხელი თავზე შემოიდგა.

— რა გაწუხებს?—მზრუნველი ხელი გადაუსვა თავზე კატომ,—იქ-ნებ წამოწვე, მოისვენო. ლიმონიან ჩაის გაგიმზადებ ალუბლის მურაბით, ან იქნებ ნამცხვარი სჭამო,—აფუსფუსდა მოხუცი,—თავი თუ გტკივა; ფხვნილიცა მაქვს.

— არა, არა, დეიდა კატო, ისეთი არა მჭირს რა,—სინდისმა შეაწუხა ეთერი.—რაღაც უხასიათოდ შევიქენი და... თქვენკენ წამოვედი, რომ ცოტათი...

— კარგია, შვილო, კარგი.—არ დაამთავრებინა სიტყვა მოხუცმა.—შენ რომ არა, მე თვითონ უნდა წავსულიყავი ვინმესთან სიხარულის გასაზიარებლად. პავლუშას წერილი მივიღე, ვაჟი შეძენია, რომ იცოდე როგორი ბედნიერი ვარ... წარმოდგენილი მაქვს, რა ყოფაში იქნება ჩემი რძალი. თორმეტი წელია ჩემს შვილთან ცხოვრობს და აქამდე შვილი არ გაჩენიათ. მერე იცი, რა ცუდია უშვილო ოჯახი? უთაფლო სკას გავს, სიტკბო და სიხარული აკლია. მადლობა განგებას, უშვილიშვილოდ რომ არ დამტოვა... შენ, ალბათ, დოლზე ჯოხის ბრახუნად გეჩვენება ჩემი ლაპარაკი. გასაკვირიც არაა. ახალგაზრდა სულ სხვა კუთხიდან უცქერის ცხოვრებას. რასაკვირველია, აგრეც უნდა იყოს, მაგრამ ურიგო არ იქნება, ზოგჯერ ჩვენც გვათხოვოთ ყური... ჰო, მართლა, ახალი მსახიობი ქალი მოგსვლიათ. ძალიან სასიამოვნოა. აქებენ. მოსკოვის თეატრშიაც უმუშავნია თურმე. აფერუმ ქალო, ჩანს რუსულ ენასაც კარგად ფლობს.

მოხუცმა სწორედ ნატკენ ადგილზე დაადგა ფეხი, რომელსაც ასე უფრთხოდა ეთერი.

— ნახე, გაეცანი?—შეეკითხა მოხუცი ბოლოს.

— დიახ, შევხვდით!—მოკლედ მიუგო ეთერიმ და უნდოდა სალაპარაკო საგანი გამოეცვალა, მაგრამ მოხუცმა არ მისცა ამის საშუალება.

— როგორი ქალია?—და მოხუცმა ეთერი შეათვალიერა,—რასაკვირველია, სილამაზით შენ ვერ გაჯობებს, მაგრამ... ისე საქმიანობა თუ ეტყობა, მთავარია კარგი ხასიათი თუ აქვს, თავაზიანი და გულკეთილი თუ არის. სცენის მუშაკების ყველაზე ცუდი სენი ქედმაღლობა, ამპარტავნობა და ერთმანეთისადმი შურია. თუ ასეთი სენით არაა დაავადებული, მაშინ ჯანსაღი ყოფილა. რას იტყვით?

— როგორ გითხრათ!—უგუნებოდ მიუგო ეთერიმ.—სილამაზე არ აკლია, ხასიათითაც არ უნდა იყოს ცუდი. რაც შეეხება შურს, ამის საბაბი მას არა აქვს. დიდი პატივით მიიღეს, მთავარ როლებს მისცემენ, თაიგულები და თაყვანისმცემლები გაუჩნდება. სხვისი რა უნდა შეშურდეს, ან შეეხარბოს?

— მართალია, შვილო, მაგრამ თუ ადამიანი შურიანია ბუნებრივად, მას სხვისი სენიც კი შეშურდება.—კატომ კვლავ გამომცდელი თვალებით ჩახედა ეთერის სახეში და ნაღვლიანად ჩაიქნია თავი.

— შენ რაღაცას მიმალავ!—უთხრა მან.—არა მგონია, ავადმყოფობას გამოეწვიოს შენი თვალების ამგვარი დასევდიანება.—ბევრი არ უფიქრია, ისე შეეკითხა,—შეყვარებული ხარ?

ეთერი შეკრთა. მკერდზე დაიფარა ხელი, თითქოს გულში არ ჩამხედოსო, ნაძალადევი ღიმილი აღებეჭდა სახეზე და ისე უპასუხა.

— აბა, ვინ შეიყვარებს ჩემისთანა უბრალო გოგოს?—სიტყვა „უბრალო“ თავისთავზე პირველად წამოცდა ეთერის მის სიცოცხლეში.

— უბრალოება ღირსებას მატებს ადამიანს.—თქვა მოხუცმა,—შენ კი სწორედ უბრალოება გაკლია, შვილო! არა მგონია, ასეთი მშვენიერი არსება შეყვარებული არ იყოს!

— თავს გეფიცები, დეიდა კატო!—სახე აელეწა ეთერის.—ადამიანი რომ უბედური დაიბადება, მას არც სილამაზე შველის, არც ნიჭი და ცოდნა.—გაიფიქრა, მოდი გამოვუტყდები, ყველაფერს ვეტყვი ამ მოხუცს და რჩევას მომცემსო, მაგრამ ვერ გაბედა.—მე რომ ბედი მქონოდა, არც ასე უთვისტომო აღმოვჩნდებოდი.—ნაღვლიანად ამოიოხრა და ფანჯარაში გაიხედა.

— ჩვენს ქვეყანაში უთვისტომობას ვერავინ დაიჩივლებს, შვილო.—თქვა მოხუცმა.—მართალია, დედ-მამა არა გყავს, მაგრამ პატრონისა და მზრუნველის ხელი არ გაკლია. მილიონობით ძმები, დები და მეგობრები გყავს.—ამ ლაპარაკში კატომ ჩაი გააწყო და ალუბლის მურაბა ჩამოდგა.

* * *

იმ ღამეს მაინც არ უძინია ეთერის. მისი ფიქრები სულ ლევანისა და ლალის გარშემო ტრიალებდა: როგორ ისხდნენ მანქანაში, როგორ უცქერდნენ ერთმანეთს, რა საგანზე ლაპარაკობდნენ, როგორ მივიდნენ ბინაში, რამდენ ხანს დარჩა ლევანი მასთან, მარტო იყვნენ, თუ მესამეც იყო ვინმე?..

როგორც იქნა, დილით ჩათვლიმა, მაგრამ ძილშიაც ვერ მოისვენა. ხან ლევანს ეჩხუბებოდა, ხან ლალის, ხანაც ანიკოს. ის-ის იყო თვალი გაახილა, რომ კარებიც გაიღო და თალიკო შემოვიდა.

— აჰ, შენ წევხარ? ნუთუ ისევ ავად ხარ, გოგო?—საწოლთან მივიდა და თვალებში ჩახედა.—მაპატიე, წუხელ რომ ვერ მოვედი... მთელი საღამო ლალისთან გავატარეთ. გიკითხა, სად არისო, ბავშვი გამოგიგზავნეთ, მაგრამ ვერ ეპოვე, სახლში არ არისო გვითხრა, მოგვატყუა, ალბათ, იმ საძაგელმა...—მაჯაზე მოავლო ხელი ეთერის,—არ შეგიძლია ადგომა? რეპეტიცია თორმეტზე გვაქვს. ალბათ, ლალისთან ერთად გავივლით. წუხელ წაიღო პიესა, გავეცნობიო. მე კი მთხოვა, დილით შენ და ეთერიმ გამომიარეთო... რას იზამ, ვერ წამოხვალ რეპეტიციაზე?

— არ ვიცი.—განგებ მისუსტებული ხმით წარმოთქვა ეთერიმ.—თუ შევძელი...

— კი, უთუოდ შეძლებ, აბა წამოდექი!.. მშვენიერი ცოცხალი დილაა, კრიალა ცა, საამური ნიავი... ლალი, ალბათ, გველოდება უკვე... ერთად ვისაუზმოთო... რომ იცოდე როგორ კარგი ხასიათის ქალია... ერთი შეხვედრით შემაყვარა თავი.

თალიკოს მიერ ლალის ამგვარი შექება ეთერის არ გაკვირვებია, მან კარგად იცოდა ამხანაგის ხასიათი. იშვიათად რომ თალიკოს ვინმე ეძაგებინოს, თითქმის ყველაზე ამბობდა: კეთილია, პატიოსანიაო. გულუბრყვილოდ სწამდა ყველა, ვერ წარმოედგინა თუ ამხანაგი ტყუილს ეტყოდა. მას ყველა უყვარდა და სულ იმის ცდაში იყო, რომ სხვებსაც ყვარებოდათ ერთმანეთი, ყოფილიყვნენ ტკბილად და მეგობრულად, ეშრომათ თავდადებრთ და მთელი შესაძლებლობით... ჰოდა, ასეთ ადამიანს რომ ლალი მოსწონებოდა და ექო, განა გასაკვირი იყო?.. ის კი არა, ლევანის სიყვარული რომ არ გაჩხერილიყო შუაში, შეიძლება ეთერიც გადაებირებია იმ მაცდური სახისა და საქციელის გოგოს... ლაპარაკი არ უნდა, ეთერი უთუოდ შეიყვარებდა მას.

მაგრამ ლევანი... ლევანის სიყვარულის გაყოფა არ შეუძლია ეთერის. ყოველგვარ საკუთრებაზე აიღებს ხელს, თავის საყვარელ სცენას დათმობს, შეურიგდება ლალის გამარჯვებას, მის კიდევ უფრო დაწინაურებას, არ შეშურდება არც ტაში, არც თაიგულები, არც მილოცვები, მაგრამ ლევანი... ლევანი არავისთვის არ ემეტება. დიახ, ლევანს ვერავის დაუთმობს...

— თუმცა...—ამოიოხრა ეთერიმ,—ვინ კითხავს მას დათმობას? ლევანი თვითონ მოახდენს ამ შემთხვევაში არჩევანს. ვისაც ისურვებს, იმას მიეკუთვნება... ამ შემთხვევაში ლალის სასარგებლოდ გადაიხრება სასწორი. ეთერი კი განზე დარჩება, მისი პირველი სიყვარული ჩაიფერფლება ალმოდებულ ჩალასავით. ნუთუ არ შეიძლება აქაც წავიდეს დათმობაზე და ხელი ჩაიქნიოს? სხვა აირჩიოს და იმას გაუმიჯნურდეს? აკი ერთ-ერთი პიესის გმირები ასე იქცევიან. ორ ვაჟს ერთი ქალი უყვართ და, რადგან ისინი ერთმანეთის კარგი მეგობრები არიან, ერთი უთმობს მეორეს შეყვარებულს და არავითარ ტკივილებს არ განიცდის. ავტორმაც უმტკივნეულოდ გადაჭრა თანამედროვე სიყვარულის პრობლემა. მართალია, ბევრმა აღნიშნა, ყალბია ეს ადგილი, მაგრამ ბევრი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ადამიანი ასე უნდა მოიქცესო. მაშინ ამათ მხარეზე იყო ეთერიც, მაგრამ ახლა ვერც კი წარმოუდგენია ლევანი თავისი სურვილით დაუთმოს ვინმეს, თუნდაც ის ვინმე მისი საკუთარი და იყოს.

— ადექი, შემოგევლე, წავიდეთ, ანიკომაც მთხოვა, გამომიარეთო,— მუდარით უთხრა თალიკომ და ლოყაზე აკოცა.

— საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა,—ოდნავ თავის აწევით წარმოთქვა ეთერიმ,—რა ნახეთ იმ უბრალო გოგოში ისეთი, რომ ლამის ფეხქვეშ გაეგოთ. რა აქვს, რა ღირსება აქვს ისეთი?

— ნიჭი, ცოდნა, ჭკუა, კეთილშობილი ხასიათი, აი რა!—მიუგო თალიკომ.

— იქნებ მაგაზე ნიჭიერებიც აღმოჩნდნენ.

— იმათაც პატივისცემით მოვეპყრობით!

ეთერი არ დაეთანხმა ამხანაგს. მან ის აზრი გამოთქვა, რომ სილამაზე ასრულებს მთავარ როლს ყველგან, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში. მაყურებლის დიდი უმეტესობა მხოლოდ სილამაზეს უკრავს ტაშს!

— ტაშს უკრავენ კეთილშობილ გმირსა და კეთილსინდისიერ ადამიანს,—შეაწყვეტინა თალიკომ.—დიახ, თეატრში ყველაზე უფრო ად-

ვილი გასარკვევია, თუ ვინ მოსწონს საზოგადოებას: უშინაარსო სილამაზე, თუ კეთილშობილება და პატიოსნება?

—ეს რომ ასე იყოს, იაგოს როლის შემსრულებელს არასოდეს ტაშს არ აღირსებდნენ.—შეედავა ეთერი.

—ეგ ვერაფერი საბუთია. განა იაგოს უკრავენ ტაშს, იგი ეზიზღებათ, მაგრამ პატივს სცემენ მისი როლის კარგად და ნიჭიერად შემსრულებელს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს შენ კარგად იცი, მაგრამ აჰ-ჟამად რატომღაც არ გინდა იწამო... ადექი წავიდეთ!—და თალიკომ ამხანაგი ძალად ააგდო ლოგინიდან.

* * *

ლალის ოთახში კარგა ხანს არ შეუშვა მოხუცმა დიასახლისმა სტუმრები...

—აი, აქ დაბრძანდით, შვილებო, აქ!—მეორე ოთახში შეიპატიჟა ისინი,—მთელი ღამე არ უძინია, თქვენ რომ წახვედით, შემდეგ კიდევ დიდხანს იჯდა, რაღაცას წერდა, კითხულობდა. ხან სარკესთან იდგა და თითქოს ვიღაცას ეკამათებოდა.

თალიკო დაეთანხმა დიასახლისს, დაეცადა ლალის გაღვიძებამდე, მაგრამ ეთერიმ იუკადრისა ეს და წასვლა დააპირა. ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ლალიც გამოჩნდა.

—აჰ, თქვენ აქ?—აღტაცებით შესძახა მან,—როგორ გამახარეთ, გოგოებო, დიდი ხანია ვზივარ და გელოდებით. თანაც პიესის კითხვით გავერთე. არა უშავს პიესა დაუწერია ჩვენს ახალგაზრდა დრამატურგს. მართალია, ბევრი სუსტი ადგილებია შიგ, მაგრამ შესწორება შეიძლება. მობრძანდით ოთახში!—პირველად ეთერის მოხვია ხელი და ოთახში შეიყვანა,—უთქვენობა ემჩნეოდა წუხანდელ ჩვენს შეკრებას... ნინო, გეთაყვა, მოგვიმზადეთ საუზმე...—უთხრა დიასახლისს ლალიმ და შემდეგ სტუმრებს მიუბრუნდა.—დაბრძანდით, დაბრძანდით! რაღაც უხასიათოდ მეჩვენებით. შეუძლოდ ხომ არა ხართ?—თვალებში ჩახედა ეთერის.

—ცოტათი,—მიუგო ეთერიმ,—რომ თალიკო არა, შეიძლება არც კი ავმდგარიყავი საწოლიდან.

—მართლა? ეს ვერაა კარგი, მოგვიწევდა უთქვენოდ რეპეტიციის გავლა... კმაყოფილი ხართ როლით?

—დამდგმელმა ასე გაანაწილა, რა მეთქმის...—მიუგო ეთერიმ.

—მართალია, მაგრამ ზოგჯერ მსახიობის სურვილსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. თქვენი აზრი მე არ ვიცი, მაგრამ ჩემი შეხედულებით, გარდა ქალბატონ ანიკოსა, ქალების როლები ვერაა განაწილებული რიგიანად, მაგალითად, როლს, რომელიც ჩემთვის მოუციათ, უკეთ შეასრულებდა თალიკო.

—თალიკო?—გაკვირვებით შეხედა ეთერიმ.

—მე იმ უმუშევარ ქალის როლში უკეთესი ვიქნებოდი, თუ ვინმე არ შემეცილებოდა, თქვენ კი...—კარგად ახედ-დახედა ეთერის,—

მსახური გოგოს როლს მოგცემდით. მართალია, ის მეტად პატარაა, მაგრამ ავტორს უნდა ვურჩიოთ მისი გაძლიერება. იცით რა შეუდარებელი იქნებოდით? წარმოდგენილი მაქვს, როგორ გავითამაშებდით ჩვენ ამ სცენას ერთად. მთელი საზოგადოების ყურადღებას მივიპყრობდით. ძალიან დაგშვენდებოდათ გამურულ სახეზე ამ მშვენიერი გრძელ-გრძელი წამწამების ფარფატი.

ამ სიტყვებმა ისე გააკვირვა ეთერი, რომ პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა. ეს რა ახირებული ვინმე ყოფილაო, გაიფიქრა მან. მოსამსახურე გოგოს როლში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა ეთერი, ისიც ინსტიტუტში, მაშინაც მისი სურვილის წინააღმდეგ. მაგრამ ნეტავ არ გამოსულიყო. მართალია, ხელმძღვანელებმა ძალიან მოიწონეს, პროფესორმაც კი შეაქო, მაგრამ მერე რა, მთელი ინსტიტუტი კაროჟნას ეძახდა. საკმარისია ერთხელ მსგავს როლში გამოვიდეს, რომ მთელმა ქალაქმა ყბად აიღოს. ქუჩაში ვერ გამოჰყოფს თავს. მართალია, ლევანის პიესის მსახური გოგო უფრო კეთილშობილია, საქმესაც კეთილშობილურს აკეთებს, მაგრამ მაინც გოგოა, გამურული და ჩაგლეჯილ-ჩაწეკვილი. არა, კეთილი ადამიანი ასეთი როლის აღებას არ ურჩევს მეგობარს. ლალიმ თავისთვისაც უბრალო როლი აირჩია, მაგრამ მას რა ენაღვლება, მაინც შეაქებენ, მაინც პატივისცემით მოიხსენიებენ. ეთერის კი... „ვერ გაამართლა იმედი, ვერ დაწინაურდა და უბრალო როლებზე გადაიყვანესო“, იტყვიან. სამუდამოდ დაეცემა მისი სახელი.

გაკვირვებით ახედა ლალის. იქნებ მის თვალებში ამოვიკითხო მისი ბოროტი განზრახვაო, მაგრამ ლალის თვალები ჩვეულებრივ სპეტაკი და ანკარა ჩანდა.

— მოსკოვში დიდი ხანი დაჰყავით?—მოულოდნელად ჩამოვარდნილი მყუდროება დაარღვია თალიკომ.

— ერთი წელიწადი,—მიუგო ლალიმ.

— რა მიზნით გაემგზავრეთ იქ?—ახლა ეთერიმ იშოვა შეკითხვის საბაბი.

— რა მიზნით? საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობა რომ შემემოწმებინა და სცენაზე ჩემი ადგილი მცოდნოდა,—მიუგო ლალიმ.

— ალბათ, შედეგით კმაყოფილი ხართ!

— უსათუოდ, ბევრი რამ გავიგე და შევისწავლე. იცით, გოგოებო, არც კი მეგონა, ისეთი აღმოვჩნდი იქაურ კოლეგებს შორის.

— მაინც?—მედიდურად ახედა ეთერიმ, ალბათ, ახლა მოჰყვება თავის ქებას და გულს გაგვიწყალებსო, გაიფიქრა.

— ძალზე პატარა. სულ ერთი ბეწო. ნიჭს არ მიწუნებდნენ, მაგრამ ცოდნასა და ოსტატობას, ნუ იკითხავთ, სრულიად არ მიწონებდნენ.

— აკი, მოსკოვის გაზეთები გაქებდნენ ხშირად!—ჩაურთო თალიკომ.

— ეს მხოლოდ შემდეგ, როცა საკმაოდ დიდი შრომა დახარჯეს ჩემზე. თურმე ნიჭიერი ადამიანის დაღუპვა თუ გინდა, ქება უნდა დაუწყო... გამოცდილებით ვიცი: ინსტიტუტი არ დამამთავრებინეს ასეთი ქებით: ნიჭიერია, გენიაა, მზეა, ვარსკვლავიაო, იძახეს ჩემზე და ისე დამარწმუნეს საკუთარ ტალანტში, რომ ორი წლით ადრე მივატოვე სწავლა და თეატრში მოვეწყვე. შემდეგ თანდათან შემიქმნეს სახელი და, ალბათ, სულ მალე გამაფრენდნენ, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, ხელ-

მძღვანელი ამხანაგები, მირჩიეს და... მართალია, ცოტა არ იყოს, პირველ ხანებში თავმოყვარეობის შელახვად მივიჩნიე ეს, როგორ თუ, ასეთი სახელგანთქმული მსახიობი გამოცდილების მისაღებად სხვაგან წავიდე და სხვისგან ვისწავლო-მეთქი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ჩემი კეთილი უნდოდათ და მთელი შესაძლებლობით დავეწაფე სწავლას. დღეს, როგორც ხედავთ, დიდი არა, მაგრამ ერთ-ერთი საშუალო მსახიობის ადგილი შემიძლია დავიკაო კოლეგებს შორის.

თალიკო აღტაცებული იყო ლალის ნაამბობით, ეთერი კი მაინც საეჭვოდ უყურებდა მას. ყოველ მის სიტყვას სასწორზე დებდა და ათასნაირად ამოწმებდა.

V.

მეორე დღეს, სანამ რეპეტიციას დაიწყებდნენ, ლალის რჩევით ლევანი მოიწვიეს და პიესის შესწორება სთხოვეს. ახალგაზრდა ავტორს არ მოეწონა რამდენიმეჯერ შეკეთებულ-შესწორებული ნაწარმოების კვლავ გადამუშავება, მაგრამ ლალის ვერ გაუტეხა ხათრი. თუმცა ახლა ლალისთან ერთად მთელი კოლექტივი მოითხოვდა პიესის გადაკეთებას და სწორედ იმგვარად, როგორადაც ამას ლალი ცნობდა საჭიროდ. წინააღმდეგ შემთხვევაში პიესა მხოლოდ ფუქსავატი დედაკაცების ხასიათების დემონსტრაცია იქნება და სხვა არაფერიო, ამბობდა ლალი.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ლევანი დათანხმდა შეეკეთებინა ზოგიერთი როლი და წინ წამოეწია მთავარი იდეა.

ეთერი არც ლალის აზრს მიმხრობია, არც ლევანის მხარეზე დამდგარა. მას უკვირდა მხოლოდ ის, რომ ამ ახალმოსულმა ქალმა როგორ ადვილად დაიყოლია თავის ნებაზე თეატრის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი ისეთი ჟინიანი და კერპი ადამიანი, როგორიც იყო რეჟისორი გიორგი დავითაშვილი.

— ჩემს რჩევას თუ მიიღებთ, მართალია, თქვენ რამდენიმე დღეს დახარჯავთ პიესის გადაკეთებაზე და ჩვენი კოლექტივიც მეტ საათებს მოანდომებს რეპეტიციებს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი თეატრი და საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩება.—უთხრა ლალიმ ლევანს და რეჟისორს სთხოვა რამდენიმე დღით შეეწყვიტა რეპეტიცია.

ამ საკითხმა, ცოტა არ იყოს, დავა გამოიწვია. ზედმეტი ხარჯები, დადგმების გეგმის ჩაშლა, ფინანსური დისციპლინის დარღვევა და სხვა მრავალი მიზეზი გამოძებნეს ლალის მოსაზრების წინააღმდეგ.

ეთერი ამ დროსაც თავს იკავებდა. მას ძალზე აკვირვებდა ლალის საქციელი. ვერ წარმოედგინა, რაზე იწუხებდა თავს ეს ცნობილი მსახიობი: როლი კარგი ჰქონდა. ლამაზი და ეშხიანი ქალბატონი უნდა განესახიერებინა, პირობებს უქმნიდნენ, თაყვანისმცემლები აქედანვე გაუჩნდნენ. სხვა რაღა უნდა? რად ედავება დრამატურგს, დამდგმელს, დირექციას? ესაო და მოსკოვის თეატრებში მითამაშნია, გამოჩენილი დრამატურგები და მწერლები გამიცვნია, აკადემიკოსების ლექციები მომისმენიაო. მერე რა? არც ეთერია უვიცი, იმასაც მოუსმენია და შეუსწავლია ბევრი რამ, ხელოვნების ისტორიაც იცის და სხვა რამეებიც.

მაგრამ როცა ლალიმ თავისი გაიტანა, ეთერიმ ლევანს შეხედა, როგორ ხასიათზეა, ხომ არ ნანობს ასეთი ახირებული „კრიტიკოსის“ გამოჩენასო?

ლევანი მართლაც ვერ იყო კარგ გუნებაზე, ბავშვივით დაწითლებოდა ლოყები... ლალის კრიტიკამ ლევანის მწერლური თავმოყვარეობა ოდნავ შელახა. მართალია, ლალიმ ღიმილით უთხრა ხელოვნების საკითხებზე მარქსიზმის კლასიკოსების, ლენინისა და სტალინის აზრი ახალგაზრდა დრამატურგმა უნდა იცოდესო, მაგრამ ეს არც ისე უბრალოდ იყო თქმული. ამ დროს ეთერისაც კი შეებრალა შეყვარებული. წარმოიდგინეთ, საკმაოდ ნიჭიერმა ინჟინერმა და დრამატურგმა ლალისთან კამათის დროს ერთი სიტყვაც ვერ მოიშველია მარქსისტული ლიტერატურიდან. მხოლოდ იმის მტკიცება დაიწყო, რომ მისი პიესა აგებულია ცხოვრების რეალურ სინამდვილეზე და პიესის გმირებიც ცოცხალი ადამიანები არიანო..

მართალია, ლალის არაფერი უთქვამს ამის საპასუხოდ, მაგრამ ლევანის მაგივრად ეთერი გაწითლდა.

— ეს არ არის ცუდი,—გაიფიქრა მან,—თუ ლალისა და ლევანს შორის ურთიერთობა გამწვავდება, უკეთესია. შეიძლება მათ შორის კონფლიქტიც წარმოიშვას, ესეც კარგი იქნება, მაშინ ადვილად შეიძულებს ლევანი გულისაშვილის ქალს, უფრო მტკიცედ იქნება ეთერისათვის მიცემულ პირობაზე. ნეტავი ისეთ რამეს გააკეთებდეს ლალი, რომ სავსებით მოხსნიდნენ რეპერტუარიდან ლევანის პიესას.

მაგრამ...

ლევანმა მიიღო ლალის რჩევა და თხოვნა, ნება დაერთო მოლაპარაკებოდა უფრო საფუძვლიანად.

— მობრძანდით ხვალ დილით ჩემთან, 8 საათზე, შინ დაგიხვდებით!— უთხრა ლალიმ სრულიად სერიოზულად. ლალის ამ სიტყვებმა ეთერის ბუდიდან ლამის გული ამოუგდო.

— აჰა, ეს აქაც თავის საქმეს იკეთებს.—გაიფიქრა მან.—ედავება, ეკამათება, ხოლო შემდეგ ბინაზე იბარებს!.. ეს რა უტიფარი ვინმე ყოფილა. არც კი თაკილობს ბინაზე ვაჟის მოხმობას. ისიც ისე ადრე, დილით, როცა ჯერ კიდევ სძინავს ქალაქს. საინტერესოა, როგორ მიიღებს ასეთ მიწვევას ლევანი და ეთერიმ მალულად შეხედა ვაჟს.

ლევანის სახეზე მართლაც გაოცება იყო გამოხატული, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ახალგაზრდა სიტყვას ვერ პოულობდა.

— თქვენი ნება თუ იქნება, ცხრა საათზე გეახლებით!—როგორც იყო გაბედა მან და უფრო გაწითლდა.

— ცხრაზე იყოს.—უპასუხა ლალიმ და ეთერისკენ გაიხედა.—ჩვენი პატარა ვარსკვლავისათვის ისეთი როლი უნდა შევქმნათ, რომ მთელი ქალაქი ავალაპარაკოთ!—დაუმატა შემდეგ.

ეთერიმ ფარისევლურად მიიჩნია ლალის ეს სიტყვები, მაგრამ მაინც გაუღიმა.

— დიდი ვარსკვლავის გვერდით პატარა ვარსკვლავს არასოდეს გაუხარია.—ჩაილაპარაკა თავისთვის.

— მეტად მწარე ენა გაქვს, გოგო!—უსაყვედურა თალიკომ ეთერის, როცა მარტონი დარჩნენ.

— სადაც როგორია საჭირო!—უპასუხა ეთერიმ.—დიდი მოწყალე მოგვევლინა... ვნახოთ, სანამდე შეუსრულებენ კაპრიზებს... ახალგაზრდა ვაჟს ბინაზე იბარებს და არც კი წითლდება! აბა, მითხარი, რომელი პატიოსანი ქალიშვილი გაბედავს ასეთ რამეს?.. ორი დღეა მოვიდა და მთელი თეატრი არივ-დარია: ეს პიესა არ მოსწონს, ეს ტიპები, ის სახეები. ალბათ ცხვირსაც მალე დაგვიწუნებს და შეცვლას მოგვთხოვს!.. და ამოალაგა, რაც ბოღმა და ნაღველი აწუხებდა მას. ბავშვობის ამხანაგთან არ დამალა ლევანისა და მისი ურთიერთობა, ლევანის სიტყვა, პირობა, ფიცი... მაგრამ...

— აი გამოჩნდა ზნედაცემული დედაკაცი და...

თალიკომ სწრაფად დააფარა პირზე ხელი და სიტყვა შეაწყვეტინა.

VI.

თეატრი პრემიერასათვის ემზადებოდა. აფიშები გაკრული იყო. მოსახლეობამ იცოდა, რომ იდგმებოდა ახალგაზრდა ავტორის პიესა, რომელშიაც სახელგანთქმული მსახიობი ქალი ლალი გულისაშვილი მონაწილეობდა.

ყველა დიდი ინტერესით ისმენდა პიესის მომზადების პერიოდში კულისებიდან გამოსულ ამბებს.

ზოგიერთები ამბობდნენ, რომ თეატრის კოლექტივში არაჯანსაღი ატმოსფეროა, ინტრიგაა, ერთმანეთისადმი მტრობა და შურია გამეფებულიო. საფუძველს მოკლებული არ იყო ეს ხმები. თეატრში ლალი გულისაშვილის მოსვლას მართლაც მოჰყვა ზოგიერთი არასასიამოვნო ამბები, რომელიც დაიწყო ეთერისა და ლალის უთანხმოებით და ნელ-ნელა სხვებსაც გადაედო.

ახალმოსული მსახიობი ქალი, არც ისე ანგელოზი, გულჩვილი და ლმობიერი გამოდგა, როგორც ეს პირველად ეგონათ. წყნარი, ნაზი და სათუთი მხოლოდ გარეგნული შეხედულება აღმოაჩნდა. მისი შინაგანი ბუნება კი სულ სხვანაირი გამოდგა: ყველგან თავისი აზრი და შეხედულება გაჰქონდა. მართალია, საკმაო დავა და კამათიც იმართებოდა ყოველი საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ მეტნაწილად ლალი იმარჯვებდა ხოლმე.

რას იზამ, ფაქტი კერპია, ჭეშმარიტებას ვერ უარყოფ,—იტყოდნენ ხშირად და გულისაშვილს დაეთანხმებოდნენ.

— ამის შემდეგ რა ხართ თქვენ?—უსაყვედურა ერთხელ გიორგის ეთერიმ,—ყველაფერი მის ჭკუაზე გადაგაკეთებინათ, მის ნებაზე შეგაცვლევინათ, სადაა თქვენი თავმოყვარეობა? თქვენი პრინციპი? რა ნახეთ, რა აღმოაჩინეთ მასში ასეთი?

გიორგის პასუხის ძებნა არ დაჭირვებია.

— ჭკუა, ნიჭი, გამოცდილება და ცოდნა, ჩემო მეგობარო!—მოკლედ უპასუხა მან.—რასაც ამბობს, რასაც გვირჩევს, სწორია და უგუნური უნდა იყო ადამიანი, არ მიიღო სწორი რჩევა და მითითება. ჩვენ ხომ მარტო ჩვენი პირადი საქმისათვის არ ვიბრძვით.

თითქმის სიტყვასიტყვით ასეთ აზრს გამოთქვამდა კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზურაბ თოიძეც:

— ჩვენს ორგანიზაციას ამხანაგი გულისაშვილი მეტად საქმიან, გამოცდილ და საჭირო მუშაკად მიაჩნია და მის წინააღმდეგ კერძო ინტერესებით ყოველი გალაშქრება ინტრიგად ჩაითვლება და სასტიკად ამოიწვება.

კომკავშირის წარმომადგენლის ასეთმა განცხადებამ შეანელა ლალის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლები, მაგრამ მთლიანად ვერ ჩააქრო იგი.

ჭორები კვლავ გესლიანად იკბინებოდნენ: თურმე ნუ იტყვით, რა გაიძვერა ვინმე ყოფილა ლალი. განგებ მოუწყო ეთერის უბრალო მოსამსახურე გოგოს როლში გამოყვანა. აქაო და, უფრო ლამაზი არ გამოჩნდეს და არ დამჩრდილოსო.

— კი, მაგრამ თვითონც რომ უფრო უბრალო როლში გამოდის?!— შეეკამათა ეთერი თავისთავს.

— სულელი... მერე იცი, რატომ ჩადის ამას? ეს ყველასათვის გასაგებია. ერთი უბრალო როლის შესრულებით მას არავინ დაძრახავს, პირიქით რეცენზენტები მოუწონებენ კიდეც, თავმდაბლობა გამოუჩენია, უბრალო როლი აუღიაო, მაგრამ შენ?—კიდევ გაეკამათა ფიქრებს ეთერი,—შენ, რომელსაც რამდენჯერმე წკიპურტი გაქვს გაკრული როლების ცუდად შესრულებისათვის, ისე მაგრად დაგარტყამენ, ისე სასტიკად მოგექცევიან, რომ სირცხვილისაგან საზოგადოებაში თავს ვერ გამოჰყოფ... ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა, რომლისაგან ჩვენ ბევრ რამეს მოველოდით, ვერ გაამართლა იმედი და იმდენად დაქვეითდა, რომ უბრალო გოგოს როლიც ვერ შეასრულაო. აი, ჩემო ძვირფასო, რას დაწერენ ჩემს შესახებ და შემდეგ, მორჩა, უნდა მიატოვო თეატრი და სცენაც, რომლისთვისაც შენ გაჩენილი და მოწოდებული ხარ.

რეცენზენტები უსათუოდ ასე დაწერენ,—კიდევ დაარწმუნა თავისთავი ეთერიმ,—ისინიც მართალნი იქნებიან. როცა მსახიობს როლი არ უყვარს, მის კარგად შესრულებაში არ შეიძლება დაინტერესებული იყოს და, ცხადია, არაფერი გამოუვა. აძაგებენ, დასცინებენ, გაიცხავენ კიდეც: არა, აქ რაიმე უნდა იღონოს ეთერიმ... დიახ, უარი უნდა თქვას როლზე... არ უნდა გამოვიდეს, მაგრამ ახლა რომ უკვე გვიან არის? პიესა მომზადებულია, აფიშებიც გააკრეს უკვე... მაშ როგორ მოიქცეს? თავისი ხელით გაითხაროს სამარე, ჩაწვეს შიგ და ელოდოს როდის წააყრიან მიწას? არა, ასეთი რამ შორს ეთერისაგან! სანამ ამას ჩაიდენდეს, მანამდე სხვის სამარეს გათხრის...

იმავე წუთში წავიდა და გიორგი ინახულა.

— მასეთი რამ არ გამაგონო, ამხანაგო ეთერი!—მრისხანედ უყვირა გიორგიმ, როცა ეთერიმ როლის შესრულებაზე უარი განუცხადა.— როგორ, შენი სათამაშო ტიკინები ხომ არ გგონივართ? ახლავე წადი და ლალისთან ერთად გასავლელი სცენა გაიმეორეთ, თორემ პასუხისგებაში მიგცემთ, როგორც დისციპლინის დამრღვევს.

გიორგისთან შეკამათება ვერ გაბედა ეთერიმ, თვალებზე აიფარა ხელი და აქვითინდა.

— თქვენ გსურთ სავსებით დასცეთ ჩემი ავტორიტეტი, მომკლათ როგორც მსახიობი, შემარცხვინოთ ხალხის თვალში!—ლუღლუღით ამბობდა ის და ცრემლებს აფრქვევდა.—გამიშვით, გამათავისუფლეთ! ხომ ხედავთ, არ შემიძლია მუშაობა, იმ უბრალო როლშიაც არ ვვარგივარ, გაიგეთ, მიხვდით, რომ არ მქონია უნარი, ნიჭი, არ ვყოფილვარ გაჩენილი ხელოვნებისათვის... გამიშვით, გამათავისუფლეთ!..

გიორგი ახლა კიდევ უფრო გააბრაზა ეთერის სიტყვებმა. წერა, რომელშიაც გართული იყო, მიატოვა და ეთერის ახედა.

— მე თქვენ არ მომიწვევიხართ და არც თქვენი გათავისუფლების უფლება მაქვს. ამისათვის მიმართეთ დირექციას. ხოლო რაც შეეხება თქვენს ნიჭსა და უნარს, ეს ჩვენთვის ცნობილია!..—სკამიდან წამოდგა და ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო.—იცი, რა გითხრა,—ცოტა არ იყოს აწეული ტონით მიმართა მან,—ჩემი შვილი რომ იყო, არ მოვერიდებოდი შენს ასაკს და გაგწკეპლავდი! ეს იქნებოდა გაბრაზებული მამის პასუხი მაგგვარი სიტყვებისათვის, მაგრამ ახლა ასეთის უფლება არ მაქვს. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა ადამიანის მოვალეობას შენისთანა ახალგაზრდა კადრის აღზრდის საქმეში, ის კი უნდა შევასრულო... ამიტომ გეტყვი პირდაპირ: შენ სტყუი, როცა ნიჭისა და უნარის უქონლობას უსაყვედურებ შენს თავს, შენ სტყუი, როცა იძახი, ვერ შევასრულებო ისეთ როლს, როგორიც ამჟამად გაქვს. შენ თაღლითობ, როცა ამბობ, ესა და ეს სახე ვერ შევქენიო. შენ ხარ თვითნება, თავისთავზე შეყვარებული, გულზვიადი და ზედმეტად ამაყი ადამიანი. მაგრამ რადგან ამავე დროს შენ ხარ ნიჭიერი და უნარიანი მსახიობი, ჩვენი მოვალეობაა, მოგიაროთ, გიპატრონოთ, ჩამოგაშოროთ ცუდი თვისებები და გაგხადოთ ნამდვილი საბჭოთა მსახიობი ქალი... გასაგებია ეს შენთვის? აი რა სურვილი გვაქვს ჩვენ!

— ეს თქვენ პირადად!—შეაწყვეტინა სიტყვა ეთერიმ.

— დიახ, მე, ჩემს კოლეგებს და თეატრის მთლიან კოლექტივს ზოგიერთი ჭორიკანების გამოკლებით!—მიუგო გიორგიმ.

— ჰოდა, სწორედ ის ზოგიერთებია წყალს რომ ამღვრევენ.—ჩაილაპარაკა ეთერიმ.

— ჩვენ კი იმათ ლაგამი უნდა ამოვდოთ და მათი საქმიანობა ვამხილოთ, ამხანაგო ეთერი!.. ახლა წადით და რაც დაგავალეთ, ის შეასრულეთ. თქვენი სცენა ლალისთან კიდევ საჭიროებს დამუშავებას!—გიორგი დაჯდა და წერას შეუდგა.

ეთერი კარგა ხანს იდგა მაგიდასთან. უცქერდა მუშაობაში გართულ გიორგის და ფიქრობდა: მართალია თუ არა ეს კაცი, გულწრფელია მის მიერ თქმული სიტყვები თუ არაო, მაგრამ ამის პასუხი რომ ვერ მიიღო, მობრუნდა და ოთახიდან გამოვიდა.

VII.

მთელი ღამე მღელვარებაში გაატარა ეთერიმ. მის თავში საშინელი აზრები ირეოდნენ, გუშინდელმა დღემ სულ მოუშხამა გული. უძილობისაგან თვალები დაწითლებოდა, თავი დამძიმებოდა, გული უხურდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფს ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა გამოსულიყო სცენაზე, როგორ შეესრულებინა როლი.

ჯერ კიდევ არ წამომდგარიყო, რომ კარებზე კაკუნი მოესმა.

ამ დროს დიასახლისმა იცოდა საუზმის შემოტანა, მაგრამ ის მუდამ დაუკითხავად შემოდიოდა ხოლმე და ამ დილით რატომ დაუკაკუნებდა?

— მობრძანდით!—გაეხმაურა ეთერი და საწოლიდან წამოიწია.

კარი ნელა გაიღო და ლალი გამოჩნდა.

— აჰ,—შესძახა მოულოდნელობისაგან გაკვირვებულმა ეთერიმ და თვალებში ამოისვა ხელი.

— გეძინა?—ტკბილი ხმით შეეკითხა სტუმარი, ოთახში მიიხედ-მოიხედა და ფანჯარასთან გაჩერდა.

— არა!—მოკლედ მიუგო ეთერიმ, უცებ წამოდგა, ხალათი მოისხა და შიშველი ფეხები ფოსტლებში შეჰყო.—დაბრძანდით!—მოიფიქრა, როგორც იქნა, და სტუმარს სკამი შესთავაზა.

— გმადლობთ, ასედაც არა მიშავს რა, ჩაიცვი, გავიაროთ!—თვალებში ჩახედა,—რაღაც უგუნებოდ მეჩვენები, ხომ არა გტკივა რა? წუხელ დიდხანს გელოდე. ალბათ ნაწყენი ხარ ჩემზე. არა უშავს, მე კი შენგან არაფერი მეწყინება!—სიყვარულით ჩახედა თვალებში.

— მე არასოდეს მიფიქრია, სხვისთვის საწყენი რამ გამეკეთებინოს, მაგრამ ჩემთვის კი...—ჩაილაპარაკა ეთერიმ და მრავალი წერტილი დასვა.

ლალიმ კვლავ მიავლო თვალი ოთახს.

— მაშ, სხვისგანაც არ უნდა ელოდე წყენას.—უთხრა მასპინძელს,—მაგრამ ამას თავი დავანებოთ ახლა, ამაზე საუბარს შემდეგაც მოვასწრებთ. ახლა კი სულ სხვა საქმე გვაქვს, ხომ მართალია?

— არ ვიცი!—უპასუხა ეთერიმ.

— დღეს ხომ გენერალური რეპეტიცია არის დანიშნული, ჩვენ კი საკმაოდ მომზადებული არა ვართ. მაგალითად ჩემი და შენი სცენა ჯერ კიდევ სრულყოფილად არ მიმაჩნია. რაღაც გვაკლია. წუხელისაც ამიტომ მსურდა მენახე, მოგვეთათბირა, ხელახლა გაგვევლო ის ადგილი...—ლალიმ კვლავ ეთერის ჩახედა თვალებში.

ეთერიმ მწარედ ამოიოხრა.

— რამდენჯერაც არ უნდა გავიმეოროთ, ერთი და იგივე გამოვა... საერთოდ, ჩემგან ნურავინ ნუ ელოდება უკეთესის მიღებას.—უთხრა მან სტუმარს და იჟვნეულად შეათვალიერა. რა უნდა, რისთვის მოსულა? შეეკითხა ის თავისთავს. ნუთუ ვერ გრძნობს, რომ ეთერი მას გულგრილად უცქერის, რომ მისი არაფერი სწამს, რომ ის დასანახავადაც ეჯავრება?

— კი, მაგრამ ხომ საქვეყნოდ გამოგვლანძღავენ? ჩვენი გინებით ააჭრელებენ გაზეთებს.

— არა უშავს, თქვენზე იფიქრეთ, თორემ ჩემზე აქამდეც არ უთქვამთ ტკბილი სიტყვა.—ნაღვლიანად თქვა ეთერიმ.

—დარწმუნებული ვარ, თვით მიგიძღვის ბრალი, არ გიმუშავნია როლზე საკმარისად...

—გეყოფათ ჩემი ჭკუის სწავლება!—შეაწყვეტინა ეთერიმ.—მართალია, მოსკოვი და ლენინგრადი არ მოგვივლია, მაგრამ ჩვენც გაგვეგება რამე. არც სხვაზე ნაკლები ნიჭი და უნარი გაგვაჩნია, მაგრამ... ეჰ, რა უნდა გითხრათ ამის შემდეგ. პატრონი, დამხმარე უნდა ყავდეს ადამიანს, რომ წინ წაიწიოს, ამაღლდეს და დაწინაურდეს. მე კი...—ხელი ჩაიქნია და დადუმდა.

—რად არ მიგაჩნია დამხმარედ და პატრონად ჩვენი კოლექტივი, ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები, შენი ტოლები და მეგობრები?—სცადა შეკამათება ლალიმ.

—ჩვენი კოლექტივი, ხელმძღვანელები, ტოლები და მეგობრები!—გაიმეორა ეთერიმ ლალის ნათქვამი სიტყვები, შემდეგ თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა,—ხომ ვერ გვეტყვით, სახელდობრ, ვინ გყავს მხედველობაში ტოლ-მეგობრებიდან?

—მე მგონია, ეს შენ უკეთ იცი!—მიუგო ლალიმ.—ანიკო, თალიკო, ზურაბი, ვახტანგი, სევა, ლევანი, გიორგი და მრავალი სხვა.

—იქნებ იმ სხვებში თავსაც გულისხმობთ?!—მწარე ღიმილი აღებეჭდა სახეზე ეთერის, ახლა გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა, რასაც ფიქრობდა.

—უფლება არა მაქვს, ასე ვიფიქრო, თუმცა სულითა და გულით მსურველი ვარ ვითვლებოდე შენს ნაცნობებს შორის ყველაზე უფრო ახლობელ და კეთილ მეგობრად.

ლალის ასეთ სიტყვებზე ეთერი ჩაფიქრდა. უსინდისობა იქნებოდა, ასეთი სიტყვების შემდეგ საყვედური ეთქვა ადამიანისათვის, დაეძრახა, შეკამათებოდა. თუ გულწრფელად არ მიიღებდა მის ნათქვამს, აშკარად უკმაყოფილებას მაინც ვერ გამოხატავდა და ამიტომ ეთერიც ოდნავ დაშოშმინდა.

—სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა,—დაბალი ხმით თქვა მან—მაპატიეთ, თუ რამ საწყენი წამომცდა, სულ რამდენიმე დღე დამრჩენია და თქვენ მაინც ნუ მეყოლებით განაწყენებული.—ამ სიტყვებზე ცრემლები წასკდა ეთერის და პირი იბრუნა.

—ჰა, ჰა, ჰა,—ჩაიკისკისა ლალიმ,—რამდენიმე დღეო? ეს რას ნიშნავს, ვითომ! ძალიან დიდი ბოდიში შენთან, თუ ვერ გაგიშვა!—ღიმილით უთხრა მას,—ჯერ შეჯიბრებაში უნდა გამოგიწვიო და გაქცევაზე შემდეგ იფიქრე...—ახლოს მივიდა და თავზე გადაუსვა ხელი.—არა გრცხვენია, შენს ბინაზე ვარ, მასპინძლის მოკრძალება მაინც იქონიე!..

—მაპატიეთ!—წამოდგა ეთერი,—თქვენი საკადრისი რა მაქვს,—ოთახში მიიხედ-მოიხედა.

—სულელი! განა გამასპინძლებას გთხოვთ?—უფრო ტკბილად უთხრა ლალიმ.—ჩაიცვი, ხელ-პირი დაიბანე, სერიოზულ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.—უთხრა მან ისეთი კილოთი, რომ ეთერიმ ურჩობა ვერ ჰკადრა.

სანამ ეთერი მოეწყობოდა, ლალიმ ალბომი გადაშალა და სურათები დაათვალიერა. ერთ ადგილას ის ლევანის სურათს წააწყდა, და-

ხედა, შემდეგ გადმოაბრუნა და წარწერა წაიკითხა: „ჩვენი ურყევი მეგობრობის ნიშნად“, ეწერა გარკვეული ხელით.

ეთერიმ თვალი გააპარა სტუმრისაკენ. უნდოდა შეემოწმებინა, როგორ იმოქმედებდა მასზე სურათზე წარწერილი სიტყვები, მაგრამ ისეთი ვერაფერი შენიშნა.

— კარგი ვაჟია,—ეთერის გასაგონად ჩაილაპარაკა ლალიმ,—დიდი ხანია გიყვართ ერთმანეთი?—ახლა ეთერისკენ შემობრუნდა და ისე შეეკითხა.

ეთერის სახე ერთბაშად შეიცვალა, ჯერ ჭარხალივით გაწითლდა, შემდეგ გაფითრდა და ნაცრისფერი დაედო.

— ქალ-ვაჟს ურთიერთშეყვარება როდი ეძრახვით,—განაგრძო ლალიმ,—როცა შეატყო, რომ ეთერი არ აპირებდა პასუხის გაცემას,—ხოლო შეყვარებულის სურათის შენახვა ალბომში როდი იციან...—მაგიდაზე მდგომ საყვავილეს მიაყრდნო,—აი, აქ დაშვენდება... აბა შეხედე, ასე არა სჯობს?

სანამ ლალი გამოჩნდებოდა და ეთერის გული ეჭვებით აივსებოდა, მანამდე მართლაც იმ ადგილას იდვა ის სურათი, სადაც ახლა ლალიმ დადვა, მაგრამ შემდეგ, როცა ახალგაზრდა ქალის გული ეჭვებით დაისერა, სურათის ადგილსამყოფელიც შეიცვალა.

ეთერიმ სტუმარს გაუღიმა.

— სადაური სიყვარული, რომელი სიყვარული,—ჩაილაპარაკა მან,—ლევანი კარგა ხანია შეყვარებულია ერთ ქალზე.

— და ის ქალი თქვენ ბრძანდებით!—ცალი თვალით გახედა ლალიმ.—დასამალავი აქ რა არის, თუ თვითონ ამბობს, შენ რატომ უნდა დამალო, ისიც ჩემთან?

„ჩემი გამოტეხა სწადია“, გაიფიქრა ეთერიმ, მცდის, უნდა დამტყუოს რამე, რომ შემდეგ ხელზე დაიხვიოს და ქვეყანას მოჰფინოს, დაიქადოს, შეყვარებული წავართვიო... უკაცრავად შენთან, ეთერი ისეთი სულელი როდია, ვერ მიგიხვდეს ეშმაკობას. მართლაც, სხვა რამ განზრახვა რომ არ ჰქონდეს, რაიმე პირადი ინტერესები რომ არ აწუხებდეს, ამ დილაადრიან რატომ მოვიდოდა ეთერისას? რატომ დაიმცირებდა თავს ასე უბრალო რამისთვის? ვითომც პიესის საკითხი აწუხებს, მის ბედზე ფიქრობს. ტყუილია, აქ სულ სხვა რამ იმალება!..

მაგრამ ასე მშვიდი და კეთილი სახე რომ აქვს მაგ წყეულს? დაკვირვებით შეხედა სტუმარს. თქმა არ უნდა, უსათუოდ სილამაზის სიმბოლოა, ნეტავი გულიც ისეთივე ლამაზი და სპეტაკი ჰქონდეს, როგორიც სახე აქვს. მაგრამ ერთხელ სევამ თქვა, ლამაზი ქალი ყველაზე ეშმაკი და შურიანიაო. მართალია, იხუმრა მაშინ ეს მან, მაგრამ არც თუ ისე საფუძველს მოკლებულია ასეთი შეფასება. ეშმაკობა არა, მაგრამ შურიანი ეთერიც კი არის. ჰოდა, ლალი რომ ეშმაკიც იყოს და შურიანიც, ეს რა გასაკვირია.

ნათქვამია, მტყუანს კარამდე მიჰყეო. ვნახოთ მაინც რა უძევს გულში, რამდენად გულწრფელია მისი სიტყვები.

— მზად ვარ, გისმენთ!—ხელ-პირის დაბანისა და თმის გასწორების შემდეგ მიმართა მან სტუმარს.

— აი ეგრე! —ალბომი გვერდზე გადადო ლალიმ და მასპინძელს ახედ-დახედა.—ახლა ყური მიგდე, მაგრამ ჯერ პირობა მომეცი, რასაც გთხოვ, ძალიან საწყენადაც რომ დაგრჩეს, მაინც შემისრულებ. მე კი წინასწარ გარწმუნებ, რომ შენს საზიანოს არას გთხოვ.

— გისმენთ!—კვლავ მოკლედ მიუგო ეთერიმ,—თუ ჩემს ძალღონეს არ აღემატება, უკან არ დავიხევ.

— მაშ კარგი.—მაგიდასთან ჩამოჯდა ლალი.—მე და შენ კვლავ უნდა გავიაროთ სცენა ბალში. მაგრამ გახსოვდეს, ისე კი არა, აქამდე რომ გავდიოდით, მხოლოდ მოვალეობის მოხდისათვის, არამედ გულდაგულ, ისე როგორაც შენ შეგიძლია, მთელი შენი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის გამოყენებით... თანახმა ხარ?

— მერე რას მოგვცემს ჩვენ ეს? რით დაეხმარება თქვენს ავტორიტეტს?—გაკვირვებით შეეკითხა ეთერი.

— ჩვენ ხომ აქ საკუთარი სახელის შექმნაზე არ ვფიქრობთ, თუმცა ესეც არ არის გამორიცხული. თუ სპექტაკლი მაღალხარისხოვანი იქნება, ეს ჩვენს სახელზედაც იქონიებს გავლენას... აი, შენ მე დამიჯერე, სხვა რომ არა იყოს, დამდე ხათრი და თუ ეს ჩემი რჩევა არ გამოდგება და შენ ამით წააგებ, საჯაროდ შემარცხვინე, მატყუარა მიწოდე. მოდი, შევეჯიბროთ ერთმანეთს, ვინ უკეთ შეასრულებს თავის როლს. თანახმა ხარ?

— მე, აბა, თქვენთან რას წარმოვადგენ?—თანდათან მოლბა ეთერი.

— ამას მომავალი გვიჩვენებს, სხვებს შივანდოთ მაგის შეფასება. მაშ შევთანხმდით. წავიდეთ ახლა და, სანამ სხვები შეგროვდებოდნენ, წავივარჯიშოთ—უთხრა ლალიმ და ხელჩაკიდებული ეთერი ოთახიდან გაიყვანა.

VIII.

გენერალური რეპეტიცია მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ ჩატარდა. ეთერი თითქოს შეეცადა აეწია როლი, ალაგ-ალაგ შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ საერთოდ სუსტი იყო. აშკარად ეტყობოდა როლისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

— აი, ხომ ხედავ, უკეთესი გამოვიდა.—მაინც მოუწონა რეჟისორმა მას. ლალიმაც გულკეთილად გაუღიმა,—თუ კიდევ უფრო მოინდომებ, უფრო გამოაჩენ შენს ნიჭსა და უნარს, უკეთესი გამოვაო.—უთხრა მან, მაგრამ ეთერის გულს ეს სიტყვები არ მიჰკარებია. ვითომ სულერთი არ იყოს, როგორც შეასრულებს, ერთბაშად ქება-დიდებით არ მოიხსენიოს. რა მთავარი როლი ეს არის, რომ სალაპარაკო საგნად იქცეს და მსახიობის ნიჭის შესახებ შექმნას საზოგადოებრივი აზრიო, ფიქრობდა ის, თუმცა უკმაყოფილო მაინცდამაინც არ იყო, რადგან დღეს მის შესახებ საყვედური არ სმენია, პირიქით, ბევრმა გულთბილი სიტყვაც კი უთხრა. განსაკუთრებით ზურაბმა შეაქო. ინსტიტუტის შემდეგ როლისადმი შენი ასეთი დამოკიდებულება არ შემიმჩნევიაო. თუმცა ისიც შენიშნა: ერთნაირი სიძლიერით არ მიგყავს როლი თავიდან ბოლომდე

და ამასაც რომ დაძლევდე, საზოგადოებასაც დააკმაყოფილებ და ამხანაგებსაც გაახარებ.

იმ ღამეს უფრო დამშვიდებით დაეძინა ეთერის. დილით ადრე წამოდგა, ოთახი მიალაგ-მოალაგა, კოხტად მოირთო და თეატრისაკენ წავიდა. საღამოს პრემიერაა დანიშნული და დადგმაში ზოგი რამ იყო შესასწორებელი, გენერალური რეპეტიციის დროს მიცემული შენიშვნების მიხედვით. მართალია, ეთერისა და ლალის სცენა არ საჭიროებდა ცვლილებების შეტანას, მაგრამ გულისაშვილის ქალი მაინც არ იყო კმაყოფილი და ამიტომ თხოვა ეთერის, ცოტა ადრე მოსულიყო და კვლავ გაევლოთ ის ადგილი, რომელიც სრულყოფილი არ ეჩვენებოდა.

— უსათუოდ უნდა დამეხმარო, ჩემო ძვირფასო,—მიმართა მან თხოვნით ეთერის,—გუშინ ცოტაი მასიამოვნე, დიდი პატივი დამდე, მაგრამ დღეს უთუოდ უნდა გამახარო.

— კი, მაგრამ როგორ შემიძლია შევასრულო თქვენი თხოვნა? რით დაგეხმაროთ, რომ არ ვიცი?—ბავშვური თვალები შეანათა ეთერიმ.

— შენი ცოდნითა და ნიჭით, შენი უნარითა და შესაძლებლობით!—მიუგო ლალიმ და სიყვარულით შეხედა.

ეთერიმ თავი გააქნია.

— არაფერი მესმის!—გაიფიქრა მან,—ნუთუ იმდენად უვიცია, რომ არ იცის სხვისი ნიჭისა და უნარის წყალობით თავის ღირსებას ვერას არგებს?! ან რა დიდ სახელს მოელის რაღაც უბრალო როლის შესრულებით? აკი მთავარ როლებში გამოდიოდა, კლასიკოსების პიესებში ღებულობდა მონაწილეობასო, აქ რაა ისეთი?

თუმცა...

გუშინდელი რეპეტიცია მოაგონდა: მიუხედავად იმისა, რომ დამსწრენი კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი და თვალ-ყური გამახვილებული ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ნაკლოვანებების აღმოსაჩენად, ლალისა და ეთერის მიერ გათამაშებული სცენა ბაღში, ძალიან კარგად მიიღეს. შეიძლება ეს ლალის ხათრით აყო, როგორც ახალმოსულ მსახიობს პატივი სცეს, მაგრამ არა! ეთერის თამაშიც ხომ მოიწონეს? შეიძლება მართალი იყოს ზურაბი, ამ ერთი როლის გარდა შენ არც ერთი არ გითამაშნია გულდაგულო, რომ ამბობს. მაშინ ეთერი ბავშვი იყო, რომელ როლსაც მისცემდნენ გულწრფელად მუშაობდა. იმ დროს ადვილად იტანდა, ქუჩაში გავლისას მის დანახვაზე ხარხარს რომ ასტეხდნენ და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ, აი ის გოგოა, მაშინ რომ იმდენი გვაცინაო. მაგრამ ახლა სულ სხვაა, არ სურს, თითით საჩვენებელი გახდეს ქუჩაში.

ლალიმ, როცა ეთერისაგან მსგავსი სიტყვები მოისმინა, აღტაცებით უთხრა:—სწორედ ეგაა მსახიობის გამარჯვება. შენს მიერ შექმნილი ტიპი ყველას უნდა ახსოვდეს და აგონდებოდეს; სწორედ ასეთ რამეს უნდა მივაღწიოთ ამაღამ ჩვენ და მოპოვებული გამარჯვება გავინაწილოთ. თანახმა ხარ?

ეთერიმ გაკვირვებული თვალები შეანათა ლალის.

— არა მგონია გასაყოფად ღირდეს ასეთი მცირე რამ, რომლის მიღებასაც თქვენ ფიქრობთ დღევანდელი სპექტაკლიდან.—უთხრა მან

ლალის გულდაწყვეტილად.—სიამოვნებით დაგითმობდით ჩემს წილს, თუ თქვენს სახელს იგი რაიმეს შესძენს.

— მართლა?—ღიმილით შეეკითხა ლალი.

— გულწრფელად ვამბობ!—მიუგო ეთერიმ.

— მადლობელი ვარ. რახან მპირდები, არ გადათქვამ,—ხელი გაუწოდა,—მომეცი ხელი,—მაშ ამაღამ შენ ჩემთვის მუშაობ, მეხმარები, ხომ მართალია?

— სწორია,—დაუდასტურა ეთერიმ.

— ამიტომ დარწმუნებული ვარ, შენი ჩემდამი დახმარება იქნება გულწრფელი.

— რასაკვირველია.—ახლა უფრო თამამად მიუგო ეთერიმ.

— კმაყოფილი ვარ, პატიოსანი მუშა სხვის ყანაში უკეთ მუშაობს... გავისეირნოთ!—და ლალიმ მკლავში გამოდო ხელი.

— კი მაგრამ ზოგიერთი სცენის ჩემთან გავლა რომ გსურდათ?—შეეკითხა ეთერი.

— საჭირო არაა,—მტკიცედ მიუგო ლალიმ,—თუ გულწრფელი შეპირებაა.

— მაგრამ ძალღონე რომ არ მეყოს? ერთგულება და გულწრფელობაც არ კმარა ზოგ შემთხვევაში...

— მე კი სავსებით მაკმაყოფილებს შენი შესაძლებლობა. თუ სიტყვა, რომელიც მომეცი, მტკიცეა, გამარჯვება საეჭვოდ არ მიმაჩნია. რაც შეეხება სიტყვის გატეხას, ამაზე ფიქრი არ მსურს გავივლო გულში. ხომ არ ვტყუვდები?—და ლალიმ თვალებში ჩახედა ამხანაგს.

— არა!—მოკლედ და მტკიცედ მიუგო ეთერიმ და ლალის გაჰყვა.

IX.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, გაჭედილი იყო დარბაზი, ყველას აინტერესებდა ახალგაზრდა დრამატურგის პირველი პიესის ნახვა. მით უმეტეს, რომ მასზე ძალიან ბევრი რამ ითქვა მომზადების პერიოდში. ამას გარდა ამ სპექტაკლში მონაწილეობას ღებულობდა საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა მსახიობი ქალი, ლალი გულისაშვილი. მართალია, ჯერ მისი თამაში აქ არავის ენახა, მაგრამ მის სილამაზეზე ბევრს ლაპარაკობდნენ. მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ ფარდის გახსნას და ლალის გამოჩენას. რადგან პიესა ყველასათვის უცნობი იყო, არავინ იცოდა, რომელი იყო წამყვანი როლი და რომელი მეორეხარისხოვანი, ამიტომ მთავარ როლად იმას თვლიდნენ, რომელსაც, პროგრამის მიხედვით, ლალი ასრულებდა.

დაიწყო წარმოდგენა. ყველას თვალ-ყური სცენისაკენ მიიმართა. მსახიობებმა თანდათანობით დაიპყრეს დარბაზი, დაიმორჩილეს და სულ სხვა სამყაროში გადაიყვანეს. პიესა პირველ მოქმედებიდანვე მძლავრი ტემპით წავიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის თანდათან უფრო აიწევდა. ლალი ჯერ კიდევ არ ჩანდა, სცენაზე ნაცნობი მსახიობები იყვნენ, ანიკო, თამარი, თალიკო, ელიკო, მაგრამ ლალი ჯერ არ ჩანდა, არც ეთერი გამოჩენილა.

— ლამაზი მსახიობები ბოლოსათვის შემოუნახავთო, იხუმრა ვიღაცამ, მაგრამ აი დაიწყო მეორე მოქმედება და ტაშის გრიალმა შეაზანზარა დარბაზი. ლალი უბრალო მუშაქალის როლს ასრულებდა, მისი გამოსვლაც ისეთივე უბრალო და თავისუფალი იყო, ყოველგვარ ძალდატანებასა და ზებუნებრიობას მოკლებული, მის მოქმედებაში ნამდვილი, მუშაქალის საქმიანობა, სისადავე ჩანდა, მაგრამ ამ უბრალოებაში იგრძნობოდა დიდი მსახიობური ნიჭის ძლიერება.

სპექტაკლი უფრო გააძლიერა სცენაზე ეთერის გამოსვლამ. იგი დღეს არაჩვეულებრივად კარგი იყო მოსამსახურე გოგოს როლში. ამ თეატრის მაყურებლებს მრავალჯერ უნახავთ ეს ახალგაზრდა მსახიობი სხვადასხვა როლში, მაგრამ ასე ლამაზი და ბუნებრივი არასოდეს ყოფილა. პირველი რეპლიკიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თვით ის რეცენზენტიც კი, რომელიც აქამდე მეტად გულისტკივილით აღნიშნავდა ახალგაზრდა მსახიობი ქალის როლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და მუდამ საყვედურობდა, ახლა აღტაცებით მისჩერებოდა და ყოველი მისი მოძრაობა სიამოვნებას ჰგვრიდა.

— აი, ნიჭი, აი შემოქმედება, აი როლისადმი სიყვარული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება!—ფიქრობდა ის და უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა.

სპექტაკლს ეტყობოდა რეჟისორის გამოცდილი ხელი, ყველა სცენა და დეტალი კარგად გააზრებული და დამუშავებული იყო, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლალისა და ეთერის სცენა ბაღში. ეს სურათი იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ აღტაცებულმა მაყურებლებმა რამდენჯერმე ტაშით შეაწყვეტინეს. მოსამსახურე გოგო, ტასო, რომლის როლს ეთერი ასრულებდა, ამ სპექტაკლის ყველაზე შესანიშნავი გმირის სახით წარმოსდგა. ეთერი ამას არ მოელოდა. ის, იქვე, სცენაზე, მოზღვავებული თვალების წინაშე გაიზარდა, ამაღლდა, დამშვენდა და გალამაზდა. აქამდე ლალისაკენ მიქცეული ყურადღება ერთბაშად გადავიდა მის მხარეზე.

ლალი, რომელიც ხედავდა ახალგაზრდა ამხანაგის ამ გამარჯვებას, აღტაცებული იყო. იგი თავის მხრივ ბევრ რამეს თმობდა ამხანაგის სასარგებლოდ და გაბრწყინებული თვალებით მიჩერებოდა მას. ეთერი გრძნობდა ამას. მას ბავშვივით უთრთოდა გული და თვალებში სიხარულისა და ამხანაგისადმი სიყვარულის ნაპერწკლები უბრწყინავდა. იგი ახლა გრძნობდა თავისი შურიანი გულის დამარცხებას, მისი შეხედულების უსაფუძვლობას. ახლა გაიგო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის ამხანაგებისათვის და თავისი მოვალეობის მიმართაც, როგორ უნდა ემუშავნა საკუთარი თავისა და მთელი კოლექტივის გამარჯვებისათვის.

— არ დაუშვა!—გარეშე თვალ-ყურის შეუმჩნევლად წასჩურჩულა ლალიმ ეთერის სცენიდან გასვლისას და კულისებში შევარდა.

ეთერი ერთიორად აღაფრთოვანა მეგობრის წამაქეზებელმა სიტყვებმა, მთელი შესაძლებლობა გამოიყენა და ბევრად უკეთესად ჩაატარა სცენა მრისხანე ქალბატონთან.

გათავდა მოქმედება, დაეშვა ფარდა, მაგრამ მაყურებლებმა რამდენჯერმე მოითხოვეს ტაშითა და შეძახილებით მისი გახსნა.

— ტასო!—ტასო!—გუგუნებდა დარბაზი და ასეული თვალი ეთერის დანახვას ელოდა, მაგრამ ის ამჯერად არ გამოსულა.

ხალხი კმაყოფილი წამოდგა დ ფოიეში გაიშალა. ჯერ კიდევ ბევრს არ მოშორებოდა სახიდან ის მხიარული გამომეტყველება, რომელიც მათ ტასოსაგან მიეღოთ. ეთერი და ტასო, ტასო და ეთერი, ეს ორი სახელი შეეერთებინათ და ერთად ახსენებდნენ. აქებდნენ ახალმოსულ მსახიობ ქალსაც, დიდი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი ემჩნევათ, ამბობდნენ მასზე.

— ახლა კი შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი თეატრის კოლექტივი საკმაოდ ძლიერ შემოქმედებითს ძალას წარმოადგენს!—ამბობდა ამ თეატრის ყველაზე უერთგულესი პატრიოტი პეტრე ედგარაშვილი, რომელიც მეტად სასტიკსა და დაუნდობელ რეცენზიებს აქვეყნებდა გაზეთებში ამ თეატრის დადგმებზე.

— მაშ, შერბილებულ ტონს უნდა მოველოდეთ?—შეეკითხა ერთ-ერთი ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც მუდამ უკმაყოფილო იყო ედგარაშვილის რეცენზიებით.

— არა, არა!—კატეგორიულად განაცხადა პეტრემ,—დათმობას ტყუილად ელოდებით ჩემგან. გვიჩვენეთ შემოქმედება, დაგვანახეთ ნამუშევარი და ინებეთ სათანადო შეფასება და პატივისცემა.—და პეტრე იქ მყოფთ მიუბრუნდა.—დაინახეთ, რა მშვენიერია წივწივაძე ტასოს როლში? ეტყობა, უმუშავნია, ენერგია დაუხარჯავს. ჰოდა, გასაწკეპლი არაა, ასეთი ნიჭიერი მსახიობი რომ სცენაზე მოუმზადებელი გამოვა და საზოგადოებას აბუჩად აიგდებს? რასაკვირველია, ჩვენ კერაფერს მოვთხოვთ ისეთებს, რომლებსაც საამისო ნიჭი არ გააჩნიათ, მაგრამ წივწივაძე პირდაპირ დასასჯელია ზოგიერთი როლის ისე უსულგულოდ შესრულებისათვის.

მართლაც, მაყურებელთა მეტი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ეთერი მხოლოდ დღეს გამოჩნდა, როგორც ნამდვილი შემოქმედი და ნიჭიერი მსახიობი.

თეატრის კოლექტივიც კმაყოფილი იყო, მაგრამ ამ კმაყოფილებას ეთერის არ უმჟღავნებდნენ, ანიკო კვლავ გამომცდელი თვალებით ზომავდა, ზურაბიც ისევ ცხვირჩამოშვებული იყო, თალიკო პირს არიდებდა, გიორგი, როგორც სპექტაკლის დამდგმელი და ყველაზე უფრო ახლობელი ჭირისუფალი, ზოგიერთ მითითებებს იძლეოდა. ის იმგვარად გახედავდა ეთერის, თითქოს უნდა გაექანოს, მოეხვიოს და გულში ჩაიკრასო, მაგრამ მოაგონდებოდა რა ანიკოს სიტყვები „ფონი გასავალს დალოცეო“, უცებ შეიცვლიდა სახეს, სერიოზულ გამომეტყველებას მიიღებდა და წარბებს შეყრიდა.

ჯერ კიდევ ნაადრევი იყო პიესის გამარჯვებაზე ლაპარაკი და ცალკეული მსახიობების შეფასება, რადგან ორი მოქმედება კვლავ გასატანი იყო. განსაკუთრებით სახიფათო იყო მეოთხე მოქმედების ფინალი, სადაც ეთერისა და ლალის ერთმანეთთან შეხვედრას პიესა უნდა დაეგვირგვინებია. აქ უნდა თქმულიყო საბოლოო სიტყვა პიესის ღირსების, დადგმისა თუ მომზადების შესახებ და დასმულიყო წერტილი.

ყველაზე უფრო ამის ეშინოდა გიორგის. ამიტომ არაფერს ეუბნებოდა ეთერის, არც ავს, არც კარგს, არ იცოდა, რომელი როგორ იმოქმედებდა მასზე.

ლალიც ამას ერიდებოდა, თუმცა მის თვალებში ჩახედვისას ეთერი საკმაოდ კარგად ხედავდა იმ სიხარულის ცეცხლს, რომელიც შიგ ენთო და ეს დიდად აღაფრთოვანებდა მას.

მესამე მოქმედებამ უფრო ასწია დარბაზი. მართალია, აქ ტასო მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა სცენაზე, ისიც რამდენიმე წამით, მაგრამ მისმა მიმოხვრამ და კანტიკუნტად გადმოსროლილმა სიტყვებმა დარბაზს საკმაო საზრდო მისცა.

ანტრაქტები პიესის ღირსების, მისი დადგმისა და მსახიობების თამაშის შესახებ სჯა-ბაასს უნდებოდა.

ახალგაზრდა დრამატურგის პირველ პიესას ძირითადად იწონებდნენ, იდეურად ის მისაღებად მიაჩნდათ, დადგმა კარგად გააზრებული იყო, ხოლო მსახიობების თამაში შესანიშნავი. აქ უსათუოდ პირველად ეთერის ტასოს ახსენებდნენ და შემდეგ ლალის არტისტულ შესაძლებლობაზე მსჯელობდნენ.—კარგი ძალაა, კარგი მსახიობია, თეატრმა უნდა შეძლოს მისი შენარჩუნებაო.

დაიწყო მეოთხე მოქმედება. კმაყოფილი მაყურებლები სულგანაბული მისჩერებოდნენ სცენას და ყოველი მსახიობის გამოსვლას უდიდესი გულისყურით ამოწმებდნენ. ზოგიერთები მაინც იყვნენ გაქირდვის ხასიათზე, ყოველმხრივ საღსა და სავსებით მისაღებ აზრსა და გამოთქმებშიაც კი ეძებდნენ ცუდსა და სუსტ მხარეს. განსაკუთრებით ახალგაზრდა დრამატურგის წინააღმდეგ იჩენდნენ სისასტიკეს და მისი პიესის ყოველ რეპლიკას საშინელი კრიტიკის ცეცხლში ატარებდნენ. თუმცა პიესა ადვილად იგერიებდა ამ იერიშებს. მაყურებელთა დიდი ნაწილი და თეატრალური კრიტიკა პიესის მხარეზე იდგნენ და ეს იყო მთავარი.

უკანასკნელი მოქმედების მეორე ნახევარმა შესცვალა მაყურებლის დაძაბული ყურადღება, სცენაზე ტასო გამოჩნდა და დარბაზი ტაშის გრიალად იქცა. რამდენიმე წამი და ლალიც გამოჩნდა. იგი ახლაც შესანიშნავი იყო, მაგრამ მაყურებელს ეთერისაკენ წასულ თვალსა და ყურს მხოლოდ ერთი წამით თუ მოსტაცებდა, ისიც, როგორც ამ თეატრის სცენაზე პირველად გამოსული და ამავე დროს სახელმოხვეჭილი და ძლიერი მსახიობი.

ეთერი კი ამ სპექტაკლის გმირი გახდა, სრულიად უბრალო, მესამეხარისხოვანი როლის განმასახიერებელი, მაგრამ საყვარელი და დაუვიწყარი. მართალია, მან პირველ მოქმედებაშივე მიიქცია ყურადღება, მაგრამ ახლა, რამდენიმე საათის განმავლობაში, ერთიორად გაზრდილიყო, კიდევ უფრო მიმზიდველი გამხდარიყო.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!—იძახდა პეტრე ედგარაშვილი და კმაყოფილების ნიშნად ხელში შერჩენილ ფანქარს ატრიალებდა.—ამას ჰქვია მსახიობის ტალანტი, ეს არის ქებისა და წახალისების ღირსი.—მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ ის მეტად კარგი აზრის იყო ამ დადგმაზე და შესაფერი რეცენზიის დაწერასაც ფიქრობდა.

სცენამ უფრო და უფრო მიიზიდა ხალხის თვალ-ყური, ლალისა და ეთერის ერთად თამაშმა მოხიბლა და მოაჯადოვა საზოგადოება. თვითეული რეპლიკა და მოხდენილი მოძრაობა ტაშსა და მოწონების შეძახილებს იწვევდა. ბოლოს იქამდე აიწია დარბაზის განწყობილება, რომ შეუწყვეტელ ოვაციაში გადაიზარდა.

არანაკლებად აღტაცებული იყო კულისები. ახალგაზრდები ერთმანეთს ულოცავდნენ სპექტაკლის გამარჯვებას, განსაკუთრებით კი ეთერის ეს წარმატებები ახარებდა ყველას.

— დასასჯელია, გასაწკეპლია,—იძახდნენ ზოგიერთები ეთერის მისამართით,—ასეთ ნიჭსა და ტალანტს ფრთებს კვეცავდა, კერპობდა, ჟინიანობდა... ახლა ხომ ვიცით რასაც წარმოადგენს?

— აქამდეც ვიცოდი, რა ძალაც იყო მასში, მაგრამ ვერას გავხდი, ვერ გავტეხე მაგისი კერპი ხასიათი.—ამბობდა ზურაბი და რამდენად აქებდა ეთერის ნიჭსა და ტალანტს, იმდენად აძაგებდა მის ხასიათსა და ქცევას.

ანიკოც კმაყოფილი იყო, თალიკო მერცხალივით დასრიალებდა აქეთ-იქით და ეთერის ამ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა.

— ყოჩაღ, გოგო, ყოჩაღ, ჩემო ეთერი!—ამბობდა ის და იმაზე ფიქრობდა, თუ რა საჩუქარი მიეძღვნა ამხანაგისათვის.

პიესის დამდგმელი ჯერ კიდევ ხელოვნურად მიღებულ უკმაყოფილო გამომეტყველებით დადიოდა. მართალია, მის თვალებში გამარჯვებული ადამიანის კმაყოფილება ჩანდა, მაგრამ ამას ის თითქოს არ იმჩნევდა და წარბშეხრილი დადიოდა კულისებში. ხოლო როცა ვინმე შეეკითხებოდა: პატივცემულო გიორგი, როგორია ოქვენი შეხედულება, როგორ მიდის პიესაო, ის ხელს ჩაიქნევდა.

— ვერაფერს გეტყვით, მაგაზე პასუხის გამცემი დარბაზიაო, ეუბნებოდა შემკითხველს. და როცა დარბაზის ტაშის გრიალი კულისებშიაც გუგუნით შეიჭრებოდა, მაშინ სახეს ღიმილი მოიცავდა, თუმცა იმასაც სწრაფად მოიცილებდა.

ახალგაზრდა დრამატურგი დარბაზში იჯდა, იგი ისე იყო გაღვრილი ოფლში, თითქოს, თეატრში კი არა, ცხელ თონეში მჯდარიყო. მისი თვალები თანდათან უფრო ბრწყინდებოდა. გულის ძგერაც მატულობდა. ახლა ისიც სიხარულისა და გამარჯვების მოახლოვებით კრთოდა ასე.

კიდევ რამდენიმე წუთი და აღტაცებული დარბაზი დაშვებულ ფარდას ტაშის გრიალით შეეგება.

— ტასო, ტასო!—გაისმა ათეულების ხმა და სცენისაკენ თაიგულები დაიძრა.

ფარდა კვლავ აიხადა და სცენაზე მთელი დასი გამოჩნდა. ნაწილს უკვე გამოეცვალა ტანსაცმელი და გრიმებიც მოეწმინდა, ნაწილი კი თავიანთი როლების კოსტიუმებით იდგნენ.

— ტასო, ტასო!—გრიალებდა დარბაზი და ურიცხვი თვალები სცენაზე პატარა გოგონასავით გაჩერებულ ეთერის მიჩერებოდა... ამჟამად ის მეტად უბრალოდ ჩაცმული იყო, ძველი კაბა კოჭებამდე წვდებოდა, უწესრიგოდ ჩამოშლილი კულულები ნახევარ სახეს უფარავდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისეთი მიმზიდველი და მშვენიერი იყო, რომ დარბაზი აღტაცებაში მოჰყავდა. მისი ბავშვური თვალები ახლა უფრო გაბრწყი-

ნებული და გაკეთილშობილებული ჩანდა, თითქოს ამდენი ადამიანის აღტაცებას არ თანაუგრძნობს, ან ამდენი ტაში მას არ შეეხებოდეს, ისე იდგა, დარბაზისაკენ ნახევრადმიბრუნებული და გრძელ წამწამებს პეპელას ფრთებივით არხევდა.

ყვავილებითა და ვარდებით აივსო სცენა, მაგრამ არ დასრულებულა საზეიმო განწყობილება, სცენაზე ვეებერთელა თაიგული აიტანეს და ეთერის მიართვეს. ეთერი ახლა გამოერკვა, ჯერ თაიგულის მომტანს ახედა, შემდეგ დარბაზს მოავლო თვალი და როცა ტაში შეაგებეს, თაიგული მიიღო, გულში ჩაიკრა და ცრემლები წასკდა.

ტაშის გრიალში ფარდა ნელ-ნელა დაეშვა, მაგრამ დარბაზმა იგი კვლავ მაღლა აიტაცა.

— ტასო, ტასო.—ისმოდა კვლავ შეძახილები.

ეთერი კვლავ სცენაზე იდგა ლალისა და გიორგის შუა, მის ლოყებზე ნელ-ნელა მოცოცავდნენ მარგალიტის მსგავსი ცრემლის წვეთები, ნიკაპთან ისკვნებოდნენ, წყდებოდნენ და თაიგულზე ცვივოდნენ.

— ეთერი!—ჩურჩულით უთხრა ლალიმ, რათა გრძნობას აყოლილი მსახიობი გონზე მოეყვანა,—რას ჩადიხარ, მადლობა გადაიხადე!

ეთერი გამოერკვა, ახლა მიხვდა, რომ ამდენი ჯილდო და ტაშის გრიალი მადლობის გადახდას საჭიროებდა. სწრაფად ასწია თავი, ორივე ხელით მკერდზე მიკრული თაიგული დასწია, წელში ოდნავ მოიხარა და მადლობის ნიშნად აუდიტორიას თავი დაუკრა. ხოლო როდესაც დარბაზი კვლავ ტაშის გრიალით შეეგება მას, ეთერიმ გაიღიმა და კმაყოფილი თვალები იქ მყოფთ მოავლო. ცოტა ხანს ასე იდგა. შემდეგ მიბრუნდა და თაიგული ლალის გადასცა:

— ამ გამარჯვების მიზეზი შენ ხარ, ლალი! ჩემს სიყვარულთან ერთად ესეც მიიღე!—გულში ჩაეკრა, თავი მკერდზე მიაყრდნო და ბავშვური ქვითინით ატირდა.

— ეს კი ჩვენი კოლექტივის გამარჯვებაა!—თქვა ამ დროს სცენაზე შემოსულმა სევამ, სათითაოდ მოეხვია ყველას და გადაკოცნა.

1952 წ. ივლის-აგვისტო.

ნესტორ მალაზონია

ლენინ--სტალინის პარტიას

მე შენზე ფიქრით
მიტეხია ღამე მრავალი,
გარიჟრაჟიდან მოგყვებოდი
იმედით სავსე.
მზრდიდა ლენინის „ისკრა“
მზეებრ ამომავალი—
ეს ჩირაღდანი
და მედროშე ბრძოლების გზაზე.

რა ძნელი იყო
უკვალავი გზა ეკლიანი,
ციხე, ციმბირი...
ჯალათები ბორკილებს ჭედდნენ...
შენ კი სისხლსავსე,
ასე მტკიცე,
ასე მთლიანი
მინსკის ქოხიდან
კომუნიზმის მოხვედი ბჭემდე.

შენ მოარჩინე
ჩვენი გულის ყველა ჭრილობა
და ჩვენს ცხოვრებას
სიხარულის შეასხი ფრთები.
მუდამ უტყუარ
გზას სახავდა შენი ყრილობა
ლენინ—სტალინის
სიბრძნითა და ფოლადის ნებით.

ახლა ქვეყნის გზა
ნათელი და ეგზომ ფართოა,
დღეს კომუნიზმის
მოკაშკაშე მწვერვალებს ვხედავთ.
ეს—შენ გვისარდლე,
საყვარელო ჩვენო პარტიავ!
დიდო პარტიავ,
ღიდება და მადლობა შენდა!

არ შესრულდება თეთრი სახლის
შავი ზრახვები,
ბნელი ოცნება
ახალ სისხლზე,
ახალ ომებზე.
შენი სარდლობით,
შენი დროშით ჩვენი ხალხები
უკვე დამკვიდრდნენ
კომუნიზმის მისადგომებზე.

და როგორც შტაბი,
დიდი ბრძოლა როცა იწყება,
ბჭობას გამართავს,
იერიში რომ მიიტანოს,—
შენი ყრილობაც
წარმოდგება ახალ ხუთწლედით—
ხალხებს დაუწერს
გამარჯვების სტალინურ კანონს.

მთელი მსოფლიოს
მშრომელები ღამეს გატეხენ,
თვალს მიაპყრობენ
კრემლზე დროშას,
ქარი რომ არხევს,
რამდენ დიდებას,
რამდენ ვაშას შემოსძახებენ
ლენინისა და სტალინის სახელს!

ფრთას შემოჰკრავენ
თოლიები ვოლგა-დონიდან,
დიდი მადლობით
გაიღიმებს ტახია-ტაში,
ყირიმ-კახოვკა-რუსთავიდან
და სამგორიდან
მოსკოვს მიწვდება
მოწონების ხმები და ტაში!

შენ შეგვიქმენი,
ყველა მშრომელს რაც უნატრია,
შენი მარჯვენა
თავიდანვე ჩვენს წინსვლას ჰედდა.
ლენინ—სტალინის
მზით გამთბარო ჩვენო პარტიავ,
დიდო პარტიავ,
დიდება და მადლობა შენდა!

1952 წ. 5 ოქტომბერი.

კვირაობაზე თქმული ლექსები

ჩემი ძალაძი

მე წუხელ წუთიც არ მიძინია,—
ო, სიხარულმა იცის ეს სენი!
სტრიქონებს ვჭედდი რითმის მძივიანს,
ლექსად შევკარ და აჰა, ესენი.

წლებს და ჭაღარას არ ვუჯერებდი,
ვგრძნობდი სიანცეს და სიყმაწვილეს.
ასი წელი მაქვს ჯერ სიბერებდი,
და აბა, ამ დროს რა დამაძინებს!

ძვირად სჩვევია გრძნობას სიტყვები,
და მეც რა გითხრა, ან როგორ გაქო?
თურმე რაოდენ ძალას იტევდი,
ჩემო ლურჯთვალა ზათუმ-ქალაქო!

ნათევ ღამეებს ჩავთვლი მეგობრად,
დე, სიხარულის მქონდეს ეს სენი.
ბედნიერებად ისიც მეყოფა,
შენზე სიმღერა თუ კი შევძელი!

ფართო ქუჩა

მე აქ მივლია დღისით, ღამითაც,
მცხუნვარ მზეში თუ სავსე მთვარეში,—
როცა მზეს ახლავს ოქროს ხალიჩა.
მთვარე მზეს ბაძავს სიელვარეში.

ახლაც გავედი. იყო კვირადღე,
ცის კაბადონი მოჩანდა ლურჯად
და მთის ძირიდან ზღვის ნაპირამდე
ბული სდიოდა გაშოტილ ქუჩას.

წერაქვს ურტყამდა ერთად ცხრა მწკრივი,
მოთხრილი მიწით ავტო აავსეს.
მე შევაჩერე ერთი ყმაწვილი:
და სიყვარულით გავებაასე.

იგი მიცქერის, თვალს არ მარიდებს,
ამბობს, ხომ ხედავ, როგორი ვართო:
— მაშ კომუნიზმი როგორ მოვიდეს,
თუ გზა არ იქნა სწორი და ფართო?!

ყვავილები

ხშირად დავდივარ მზიან ქალაქში,
მხიბლავს, მიხარებს გულსა და თვალებს,
ვუცქერი ახალ სახლებს მხარგაშლილს,
ბაღებს, ზღვაური რომ აშრიალებს.

დღეს ჯარად ჩანდა ხალხი ზღვისპირზე,
ქუჩის მეორე კიდეზე გაველ:
თვალმოელვარე და მოკისკისე
ქალიშვილები ყვავილებს რგავენ.

გული ატოკდა, სიტყვა მეტია,
კითხვის პასუხი უსიტყვოდ თუ ჩანს.
რაღა ვიკითხო? ვიცი, მეტყვიან
— უყვავილებოდ რად ვარგა ქუჩა!

მეც პატარა ნერგს ხელი წავავლე,
გული სიხარულს ვრძნობდა რაოდენს...
დე, კომუნიზმის ნათელ სავალზე
ჩემი დარგული ბუჩქიც ჰყვავოდეს.

ანდრო თევზაძე

კვლავ ჩვენთან არის

ვაი, სამშობლოვ, რად გერგუნა დღეები მკაცრი,
რად დაიჩრდილა შენი ზეცა გლოვის მწუხრითა?
ვინ დამაჯეროს, გულისცემა შეწყდა იმ კაცის,
ვინც გრიგალების შემოტევას წარბს არ უხრიდა.

აღარ გვყავს ბრძენი ბრძენთა შორის გამორჩეული?
ო, ამ უსაზღვრო გლოვის ზარზე მთებიც იძვრიან...
მისი სიცოცხლის სიმღერებზე ვარ შეჩვეული
და მის სიკვდილზე მე სიტყვის თქმა არ შემიძლია.

მისი სიდიდე ვერ გაზომოს საუკუნემაც,
მის გულში ჩანდა თვით სამყაროს სახე მთლიანი,
მასში ხედავდა გამარჯვებას თვითონ ბუნება,
რომ ყავდა ქვეყნად ასე დიდი ადამიანი.

მწუხარებისგან ჩვენს თვალებში ჩაგუბდა ცრემლი
და გამარჯვების დროშებს აკრავს შავი არშია,
ჟამი გვაქვს მძიმე, მაგრამ სულით როდი ვეცემით,
ჩვენ განსაცდელში გულმაგრობას მან შეგვაჩვია.

აღარ გვყავს მამა,—ჩრდილი ფარავს ნათელ მწვერვალებს,—
ვისმა გმირობამც დაამკვიდრა ქვეყნად სიმართლე.
მზე ჩაესვენა, მაგრამ მისი შუქი ბრწყინვალე
კვლავ ჩვენთან არის და დიდების გზებს მიგვინათებს.

კვლავ მისი შუქის ელვარებით ანთია კრემლი,
დე, მწუხარებამ ჩვენი ვალი არ დაგვავიწყოს,
სამშობლოს მტრებთან მუდამ ვიყოთ შეუდრეკელნი,
როგორიც თვითონ ამხანაგი სტალინი იყო.

მისმა არყოფნამ მისი ხალხი არ დაგვაობლოს,
ღირსეულ შვილად მამულისთვის მან გამოგვზარდა,
გვიყვარდეს ჩვენი უძლეველი დედა-სამშობლო,
როგორაც იგი თვით ამხანაგ სტალინს უყვარდა.

არ მივაკაროთ მის ნათელ ცას ღამის ჩრდილები,
სიცოცხლე მივცეთ ჩვენი ხალხის ბედნიერებას
და ვიყოთ მუდამ მოამაგე მამის შვილები,
როგორც სტალინის უკვდავ სახელს შეეფერება!

1953 წ.

გამარჯვებულთა ყრილობა

მოსკოვი. კრემლის სასახლე დიდი.
მოზეიმეთა ჩუმი ხმაური.
იქა ზის მამა ბრძენი და მშვიდი,
მშვიდობის ბურჯი და მეთაური.

გარს შემორტყმია გმირების წყება,
როგორც მზეს გუნდი ურიცხვ ვარსკვლავთა,
ცის წინაშეაც კლდეები ტყდება
და იკეცება ლაჟვარდის კალთა.

დაბრკოლების წინ ვინც არა დრკება,
ვინც შეუსრულა ბელადს პირობა;
კრემლის დარბაზში დღეს იკრიბება
კომუნისტების დიდი ყრილობა.

ყრილობა დიდი, ქვეყნის გმირების,
ერთი მიზნის და ერთი ნებისა,
ყრილობა—მთათა შეკავშირების,
ყრილობა—ზღვათა შეერთებისა.

მოსულან დინჯად და გალაღებით,
მოუტანიათ ახალი გზნება,
ვით ვოლგა-დონის მძლავრი ტალღები,
შეერთებულან მშობლიურ ძმებად.

რომ მხარი მისცენ საცოცხლეს მართალს,
რომ დაგვისახონ გეგმა წინსვლისა,
გვასწავლონ პოვნა გამარჯვებათა,
გვაჩვენონ გზები კომუნიზმისა.

რომ უდაბნოში ტყეები დავრგოთ,
გზა გადავუჭრათ ულაგმო ქარებს,
რომ ყარაყუმი ბალით მოვქარგოთ
და ციტრუსებით—ციმბირის მხარე,

რომ დაბინავდეს მზე ყოველ სახლთან,
რომ გაიხარონ ჩაგრულთ კერებმაც,
დამკვიდრდეს ქვეყნად მშვიდობა ხალხთა,
მშრომელთა დიდი ბედნიერება.

გამარჯვებათა ქუხილი ისმის...
როგორ მაღლდება სამშობლო ვრცელი,
როგორ მძლავრდება მზე კომუნიზმის,
მოსისხლე მტერთა თავზარდამცემი.

როგორ მარცხდება ჩერჩილის როშვა
და გეგმა ომის ხანძრის დამნთები,
როგორ წინ მიდის მშვიდობის დროშა,
როგორ ფრიალებს მისი კალთები.

ჩვენ გამარჯვების მიღწევა ვიცით
და გულში შიში არ გვაქვს სრულებით;
ლენინის დროშით, სტალინის ფიცით
კომუნიზმისკენ მივეშურებით!

1952 წ. 5 ოქტომბერი

სტალინისადმი

რამდენი ფიქრის მთა გადავლახე,
რამდენი ღამე თეთრად ვათიე,
მაინც ვერ შევძელ და მისი სახე
ლექსის სტროფებში ვერ ჩავატიე.

ხან შევადარე ვეფხვსა და არწივს,
ხან შევადარე კლდესა და მყინვარს,
მაგრამ, არ იქნა, მაინც ვერ გავწვდი
მისი მზიური სახელის ბრწყინვას.

სხვა ძალა უნდა ამგვარ გოლიათს,
სხვა, რაღაც დიდი, მისი მსგავსება;
ის მთელ მსოფლიოს თანატოლია
და მგოსნის ლექსში ვერ მოთავსდება.

მას ყველა ქვეყნის პოეტი უმღერს,
მის დიად სახეს ლექსით ხატავენ:
რომ იგი არის სიმართლის ფუძე
და გამარჯვების უხვი სათავე.

რომ იგი არის მშვიდობის დროშა
და მის კალთებზე შუქი მკვრივდება,
რომ მის თვალებში მერმისი მოჩანს,
ათას წლის შემდეგ რომ დამკვიდრდება.

რომ მისი სიტყვა გულს ამღელვარებს
და მებრძოლს მატებს გამბედაობას,
რომ მისი სიბრძნის სხივი ელვარე
შუქად ეყოფა მრავალ თაობას.

რომ მას აქვს ხედვა ხმალივით ბასრი,
ცისარტყელას თუ ელვის სადარი...
აზრი ბევრია, მაგრამ ამ აზრის
გამოსათქმელად სიტყვა სად არის?

ისევ კალამი დავდევი კრძალვით
და ვფიქრობ ახლა, რომ ამიერით
ვიხილო ლექსი ქარიშხლის ძალის,
დიდი მგოსნების კალმისმიერი.

რომლითაც ხალხში ზღაპრად გადავა
საქმე საგმირო და საარაკო.
მისი დიდების დასახატავად
დე, მომავალმა ილაპარაკოს!

1952 წ.

ილიას გახსენება მყინვართან

ვინც კი გიხილავს კეთილი აზრით,
ჭაბუკი იყოს და თუნდა ბრძენი,
მოიხიბლება ამ სილამაზით
და გააოცებს სიმაღლე შენი.

მაგრამ ილია ვერ შეგეჩვია,
ვერ მოაფინე გულს აღმაფრენა,
შენს ცივ სიმაღლეს მუდამ ერჩია
თერგის მჭუხარე ტალღების დენა.

მე კი მიყვარხარ, მე კი შეგხარი,
როცა შეგყურებ, გული ლაღდება,
მკერდში მკვიდრდება სული მედგარი,
მკლავში ძალღონე კვლავ მიახლდება.

რით არ შეგამკეს დიდმა მგოსნებმა,
ყველა ტრფიალით ხელებს გიწვდიდა;
მე კი მგონიხარ ქვეყნის ოცნება
ამაღლებული დედამიწიდან.

არ მჯერა, თითქოს არ გაღელვებდეს
ქვეყნის ავ-კარგი, ან სიმწუხარე,—
შენ რომ არ იყო ასე მაღალი,
მაშინ ეს თერგიც ვერ იმქუხარებს.

შენი დამთმობი აბა ვინ არი,
რად გიწოდებდნენ მიუკარებელს?—
უნდა ამაღლდე, როგორც მყინვარი,
შემდეგ თერგივით რომ მქუხარებდე!

არ უნდა გძლევდეს შიში და კრთომა,
უნდა გაშალო ფრთები ღრუბლებად,
უნდა შეგეძლოს მიწაზე დგომაც
და აზრით მზესთან გასაუბრებაც.

უნდა შენც იყო შუქთა მფინარი.
მუდამ ებრძოდე სიბნელეს მუხთალს;
— ილია თვითონ იყო მყინვარი
და სიტყვაც მიტომ თერგივით ქუხდა.

სიმაღლეს შენსას მიტომ ეტრფიან,
მიტომ ვერა გძლევს ღამის წყვდიადი,
ქვეყნად მყინვარი მხოლოდ ერთია
და მიტომ არის ასე დიადი.

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲒᲝᲠᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ

ძვირფასო მამავ, დროშების რხევით
მიგვაქროლებდი სულ წინ, უშიშრად.
კეთილო მამავ, შენი სახელი
როგორც მზის შუქი ხალხის გულშია.

ისევ ჩვენთან ხარ და გზას გვინათებ,
ამ სინათლეში ქვაც გაცოცხლდება.
შენთან შეხვედრა ბევრჯერ ვინატრე,
ვერ ავისრულე დიდი ოცნება.

მაგრამ მივწვდები სურვილს სანატრელს,
გნახავ... ო, შენი ჭაღარა მიყვარს.
როგორ გავუძლო—ვერ მეტყვი სათქმელს,
ვერ გამიღიმებ პატარა ქართველს,
ალერსით ხელში ვეღარ ამიყვან.

შენს სახელს გულში მოვუვლი ფრთხილად,—
წლებმა ამოშლა ვერ გამიბედოს.
ის ჩემს მომავალს ექნება სხივად,
შენ გეფიცები, ჩვენო იმედო,

რომ წინ წავიღებ შენს უკვდავ ალამს,
უძლური ნურვის ნუ ვეგონები.
შენ გეფიცები, ძვირფასო მამავ,
ერთი პატარა ბიჭი გორელი.

1953 წ. 2 აპრილის.

ამ გზით იარე

ამ გზით იარე, არ მოგწყინდება,
თვალი არასდროს დაგებინდება,
მზერას მოგტაცებს მწვანე ბაღნარი
და სართულები ცამდე მაღალი;
შენ აქ შეიგრძნობ შრომის დიდებას.

ამ გზას გაჰყევი და თვითონ ნახავ
სინათლით მოსილ სიცოცხლეს ახალს
და გმირ ქალ-ვაჟებს—შრომის ოსტატებს,—
ცას რომ ვარსკვლავი მკერდით მოსტაცეს,
ჩვენთვის პურს მკიან და მტრისთვის—ლახვარს.

დიდება, ვინაც ამ სოფელს არგო,
გასჭრა ყამირი, ხეხილი დარგო,
რომ მოეხვეჭა ბედნიერება;
ამ მდიდარ მთა-ველს მზე ეფერება.
ამ გზას გაჰყევი შენც, ჩემო კარგო!

გეტყვიან: იყო მწირი სოფელი,
თავისი ბედის უარმყოფელი
და ახლა როგორ გახდა მდიდარი;
მზე დაჰფენია დაუბინდარი;
ნახე სოფელი შუქისმომფენი!

ამ გზით იარე და თვითონ ნახე,
შრომაში როგორ იხვეჭენ სახელს
ქალ-ვაჟნი ბაგემომცინარენი.
მათ გმირულ საქმეს მეტყველი ენით
პურის თავთავიც კი შემოგძახებს.

თუ ქვეყნის ზრდაში არ შეგაქვს წვლილი,
თუ ფიქრობ მისგან გერგება წილი,
არც კი მიგიღებს სოფელი სტუმრად.
ღირსი ხარ? ყველა შეგხვდება ძმურად,
დაიხარჯება სიტყვებიც ტკბილი.

ხალხთან იყავი ხალხის შობილი,
მიხვდები: შრომა კეთილშობილი
სილამაზეს და სიკეთეს თესავს.
დიდება კრემლის მზის სინათლესა,
სულს ღაფავს ღამე ლახვარსობილი!

ლექსები ნაზიმ ჰიქმეთზე

ოცნება ბურსას ციხეში

— მზის ხილვა მინდა მშობელ მხარეში,
რომ ბოროტება ბარემ გათავდეს,
სინათლეს ვუმღერ ლექსთა პწკარებში
და ბრძოლით მივალ განთიადამდე.

გზა ავირჩიე წმიდათა-წმიდა
და გულს მიფეთქებს ნათელი აზრი:
— თავისუფალი სამშობლო გინდა?
მაშ შეუპოვრად იბრძოლე, ნაზიმ!

თითქოს ახლად ვარ თვალანახელი,
დე ჩემი ძალა მტერმა იცოდეს,
თავისუფლების მიყვარს სახელი
და მას შევსწირავ ლექსს და სიცოცხლეს.

მე ეს ოცნება არ გამეყარა
და მის ლაღ ფრთებზე ღამეს ვათენებ...
ოღონდ გაყიდე შენი ქვეყანა—
ბტრები დიდებულ განძს მოგართმევენ.

ვინ შემიყიდის ლალ-მარგალიტით,
ოქროს ეტრფიან ლაჩრები მხოლოდ.
მინდა ქუხილმა შესძრას ამინდი,
მინდა გრიგალმა გადამიქროლოს.

ახლა დარდით ვარ ღამენათევი,
კიდევ რამდენი უნდა ვიდარდო?
დაე, დავიწვა, როგორც სანთელი,—
ჩემს შუქზე ძმებმა გზა გაინათონ.

მოსკოვში

შორით ეტრფოდა კრემლს და მის ვარსკვლავს,
შორით გვხიბლავდა ბრძოლით და მუზით.
მოსკოვში დადის ნაზიმი ახლა,
იგი მზეში წერს, ლექსშიც მზე უზის.

ბურსას ციხეზე კვლავ ფიქრი მოსდგამს,
სურს ოცნებით შორს გაინაპიროს,
სტრიქონიც იწვის: რა ცეცხლი ჰქონდა
მოუკიდებელ იმ ერთ პაპიროსს!

ისევ იგონებს მღელვარე ლტოლვილს,
სურს მის სტრიქონში თავს აფარებდეს.
ბევრი დაეცა მზისთვის მებრძოლი,
ვარდმა იხაროს მათ საფლავებზე.

ლაჟვარდის თვალი სხივით ივსება,
იქნებ სულ მალე გადაიდაროს!
ფიქრობს ნაზიმი: მეც მეღირსება—
ვარდით ყვაოდეს ბურსას მიდამო!

თავის მამულზე ფიქრობს შორიდან
დიდი ოცნების თანაზიარი...
ნაზიმი ნათელ მოსკოვს მოვიდა
და ააფრინა ლექსი მზიანი.

პარმენ რურუა

ის იცოცხლებს

ეს რა სევდა ჩაწვა გულში,
რა ნაღველი, მწარზე მწარი!
თვალებს რატომ არ შორდება
მწუხარების ცრემლის ღვარი?

ვინ აღარ გვყავს, ვინ დავკარგეთ,
ვისთვის არის გულში გლოვა?
აყვავებულ ქვეყნის მკერდზე
შავი ნისლი რად დათოვა?

მზესაც თალხი რად ჩაუცვამს,
ისიც სევდით რად ციმციმებს?
ნუთუ ისიც გრძნობს სამშობლოს
მწუხარების ამ სიმძიმეს?

ო, სიკვდილმა მუხანათმა
მოგვიტანა მწარე ვნება,—
თუმც სტალინი, ეს მზეკაცი
ჩვენთან იყო და იქნება.

მისი სიტყვა და საქმენი,
მისი აზრი მშრომელ მასებს
სამოქმედოდ წაუძღვება
და ბრძოლის გზას გაუნათებს.

სულ ყოველთვის, ყოველ დროში,
ქვეყანაზე კიდით-კიდე
ის იცოცხლებს ხალხის გულში
ვით იმედი და სიმშვიდე!

ღაზური სიმღერები

ბერიძე ვარ გვარადა

ბერიძე ვარ, ქართველი
წინაპარი მყოლია,
სახელს ბურქულს ვატარებ,
ეს კი დასაღონია.

ჩემს ქართულ გვარს თურქული
სახელი არ უხდება!
მაგრამ წყვდიადს გაჰფანტავს
მზე როს ამოშუქდება.

დღეს მერცხალმა ჭიკჭიკით
გაზაფხული მახარა
და ნაწინწკლი ფრთებისა
მხრებზე გადმომაყარა.

მიხარია, რომ მეც ვარ
ძველი მესხი, ქართველი,
მზედ თავს მადგას რუსთველის
და სტალინის ნათელი.

ოჯახს სხივი ანათებს
ციდან ჩამოფრქვეული,
გოლიათის მოდგმა მაქვს,
სიმღერად ვარ ქცეული.

და ჩემს ლაზეთს დაჩაგრულს
გულს ვუმაგრებ ნუგეშით:
ჩიტი უნდა დაბრუნდეს
ისევ თავის ბუდეში!

პ ა პ ა

პაპა ცოცხალ, გაფრენილ
ჩიტებს ქვაზე ხატავდა.
გულის სევდა-კაეშანს,
ალბათ, ამით ფანტავდა.

ხეზე ჭრიდა ჩუქურთმებს
სულ სხვადასხვანაირებს,
საუცხოოდ მღეროდა
ის ტკბილ, ხალხურ შაირებს.

ღამით ხშირად ჰყვებოდა
ზღაპრებს საქართველოზე,
ოცნებობდა მუდამ ქამს
მის მთებზე და მდელოზე.

მის სახელს, ვით მინდია,
ისე უფრთხილდებოდა.
სიკეთისთვის ზრუნავდა,
მტრების ჯავრით კვდებოდა.

ზოგჯერ გაიტაცებდა
სამშობლოზე ფიქრები,
და გვეტყოდა გულმტკიცედ,
დინჯად, დაბეჯითებით:

„მკერდში უნდა ჩავიდგათ
ყველამ რკინის გულიო,
უნდა აღსდგეს ლაზეთი
მტრისგან დაჩაგრულიო!“

დავით მეძველია

ბედნიერი კერა

ზაფხულია.

მცხუნვარე მზის სხივები უხვად იბნევიან ოქროსავით მოელვარე და ზღვასავით მობიბინე ყანაში. დედამიწას ალმური ასდის. ყოველი სულდგმული ჩრდილისაკენ მიილტვის.

აი, ტოროლამ სადღაც დაუსტვინა და ცის სივრცეში ლაღად შეინავარდა! აგერ, თოლიების გუნდი მდინარე სამარას ნაპირებიდან აიშალა და დნეპრისაკენ გასწია. ბავშვების ჟრიამულს ხომ საზღვარი არა აქვს—სამარასთან მოგროვილან და თავისუფალ დროს ბანაობაში ატარებენ.

საკოლმეურნეო მინდვრებიდან ისევ კომბაინების გუგუნი ისმის. უკრაინის თვალუწვდენელ, ბარაქიან ველებში გაცხოველებული მუშაობაა.

ადამიანი—ეს უძლეველი დევგმირი, სიძნელეებს გალომებული ერკინება. ომის გმირები ახლა შრომის ფრონტს დაბრუნებიან და დილიდან შებინდებამდე თავს დასტრიალებენ მშობლიურ კურგანებს.

დედამიწა თითქოს გრძნობს თავის პირმშოთა თავდადებულ შრომას, თითქოს იგიც ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას ლამობს, ხარბად ისრუტავს კეთილ ადამიანთაგან დაფრქვეულ ოფლის წვეთებს.

ზეგანიდან მონაქროლი ნიავის მიერ მოტანილმა უკრაინულმა მელოდიამ სენკა გამოაფხიზლა.

—„Ой, на гори, там жницы жнут"... — ჩაწვდა ვაჟკაცს გულის სილრმემდე. ეს მისი საყვარელი სიმღერა იყო გაინაბა. მთელი არსებით მიუგდო ყური სიმღერის ხმას. მთელი არსებით გადაიქროლა წლების უკან—ომამდელ დღეებთან გაჩნდა.

და თვალწინ წარმოუდგა ისევ მარიანა, ისევ მხიარული დღეები!

ფიქრს ფიქრი მოყვა, განცდას—განცდა. წარსული დღეები კი კვლავ მიუწვდომელი რჩებოდნენ.

და სენკაც იჯდა ჭასთან გაქვავებული.

მან კარგა ხანს იფიქრა განვლილ დღეებზე, კარგა ხანს იფიქრა მაისის ვარდივით მკერდაყვავებულ მარიანაზე, ხოლო შემდეგ, თითქოს უბიძგესო, ხელის თითები ფიწალივით შეუყარა წაბლისფერ ხშირ ქოჩორს და მთელი მკერდით ამოიგმინა:

—ოხ, თქვენ არამზადებო!..

ქრულვა ეკუთვნოდა გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს, რომლებმაც სენკასთანას ბევრს მოუტანა უბედურება.

უბრალო გამვლელიც კი ადვილად შეინიშნავდა, რომ ამ ადამიანში დიდი შინაგანი ბრძოლა სწარმოებდა, რომ მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, კაეშანი დაუფლებოდა.

სიმღერა კვლავ მოისმოდა.

— ჩვენები არიან!—წამოცდა უცბად სენკას, წყლით ავსებული კასრი ხელში აიტაცა და გორაკისაკენ მიმავალ ბილიკს აუდევნა. მალე შუადღეც მოატანს, სადილად დასხდებიან კოლმეურნეები... უნდა იჩქაროს, ამხანაგებს წყალი მიაწოდოს, მან ისედაც დააგვიანა ამ აბეზარი ფიქრების გამო.

იგი ჩქარა მიაბიჯებდა ჩირგვნარებს შორის, მიიჩქაროდა, მაგრამ მარიანაზე ფიქრს მაინც ვერ გაჰყროდა, მაინც მასთან იყო.

— „სად არის ნეტავ, ახლა? რას აკეთებს იმ შორეულ მხარეში? ნუთუ, მართლა ყველაფერი ისეა, როგორც იწერება?“—არ ასვენებდნენ აკვიატებული აზრები.

ორი თვეა, რაც სენკა სამამულო ომიდან დაბრუნდა მშობლიურ ხუტორში. დაბრუნდა გამარჯვებული, გახარებული, დიდებით მოსილი, სიცოცხლით სავსე. მას ეგონა, რომ შეაღებდა თუ არა ჭიშკარს, პირმცინარე დედა შემოეგებებოდა, ხანშესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანმაგარი მამა მოეხვეოდა, მუდამ მოუსვენარი ძმა, პატარა ოლეგი კისერზე დაეკიდებოდა, ერთგული ბობიკი შეუყეფდა, დაიწკმუტუნებდა და შეახტებოდა... მარიანაც მოირბენდა, როცა სენკას მოსვლას შეიტყობდა... გაიხარებდნენ!..

მაგრამ ფრონტიდან მოტანილი სიხარული შინ დახვედრილმა მწუხარებამ შეცვალა. ფრონტელი სტუმარი გაუკაცურებულმა კარმიდამომ მიიღო. დიდხანს იჯდა იგი ღრმად ჩაფიქრებული იმ ადგილას, სადაც მისი საყვარელი სახლი იდგა რამდენიმე ხნის წინათ, სადაც ის აღიზარდა, სადაც ტკბილი „ნანინა“ მოისმინა, სადაც დაუვიწყარი, უტკბილესი ბავშვობის წლები გაატარა. და რას ჰხედავდა ახლა? მის წინ საზიზღარი ორმოები უწესრიგოდ გამწკრივებულიყვნენ!.. ორმოები, რომელთა დანახვა უკვე მობეზრდა მას წლების მანძილზე, ორმოები, რომლებიც ფაშისტური გერმანიის ბომბების ნაკვალევს წარმოადგენდნენ.

ვაჟკაცი დუმდა. წინგადაშლილმა სანახაობამ გული დაუთუთქა. თვალთაგან ორიოდე კურცხალი მოულოდნელად მოსწყდა. ფრონტელს ეუცხოვა ცრემლი, გაუკვირდა კიდეც, და თვალები საჩქაროდ შეიმშრალა.

— ეხ...—აღმოხდა უეცრად მას და თავი უფრო მძიმედ დაჰკიდა.— იქნებ ყველანი ცოცხლები არიან, იქნებ მარიანაც აქვე, ხუტორში ცხოვრობს სადმე?.. ან, იქნებ ყველანი დაიღუპნენ, მტრის სივერაგემ იმსხვერპლა?!

და თუ არავინაა ცოცხალი, მაშინ რაღა დარჩა ამ ხუტორში, რისთვის მოვიდა?.. მარიანა!.. ო, მარიანა!.. ერთხელ მაინც შეეხედა მისი შავი თვალებისათვის, ერთხელ მაინც დაენახა მისი მთვარესავით გაბადრული სახე, ერთხელ მაინც მოესმინა მისი, ალერსით გამთბარი „სენკა!..“

თუმცა, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო საქმე, ერთი ცხადი იყო: სენკა კონდრატენკოს აღმზრდელი ბუდე, სადაც მისი აკვანი დაირწა ოცდასამი წლის წინათ, ახლა გავერანებული იყო.

მოჯარებულ გრძნობებს ებრძოდა ჭაბუკი. გულს ბაგა-ბუგი გაეხშირებია, თითები თავისით ეკუმშებოდნენ.

ღამდებოდა. ფრონტელი ადგილიდან დაძვრასაც აღარ ფიქრობდა. რაღაც უცნობი ძალა ბოჭავდა მას, ადგომას და წასვლას არ ანებებდა. რა იყო ეს? დაბნეულობა? სულიერად დაცემა? გულგატეხილობა?—გაურკვეველი იყო სენკასათვის, იგი ამას ვერ გაგიმარტავდათ ახლა.

ადგეს, გაიაროს ხუტორის შუაგულისაკენ! მისი სახლი ხომ სხვა სახლებისაგან განაპირებით იდგა და ამიტომაც ვერავინ გაიგო სენკას დაბრუნება!.. ადგეს, შეიაროს მეზობლებში! იქ დაწვრილებით ეტყვიან ყველაფერს.

მაგრამ კონდრატენკო აღარ ჩქარობდა. იგი გაქვავებული იჯდა, სწორედ ისე, როგორც ქანდაკება და ხანდახან თუ ამოიოხვრებდა მხოლოდ.

მწუხრი თანდათან ჩამოწვა, მიმქრალმა შუქმა ფრონტელის მკერდზე მთავრობის ჯილდოები ააკიაფა. სადღაც ბუმ გულშემზარავად ჩაჰკივლა სიბნელეში გაწოლილ ხუტორს. მდინარის ხმაც გარკვევით გაისმა, თითქოს ამდენხანს გაჩუმებული იყო.

სენკა კი იჯდა და ზღვა ფიქრებში, თუ მოგონებებში ცურავდა. მას ზამთრები გაუტარებია ღია ცისქვეშ, თოვლში. უძინია სუსხიანი ყინვების დროს, აუტანია შიმშილი, წყურვილი...

და რას წარმოადგენდა მისთვის დაუვიწყარ კერასთან ერთი ღამის გატარება?

ისიც იჯდა ფიქრადქცეული.

ვინ იცის სანამ დარჩებოდა ასეთ მდგომარეობაში, რომ მუზობლის ვაჟი, თექვსმეტი წლის ანდრეი არ წაწყდომოდა შემთხვევით და სახლში არ წაეყვანა.

შემდეგში სენკამ გაიგო, რომ იგი ერთადერთი დარჩა მშობლიურ კერიდან, რომ ყოვლად საზიზღარმა მტერმა, ბევრ სხვა ოჯახთან ერთად, მისი ოჯახიც მოსპო და გაანადგურა.

ეს იყო და ეს. გაღებული მსხვერპლი აუნაზღაურებელი რჩებოდა; დაკოდილი გულის გამთელება ძნელი იყო.

და სენკამაც დაიწყო ახალი ცხოვრება, ახალი ფიქრებით, ახალი განცდებით. მუდამ მხიარული, იგი გულჩათხრობილი, სიტყვაძვირი გახდა.

მაღლა მოექცა თუ არა გორაკს, სენკამ მონაბერი სიოს სიგრილე იგრძნო. შეჩერდა, ქვევით, დაბლობში გადაჭიმულ პურის ყანებს თვალი გადაავლო და ხარბად ამოისუნთქა.

— უკრაინა!.. ჩემი უკრაინა!—აღტაცებით წამოიძახა, სახეგაფითრებულმა ერთხელ კიდევ გაჰხედა ყანების ზღვას და გზა განაგრძო. ღიმილის ნაპერწკალი, რომელიც უეცრად გამოჩნდა მის სახეზე, ელვის სისწრაფით გაქრა. შუბლი შეიკრა, დაღონდა.

წუთით, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, ისევ შედგა, მარიანას წერილი, რომელიც გუშინ ვალიამ გადასცა და რომელიც ახლაც ჯიბეში ედო,

სასწრაფოდ ამოიღო და თვალიერება დაუწყო. ო, როგორ კბენდა გულზე ის, რომ წერილში სენკა სრულიადაც არ იყო ნახსენები.

— მარიანა!.. ტკბილო!.. სად ხარ ახლა?.. სად არიან შენი თვალები, რომელთა ეშხი ჩემს გულში სიყვარულის კოცონს აგიზგიზებდა?—ჩაიბუტბუტა, წერილი ისევ დაკეცა და შეინახა.—

მართალია, წერილი ვალიას მისამართით მოვიდა, რადგან მარიანამ ჩემი დაბრუნების შესახებ დღემდე არაფერი იცის, მაგრამ რატომ არ მოვაგონდი, რატომ ერთი სიტყვაც არ წერია ჩემს შესახებ?—მსჯელობდა გულში ბილიკზე მიმავალი სენკა.

ომგადახდილ ვაჟკაცს ახარებდა სამშობლო მხარეში დაბრუნება, იგი დილის აისივით შეჰხაროდა ყოველ დღეს, რომელსაც ქვეყნის წინსვლა, ქვეყნის დიდება მოჰქონდა; სულდგმულობდა ქვეყნის მიღწევებით, სუნთქავდა ქვეყანასთან ერთად. მაგრამ პირადი ცხოვრება, ესოდენ აფორიაქებული და დანგრეული, სულს უწეწავდა, ტანჯავდა. მასში სიხარული და მწუხარება, ერთმანეთთან შერწყმულ-შეზავებული, ქმნიდნენ ისეთ შინაგან განცდებს, რომლის დაძლევა სრულიადაც არ ჰგავდა ფრონტზე მტრის დაძლევას, მტერზე გამარჯვებას.

მიაბიჯებს სენკა. აი, ბრიგადაც!.. ათიოდე ნაბიჯზეა დაშორებული... კვლავ შრომის ცეცხლია გაჩაღებული, კვლავ სიმღერა მოისმის!.. აი, კომბაინიც არ ისვენებს!..

მაღალი, წითური ნაყვავილარი კაცი გამოეყო მომუშავეებს და ტრაქტორებისაკენ გაეშურა.

— დროა ვისადილოთ... წყალიც მოაქვთ!—ასეთი იყო მისი განკარგულება წასვლის წინ.

სენკამ იცნო ბრიგადირი გავრილ კუზმენკო, მეტად გამრჯე და გულისხმიერი ადამიანი.

— „ტრაქტორებთან მიდის... მისი მზრუნველი ხელი ყველგან უნდა მიაწვდინოს!.. უცნაური კაცია კუზმენკო: სანამ კარგად შეგისწავლიდეს, კითხვებით სულს ამოგაცლის... შეგისწავლის, შესაფერ ადგილსაც მიგიჩენს და დაწყნარდება—მერე სხვას მიაშურებს. ენერგიულია!.. ყოფილ პარტიზანს, არ ეძნელება ადამიანთა ხასიათების გამოცნობა; მას არ ეძნელება ხალხის გულის მოგება პატიოსანი შრომით, ხალხთან დაახლოვება. დამსახურებულადაც სარგებლობს თანასოფლელთა სიყვარულით!“—თავისთავს უთხრა სენკამ საყვარელ ბრიგადირზე.

კოლმეურნეები ცივ წყალს მოხარბებულად დაეწაფნენ. ჯანღონით სავსე, თვრამეტი წლის დუნია ჩვეულებრივად ოხუნჯობდა.

„Ох, Семен, Семен!.. Молодой Семен!.. ეხმაურებოდა სენკა თავისი კრიალა ხმით, თითქოს ჭიდილში იწვევსო. კოლმეურნეები იცინოდნენ.

სენკა წუნარი ღიმილით პასუხობდა საერთო მხიარულებას. მას კარგად ესმოდა, რომ დუნიასთანას ბევრს ეჭირა მასზე, თვალი, რომ სამამულო ომის შემდეგ სენკასთანა ახალგაზრდების ერთგვარი სიძვირე იყო, მან იცოდა, რომ ბევრ გასათხოვარ ქალს ნერწყვი უშრებოდა საქმროს მოლოდინში.

მაგრამ, განა ყველასათვის გარკვეული იყო, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა სენკას გულში? განა ყველამ იცოდა, რომ სენკას მათთვის არ ეცალა? ცხადია, არა! მარიანა ხომ მათ დიდი ხანია მიივიწყეს, რადგან მისგან არაფერი ისმოდა, ხოლო წერილის შესახებ, რომელიც ვალიამ მიიღო და რომელიც ახლა სენკას ჰქონდა ჯიბეში, არავინ იცოდა.

— სადილი!.. სადილი!—გაისმა უცბად ბრიგადირის ხმა, რომელსაც ხელი მაღლა აეწია და თავის ირგვლივ ატრიალებდა, თითქოს ჰაერში წრეს ხაზავსო.

ყველანი დიდი მუხის ჩრდილისაკენ დაიძრნენ, სადაც საველე სამზარეულო იყო მოწყობილი.

კომბაინები დადუმდნენ. უფრო ჩამოცხა...

* * *

დასავლეთიდან კუპრივით შავი ღრუბლის პატარა ნაჭერი სიჩქარით წამოვიდა, თანდათან გაიზარდა და ცის მთელ სივრცეს ვეებერთელა ნაბადივით გადაეფარა.

ხუტორი ახმაურდა. ყველა წვიმას მოელოდა.

— უთუოდ წვიმა იქნება!..—თავისთვის თქვა მოხუცმა დიასახლისმა და სახლის კარი გამოიხურა,—იმ კაცმაც, რომ დაიგვიანა!..—დაუმატა წუწუნით და ძროხის მოსაყვანად გაეშურა, რომელიც იქვე მახლობლად იყო ჩაბმული საძოვარში.

ფეხის ხმა მოესმა. ყურადღება არ მიუქცევია, გზას განაგრძობდა.

— ანა ფეოდოროვნა, საით გაგიწევიათ?—გაიგონა ახლა ნაცნობი ხმა. იგი შემოტრიალდა, მისკენ მომავალ ვაჟკაცს მზერა გაუსწორა და თავისი მადლიანი ხმით გაესაუბრა.

— ო, გავრილო, შენა?—გაეხარდა,—აგერ, ძროხასთან მივდივარ, შვილო!.. დაღამდა, შინ მინდა წავიყვანო.—გავრილს უნდოდა ეკითხა სენკა თუ არისო შინ, მაგრამ გადაიფიქრა, გზიდან გადაუხვია.

— თქვენ დაიცადეთ, დედილო, წუთში აქ ვიქნები!—ჩაესმა მოხუცს მისი სიტყვები.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო!.. ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს შენს ცოლ-შვილში! —ლოცავდა ანა ფეოდოროვნა ბრიგადირს.

ცოტა ხანიც და ორივენი სახლში იყვნენ.

ქარი თანდათან ძლიერდებოდა. სუსტი, ჟუჟუნა წვიმაც ნელ-ნელა წამოვიდა. გვალვისაგან ხახაგამშრალი მიწა ხარბად იწოვდა წვიმის წვეთებს.

ჩამობნელდა. წვიმამ იმატა. დიასახლისმა კვლავ გამოაღო სახლის კარი და როცა სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, ბუზღუნით მიხურა:

— ადრე მოდი-თქო, შევეხვეწე... აი, მისი ადრე მოსვლაც!..

გავრილ პეტროვიჩი მიხვდა, რომ ეს საყვედური მიხაილ ნიკოლაევიჩის მისამართით იყო თქმული. დიასახლისი არ ტყუოდა. მიხაილის ხნის კაცისათვის ასეთ ღამეში სიარული მართლაც გაუმართლებელი იყო.

და კუზმენკომ წარმოიდგინა წელში მოხრილი, მრავალი ავისა და კარგის მნახველი, გულკეთილი ადამიანი, რომელმაც სენკას მამობა გაუწია და სახლში აცხოვრებდა. მისი სპეტაკი ჭალარა ამ წვიმის ქვეშ?.. დაენანა.

— მიხაილ ძველია, დედილო, ძველი!—გაეხუმრა მოხუცს და ისევ მიხაილზე ფიქრს მიეცა. მის წინ იდგა შუახნის, ახოვანი ვაჟკაცი (ასეთს მოესწრო კუზმენკო მას), თეთრი, ნათელი, მხიარული სახითა და ჭროღა თვალებით.

აი, თითქოს ახლა, გუშინ იყო ყველაფერი ეს!.. სად არის ის მიხაილი?

— ეხ, დროვ, დროვ!.. რა მალი და შეუბრალებელი ხარ!—ჩივილით წარმოთქვა ბრიგადირმა გულში.

— არ იყო საჭირო წვიმა, შვილო, არ იყო,—განაგრძობდა მოხუცი დიასახლისი,—ბარემ, მოსავალს ავიღებდით და მერე მოსულიყო!..

— ცოტა გვიკლდა, დედი, ცოტა,—დაემოწმა კუზმენკო,—ორ დღეში ყველაფერს წესრიგში მოვიყვანდით!.. რას იზამ...

კარი გაიღო. სინათლეზე სენკა და მიხაილი გამოჩნდნენ, მთლად გაწუწულნი.

— გელოდეთ, გელოდეთ!—ღიმილით შეაგება ბრიგადირმა მოსულთ.

მიხაილი უჩიოდა წვიმას, ზარალის მეტი არაფერი მოუტანიაო. სენკა უსიტყვოდ იცვლიდა ტანისამოსს. აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც სიხარულს მალავდა. სახემ გათქვა იგი; ასე მოღიმარი დიდი ხანია არავის უნახავს.

კუზმენკო მიხვდა, რომ ის, რაც მან ფოსტის გამგისაგან შეიტყო, მართალი უნდა ყოფილიყო.

— ალბათ, მართლა მიიღო წერილი მარიანასაგან, ალბათ, მართლა მასთან წასვლას აპირებს,—გაიფიქრა. თუმცა ეს უკანასკნელი აზრი, რომელიც სენკას წასვლას შეეხებოდა, არ უნდოდა, დაეჯერებია. არ ემეტებოდა ერთგული ვაჟკაცი გავრილ პეტროვიჩს, არ უნდოდა, რომ სენკა გასცლოდა მშობლიურ ხუტორს.

— ჩვენ, მამაკაცები, ისედაც ცოტანი ვართ... სენკაც რომ წავიდეს, მერე?!—აწუხებდა ფიქრი გავრილს. იგი მოუთმენლად ელოდა საქმის ნამდვილი ვითარების გაგებას.

— შეიძლება არ მიდიოდეს?.. შეიძლება ტყუილი იყოს, რაც გავიგე?—იმედებდა თავს.

მას არ უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ თანშეზრდილი და ერთგული სენკა გაეყრებოდა. კუზმენკოს ისიც კი გაუგია, რომ ეს მეორე წერილია, რომელიც მარიანასაგან ამ მოკლე ხანში მოვიდა. ნუთუ მართალია?.. ნუთუ დაუმალა სენკამ ეს ამბავი თავის ბრიგადირს?.. რატომ?.. არ ენდო?

ყველაფერს გაიგებს ახლა, ყველაფერი გამოირკვევა! და იგი, როგორც უმცროს ძმას, ისე გაესაუბრა მის გვერდით მჯდარ სენკას, მხარზე ხელი დაჰკრა და თვალებში ჩააცქერდა.

— როგორ, ყმაწვილო, მიტოვებას ხომ არ გვიპირებ?—ბოხი ხმით წარმოთქვა მან,—რა დაგიშავეთ?

სენკამ თავი დაჰხარა. ბრიგადირის ცქერა აუტანელი იყო მისთვის. მისი თვალები გულისწყრომასა და საყვედურს გამოხატავდნენ.

მოხუცი მიხაილი იქვე იჯდა და უსიტყვოდ შეჰყურებდა ხან სენკას და ხან გავრილს. მას ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ ყმაწვილები. სენკას მისთვის არაფერი გაუმხელია.

სიჩუმე ჩამოვარდა. რატომღაც, არავინ არ ცდილობდა მუუდროების დარღვევას.

ანა ფეოდოროვნა ოჯახური საქმეებით იყო გართული და ყურიც არ უთხოვებია მამაკაცთა საუბრისათვის.

სენკამ ახლა მწვავედ იგრძნო, რომ კუზმენკოს საყვედური სამართლიანი იყო. მართლაც და, რა დააშავეს მშობლიური ხუტორის მცხოვრებლებმა მის წინაშე, რომ სამუდამოდ სტოვებს მათ?

დაბრუნდა სამამულო ომიდან. ოჯახი გადაბუგული, გაუკაცურებული დახვდა; ომგადახდილ ვაუკაცს კოლმეურნეობამ შეგობრული ხელი გაუწოდა—მიხაილთან მოაწყვეს ოჯახში დროებით. მშობლების გულის ნაცვლად, უფრო დიდი, სიყვარულით აღსავსე გული იპოვნა ხალხის სახით. კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა მოკლე ხანში სახლი აუშენონ, ყოველმხრივ ეხმარებიან...

კუზმენკო? კუზმენკოსაგან ხომ იმდენად არის დაეალებული, რომ ამაგის გადახდაც შეუძლებელია!.. იგი სენკას ნამდვილი უფროსი ძმაა!.. გავრილი ხომ მუდამ იმას ცდილობდა, სენკას მდგომარეობა გაეუმჯობესებია, როგორმე შეემსუბუქებია ახალგაზრდა კაცისათვის მოულოდნელად თავსდატეხილი გულის ვარამი. იგი მუდამ ზრუნავდა სენკაზე, როგორც მკვიდრ ძმაზე!..

ხოლო სენკა? სენკამ გულჩათხრობილობა არჩია. თავის ნაღველს არავის არ უზიარებდა, განმარტოვდა. აკი, პირველი წერილის მოსვლაც დაუმალა ბრიგადირს; და მხოლოდ იმიტომ, რომ ვალიას სახელზე გამოგზავნილ იმ წერილში სენკას შესახებ არაფერი ეწერა, ერთი სიტყვაც კი. მთელი წერილი აგებული იყო მარიანას ცხოვრების, უცხო მხარეში მისი კარგად მოწყობის ამბავზე. ეს ეამა სენკასაც, მაგრამ ვინ იცოდა, რას ფიქრობდა ახლა მარიანა, რა მოხდა მის ცხოვრებაში ახალი, ახსოვდა თუ არა ოდესღაც საყვარელი სემიონი?

და სენკამაც დუმილი არჩია.

ახლა კი, ყველაფერი ნათელი იყო. სენკამ მარიანასაგან საკუთრად მიიღო ბარათი, რომელშიც, აუცილებლად ჩამოდიო, ემუდარებოდა ქალი.

მაშ, რა იყო, რა ჰქონდა დასამალავი, საიდუმლო?...ან რად უნდა დაეუოვნებია აქ?

ამხანაგები?.. ნაცნობ-მეგობრები?.. მშობლიური კერა?.. ო, ძნელია მათი დატოვება, ძნელია უმათობა!.. მაგრამ... მარიანა!?..

— ო, მარიანა!.. ტკბილო!.. შენი თვალები...—კინაღამ ალაპარაკდა ჭაბუკი.

—ჩანს, არ გინდა გვიპასუხო, ან გეძნელება თქმა!—ისევ დაარღვია დუმილი გავრილ პეტროვიჩმა. იგი ისევ უცქერდა სენკას მშვიდ და ლამაზ

სახეს. სენკას თაფლისფერი თვალები ბრიგადირის ცქერას კვლავ გაურბოდნენ.

— ეგეც, ახალი ამბები!—ჩაერია საუბარში მიხაილი. ის მიხვდა, რომ სენკა ხუტორიდან წასვლას აპირებდა. გული ეტკინა მოხუცს. შვილივით მიაჩნდა შემოხიზნული ვაჟკაცი.

და მამასავით მიეცა სენკაზე ფიქრს.

— წავიდეს უნდა... ნეტავი, რატომ, ან საით?—გაიფიქრა მიხაილმა.

— მე ბევრი სალაპარაკო არ დამრჩენია,—წყნარად თქვა სენკამ და ჯიბიდან კონვერტი ამოიღო,—აი, ამ ქალალდმა ილაპარაკოს!—და დაკეცილი ქალალდი ბრიგადირს გაუწოდა.

გავრილ პეტროვიჩმა წერილი გაშალა. იგი ლამაზი, გაკრული ხელით იყო დაწერილი.

„ძვირფასო სენკა!—იწერებოდა მარიანა,—ვფიქრობ, წარმოიდგენ იმ სიხარულს, რაც მე განვიცადე შენგან წერილის მიღებით. უბრალოდ გეტყვი: ბედნიერი ვარ!

დე, ეს პატარა ბარათი იყოს ჩვენი შემდგომი, საამური, მონატრებული ცხოვრების დასაწყისი!

მე ბევრჯერ მიფიქრია ჩვენს მომავალზე; ბევრჯერ მინატრია, მიოცნებია კიდეც ჩვენს მომავალ შეხვედრაზე, რომელიც ომის შემდეგ უნდა მომხდარიყო და რომელიც სრულიად განსხვავებული იქნებოდა სხვა შეხვედრებისაგან. ბედნიერებაა ოცნების განხორციელება!.. და ეს ბედნიერება ჩვენ გვხვდა წილად. ჩვენ ხვალ, თუ ზეგ ერთმანეთს ვიხილავთ, გავიხარებთ!..

და კაცმა მართალი რომ თქვას, განა არ არის დრო, ბოლო მოეღოს ამ დაუდეგარ, მწველ ფიქრებთან ჭიდილს? დროა, ჩემო სენკა!.. და ეს დრო უკვე ჩვენს განკარგულებაშია!

ო, რა ბედნიერები ვართ!.. მომავალი ჩვენია, ჩემო სიხარულო! ვიხაროთ, გავსწიოთ წინ ჩვენს დიად სამშობლოსთან ერთად!.. ჩვენ ისევ ახალგაზრდები ვართ!.. ბევრის გაკეთებას შევძლებთ!.. ვიშრომებთ, ბედნიერად ვიცხოვრებთ!

მე არ შევუდგები ჩემს პირობებზე თხრობას. გაცნობებ მხოლოდ ერთს: საუკეთესოდ ვცხოვრობ. მომიხდა სიძნელეთა გადალახვაც. კარგ ადგილას მოვეწყვე; ხალხიც კარგია. გაგაოცებს საქართველო მისი ბუნებით, შეგიყვარდება და ვერ გაეყრები.

მშვენიერებაა აქ, მშვენიერება, რომლის შესადარს ნაკლებად ნახავ სხვაგან!

იჩქარე, იჩქარე!.. ჩამოდი ჩემთან!.. ყველაფერი რიგზე იქნება!

შეიძლება გაგიძნელდეს წამოსვლა მშობლიურ მხარიდან, შეიძლება გაგიჭირდეს ნაცნობ-მეგობართა მოშორება. მაგრამ გახსოვდეს, რომ აქაც ჩვენი სამშობლოა, რომ ხალხის სიყვარულს ყველგან დაამტკიცებ.

უნდა გაგიტყდე, რომ მე (თუმცა არა ერთბაშად) საბოლოოდ გადავწყვიტე აქ დარჩენა. ნუ მიწყენ თუ ვიტყვი, რომ უკრაინა შენზე ნაკლებად როდი მიყვარს!..

მოდი ძვირფასო, ჩამომართვი ხელი! შემდგომი წინსვლის გზაზე ერთად წარმოვთქვათ: გაუმარჯოს მოპოვებულ ბედნიერებას!..

იჩქარე, იჩქარე, ჩემო სენკა!.. გელოდები მოუთმენლად. სალამი ჩვენს ამხანაგებს და ნაცნობებს!

მაგრად გართმევ ხელს და გეხვევი წლების შემდეგ!.. შენი მარიანა,"

ბრიგადირმა შუბლის კოპები შეიკრა და ბარათი უხალისოდ გადასცა პატრონს. ჩანდა, წერილის შინაარსმა ცუდ გუნებაზე დააყენა.

— ახლა მჯერა,—ნაღვლიანად თქვა მან,—ახლა მჯერა, რომ უძლური ვარ, წინააღმდეგობა გავუწიო თქვენს სურვილს... დე, მოხდეს ისე, როგორც თქვენ გწადიათ!.. სხვა გამოსავალი არ არის...—დაასრულა და სენკას მიაშტერდა. ენა ამბობდა იმას, რისი წინააღმდეგიც გული იყო. ბრიგადირი ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა ამ მოულოდნელ ამბავს.

მიხაილ ნიკოლაევიჩმა, თითქოს ახლა დაინახაო თანამოსაუბრენი, მხრები შეიბერტყა და გამკილავად წარმოთქვა:

— ჩანს, მოხუცებს ახალგაზრდებისა არაფერი ეკითხებათ!—კუზმენკომ გაიღიმა; სენკა კი ისევ დუმდა.

— ჩვენ დავიგვიანეთ, ჩემო მიხაილ!—ცივად თქვა ბრიგადირმა,—იქ ალარ ვართ საჭირო, სადაც არაფერია გასაკეთებელი!..

წამოდგა. კარებს მიაშურა.

— დარჩით, დარჩით!—დაწია მოხუცმა.

კუზმენკომ ვერ გაიგონა. გარეთ გამოსულმა ნესტიანი, არასასიამოვნო სიგრილე იგრძნო. არ წვიმდა, მაგრამ ცა ისევ ღრუბლებით იყო დაფარული, ბნელოდა.

— გავრილ!.. გავრილ!—მოესმა მას, როცა ჭიშკართან მიაღწია. სენკას ხმა იყო.

— რად წუხდებოდით! მე ხომ პირველად არ ვარ შენთან?—ირონიული ღიმილით უთხრა გავრილმა.

— გავრილ!—ხელით შეაჩერა სენკამ ბრიგადირი. მის ხმაში მორბილება იგრძნობოდა,—მე ვგრძნობ, მე მესმის შენი გულის ტკივილი... შენ, უთუოდ მართალი ხარ!.. მაგრამ ჩემი ცხოვრება ამ გზით უნდა წარიმართოს. ის, რაც გადავწყვიტე, უნდა შესრულდეს!.. იმედი მრჩება, რომ ჩვენ ისევ ძმები დავრჩებით!..—დაასრულა სენკამ რაღაც უცნაურ კილოზე, რომელშიაც ბევრი რამ შეიძლებოდა ამოგეკითხათ.

— გული მტკივა, ჩემო სენკა!—ამღვრეულად თქვა კუზმენკომ,—მძიმეა შენი წასვლა ჩემთვის!.. მინდოდა კერა არ ჩაგექრო. ჩვენი ხუტორის, კომლი ყოფილიყავი, წუთისოფელი ერთად გაგვეტარებია... მაგრამ ვხედავ, რომ ეს ასე არ მოხდება!

გაჩუმდა, თითქოს სიტყვა შემოაკლდაო.

კუზმენკოს სიტყვებმა სენკა მოსტეხეს. ვაჟკაცი მზად იყო ცრემლიც დაეღვარა.

— ეჰ, სიყმაწვილევ, სიყმაწვილევ!—ისევ გაისმა სიბნელეში ბრიგადირის ხმა და ქუჩის ქვაფენილზე ჯარისკაცის ჩექმებმა გაიხმიანეს.

გუნებააშლილ სენკას დიდხანს არ ჩაძინებია. იგი კვლავ მარიანაზე და უცხო, მაგრამ მომხიბვლელ საქართველოზე ფიქრობდა.

— მაშ, ასე!—წამოიძახა მან ბოლოს,—კავკასია!.. კავკასია!..—და ბინაში სრული მყუდროება დამკვიდრდა.

LI.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. იგი უფრო დავას ჰგავდა, ვიდრე საუბარს. დერეფანში არავინ იყო, გარდა ორი ახლადმოსული ქალისა. ისინი კაბინეტის კარებთან იდგნენ.

— აქ უნდა იყოს!—თქვა მაღალმა, შავთვალწარბა, ახალგაზრდა ქალმა და მხლებელს გადაჰხედა. ეტყობოდა გაუხარდა, რომ თავმჯდომარეს კაბინეტში მოუსწრო.

— კარგ დროს მოვსულვართ,—კმაყოფილებით მიუგო დაბალმა, ქერა ქალმა—ცოტა დაგვიანებული ვართ, მაგრამ, როგორც ჩანს, ლევანი ჯერ აქაა!..

ორივემ ერთმანეთს უსიტყვოდ შესცინეს.

მაღალ ქალს, რომლის სილამაზე პირველი დანახვისთანავე ატყვევებდა კაცის გულს, ხელში რაღაც დაკეცილი ქაღალდი ეჭირა. იგი რამდენჯერმე წაეტანა კარის სახელურს, მაგრამ ხელი ისევ შეუშვა. ნერვიულობდა.

კაბინეტში კვლავ კამათობდნენ.

— შევიდეთ!—გადაჭრით თქვა ქერა ქალმა და კარებზე თამამად დააკაკუნა.

— შემოდით!—იყო ხმა შიგნიდან.

ახლა. მაღალმა ქალმა, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, მაგრად მოსწია სახელური და კარი გამოიღო.

წუთით სიწყნარე გამეფდა.

საშუალოზე მომაღლო, ჩასუქებული კაცი, რომელიც მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა, საჩქაროდ წამოდგა და მოსულთ ღიმილით შეეგება.

— მარიანას გაუმარჯოს!—თქვა მან ომახიანად და ახალგაზრდა ქალს ხელი გაუწოდა.

— იცნობდეთ!—თვალით უჩვენა მარიანამ თავმჯდომარეს თავის მხლებელ ქერა ქალზე,—ჩაის ფაბრიკის მუშაა... იქნებ გენახულებათ კიდეც.

ლევანმა ახლადგაცნობილი ქალი შეათვალიერა. უცნობის ჭროღა თვალები მოუსვენრად მოძრაობდნენ, სახე უღიმოდა.

— მინახავს, მინახავს... როგორ არა,—თქვა თავმჯდომარემ და მოსულნი თავაზიანად მიიპატიჟა დასაჯდომად.

კაბინეტში მათ გარდა კიდევ ვიღაც ხმელი, მაღალი კაცი იყო. იგი, თითქოს აქ არავინ არისო, არხეინად მიდიოდა ერთი კუთხიდან მეორემდე, ბოლთას სცემდა, თანაც მოლაპლაპე მელოტზე ხშირ-ხშირად ისვამდა ხელს.

მარიანამ აღარ ჩათვალა საჭიროდ დამჯდარიყო და საუბარი განაგრძო:

— აი, ის, რაზედაც გუშინ გითხარით, ამხანაგო ლევან!—უთხრა თავმჯდომარეს ზრდილობიანი კილოთი და ქაღალდი მისცა,—ვფიქრობ, დროა შევუდგე საკუთარი ოჯახის საფუძველის ჩაყრას!..—ჩაიცინა.

ლევანმა ქაღალდი გულდასმით გადაიკითხა და მაგიდაზე დადო. დაფიქრდა. ყველანი გაირინდნენ; მელოტი კაცის ფეხის ხმას თუ გაიგონებდით მხოლოდ.

ფანჯრიდან მონაქროლმა ნიავმა თავმჯდომარის გაჭაღარავებული თმა შეარხია.

— კეთილი!—გაისმა უცბად ლევანის ხავერდოვანი ხმა,—შევეცდები ყველაფერი გავაკეთო თქვენს საკეთილდღეოდ... ხვალ შემოიარეთ, ამხანაგო სიდორენკო!—დაუმატა მთელი სერიოზულობით. მარიანამ მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს.

კაბინეტის კარი ისევ გაიღო და მიიხურა.

ქუჩაში გამოსულმა ქალებმა ხარბად ამოისუნთქეს. ზაფხულის თბილი, მთვარიანი ღამე იწყებოდა. ლურჯ ცაზე აქა-იქ ლეგა ღრუბლები უწესრიგოდ დაფარფატებდნენ. სიწყნარეში მკაფიოდ გაისმოდა მდინარე დეხვას გულჩათხრობილი დუდუნი. ჯერ არც ფრინველებს ეძინათ; მათი გალობაც ატკბობდა ყურთასმენას. უფრო მოშორებით, ჩაის ფაბრიკის იქით, ვიღაცა აკორდეონს უკრავდა.

მგზავრებმა ნაბიჯს აუჩქარეს. აი, ჩაის ფაბრიკის ჭიშკარიც! საშუალო ტანის ჩოფურა რუსმა, რომელიც ფაბრიკის ეზოს შესასვლელთან იდგა, რაღაც უცნაურად გაუღიმა ქერა დედაკაცს. მარიანამ შენიშნა, რომ ჭაღარა მეკარემ ჩაიცინა და ცალი თვალი მოხუჭა.

— ვალია ხვალ საღამოს აუცილებლად ამოდი!—მოაგონა მეგობარს მარიანამ.

— კარგი.—მოკლედ თქვა ქერა ქალმა და ფაბრიკის ეზოში შევიდა.

მარიანა ნაძვებით დაბურულ ქუჩას გაჰყვა. მარტოდ დარჩენილი, იგი წარსულზე ფიქრს მიეცა. მოაგონდა უკრაინიდან პირველად ჩამოსვლა. სამამულო ომის სუსხიანი დღეები იდგა. როგორ ეუცხოვა ყველაფერი თავდაპირველად, ეხამუშა კიდეც!.. ეგონა ვერ შეეწყობოდა აქ ცხოვრებას, ვერ შეეგუებოდა აქ, მისთვის ჯერ უცნობ გარემოს. მაგრამ ალია, ხიბლავდა აქაური ბუნება, იტაცებდა პეიზაჟთა მრავალფეროვნება, მაგრამ ციტრუსები?.. ციტრუსები ხომ უცხო იყო მისთვის!.. შეეჩვეოდა, აითვისებდა ამ არაჩვეულებრივი თვისებების მქონე მცენარეებს?.. ან, ხალხი?.. როგორ მიიღებდა ხალხი?—არ ესმოდა მაშინ მარიანას. იდგა სასოფლო საბჭოს შენობის აივანზე, უხეიროდ ჩაცმული, ფერმკრთალი სახით. შავი თვალები ჩაცვივნოდნენ და სრულიადაც არ იქცევდნენ მნახველთა ყურადღებას.

აი, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები! გაჩნდა ბინაც, სამუშაოც!.. მარიანას ახსოვს, როგორ გამოიძახა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ საშუალო ტანის, შავგვრემანი, ულვაშებიანი კაცი და უთხრა: მიიღე,

როგორც შვილი, სანამ ხელს მოიმართავდეს, შენთან აცხოვრეო. ცხვენოდა ქალს უცხო ადამიანების, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ.

დაუფასებელი ადამიანი აღმოჩნდა იაკობი. მან, მართლაც მამობა გაუწია მარიანას. შორეული მხრიდან ჩამოსული ქალი სრულიადაც არ გრძნობდა უცხოობას. იაკობის ბარაქიანმა ოჯახმა მადლიანი კალთა გადააფარა მას; შეითვისა, როგორც მკვიდრი, როგორც შინაური.

რა უბრალოდ, თითქოს თავისთავად, აეწყო ცხოვრება!.. რაოდენი სიტკბო იგრძნო მან სხვა ეროვნების ადამიანებთან დამეგობრებაში!

ციტრუსები?.. ციტრუსებზე ფიქრი ახლა აღარ აწუხებს მარიანას; აღარ ეჭვობს მათ შეგუებაზე. ციტრუსებს ველარ გაეყრება იგი, ისე შეუყვარდა ეს დალოცვილი მცენარეები!

ჯანმრთელობა, აი, რა აფიქრებდა მარიანას მუდამ, რა იყო მისი ზრუნვის საგანი თავიდანვე. ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, უკრაინიდან პირდაპირ ფრონტზე გაემგზავრებოდა ძმასთან ერთად, მაგრამ... მწვავე ტკივილებმა კავკასიაში ამოაყოფინეს თავი.

მარიანას გამოჯანსაღება იაკობის გადაუდებელი ამოცანა გახდა. აქაც თავი იჩინა მეგობრობის ძალამ. რამდენი ხარჯი, რამდენი ამაგი მიუძღვის იაკობს!.. სამჯერ კურორტზე წასვლაში მოუმართა ხელი; შვილივით უპატრონა. აღარც კოლმეურნეობას დაუვიწყნია მარიანა; ლევანიც ეხმარებოდა თავის მხრივ, რამდენჯერ მიუცია ფულადი დახმარება, რამდენჯერ მიუმართავს რჩევა-დარიგებით!.. მოხდა ისიც, რომ ადგილობრივმა კლიმატმა ქალის ორგანიზმზე დადებითად იმოქმედა. პატიოსანმა შრომამ, მუყაითობამ მარიანა ყველასათვის საყვარელი და მახლობელი გახადა.

ო, როგორ უხაროდა გამოჯანსაღება მარიანას!.. როგორ გაქრა ტკივილი, რომელიც მარცხენა გვერდში ბუდობდა...

და ცხოვრებაც უფრო მხიარულად, უფრო ბედნიერად წარიმართა. დღეები დღეებს გაჰყვნენ—წლებად აიკინძნენ... და მარიანამაც შრომაში თავი ისახელა. იგი უკვე მოწინავე კოლმეურნეა. მის მკერდს ლენინის ორდენი ამშვენებს.

აი, სწორედ ორი დღის წინათ ლევანმა დაუძახა, შვილივით გაუღიმა და უთხრა: კარგი ქალი მაშინ იქნები, როცა შენს ეზო-კარს დამანახვებო.

მართლაც, კაცმა რომ თქვას მართალი, სანამ უნდა იყოს იაკობთან? იცის, იაკობი ადვილად არ გაუშვებს, მაგრამ საქმე სხვას ითხოვს. წელან განცხადება მისცა თავმჯდომარეს—ავანსი უნდა გამოიტანოს. დაპირდა ლევანი და, ალბათ, შეასრულებს დანაპირებს. ოცდაათი ათასი მანეთი მარიანას საკუთრად ერგება, ზოგსაც ავანსის სახით მიცემენ და...

უცებ სტვენა მოესმა ქალს. ყური მიუგდო. წინიდან ვიღაც მოდიოდა და უდარდელად უსტვენდა რაღაც უცნაურ მელოდიას, რომელსაც მარიანა ჯერ კიდევ არ იცნობდა.

უცნობი მოახლოვდა. მარიანამ ნაბიჯს უკლო. თან უცნობს მზერას არ აშორებდა.

— მარიანა!—შეაგება ვაჟკაცმა ქალს.

— ვილაც სხვა მეგონე, შეჩვენებულო!—მიუგო ქალმა ალერსიანი ხმით. შეჩერდნენ. მარიანას წინ ბრგე ვაჟკაცი იდგა. ახლადაშლილი ულვაშები შავ ზოლებად აჩნდა; შავი თვალები არწივისებურად იცქირებოდნენ. ფართო, შავგვრემანი სახე მთვარის შუქზე უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა.

მარიანას ეამა თედოს შეხვედრა.

— ალბათ, იაკობმა არ დააყენა შინ,—გაიფიქრა და გაეცინა.

საოცარი კაცია იაკობი: როგორც კი ცოტაოდენი დააგვიანდება მარიანას, მაშინვე თედოს გაგზავნის—გზაზე ვინმემ არ შეაშინოს, ან ცუდი არაფერი შეემთხვესო. თედოც ვერ ეუბნება უარს და უყოყმანოდ ასრულებს მამის გასკარგულებას. სხვა, რომ არა იყოს, იაკობის ახირებული ხასიათი შვილისთვის ცნობილია—რასაც იტყვის, უნდა გაკეთდეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იაკობი ჭკვიანი კაცია და უაზრო რამ არასდროს მოუვა ფიქრად.

და აი, თედოსაც შეუყვარდა მარიანას შესახვედრად სიარული. ზოგჯერ, მარიანაც რომ არ ეგულებოდეს, კანტორისაკენ მაინც მიაბიჯებს.

ერთი, რასაც ამ ბოლო ხანებში ამჩნევს თედო, ის არის, რომ გული მუდამ მარიანასაკენ ეწევა, თითქოს დიდი ხნის უნახავი ჰყავდეს, თითქოს მარიანა მისი მახლობელი, განუყრელი იყოს. რა არის ეს? სიყვარული? ეს ჯერ არ ესმის თედოს.

— რატომ მოიჩქარე? ჯერ შეგეძლო დარჩენილიყავი... მგონი დღეს კინოც არის!—შეახსენა თედომ ქალს.

— შინისაკენ გამოვეჩქარე, ჩემო თედო! ხომ იცი ათასი საქმეა ოჯახში. ბიცოლა გაიანესაც (ასე ეძახდა მარიანა თედოს დედას) დახმარება სჭირია. კინოს ნახვას სხვა დროსაც მოვესწრებით,—თქვა მარიანამ თედოს საპასუხოდ,—თქვენ შეგიძლიათ დაესწროთ!—დაუმატა ცოტა დუმილის შემდეგ ეშმაკური ღიმილით.

— მე როგორ მოვიქცევი, ამის გარკვევა მე უკეთ შემიძლია!—მკვახედ წარმოთქვა თედომ. ქალის სიტყვები, რატომღაც ისე მოხვდა გულში, თითქოს ნემსი უჩხვლიტესო.

თედოს განაწყენებამ ქალში სინანული გამოიწვია. არ იცოდა რა ექნა. განა რა თქვა ისეთი, რომ საწყენი ყოფილიყო?.. მარიანა ამჩნევს, რომ, მიუხედავად გულკეთილობისა და ერთგულებისა, თედო სიფიცხეში ბევრად ასწრებს მამას. უბრალო მიზეზი და... უკვე ყალყზეა.

— რა კარგი იქნება, რომ ეს ნაკლი არ ჰქონდეს,—ინატრა მარიანამ. უკრაინელი ადამიანის ბუნება გულფიცხობას ვერ ეწყობოდა. ამჯერად იყუჩა.

ღამის სიწყნარეში ისევ დეხვას ჩვეული დუდუნი ისმოდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ბადრი მთვარე მედიდურად მისცურავდა. გრილოდა.

სწრაფად ამბოხებული გული სწრაფადვე დაწყნარდა. თედომ იგრძნო, რომ მისი გაჯავრება უადგილო იყო. რა თავისებური ხასიათი აქვს!.. ოდნავ საწყენი რამ თუ შეხვდა, წამსვე აინთება. რამდენჯერ შემთხვევია ასეთი უადგილო გაბრაზება და შემდეგ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. რა არის ეს, თუ არა საკუთარი გრძნობების დაუმორჩილებლობა?

ვაჟმა უსაზღვრო სივრცეს უაზროდ გაჰხედა და ვარსკვლავებს თვალიერება დაუწყო. უცბად მზერა მარიანაზე გადაიტანა. გარინდულად მდგომი ქალი შეებრალა.

— წავიდეთ!—დაარღვია სიჩუმე თედომ.

— უჯიათო!—გაეხუმრა მარიანა და მხარზე ხელი დაჰკრა,—ფიცხი ხარ, ფიცხი, თედო!—დაურთო საყვედურის კილოთი.

თედომ მორცხვად ჩაიცინა, შინისაკენ გაემართნენ. შარაგზას გვერდი აუქციეს და მოკლე ბილიკით წავიდნენ!.. აი, ცოტა კიდევ და გორაკს გადაივლიან!..

შრომისაგან მოქანცული სოფელიც მიყუჩებულიყო. აქა-იქ ძაღლების ყეფას თუ გაიგონებდით. ნარინჯოვანთა ბაღებში გაფანტული კოლმეურნეთა მაღალჭერიანი ოდები ლამაზად გამოიყურებოდნენ. გზის გარდიგარდმო მანდარანის ხეები თავჩაქინდრული იდგნენ, თითქოს ღრმა ფიქრებს მისცემიან.

აი, პატარა წყაროც, შეუპოვრად მორაკრაკებს გორაკიდან და ხევში ეშვება. ასწლოვანი, მაღალი მუხა ამაყად დგას სოფლის ბოლოში. მისი დაკოჟრებული კანი ამტკიცებს, რომ იგი ბევრი ჭირისა და ლხანის მომსწრეა.

— მშვენიერი ღამეა!—აღტაცებით წარმოთქვა მარიანამ, როცა გორაკზე მოექცნენ. იგი თვალს არ აშორებდა ჯადოსნურ, ადამიანის გრძნობათა დამატყვევებელ სანახაობას.

აი, სადღაც ორთქლმავალმა დაიკივლა და თეთრი კვამლის ქულები ამოუშვა. უფრო შორს, ზღვის მშფოთვარე ტალღებში სამგზავრო გემი მიცურავს.

მარიანამ ახლა სამხრეთის მხარეს გაჰხედა. აი, ცამდე აღმართული მთები გუშაგებივით დგანან და მდუმარებენ. მათი მკერდი მრავალწლოვანი ნაძვების ლეგიონებით არის დაფარული. თითქოს ისინიც ქვეყნის დასაცავად დარაზმულანო.

მარიანას სჯერა, რომ იმ მთებს გადაღმა სხვა ქვეყანა და სხვა ცხოვრებაა. მას ისიც ესმის, რომ საზღვრებს იქით უოლ-სტრიტელი ავაზაკები იარაღს აჟღარუნებენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მთელმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების მსგავსად, ერთსულოვნად მოაწერა ხელი მშვიდობის მოთხოვნას.

— უცნაურია ქვეყანა,—ფიქრობს ქალი,—დედამიწა ათასნაირი საზღვრებითაა დაქსელილი. არსებობს ცხოვრების სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა კანონები. გადახედავ ქვეყნებს და ნახავ: ერთში ცხოვრებაა, მეორეში ტანჯვაა, ერთში სიცოცხლეა, მეორეში სიკვდილი. ერთ უბრალო მიწის ზოლს, რომელსაც სახელად საზღვარი ეწოდება, ამდენი განსხვავების მოტანა შეუძლია, ამდენ სიშორეს ჰქმნის ცხოვრებათა შორის!..

იმის განცდამ, რომ მარიანა მთებს იქითა ცხოვრებაზე ფიქრს დიადი საბჭოთა ქვეყნის მიწაზე მყოფი ეძლეოდა, სიამაყის გრძნობა აღძრა მასში. ბედნიერია იგი, რომ საბჭოთა მოქალაქეა, ბედნიერია, რომ მისი სამშობლო თავისუფლების ქვეყანაა, ბედნიერია, რომ მასაც აქვს შესაძლებლობა დატკბეს შეძლებული ცხოვრებით!

მიდამოს სიყვარულით მოავლო თვალი. თავი მთელი ქვეყნის პატრონად წარმოიდგინა.

— მარიანა!—გაისმა თედოს ხმა,—შენ ისე გაგიტაცა იმ მთებმა, თითქოს პირველად უმზერ!

— ეხ, თედო!—აღმოხდა ქალს,—საქმეც ის არის, რომ პირველად არ ვხედავ და პირველად არ განვიცდი, თუ რა ხდება იმ მთებს იქით. ფიქრობ, ადარებ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნებს და ვერ წარმოიდგენ, თუ რამდენად ძვირფასი, რამდენად დიდია ჩვენი სამშობლო. ო, თედო! რამდენად ბედნიერები ვართ ჩვენ!

ქალის შთამაგონებელმა სიტყვებმა თედო დააფიქრა. მან ოცნებით განიცადა საზღვრის იქითა მხარეს მცხოვრები ადამიანების მწვავე ხვედრი. თვალწინ წარმოუდგა მძიმე შრომით მოტეხილი, გაძვალტყავებული, უუფლებო, შიშველი და მშიერი მშრომელი მოქალაქე, რომელსაც კაპიტალიზმის უღელი მიწასთან ასწორებს. გუნება წაუხდა, სამხრეთის სივრცეს კუშტად გაჰხედა.

ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა, შემდეგ კი, თითქოს ახლა დაინახაო, ქალს მიუბრუნდა:

— მათი ხვედრი მარტო ჩვენ როდი გვაფიქრებს, ჩემო მარიანა! მათზე მილიონები ეძლევიან ფიქრს... და გწამდეს: არც ისე შორს არის ის დრო, როცა იქაც დაჰბერავს თავისუფლების ქარიშხალი და მათ წამებასაც ბოლო მოეღება!..

მარიანას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ საკმაო დრო გავიდა მათ საუბარში.

— წავიდეთ!—თქვა მან და, თითქოს არც კი გაუგონია თედოს სიტყვები, სწრაფად გადადგა ნაბიჯი.

— რატომ იჩქარი?—იკითხა ვაჟმა და ქალს ალმაცერად შეხედა.

— ადრეა?—გაიღიმა მარიანამ.

— ვფიქრობ, არ დავაშავებდით, თუ ცოტას კიდევ დავიცდიდით... როგორც ვიცი, ბავშვები არ გიტირის!.. —საყვედურით თქვა თედომ.

თედოს არ უნდოდა მალე მისულიყვნენ სახლში. აქ, რატომღაც, უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. და თუმცა თქმით ჯერ არაფერი უთქვამს მარიანასათვის, რადგან თვით ვერ გამორკვეულიყო, უყვარდა თუ არა, მაგრამ, რაკი მასთან საუბარში სიტკბოებას გრძნობდა, უნდოდა, რომ ეს ტკბილი, სასიამოვნო წუთები უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო.

სახლში?.. რა არის სახლში? მივლენ თუ არა, მარიანა უკვე ოჯახურ საქმეებში ჩაებმება. ასეც რომ არ იყოს, ოჯახში ხომ მარტო თედო და მარიანა არ ცხოვრობს?.. და, ვაი, რომ იაკობმა რაიმე ეჭვი აიღოს! ხომ მოეჭრა თედოს თავი!.. იაკობი მარიანას შვილს ეძახის და თედომ ცოლობა თხოვოს?..

აი, რატომ არ ჩქარობს თედო შინ წასვლას!

— ო, რა შეუბრალებელი ხარ!—წყენით თქვა ვაჟმა, თამამად, მაგრამ ამავე დროს თავაზიანად მიიჭრა ქალთან, მკლავში მორიდებით გამოსდო ხელი და საურმე გზისკენ წაიყვანა.

ქალის მკლავის შეხებამ ჟრუანტელივით დაუარა ტანში. გრძნობები აეშალა. მარიანას ნაზ სხეულს უფრო და უფრო მიეკრა. როგორ

უნდოდა, რომ გზა, რაც შეიძლება გრძელი ყოფილიყო და მთვარიან ღამესაც დასასრული არ ჰქონოდა.

მიდიოდნენ წყნარად. იშვიათად თუ რომელიმე იტყოდა რამეს.

ქალს ვაჟის სიახლოვემ უკრაინა და სენკა მოაგონა. გაიხსენა, როგორ დადიოდნენ სენკა და მარიანა სწორედ ასე; რამდენი ღამე ჩაუძირავთ ტკბილ საუბარში... და ახლა? შორს იყო იგი.

აი, ბავშვობის წლებიც წინ გადაეშალა!.. კარგი იყო ცხოვრება, უდარდელი, უზრუნველი!... ტოლ-ამხანაგებთან ერთად სკოლაში დადიოდა. რამდენი ტკბილი დღე ახსოვს, რაოდენი სილაღე და ბედნიერება იგრძნობოდა მის ცხოვრებაში!..

გავიდა წლები, მარიანა დაქალდა კიდეც! შემდეგ სენკა!.. სიყვარული... და სამამულო ომიც!..

სამამულო ომმა ყველაფერი ჩააშხამა, არივ-დარია მისი ცხოვრება. როდის აეწყობა ყველაფერი წინანდებურად?.. შეხვდება, თუ არა საყვარელ სენკას?.. ნუთუ ის, რაც ძვირფასზე ძვირფასი იყო მარიანასათვის, ჩაკვდება გულში ისე, რომ ყლორტებს არ ამოიღებს, არ გაახარებს?

ეზოდან ძაღლის ყეფა მოისმა. ძაღლის ხმამ მარიანას ფიქრები გაუფანტა. გამოერკვა.

ფართო, განიერ, ლურჯად შეღებილ ჭიშკართან დიდი ნაძვის ხე დგას. ხის ძირში გრძელი სკამია გაკეთებული. ეზოს ქვის გალავანი აქვს შემოვლებული, ორსართულიან ოდიდან რადიოს ხმა ისმის. ელექტრონათურები თვალისმომჭრელად კიაფობენ. სახლიდან ადამიანთა ლაპარაკი არ ისმის. ჩანს დაწოლილან. ძაღლი შესასვლელ კართან წკმუტუნებს შიგნიდან; უნდა, რაც შეიძლება მალე გაიღოს კარი და ქალ-ვაჟს მიუთამაშოს.

— მარიანა!—დაბალი ხმით ამოილაპარაკა თედომ და ქალის სხეული უფრო მიიკრა. მან იგრძნო, რომ ეს უტკბილესი წუთები ხელიდან ეცლებოდა.

ქალი ამჩნევდა აღელვებას თედოს, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი შეენიშნოს. ეს კია, თავის მხრივ, არც იგი უწევდა წინააღმდეგობას ვაჟს, გაცლას არ ლამობდა.

— მარიანა!—ისევ გაისმა მარიანას ყურთან დახშული ბგერებისაგან შემდგარი სიტყვა.

და ქალმა დაინახა, თუ როგორ სწრაფად და თავდავიწყებით მიიზიდა თედომ მისკენ ქალის ალეწილი მკერდი, როგორ დაეკონა ლალისფერ ტუჩებს. ეს მოხდა უცბად, მოულოდნელად. მარიანა გაოგნებული დარჩა. არ ეგონა, თუ ამდენს გაბედავდა თედო.

— „ნუთუ სიყვარულით დაემართა?.. ნუთუ მართლა ვუყვარვარ და ველარ მიმხელს?“—ვერ მიმხვდარიყო ქალი.

თავბრუდახვეულმა თედომ ეზოში სიჩქარით შეაბიჯა, ყურშას უაზროდ გაეთამაშა და დამნაშავესავით დარცხვენილი გაემართა საწოლ ოთახისაკენ; იაკობი და გაიანეც დაწოლილი იყვნენ. არ იცოდა, რა სჭირდა, ყურები საშინლად უწიოდნენ, გაბრუებული იყო. ორგანიზმი რატომღაც დამშვიდებას, მოსვენებას მოითხოვდა. მიდიოდა უკან მოუხედავად.

— რა იქნა მარიანა?.. შემოვიდა ეზოში, თუ არა?.. ნეტავი, ეწყინა

ჩემი ქცევა?.. როგორ შემხედავენ ხვალ მისა შავი თვალები?—ვერ გაერკვია თედოს. ის იყო კარის ზღურბლზე გადააბიჯა, რომ ჭიშკრის ჭრიალი შემოესმა.

— შემოვიდა!—სიხარულით წარმოთქვა მან დაბალი ხმით და შვებით ამოისუნთქა.

*
* *

ღია ფანჯრიდან შემოსულ დილის სიგრილეს მზას სხივიც შემოჰყვა და მწოლარე ქალის გაცრეცილ სახეს მოურიდებლად ეამბორა.

— Мамо! мамо! *—გამოკრთნენ მკრთალ ბაგეებიდან. ავადმყოფი შეიშმუშნა, საბანი ულონოდ გადასწია და თვალები გაახილა.

—Мамо !— ისევ ამოიძახა მან და ოთახი მოათვალიერა. სიცხე ჰქონდა, ბორგავდა.

ბინაში მის გარდა არავინ აღმოჩნდა. ჩანდა არ ეამა მარტოობა, შეიჭმუხნა, თითქოს რაღაც საყვედურისნაირი უნდა წარმოთქვასო, მაგრამ ისევ დამშვიდდა, თავს ძალა დაატანა, კედლისაკენ გადაბრუნდა და თვალები მილულა.

ორი კვირაა მარიანა ლოგინიდან არ ამდგარა. თვითონაც ვერ გაეგო რა შოუვიდა. ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ერთ საღამოს ცუდად შეიქნა და ლოგინად ჩავარდა. „უბედურს ქვა აღმართში მიეწიაო“, რომ იტყვიან, ისე გამოვიდა. გული უფრინავდა, სახლის აგების ფიქრით იყო გატაცებული... და როგორ ჩაეფუშა ყოველგვარი გეგმა!..

მარიანას ავადმყოფობა სალაპარაკო გახდა სოფელში. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას; ბევრის აზრით ტიფი სჭირდა, ბევრი ფილტვების ანთებას მიაწერდა. მეტი საზრუნავი ახლა იაკობის ოჯახს შეექმნა. გაიანეს ებრალებოდა შორეული მხრიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალი და დედასავით უვლიდა.

„სხვა რომ არ იყოს, ხალხი რას იტყვის, ჩემს ოჯახში ცხოვრობს“,— ფიქრობდა გაიანე. ამგვარად ფიქრობდა იაკობიც. სულ სხვა იყო თედოს მდგომარეობა, მარიანას ავადმყოფობას ყველაზე მეტად იგი განიცდიდა. რაღა მაინცადამაინც ახლა გახდა ავად?.. რა იქნებოდა, რომ ერთი ხეირიანად მოლაპარაკებოდა? იქნებ ქალის მხრივაც თანხმობა ყოფილიყო!.. მაშინ რა აჯობებდა თედოს ცხოვრებას?.. ერთად ივლიდნენ, გაიხარებდნენ... მშობლები?.. მშობლები, ალბათ, ამის წინააღმდეგი არ იქნებოდნენ. ახლა ხომ ყველაფერ ამაზე ფიქრიც უადგილო იყო, რადგან მარიანას სიცოცხლეც საფრთხეში იყო. თედოს დარჩა მხოლოდ ზრუნვა საყვარელი ადამიანის განკურნებისათვის. იგი მზად იყო შეესრულებია ყველაფერი, რაც კი მარიანას გადაარჩენდა.

როგორ გაიტაცა თედო სიყვარულმა!.. მთელ ღამეებს თითქმის უძილოდ ატარებდა; მუდამ მარიანასთან იყო, მუდამ მარიანას შავი თვალები და მოღიმარე სახე ეჩვენებოდა. გამოიცვალა, მძიმე ხასიათის გახდა.

*) დედა! დედა! (უკრაინულად).

ო, როგორ ჩარჩა ხსოვნაში ის ერთი, რაღაც უცნაური, მაგრამ ზედმიწევნით ტკბილი საღამო, როცა მარიანას ბაგეებს ეამბორა აღელვებული, როცა თავდავიწყებამდე მისული, იგი ვერაფერს ველარ გრძნობდა, გარდა მწველი ბაგეების სიმხურვალისა!..

და, თითქოს ყველაფერი ეს ზმანება იყო, შემდეგში მსგავსი რამ ალარ განმეორებულა.

თედოს ცხოვრებამ ამიერიდან სხვაგვარი სახე მიიღო, იგი ხშირად გამოდიოდა სახლის წინ სანიმუშოდ მოვლილ მანდარინის ბაღში და დაბალი ხმით მღეროდა:

„გულო ჩემო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან ვხედავ, სატრფო ჩემი მტერია...“

აი, ახლაც, თედო ჩვეულებრივ ბაღისაკენ წავა!.. მის მიერ გაკეთებულ სკამზე მოიკალათებს და ისევ მარიანაზე ფიქრს მიეცემა... სხვა რა დარჩენია?.. მარიანას სიცოცხლე ხომ ბეწვზე ჰკიდია!..

ჭიშკრიდან ძახილი მოისმა. თედომ ისე გაჰხედა ეზრს კართან მდგომ პატარა, ხმელ კაცს, თითქოს პირველად დაენახოს.

— მოდი, ბიძიკო, წერილია თქვენი!—გაეხმაურა დამტარებელი მისკენ მიმავალ თედოს და საფოსტო ჩანთაში წერილს ძებნა დაუწყო.

თედო ფოსტალიონს მიესალმა. პატარა, ხმელმა კაცმა წერილი თვალები ლურჯ კონვერტს დააჭყიტა.

— ეს უნდა იყოს,—თქვა მან და კონვერტი თედოს მიაწოდა,—მართლა, დამავიწყდა მეკითხა, როგორ არის მარიანა?

— ცუდად, ყველანი ეჭვობენ მის გადარჩენას.—მიუგო ყმაწვილმა ნაღვლიანად.

ვერც კი მოასწრო თედომ გამობრუნება, რომ მანქანის საყვირმა მიდამო გააყრუა. ყმაწვილი ცქერად გადაიქცა. მალე ჭიშკარი გაიღო და ლევანი და ექიმი შემოვიდნენ ეზოში. ახლა მიხვდა თედო რაშიც იყო საქმე—სტუმრები მარიანასთან მოვიდნენ. ეს ხომ მათი პირველი მოსვლა არ იყო.

— კეთილი კაცია ლევანი,—გაიფიქრა თედომ,—ისეთი დღე ხომ არ იქნება, რომ ავადმყოფი არ იკითხოს, ამბავი არ გაიგოს!...“

ოდის გვერდით იაკობიც გამოჩნდა და სტუმრებს შეეგება.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო ლევან!—მიიწვია მან მოსულნი.

თედომ მხოლოდ სახლის მისასვლელამდე მიაცილა სტუმრები და ისევ ბაღს მიაშურა. ეჩქარებოდა წერილის ნახვა.

— „ნეტავ ვისგან უნდა იყოს? კარგა ხანია არავინ სწერს მარიანას და ეს ვინ გამოგზავნა?.. იმან ხომ არა, რომელზედაც გაიანე ხშირად ლაპარაკობდა?.. მარიანას შეყვარებულზე... რომელსაც სენკა ჰქვია თურმე... კი, მაგრამ ხომ დიდი ხანია მისი არაფერი ისმის?“—არ ასვენებდნენ კითხვები თედოს.

განმარტოვდა. ლურჯი კონვერტი საჩქაროდ ამოიღო და მისამართს დაჰხედა. ო, როგორ მძლავრად დაჰკრა რაღაცამ, როცა საკუთარი თვა-

ლით წაიკითხა ის სახელი, რომელიც მას ხშირად აფიქრებდა!.. გაფითრდა. რა იცდიდა წინ?.. რას უქადდა მომავალი?

ყმაწვილმა კაცმა წერილის ავტორის მისამართს ისევ დახედა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ წერილი სენკასაგან იყო. სრულიადაც არ მოელოდა ამას თედო. მას სენკა ამ ქვეყნად აღარ ეგულებოდა.

როგორ მოიქცეს, გახსნას წერილი და წაიკითხოს?.. რა უნდა იყოს იქ საინტერესო? რაც მთავარია უკვე იცის—სენკა ცოცხალია!.. მაშ, რაღა დარჩა წერილში საძებნელი?

ყოყმანობდა, ველარ გადაეწყვიტა, მიეტანა, თუ არა იგი მარიანასათვის.

მიუტანოს, ყველაფერი შეატყობინოს... ახაროს, რომ სენკა ცოცხალია, რომ ის ტანჯვა-ვაება, რომელიც სენკას სიშორემ განაცდევინა მარიანას, გამარჯვებით, ბედნიერებით დაგვირგვინდა?.. ო, როგორ გაიხარებს საბრალო ქალი!.. იქნებ სულ დაავიწყოს ტკივილები ამ დიდმა სიხარულმა!.. მაგრამ თედო?.. რა გზას დაადგეს ცალმხრივ სიყვარულში დამარცხებული ვაჟკაცი?.. არა! გადაწყდა ერთი: წერილი გაქრება ისე, როგორც სიზმარი!

ყმაწვილმა კაცმა ბარათი გახსნა და ლამაზად ნაწერ სტრიქონებს, რომლებიც რვეულის ორ ფურცელზე ძლივს თავსდებოდნენ, თვალი გააყოლა. წერილი წრფელი გულით იყო დაწერილი. სენკა სიხარულით იუწყებოდა სამამულო ომის შემდეგ მშობლიურ ხუტორში დაბრუნების ამბავს. აგრეთვე მოაგონებდა მარიანას მათი მომავალი შეხვედრის აუცილებლობას.

— გასაგებია!..—დამცინავად, გესლიანი კილოთი თქვა თედომ,—უნდა განახლდეს ის კავშირი, რომელიც შეიძლება საბედისწერო იქნეს ჩემთვის?.. არა!.. ეს არ მოხდება!.. მომიტევე, მომიტევე, ჩემო მარიანა, თუ მე შენს წინაშე ჩავიდინე ბოროტება, წაგართვი. შენ უდიდესი სიხარული, რომელიც წლობით გინატრია!.. შენ უნდა დაივიწყო ის, შორს მყოფი, შენთვის ძვირფასი ადამიანი!.. ჩვენი მომავალი ცხოვრება განუყოფელი უნდა იქნეს!.. დროა მიხვდე, რომ უშენობა ჩემთვის—უს არ-ყოფნაა!..

ლაპარაკი მოესმა. კონვერტი წერილთან ერთად დაკეცა და შეინახა. ისევ მოისმა ადამიანთა ხმა. თედო მიხვდა, რომ ლევანი და ექიმი უკან ბრუნდებოდნენ. მათ იაკობი აცილებდა.

ყმაწვილი ბაღს სწრაფად გაშორდა და სტუმრებს შეეგება,—„ჭიშკრამდე მაინც მივყვებიო,"—გადაწყვიტა მან.

როცა სტუმრები შარაგზაზე გავიდნენ, ლევანმა უთხრა იაკობს—აი, იმ გორაკს ხომ ჰხედავ, ირგვლივ მანდარინებით რომ არის შემოფარგლული!—და ხელით უჩვენა მახლობელ გორაკზე,—იქ, მგონი ოჯახი ცხოვრობდა ძველად... შეიძლება შენც გახსოვდეს!..

— კი, როგორ არა, ჩემო ლევან!

— ჰო და, ის ნაკვეთი გვინდა მარიანას მივაკუთვნოთ... სახლის აგებასაც მოკლე ხანში შევუდგებით. სხვა რომ არა ვთქვათ, სანამ უნდა გაწუხოთ, ჩემო იაკობ?.. მარიანას შეუძლია მშვენიერი ოჯახი ქორთოს თავისი შრომით...

— მიწის ნაკვეთი უნდა მიუზომოთ?!—გაიკვირვა იაკობმა. ლევანს შეუმჩნეველი არ დარჩენია იაკობის განცვიფრება, მაგრამ თავისი განაგრძო:

— მშვენიერი სამოსახლო ადგილია, ჩემო იაკობ!.. გზა ახლოს აქვს, მიწა ნოყიერია, წყალი ეზოში ექნება, ჰაერზე ხომ ლაპარაკი არაა საჭირო. იშრომებს, იცხოვრებს!.. უნარიანი გოგოა, თქვენ რას იტყვით, ნესტორ?—მიუბრუნდა ექიმს.

— მშვენიერი აზრია!—დაუდასტურა ექიმმა.

— საკარმიდამო ნაკვეთი!.. ჰმ...—ვერ ისვენებდა იაკობი.—კი, მაგრამ რა საჭირო იყო ყველაფერი ეს?—ნაწყენივით ჰკითხა თავმჯდომარეს,—ერთი ალალი გულის ქალია... სილამაზე არ აკლია და შრომის უნარი... ერთ კარგ ბიჭს მოვუნახავდით და შორჩა... გათავდებოდა საქმე!.. ვერ გამიგია თქვენი ქცევა, მართალი მოგახსენოთ!—დაასრულა უკმაყოფილოდ.

ლევანს გაეცინა. მან იცოდა, რომ იაკობისათვის ძნელი იყო ოჯახიდან მარიანას წასვლა. თავმჯდომარე კარგად იცნობდა თავისი კოლმეურნის ხასიათს. მარიანა შვილივით შეითვისა იაკობმა, შვილივით მზრუნველობდა წლების განმავლობაში და ახლა ასე უბრალოდ უნდა მიატოვოს, ცალკე უნდა დაიწყოს ცხოვრება? რისთვის?.. რატომ?.. ნუთუ უამისობა არ შეიძლებოდა?...

დიახ, ლევანი იცნობდა იაკობის ხასიათს, მშვენივრადაც ესმოდა მისი წუწუნი და გულისწყრომა.

— ეგ ჩვენი ქცევა კი არ არის, არამედ თვით მარიანას სურვილია!—განუმარტა თავმჯდომარემ იაკობს.

— ოჰო!..—წამოიძახა იაკობმა ახლა უფრო გაკვირვებით,—კი, მაგრამ რამ რამ აიძულა?

— არ ვიცი,—მოკლედ მოუჭრა ლევანმა,—ალბათ, ოჯახის შექმნის სურვილი აქვს...

თედო მთელი დაძაბულობით უსმენდა ლევანისა და იაკობის საუბარს. იაკობმა შავ ულვაშებზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და გააფურთხა, თითქოს უსიამოვნო ფიქრები გულიდან მოიშორაო.

— თვით მარიანას სურვილია?—წყნარად გაიმეორა მან გულში.—რისთვის?.. რას უნდა აეძულებია?.. ნუთუ აწყენინეს რამე ჩემს ოჯახში?!—ვერ წარმოედგინა იაკობს.

ლევანმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა იაკობის შავი, ეშხიანი სახე, ერთხელ კიდევ გაუცინა თედოს და შოფერს მანქანის ამუშავება ანიშნა.

დაბალი, მსუქანი ქერა კაცი სწრაფად შევიდა მანქანაში და მოტორი თვალის დახამხამებაში აამუშავა.

— წავიდეთ!—მიიწვია ნესტორმა ლევანი და თვითონაც მანქანისაკენ გაემართა,—ჩვენ კიდევ გინახულებთ, ჩემო იაკობ! ვიმედოვნებ, რომ ავადმყოფი მალე უკეთეს მდგომარეობაში იქნება. ცოტა, საძნელეების გადალახვა მოგვიწევს, რადგან ფილტვების ანთებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ... უთუოდ გავიმარჯვებთ!—დაიმედა მასპინძელი.

— ვეცადოთ, ჩემო ნესტორ, ვეცადოთ!—მუდარით მიუგო იაკობმა.

— მაშ, ასე!.. ახლა გავემგზავრეთ...—თავისთვის ჩაილაპარაკა თავმ-

ჯდომარემ, თედოსა და იაკობს გამოემშვიდობა და ექიმთან ერთად კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაემგზავრა.

გზის ორივე მხარეზე ლამაზად ჩამწკრივებული მცენარეები მტვერმა დაფარა. აღარც მანქანა მოჩანს და აღარც არავინ; თითქოს რაც წუთის წინ აქ იყო, მხოლოდ მოჩვენებას წარმოადგენდა.

იაკობი იდგა და უსიტყვოდ შეჰყურებდა მტვერში გახვეულ მიდამოს. მას წინ ისევ ის გორაკი ედგა, რომლის შესახებაც თავმჯდომარე ესაუბრა. უცბად, თითქოს ახლა გამოერკვაო, ხელი ნაღვლიანად ჩაიქნია და ეზოსაკენ ზანტად შემოტრიალდა. სიტყვაც არ უთქვამს თედოსათვის, ისე წავიდა სახლისაკენ.

თედოს ეუცხოვა მამის გულჩათხრობილობა; მაგრამ იცოდა, რომ ასეთ დროს იაკობს არაფრად ეამებოდა ვინმეს გამოსაუბრება და დუმილი არჩია.

ჭიშკარმა ისევ გაიჭრიალა და მიიხურა. სადღაც, ოდის უკან, ყურშამ დაიყეფა.

* * *

— ჩანს, არ ყოფილა განწირული, შვილო! ავადმყოფს ყოველდღიურად ეტყობა მომჯობინება; სიცხემაც საგრძნობლად დაუკლო. გუშინ გიკითხა, ალბათ გელოდა. ვერ წარმოიდგენ როგორი კეთილი გულის არის საცოდავი!—ეუბნებოდა გაიანე ახალგაზრდა, შავგვრემან ქალს. გაიანეს გამხდარ სახეს, რომელზედაც მოხუცებულობას საკმაო ნაოჭები დაემწკრივებია, უძალობის კვალი დატყობოდა.

— გუშინ მიკითხა?!—გაიკვირვა ახალგაზრდა ქალმა.

— დიახ... ორჯერ მკითხა, ხომ არ მოსულაო... ენატრები!—სიყვარულით გამთბარი კალოთი თქვა გაიანემ.

— ახლა ხომ არ ძინავს?—იკითხა მოსულმა.

— არა, შვილო, არა! წეღან ვიყავი მასთან და წოლა მომბეზრდაო, შემომჩივლა. ძილი მანამდეც არ უყვარდა დღისით და ახლა რა დააძინებს?

აივანზე თედო გადმოდგა.

— ოჰ, ნანის გაუმარჯოს!—სიხარულით წამოიძახა მან; როცა მოსაუბრე ქალები დაინახა,—რად გაჩერებულხარ, გოგო, მანდ?.. ამოდი!.. მარიანა გუშინს მერე გელოდება!..—ალერსით გაუღიმა ვაჟმა.

საშუალო ტანის, ჩასკვნილი, შავი, მაგრამ ეშხიანი ქალი აჩქარებული ნაბიჯით აჰყვა ქვის განიერ კიბეს. იგი უბრალოდ იყო ჩაცმული. ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა. მისი თვალები უსაზღვრო კმაყოფილებას გამოხატავდნენ.

მარიანა უკეთ არის!.. სხვა რა უნდა ნანის?.. ისევ ერთად შეუტევენ სამუშაოს, ისევ სახელი და დაფასება ექნებათ!.. ამხანაგები ვერ გაუსწრებენ!..

თედო ოთახის კარებამდე მიჰყვა ნანის და უკანვე გამობრუნდა.—„ბალე გეახლებით...“—თავაზიანად უთხრა ქალს.

კარი წყნარად გაიღო. ავადმყოფმა საყვარელი მეგობრის სახეს მზერა გაუსწორა. გაიხარა.

— ო, ნანი, შენ?!—აღტაცებით წამოცდა მარიანას,—მომენატრე გოგო... უშენობას ვერ ვიტან!.. ასე მგონია, თითქოს მუდამ ერთად ვიყავით, თითქოს ჩვენ უერთმანეთოდ წარმოუდგენელი ვართ!..

მეგობრები მოეხვივნენ ერთმანეთს.

ნანის მოსვლამ მარიანა სრულიად გამოცვალა. იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც წინათ, ჩაის პლანტაციებში ყოფნის დროს. თავისი ტკივილი წუთით დაავიწყდა. რამდენი ხანია ჩაის ბუჩქები არ უნახავს, რამდენი ხანია ჩაის ნაზ ფოთლებს აღარ შეჰხებია მისი შრომისმოყვარე თითები... ყველაფერი აინტერესებდა მას, ყველაფრის გაგება სურდა.

და ნანის ხომ თავისუფლად შეეძლო დაეკმაყოფილებია ამხანაგის ასეთი სურვილი?

მეგობრები ერთმანეთს მრავალ ამბებს უყვებოდნენ. მარიანა ყოველ წვრილმანზედაც კი შეკითხვებს ხძლეოდა. არ უნდოდა რაიმე დარჩენოდა გაუგებარი.

— რაც შენ ავად გახდი,—გატაცებით მოუთხრობდა ნანი მარიანას,—შრომა გამიათკეცდა, მარიანა!.. გულმა აღარ მომითმინა და შენზე ვაპიროვნებულ ჩაის ნაკვეთსაც მივაშურე. თავს არ ვზოგავდი, რათა სირცხვილი არ მენახა. ბრიგადირს ვუთხარი: მარიანას ავადმყოფობას ჩვენს რგოლს არ დავაჩენთ-მეთქი. და, რომ ქეთოც არ მომხმარებოდა, მგონი გამოჭირდებოდა. ხომ იცი ლევანის ამბავი! დაუძახა ჩვენს ბრიგადირს შალვას, ერთი ხუმრობით შეუცაცხანა და შემდეგ სერიოზულად მოაგონა: მარიანას ნაკვეთის შესახებ არაფერს გეტყვიო. და ეს მოხდა მაშინ, როცა ლევანმა კარგად იცოდა, რომ მე შენი ჩაის ბუჩქებს მზრუნველობას არ ვაკლებდი.

— ლევანი!..—კეთილად მოიგონა ავადმყოფმა თავმჯდომარე,—ალბათ, შეებრალე!..—დაუმატა და, თითქოს კიდევ უნდაო რაღაცის თქმა, ბაგეები გააღო, მაგრამ არაფერი უთქვამს, სიტყვა რატომღაც ჩაუწყდა.

— და აი, ჩემთან გამოჩნდა ქეთო!—განაგრძო ნანიმ,—შალვაც ხშირი სტუმარი გახდა; მოდიოდა. დარიგებებს გვაძლევდა, გვეხმარებოდა. ახლა ძნელია მოწინავედ ყოფნა, ჩემო მარიანა!.. მეტია გეგმა, მეტს მოითხოვენ... სამშობლოს მეტი ესაჭიროება ჩვენგან!.. ვიშრომეთ... და ჩვენმა შრომამ შედეგიც გამოიღო—ჩვენი რგოლი ისევ პირველ ადგილზე გამოვიდა.

მარიანას ხველება აუტყდა, ქალი მთელი სხეულით თრთოდა. ბოლოს, როგორც იქნა დაწყნარდა და თავი ბალიშზე უღონოდ მიდვა. სახეზე სიწითლე წამოაწვა. ეტყობოდა, ტემპერატურამ აწევა იწყო.

— მარიანა!.. მარიანა!—ზეზე წამოდგა ნანი და ამხანაგის დასახმარებლად ლოგინისაკენ იწევდა.

— ძნელი ყოფილა გაციება, ჩემო ნანი!—ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ავადმყოფმა,—ასე მგონია, ფილტვები აღარ მაქვს!... არის

მომენტი, როცა გეჩვენება, ვითომ კარგად ხარ, მაგრამ მოირბენს რაღაც, აგაფორიაქებს, მიგბერტყავს და ღონემიხდილს მიგაგდებს. აი წეღან კარგად ვიყავი!.. ახლა კი, უკვე სიცხე მატულობს, საერთო სისუსტეს ვგრძნობ. არ ვიცი, არა, როდის ჩავდგები მწყობრში!.. ორი თვე გავიდა, ნანი!.. ხუმრობა ხომ არ არის დროის ასეთი მონაკვეთი!.. მე კი ისევ ლოგინში ვგორავ. გული არ ითმენს, სული მიწუხს... თავი საკანში გამომწყვდეულივით წარმომიდგენია. როდის გათავდება ყველაფერი ეს?—დაასრულა და ამხანაგს თვალები შეანათა.

ნანის გული ამხანაგის უიმედობამ დაანაღვლიანა. იგი წუთით ფიქრს მიეცა.

აშკარა იყო, რომ მარიანა ვერც თუ ისე ადვილად დააღწევდა თავს ავადმყოფობას, როგორც ეს ნანის წარმოედგინა დღემდე. ნერვიულობა დაეტყო. მისთვის ხომ მარიანა ყველაფერია. რამდენი სიხარული განუცდია მასთან ერთად, რამდენჯერ შეუქმნია ხელმძღვანელ ამხანაგებს!..

— „არა, უთუოდ განკურნავს მარიანას ჩვენი ნესტორი!.. იგი გამოცდილი და დაუზარებელი ექიმია!“—დაარწმუნა ბოლოს თავი ნანიმ.— ფიქრი ნუ გაქვს!—უთხრა მარიანას,—მარტო ხომ არ ხარ!.. ნესტორი ყურადღებით გეპყრობა, ლევანიც ხომ ყველასათვის მზრუნველი და ამხანაგია!..

— ლევანი!—ნელი ხმით წარმოთქვა მარიანამ. მოეჩვენა, თითქოს მის წინ იდგა გაჭაღარავებული, მსუქანი კაცი და უღიმოდა. რამდენი კარგი ახსოვს მარიანას მისგან, რამდენჯერ გამოუწოდა დახმარების ხელი!.. მუდამ კეთილი და მამასავით მზრუნველი იყო!..

ლევანის მოგონებამ ნანის მასთან გუშინდელი შეხვედრა გაახსენა.

— მართლა, წეღან მინდოდა მეთქვა,—დაიწყო მან,—გუშინ ლევანი მოვიდა ჩემთან, პლანტაციაში. კარგა ხანს დარჩა. საკმაოდაც ვისაუბრეთ. აგრონომი ახლდა. უნდა გახარო, როგორც კი მომჯობინდები, მერგოლურობას დაგაკისრებენ. ლევანს ეს გადაწყვეტილი აქვს. აგრონომიც, თუმცა ახალია და ხეირიანად არ გიცნობს, მაინც დასტურს აძლევდა თავმჯდომარეს: ეტყობა ენერგიული ქალიაო. ასე, რომ მერგოლურობას ვეღარ გაექცევი!—სიცილით დაასრულა ნანიმ.

— მერგოლურობას?! — გაკვირვებით იკითხა მარიანამ, — რაღა მკვდარს მნიშნავენ მერგოლურად, შენ უფრო ახლოს არ იყავი?.. ანდა, ნინას ვითომ რა უშავსო? რატომ მას არ სტოვებენ ისევ?.. თუ ამდენხანს კარგი იყო, ახლა არ ვარგა?

— ვალდებულებები გადიდდა, მოვალეობა მეტი გახდა და რგოლს ვეღარ უხელმძღვანელებსო. ნინა კი არა, მგონი ბევრი სხვაც შესცვალონ. მალე გამგეობის სხდომა იქნება და მაშინ ყველაფერს გავიგებთ. შენთვის, საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფის საკითხსაც განვიხილავთ. ვფიქრობ, ლევანს ყველანი მიემხრობიან და იმ გორაკს მოგცემენ. მართალი რომ ითქვას, კარგი ნაკვეთია. მშვენივრად მოეწყობი, მარიანა!.. ყველანი დაგეხმარებით, არაფერს არ გაგიჭირვებთ!.. ნეტავ, რას ამბობს იაკობი?.. ლევანმა მითხრა, არ სიამოვნებს მარიანას გადასვლა მათგანო.

და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში თედო შემოვიდა. ნანი საჩქაროდ წამოდგა და სკამი მიაწოდა.

— მე ხომ სტუმარი არა ვარ, გოგო!—დაუყვავა ვაჟმა ნანის და მარიანას საწოლისაკენ გაემართა. ხელში წიგნი ეჭირა.

— ძლივს ვიშოვე... სად არ ვიყაჟი ამის გულისათვის,—უთხრა თედომ ავადმყოფს,—ბიბლიოთეკაში არ იყო; ავთანდილს წაველო. წავედი ავთანდილთან და შენი ხათრით, თორემ მე არ მაძლევდა, ნახევარზე მეტი არ წამიკითხავსო.

მარიანამ წიგნი გამოართვა და სკამზე დადო. ნანიმ დიდ ასოებს თვალი გადაავლო: **Тихий дон** —ეწერა ყდაზე.

— გმადლობთ,—კმაყოფილებით თქვა მარიანამ,—შევეცდები ამაგი არ დაგიკარგოთ.

თედო ცოტა შეწითლდა.

— ეგ პატარა საქმეა, მარიანა!.. არ ღირს შეწუხება ასეთ ამაგისათვის,—მიუგო და კარებისაკენ გაეშურა,—არ შევეცდები თქვენი მყუდროების დარღვევას ჩემი ლაპარაკით... განაგრძეთ!—უთხრა ქალებს და ოთახიდან გავიდა. მას არ ესმოდა ნანის სიტყვები, რომელიც უკანდაბრუნებას თხოვდა ვაჟს.

ფანჯარაში ჩამავალი მზის უკანასკნელმა სხივებმა შემოიხედეს და მარიანას დალალები ოქროსფრად მოავარაყეს.

— რა უცბად გასულა დრო!—გაიკვირვა ნანიმ,—ამ საღამოს აგროწრის მეცადინეობაა, ხოლო შემდეგ შეიძლება კომკავშირის კრებაც იქნეს!..—ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ მარიანასათვის გასაგონად და წამოდგომა დააპირა.

— რა გეჩქარება, ნანი?—მუდარით კითხა ავადმყოფმა,—ჯერ არც ისე გვიანაა, როგორც შენ გგონია!.. დაიცადე, იქნებ თედოც წამოვიდეს კრებაზე და ერთად წახვალთ!..

თვალი ეშმაკურად ჩაუკრა მარიანამ. ნანის გაეცინა.

— რა გეცინება?.. ცუდი ბიჭია, თუ?.. მე ვიცი და, პირს დაგწვავს შენმა მზემ!

ნანი კვლავ წყნარად იცინოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში მხოლოდ ისინი იყვნენ, სახე რატომღაც უწითლდებოდა.

— „მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო“, იტყვიან; შენ მუდამ ეშმაკობისაკენ გაქვს თვალყური!..

— როგორ, არ მოგწონს?.. უარს იტყვი, თუ?—დაჟინებით ეკითხებოდა მარიანა. პასუხად კვლავ ნანის სიცილი გაისმოდა.

— დამეხსენ, თუ და ხარ,—თქვა ნანიმ, როცა დამშვიდნენ.—მაგის დრო არ არის ახლა... უკვე დავიგვიანე!—და ზეზე წამოდგა.

— მაინც შენი სიტყვა უნდა შეასრულო, არა?—საყვედურით მიმართა მარიანამ ამხანაგს.

— დრო არ ითმენს, მარიანა!.. ხვალ ისევ გინახულებ; არაფრის შეგეშინდეს!.. მალე ჩაის პლანტაციაში გნახავ და მაშინ მოგაგონებ შენს წუწუნს ჯანმრთელობაზე... ნახვამდის!

მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

თედო მართლაც ნანის თანამგზავრი აღმოჩნდა. ისინი ყურშამ ჭიშკრამდე მიაცილა, ერთხელ მიუალერსა კუდის ქნევით და სირბილით გაექანა შინისაკენ.

მარტოდ დარჩენილი მარიანა წიგნის გადათვალიერებას შეუდგა. ერთგან, რაღაც ორად გაკეცილ ქაღალდს მოჰკრა თვალი, მაგრამ გადაფურცვლის დროს ყურადღება არ მიუქცევია. როცა წიგნის ბოლომდე მიაღწია, დაკეცილმა ქაღალდმა დააინტერესა და ისევ წიგნის ფურცვლა დაიწყო.

აი, ის ქაღალდიც! მარიანამ წყნარად აიღო, გაშალა და ბეჭდური ასოებით ნაწერ სტრიქონებს ჩააცქერდა. იგი სატრფიალო ლექსი იყო. გაეცინა, არ ელოდა, თუ თედო მართლა ასე გატაცებული იყო მარიანას სიყვარულით. ქაღალდი მეორე გვერდზე გადმოაბრუნა. აქაც ლექსი იყო მოთავსებული. მარიანას ისევ გაეცინა. ახლა ყველაფერი გარკვეული იყო მისთვის. ქაღალდი უგუნებოდ დაკეცა. წიგნსაც ხელი უშვა და ფიქრებს მიეცა.

სიყვარული!.. რა შშვენიერი იყო ის დრო, როცა სენკაც ასე მორცხვად უმხელდა სიყვარულს!.. დღეები არაჩვეულებრივი ნეტარებით იყვნენ აღსავსენი... შეყვარებულნი ტკბებოდნენ უკრაინული მთვარიანი ღამეების ცქერით, დრო შეუმჩნევლად, ქურდულად მიიპარებოდა... და რომ ომი არა, ვინ იქნებოდა მარიანაზე ბედნიერი? სენკასთან ერთად იცხოვრებდა, ოჯახს შექმნიდნენ, შვილიც ეყოლებოდათ...

— ოხ, ჩემო სენკა!—ამოიოხრა ქალმა.—სადა ხარ ნეტავ, ახლა? მაინც, ეს წერილებიც რომ არ ჩანს!.. ყველამ მიივიწყა. არავინ არაფერს სწერს მშობლიური ხუტორიდან. ვალიამაც რომ დაივიწყა, სხვას რაღად დაემდუროს? სენკა რომ იყოს დაბრუნებული ხუტორში, აუცილებლად მოწერდა... სხვა ვინღა დარჩა?.. დედა შარშან გარდაეცვალა, ძმა პეტია ომში დაეღუპა. ერთი დაი ჰყავს, მაგრამ გათხოვდა და ლენინგრადში ცხოვრობს; ასე, რომ მან ბევრი არაფერი იცის ხუტორის ცხოვრებიდან... თუმცა ისედაც არ უყვარს წერილების წერა. პეტია!.. აი, ვინ მოსწერდა ყველაფერს, მაგრამ ის უკვე აღარ არის. ო, როგორ მწარე მოგონებად ჩარჩა მეხსიერებაში ის დღე, როცა ფოსტალიონმა პეტიას დაღუპვის ამბავი მოუტანა!.. ერთადერთი ძმა, ნუგეში და იმედი აღარ ჰყავდა!..

უცებ ოთახში იაკობის ხმა შემოიჭრა:—გაიანე!.. გაიანე!—ეძახდა იგი ცოლს.

— სამუშაოდან დაბრუნებულა!—წარმოთქვა მარიანამ თავისთვის. როგორ მშობლიური სიტყვებივით ესმის ქართული სიტყვები!.. თედოს მზრუნველობით ქართული წერა-კითხვაც შეისწავლა.

ავადმყოფს ანაზდად თედო მოაგონდა.

— საწყალი ბიჭი!—შეებრალა მარიანას ცალმხრივ სიყვარულში ჩაბმული ყმაწვილი და თედოს ნაცვლად ქალის წინ სენკა გამოისახა. აი, თითქოს უღიმის მარიანას!.. აი, თითქოს ესმის მისი საყვარელი სიმღერა „Ой, на гори, там жницы жнут...“

ავადმყოფმა გვერდი იბრუნა და შორეული ამბების მოგონებებში ღრმად ჩაიძირა. ოთახში ელნათური აენთო. ეზოდან ისევ იაკობის ხმა ისმოდა.

*
* *

სუსხიანი ზამთრის შემდეგ ერთბაშად დათბა. აღაღანდა ველი, შეიფოთლა ტყე. ყოველი მხრიდან ფრინველთა გალობა მოისმის. გაზაფხულის მახარობელი მერცხალიც დაბრუნებულა და საამურად ჭიკჭიკებს. ზამთრისაგან განაწამები მინდვრები, მდელოები საზეიმო სამოსელით შემოსილან, ყველაფერს დიდების შარავანდედი მოსავს, ყველაფერი რაღაც მიმზიდველი, ჯადოსნური ძალის მქონეა.

აგერ, გიუმაჟი მდინარე ისე ადიდებულა, რომ კალაპოტი ვეღარ იტევს და, თითქოს ბრაზი მოსდისო, ბუზღუნით მიიჩქარის შავი ზღვისაკენ. პატარა წყაროები რაკრაკით მიჩუხჩუხებენ ფერდობებიდან, რათა საჩქაროდ შეუერთდნენ გულზვიად მდინარეს, რომ რაც შეიძლება მალე ჩაეკონონ ბობოქარ ზღვას და ახალი ამბები მოუთხრონ.

მუყაითი კოლმეურნეები ფუტკრებივით აფუსფუსდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. დიდი და პატარა აქ მოსულა, რადგან ყველამ იცის, რომ გაზაფხულზე უნდა ჩაიყაროს უხვი მოსავლის საფუძველი, რომ ახლა ყოველი წუთი მშრომელი კაცისათვის ძვირფასია.

მარიანამ შარაგზიდან საჩქაროდ შეუხვია ჩაის პლანტაციაში და ვიწრო ბილიკით დალმართზე დაეშვა.

რამდენი ხანია ჩაის მწვანე ბუჩქებთან არ ყოფილა!.. რამდენი ხანია ტოლ-ამხანაგებში არ გარეულა!.. ავადმყოფობამ ძალზე დაასუსტა ქალი. მაგრამ გაიანეს მზრუნველობის შედეგად, ადგომის შემდეგ სწრაფად მოიკეთა.

და აი, ისევ პლანტაცია, ისევ ჩაის ბუჩქები!.. რამდენი მადლობა და ჯილდო მიუღია მარიანას ამ ბუჩქებით, რამდენი სიხარული უნახავს.

მაგრამ ის, რაც წარსულს ჩაბარდა, უკვე საკმაო აღარ არის ახლა. მარიანას გაახსენდა ლევანთან ამასწინანდელი საუბარი. მოაგონდა თავმჯდომარის სიტყვები: „ხომ ხედავ რას წერენ გაზეთები, მარიანა?.. ჩაის მკრეფავები სასწაულებს ახდენენ!.. ჩვენც გავხდეთ უხვი მოსავლის ოსტატები!“—აი, როგორი ამოცანაა ჩვენს წინაშე!..

მარიანას სწამდა, რომ ლევანი მართალი იყო; გასულ წელს მოპოვებული მიღწევები დღეს აღარ კმაროდა.

და იგი ფიქრობდა ახალ წარმატებებზე. რა უნდა ეღონა, როგორ უნდა მოქცეულიყო?.. ვითომ, არც ისე რთული საქმე იყო ჩაის ფოთლის კრეფა, მაგრამ ისეთი სიძნელეები აღუდგნენ წინ, რომ ღრმად დაფიქრება დაჭირდა. ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ექვსი და მეტი ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა ხუმრობა საქმე არ იყო.

მეზობელ ფართობში ნანი შენიშნა.

— „ჩემზე ადრე წამოსულა!“—გაიფიქრა ქალმა და სამუშაოს შეუდგა.

—მარიანა!.. ა, მარიანა!—მოესმა უცბად ნაცნობი ხმა. ნანი ხელს უქნევდა და შორიდან ესალმებოდა.

— ალქაჯო!—საკმაოდ მაღალი ხმით წამოიძახა მარიანამ და ამხანაგს ხელის ქნევითვე მიესალმა. და თითქოს ერთმანეთი შეჯიბრში გამოიწვიესო, დაუყოვნებლივ მუშაობა განაგრძეს.

დასავლეთიდან ნელი ქარი უბერავდა. მზიანი, უღრუბლო დილა იყო.

მარიანა წყნარად ღიღინებდა და ყოველი ბუჩქის ძირთან მზრუნველად ტრიალებდა.

— „ჩაის ფოთოლს ბუჩქი იძლევა,—ფიქრობდა კოლმეურნე ქალი,— მოუვლი მას, მიიღებ მეტს, უგულოდ მოეკიდები—მოსავალსაც ნაკლებს მოგცემს. ჩაის ბუჩქი, აი, სად არის გამარჯვების საწყისი!“—დაარწმუნა თავისთავი ქალმა და დინჯად მდგარ ჩაის ბუჩქს მზრუნველად გადახედა.

პლანტაციის რიგებს ხმელი, მაღალი კაცი გამოჰყვა. თუმცა ჯერ კოსტუმის ტარებაც შეიძლებოდა, მაგრამ მას საზაფხულო ტანსაცმელი ეცვა. იგი მარიანასაკენ წამოვიდა.

მარიანამ იცნო აგრონომი ნევრო. გაუხარდა. იცის, რომ ნამუშევარს კარგად შეუფასებს, ნაკლზე მიუთითებს, ამხანაგურად გამოესაუბრება. კარგი კაცია ნევრო—წყნარი და საქმიანი.

აგრონომი გზადაგზა აკვირდება თვითეულ ბუჩქს. ხელით ეხება მწვანე ფოთლებს.

— კარგი დუყები დაზრდილან. მარიანა!—მოკლედ თქვა აგრონომმა, როცა მარიანასთან მიაღწია,—აი, ხომ ჰხედავ, რას ნიშნავს მცენარის კარგად მოვლა!.. შარშანდელი შრომა წელს გულს გიხარებს!—თქვა ნევრომ, ქალს გაულიმა და ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო.

მარიანა წუთით შეჩერდა, აგრონომის შაუგვრემან სახეს ხარბად შეხედა და მისალმების შემდეგ გაიღიმა. ლალისფერი ბაგეებიდან ფართო, თოვლივით თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— „ავადმყოფობის შემდეგ უკეთესი გამხდარა“,—გაურბინა ნევროს ფიქრმა. იგი ჯერ უცოლო იყო და მარიანასთანა წარმოსადეგი შეხედულების გასათხოვარ ქალებს თვალს როდი არიდებდა.

ნევრომ პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და, თითქოს რაღაც მოაგონდა, დასავლეთისაკენ მიტრიალდა. ირგვლივ კოლმეურნეები მოჩანდნენ: ყველა მასზე გაპიროვნებულ ჩაის ნაკვეთს დასტრიალებდა.

მათ ახლოს საბარგო მანქანამ ჩაიქროლა. მანქანა ხალხით იყო სავსე და მხიარული სიმღერა გუგუნებდა:

„მაშ, ამღერდი, მთა და ველო,
მზევ, სხივები დააცხუნე!
სტალინ, სტალინ საყვარელო,
შენ მოგძახის საუკუნე!
დიდო სტალინ იდღეგრძელეეე!..

მარიანა და ნევრო უსიტყვოდ იდგნენ და სიმღერას უსმენდნენ.

— საბჭოთა მეურნეობის მუშები არიან!—თქვა აგრონომმა. მას ახლა გაახსენდა, რომ დრო დაყოვნებას არ ითმენდა.—აბა, მარიანა!— მიუბრუნდა ნევრო მარიანას,—თუ ქალი ხარ, სასუქის ჩათოხნა მალე დაიწყე, თორემ შეიძლება სამუშაოს ვერ მოერიო და ჩაუთოხნავად ჰაერზე დაგრჩეს!.. გაზეთები, ხელში რომ ეჭირა, სწრაფად დაგრაგნა, ღელიაში ამოიდო და წავიდა.

„სტალინ, სტალინ საყვარელო,
შენ მოგძახის საუკუნე!
დიდო სტალინ იდღეგრძელეეე!..—გაიმეორა მარიანამ დაბალი ხმით და თავის საქმეს მიუბრუნდა.

მას უყვარდა ეს სიმღერა. მას მშვენივრად ესმოდა, თუ რას გამოხატავდნენ, რას ამბობდნენ დიდი ადამიანის სიყვარულით გამთბარი ეს სიტყვები. იცოდა და მელოდიაც მოსწონდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა მუშაობაში, მარიანა დაღლას არ გრძნობდა. ჩაის ბუჩქებს მონატრებული, მათთან ყოფნით ველარ ძღებოდა.

მზე შუა ცაზე წამოიჭიმა. ჩამოცხა. პლანტაციებში კი ისევ მუშაობა იყო. რატომღაც არავინ არ იჩქაროდა სადილისათვის წასვლას. აღარც ნანი ჩანდა.

ფოთლების შარიშური მოისმა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. —გეყოფა მუშაობა, დროა ვისადილოთ!—გაისმა მახლობლად ნაცნობი ხმა და, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მარიანას წინ იაკობი გამოჩნდა. არ მოელოდა, სრულიადაც არ მოელოდა. იაკობი მანდარინებს რგავდა დღეს და გაუგებარი იყო, რისთვის მოაკითხა მარიანას, რისთვის გაიარა თითქმის კილომეტრზე მეტი გზა, როცა ეს საჭიროებას არ მოითხოვდა?

— მარტო მე ხომ არ წავალ?.. ჯერ არავინ მიდის!—თავი იმართლა ქალმა.

— დროა, დრო!—კვლავ გაიმეორა იაკობმა და ჩაის პლანტაციას თვალი გადაავლო. შეებრალა მარიანა. კარგ ვაუკაცსაც კი გაუჭირდებოდა, იმდენი მოეთოხნა ქალის მარჯვენას.—მოგიკლავს თავი და ეგ არის. ისევ არ შეგაბრუნოს ავადმყოფობამ... ჯერ თავის მოვლა გმართებს!—მზრუნველად ჩაილაპარაკა იაკობმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, მარიანამ მიიღო იაკობის რჩევა: თოხი იქვე, ბუჩქზე მიაყუდა, კალათი აიღო და წასასვლელად მოემზადა. იაკობი აუჩქარებლად წაუძღვა ქალს შარაგზისაკენ.

მარიანამ დაინახა, როგორ აფარფატდნენ ფარვანებივით ჭილობის ქუდები პლანტაციებში.—„თითქოს ჩვენს წასვლას უცდიდნენ!“—გაეცინა გულში.

საიდანღაც სიმღერა მოისმა. მარიანამ ყურადღება მიაქცია სიმღერას და უკან მაიხედა. ნანი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, გაუხარდა.

— გეგონა გამასწარი, მაგრამ ხომ დაგეწიე!—ხუმრობით თქვა ნანიმ, როცა მარიანას მიუახლოვდა.

— წასული მეგონე, გოგო!—სინანულით წარმოთქვა მარიანამ.—მე სამუშაომ გამიტაცა და ისე გამეპარა დრო, რომ აღარ შემიმჩნევია.

გორაკებიდან მონაბერ ნელ ქარს კვლავ სიმღერის ხმა მოჰქონდა, გიჟმაჟი დეხვა ისევ გულჯავრიანობდა, ხოლო ნაძვის ტოტზე შემომჯდარი ბეღურა გაბმით ჟღურტულებდა, თითქოს ლოცავსო მიმავალთ.

* * *

ნარინჯოვნებში ჩაფლული სოფელი ნელ-ნელა იღვიძებს. ადამიანთა ხმები, ძაღლების ყეფა, საქონლის ბღავილი ერთმანეთში ირევა. ყველას თავისი საქმე აქვს, ყველა თავის სამუშაოსაკენ მიეშურება.

— ჰეჰეეი!.. მარიანა!.. ნანი! თედო!—აპობს სივრცეს ბრიგადირის გაგრძელებული ძახილი. წუხელ თავმჯდომარემ გააფრთხილა: ხვალ

შეიძლება რაიკომის მდივანი გვესტუმროსო და ბრიგადირიც ცდილობს, რათა ყველა კოლმეურნე შრომაში ჩაბმული დახვდეს რაიონის ხელმძღვანელს.

— გესმის მარიანა, როგორ გაჰყვირის ჩვენი ბრიგადირი?—გადასძახა ნანიმ ამხანაგს.

— ის იქ გვეძებს და ჩვენ კი უკვე დავიღალეთ მუშაობით,—სიცილით მიუგო მარიანამ. თუმცა ჯერ სიგრილეა, მაგრამ ქალის სახეს ოფლის ნამი აზის, ათქვირებული გულმკერდიც ოფლს დაუნამავს; ხელები ელვის სისწრაფით მოძრაობენ... ჩაის ნაზი ფოთლები გროვად ხვავდებიან, კალათი სწრაფად ივსება. როგორი დახელოვნება შეუძლია ადამიანს მუშაობაში!.. თითქოს გუშინ იყო, რომ მარიანას ხუთიოდე კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა უჭირდა... ახლა?.. ვის გაუშვებს წინ, ვის დაუთმობს პირველობას!

მზის ამოწვერასთან ერთად ჩაის პლანტაციებში ადამიანები მოხშირდნენ. ისევ აბრჭყვიალდნენ ჭილობის ქუდები, ისევ გაისმა მხიარული შრომის სიმღერები.

როცა ირგვლივ მყოფ ადამიანებზე ფიქრობს მარიანა, ისე წარმოუდგენია, თითქოს ამ ხალხთან აღზრდილი, თითქოს თვითონაც აქაური იყოს. ზოგჯერ უკვირს კიდეც, რომ ასე შეეთვისა აქაურობას.

მშობლიურ ხუტორზედაც ფიქრობს მარიანა. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც განუშორებელი სენკა მოენატრება.

ო, როგორ გაიხარა საბრალო ქალმა, როცა, პარტიის რაიონული კომიტეტიდან დაბრუნებულს, ლევანმა სენკას წერილი გადასცა! თურმე ვალიასაგან გაეგო მისამართი და ბარათი მოეწერა. დაუვიწყარია მარიანასათვის ის ღამე, სიხარულით დიდხანს არ ჩაძინებია. რამდენი ცრემლი დაღვარა!.. წლობით ტანჯულმა გულმა შვება იგრძნო. ო, როგორი გატაცებით იხუტებდა გულში, წერილთან ერთად, პარტიულ ბილეთს, რომელიც იმ დღეს მიიღო.

მარიანას ვერ გაუგია, რატომ დაიკარგა წერილი, რომლის გამოგზავნის შესახებ სენკა იწერებოდა. ფოსტაში მიაკითხა და, თედოს გადავეცითო, უთხრეს. ნუთუ თედომ დაუმალა?.. არ სჯერა ქალს. თუმცა ეს უმნიშვნელო ამბავია ახლა. მარიანამ ხომ რამოდენიმეჯერ მიწერა სენკას ჩამოსვლის შესახებ. ნუთუ არ ჩამოვა?.. ნუთუ, მარიანაზე არ ოცნებობს?.. ნუთუ კვლავ არ ენატრება წლების შემდეგ?

რომ ჩამოვიდეს, მაშინ!?. ო, როგორ ბედნიერი იქნება მარიანა!.. ო, რამდენი ძალღონე შეემატება!.. ამხანაგებში თამამად გაივლის გულის ტოლი მხარს დაუმშვენებს!..

პლანტაციებში ისევ გაცხოველებული მუშაობაა. შრომის ფერხულში ჩაბმული ადამიანები დაღლას არ გრძნობენ. ისევ მხიარული ყიჟინაა. ისევ დაჰქრიან ქართული მელოდიები უხილავ ეთერში.

ქვევიდან წყაროს მონოტონური ლიკლიკი ისმის. ირგვლივ ფრინველთა საამური ჟრიამულია. კარგა მოშორებით, დაცემულ ვაკეზე გაწოლილი ქობულეთი და შავი ზღვის ლურჯი სივრცე მოჩანს.

ზღვა უშფოთველია, ცა კი ულრუბლო.

*
* *

ზაფხულის სისხამი დილაა. მზის ცელქი სხივები მოურიდებლად ეკონებიან მკერდაყვავებულ დედამიწას. დაბლობებში თოვლივით თეთრი ნისლის ქულები ჩაწოლილა და ზამთრის საბანავით დაუფარავთ მწვანე ბაღები და ჩაის პლანტაციები. მაღალი, ხშარი გორაკები ამაყად ამოწვეერილან ამ უზარმაზარ საბნიდან და დაუმორჩილებელი რაინდებივით გაჰყურებენ მიდამოს.

ერთ გორაკზე, რომელიც დილის შუქში გარკვევით მოსჩანს, აგურის, ოთხთვალიანი, ლურჯად შეღებილი ოდა დგას. საკარმიდამო ნაკვეთი ციტრუსოვან მცენარეთა ბაღს წარმოადგენს. კეთილმოწყობილ ეზოს ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე რკალად შემორტყმია. მანდარინის ნაყოფებით დახუნძლული ხეები ჯარისკაცებივით დამწკრივებულან. ყოველ ხეს მზრუნველის ხელი ეტყობა.

დიდრონ, მრავალწლოვან თხმელის ხეებზე ვაზები გადახლართულა. მსხვილი, ოდნავ დაწითლებული ყურძნის მარცვლები მორცხვად იმზირებიან ფოთლებიდან.

ეზოს გვერდით პატარა მდინარე მოჩუხჩუხებს და თავისი მშფოთვარე ტალღებით ნაპირებს და ლოდებს ეხეთქება, თითქოს ვიღაცას გაუჯავრებია და ყველაფერი უნდა წალეკოსო.

ოდის წინ, სწორედ იქ, სადაც დიდი მსხალი დგას, სასმელი წყალია გამოყვანილი, ხოლო იქიდან იწყება მწვანე, მაღალი მოლით დაფარული გზა, რომელიც ჭიშკრისაკენ მიდის. გზის ორივე მხარეზე მცველებივით დგანან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნაძვები. რა არ არის ამ ლამაზად მორთულ ეზოში!.. რა ხილი გნებავთ, რომელი ჯიშის!

სახლის ღია ფანჯრებიდან რადიოს ხმა ისმის.

კარგა ხანია მარიანა ეზოში გამოსულა და ნაძვის ხის ძირში ზის. სადღესასწაულო ტანსაცმელი აცვია. მკერდს ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორი ორდენი უმშვენებს. ამ ნაძვთან ხშირად ყოფნა ჩვეულებად გადაექცა მარიანას. ეს ერთი ხანია, როგორც კი განთიადის ჟამი დაჰკრავს, ადგება და უსიტყვოდ მიდის ნაძვისაკენ, რათა იქ ლამაზად გაკეთებულ სკამზე ჩამოჯდეს.

მარიანას ახარებს საკუთარი კარ-მიდამოს შექმნა. იგი ხედავს, თუ როგორ გამოიცვალა მისი ცხოვრება; რამდენად დიდი. რამდენად შინაარსიანი გახდა იგი. მარიანა გრძნობს, რომ მას ახლა გააჩნია ისეთივე მშობლიური სახლ-კარი, ისეთივე მშობლიური კერა, როგორიც შორეულ უკრაინაში გააჩნდა. მარიანას სჯერა, რომ ამ ახალ კომუნისტურ ოჯახში ბედნიერი სიცოცხლის დღეებს გაატარებს.

დღეს დასვენების დღეა. მარიანასაც არსად არ ეჩქარება. რატომ არ უნდა დატკბეს მისი ახალი ოჯახის ცქერით? რამდენიმე ხნის წინ მასზე ოცნებაც კი აშინებდა.

უმზერს ყველაფერ ამას მარიანა და, როგორც ყოველთვის ასეთ წუთებში, მშობლიურ ხუტორზე ფიქრს ეძლევა. ყველაფრით კმაყოფილი გული ისევ ახალ საწადელს ეძებს. ქალის წინ მშობლიური ადგილები, ნაცნობი სახეები კინოსურათივით გარბიან...

აი, გავრილ პეტროვიჩი!.. აი, ჭაღარა მიხაილი!.. აი, დუნია!.. ვალია!.. ყველა, ყველა, ვინც კი ხუტორში ცხოვრობს!.. აი, სენკა!.. ისევ ისმის ნაცნობი. „Ой на, Гори, там жницы жнут..." და მარიანა თავდავიწყებამდე აძირება მოგონებებში.

ბურუსი თანდათან იფანტება. ეზო-კარს თვალს ხარბად ავლებს. სიამაყის გრძნობა ეუფლება. წარსულის მოგონებები გულის პატარა კუნჭულში პოულობენ ბინას და ყუჩდებიან.

წამოდგა, ციტრუსოვანთა რიგებს მიუახლოვდა. ყოველ ხეს, ხის ყოველ ნაყოფს ხელს ახებს, ეალერსება. ისე წარმოუდგენია, თითქოს ეს აუდიტორია იყოს და მის სიტყვებს ისმენდეს.

მარიანა სახლისაკენ ბრუნდება.

აი, კიბესთან მიაღწია!

კიბის საფეხურებზე ისე აბიჯებს, თითქოს საფეხურებს ითვლისო.

ლურჯად შეღებილი ხის ჭიშკარი გაჭრიალდა. ეზოში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი შემოვიდა. მკერდზე მთავრობის ჯილდოები უბრწყინავენ. ხელში საშუალო სიდიდის ჩემოდანი უჭირავს. იგი იცინის და თამამად მოიწევს სახლისაკენ.

მარიანა განცვიფრდა. უცნობი სენკად წამოუდგა.

— ნუთუ, ის არის?!.—აღმოხდა ქალს მთრთოლვარე ხმით და ტანში სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა. მუხლი მოეკვეთა. კინაღამ დაეცა... მაგრამ თავი, როგორც იქნა, შეიმაგრა, მხოლოდ ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხა.

ძალა თანდათან მოიკრიბა, კიბეს ბარბაცით ჩამოყვა ქვევით გაოგნებული და გაფითრებული შეეგება სტუმარს.

— მარიანა!..—შესძახა მოსულმა, ჩემოდანი იქვე მიაგდო და ხელებგაშლილი გამოექანა ქალისკენ. ძაღლმა მხოლოდ ახლა დაიყეფა, მაგრამ რაკი მარიანა დაინახა, უცხო კაცისაკენ არ გაქცეულა.

— სენკა!.. ტკბილო!—ძლივს გასაგონად ამოიძახა მარიანამ და ვაჟკაცის მკერდთან აქვითინდა.

დილის გრილი ნიავი ფრთხილად ეამბორა ბედნიერ ადამიანებს.

ფრიდონ ხალვაში

სტალინის ქუჩა

მე ძლიერი ვარ, მე ამაყი ვარ,
რომ მოვაბიჯებ სტალინის ქუჩით,
ზამთარი ვარდებს აქ არა ყინავს,
ზღვა ცისფერია, თბილი და ლურჯი.

აქედან მაღალ ნაპირზე გაველ,
სადაც ქალაქი შეჰყურებს ლენინს.
დღეს აქაც ახალ ყვავილებს რგავენ
და ახალ ფოთლებს ისხამენ ხენი.

მაგრამ ამ ქუჩას ხსოვნაში დარჩა
დილა მოსული შავად და ურჩად,
— ბელადს ხშირ-ხშირად უცემსო მაჯა...—
დაგვეცა მეხი და დაგვამუნჯა.

მოვიდა ის დღე და შეგვაშფოთა,
მიწამ გოდება ცას გააგონა,
ჩვენს ქუჩას მწუხრი დააწვა ლოდად,
ჩვენს ქუჩას ეცვა ძაძა და გლოვა.

არ ქროდა ქარი ქვენა თუ ზენა,
თითქოს პლანეტას დაეცა დამბლა,
უბედურება შეიტყო მზემაც
და მოწყენილი დაეშვა დაბლა.

ვეღარ იტევდა დარდებს და ღელვას,
ქუჩა დაიძრა ნათელით სავსე,
ნაპირებს გაცდა და ცისარტყელად
ქუჩის დინება გაგრძელდა ზღვაზე.

ის დედამიწას მოევლო ირგვლივ,
სინათლის ზოლი ფართო და სწორი,
ჟამთასვლას მისით ზომავს და ითვლის
მერიდიანი და ეკვატორი.

სტალინის ქუჩა ათბობს ჩემს ქალაქს,
აქ მუდამ მზე და ვარდობის დრო ჩანს,
ის არის ჩვენი აზრი და ძალა,
ჩვენი სიმღერა და ჩვენი დროშა.

მაღლდება მიწის ფერების სისქე,
ცემს ბრძოლის ზვირთი მსოფლიოს გულში
და საუკუნე კომუნიზმისკენ
მიიმართება სტალინის ქუჩით.

1953 წ. 15 მარტი.

ოქტომბრის დროშა მშვიდობას იცავს

ოქტომბრის დროშა მშვიდობას იცავს,
რომ დღემ იდინოს ნათელ ფერებად,
მან ხომ ქუხილით გამოაღვიძა
დამუნჯებული ქვეყნიერება.

ოქტომბრის ალი კრემლში ბრწყინდება,
პლანეტას ათბობს სხივი ულევი.
დღე იბადება და ნაწილდება
მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

ამ დღის ნათება გულში თუ არი,
მებრძოლი ომში იტანს იარებს,
ოქტომბრის ჰანგებს მღერის დუნაი
და გზა ეხსნება ყვითელ მდინარეს.

ჩვენი მამები ცეცხლში ეწამნენ
და შექმნეს ეს დღე სისხლით ნაწერი.
ამ მაგალითით ტირანს ლეწავენ
დღეს კორეელი ჯარისკაცები.

ეს მაგალითი ჰედს გმირ გულადებს
და ტანჯულების ტკივილს ანელებს;
ოქტომბრის ცეცხლი გზას მიუნათებს
გამარჯვებისკენ ვიეტნამელებს.

დიდი ჩინეთი მზით იფერება
და ყველა დილა ოქროსფერია,
ოქტომბრისაა—ეს გათენება,
ეს გამარჯვებაც ოქტომბერია.

ოქტომბრის ელვა ბნელეთს მიარღვევს
და ყველგან ბრწყინავს მისი დიდება,
ის, ვით სინათლის ფართო მდინარე,
დედამიწაზე მიედინება.

აჭარელი მევენახე

მისი ვენახი არის შვიდი წლის,
ზრდის გამარჯვების გაზაფხულს აქეთ,
შეხედავს ზეცას—ამინდი იცის.
გახედავს ვენახს—მოსავალს აქებს.

ერთი დღე დარი... ორი დღე დარი—
მზე სიცოცხლეა ვაზისთვის ამ დროს,
თუმცა დარია, თუმცა მზე არის,
მაგრამ ის კიდევ მზიან დარს ნატრობს.

ნატრობს, რომ წვენი მეტად დათაფლდეს
და შეგვიწებოს ტუჩი მაჭარმა,
შემდეგ კი ისეთ სუფრას მართავდეს,
რომ მას აქებდეს მთელი აჭარა.

ასეთი ფიქრით ჩაუვლის ვაზებს...
აყვავდა შრომა აქ დახარჯული,
მტევანი პატრონს აკოცებს მხარზე
და გააყოლებს თვალებს კლარჯული.

ბროლისფერია ბროლას მტევანი,
თითქოს რცხვენია—ჩრდილს ეფარება,
და უნაწილებს ფერს საფერავი
ცოლიკაურს და ხარისთვალებას.

ჩამუქებულა ჩრდილში ჩხავერი,
მტევანზე ცვარი ანცად ციმციმებს,
რთველი მშვიდობას ხატავს ცხრაფერით
და იტვირთება შაქრით სიმწიფე.

ამოფრქვეულა სიუხვე მიწის,
ზედ კოლმეურნე მომავალს აგებს.
შეხედავს ზეცას—ამინდი იცის,
გახედავს ვენახს—მოსავალს აქებს.

თ ე რ გ ი

აჰა, მყინვარი სახეცქრიალა
და გარღვეული მთები მდინარით,
მდინარეს ჰქვია თერგი კი არა,
კავკასიონის მერიდიანი.

მრისხანედ ხაზავს მწვერვალთა რუკას,
შემდეგ ქაოთულად მღერის ვაკეზე...
მყინვარი დინჯად ამოისუნთქავს
და ცას ღრუბლებად გადააკეთებს.

თერგი ხიდებს და ლოდებს გადადის,
არც ღამე ცხრება იგი, არც დილით,
ის თვითონ ხიდი არის მარადი
საქართველოდან ძმისკენ გაწვდილი.

თერგი რბის, თერგი შმაგი ზვირთებით
უმღერს მწვერვალებს, ნისლის აფრიანს,
ზვირთები, როგორც ჩვენი ფიქრები,
ჩრდილოეთისკენ მიისწრაფიან.

ნანა გვარიშვილი

სტალინი ქვეყნის გასხივოსნება

ჭაბუკი შუბლზე ქოჩორდაყრილი
განთიადის მზეს შეხვდა სასმისით.
სუფრას ეხვია სხივები დილის,
სტუმრებს ეხვია ღიმილი მისი.

ო, იმ ღიმილით თენდება მთებში,
ყაყაჩოვდება ცის ლაჟვარდები;
სადაც უვლია, იმ ხეივნებში
იფურჩქნებიან წითლად ვარდები.

გორში დაირწა მისი აკვანი,
მილიონების სიცოცხლედ იქცა.
მშრომელი ხალხის ბაგემ დალოცა,
ეს ერთი პეშვი მშობელი მიწა,

ვინაც მსოფლიოს ნუგეში მისცა
თავისუფლების მზე გამოზარდა.
ჩინელის ქოხში რომ შეაშუქა,
საგანთიადოდ მივიდა ზანგთან.

ინდოელ გლეხის ტკბილი ოცნება,
სტალინი—ქვეყნის გასხივოსნება,
ბრაზილიელის მთრთოლვარე ტუჩით
მისი სურათი რომ ეკოცნება,

ახალ წელს ჩვენთან ასწია თასი,
ჩვენი გულია და ჩვენი სუნთქვა,
მისი სადარი ვერავის უთქვამს,
მე როგორლა ვთქვა იმისი ფასი?

1952 წ. 31 დეკემბერი

მშენებლობის ქრონიკა

ქუჩის ბოლოში შეჩერდა გლეხი
და გაოცებით მიმოიხედა,
ხეებს ახედა ულვაშის გრეხით,
დგანან ნაცნობი მწკრივები ხეთა.

— რად გაუღობავთ სოფლისკენ გზები,
ქუჩას და გამზირს ბოლს რად ადენენ?
ჭალარა გლეხი დგას გაოცებით
და ყველა გამვლელს მზერას ადევნებს.

მოაქვთ და მოაქვთ სილა და ხრეში,
მშენებელთა მწკრივს ბოლო არ უჩანს,
რომ გაიშალოს ფართოდ ბეჭებში,
გული გაიხსნას პატარა ქუჩამ.

რისთვის მოზიდეს ამდენი ნერგი,
მიხვდა და მოხუცს გულზე მოეშვა,
ქუჩის შენებას შეესწრო გლეხი
და ეს შემთხვევა როგორ გაუშვას?

მკერდს მიიხუტა სათუთი ნერგი,
ნორჩი სიცოცხლის ჩაუშვა ფესვი,
იქ სადაც იყო დუქანი ბეგის
და მოვაჭრენი წითელი ფესით.

ძველ ნავსადგურის აურზაურით,
თვალწინ დაუდგა სურათი ახლა,
გახუნებული ძველი ჩაქურით
როცა ეღირსა ქალაქის ნახვას.

ვერ იფარავდა დახეთქილ ფეხებს
ჩამოგლეჯილი ქალამნის ლანჩა,
ქუჩის მხურვალე წვეტიან ქვებზე
პატარა ტერფის ტკივილი დარჩა.

ფეხსაცმლიანთან ვერ თამაშობდა,
ცხვირიან კალოშს ნატრობდა მუდამ;
თვალცრემლიანი მისი ბავშვობა
დაატარებდა მათხოვრის გუდას.

ბედშავ ყოფიდან მზეკაცმა იხსნა
და ააყვავა ცხოვრება ბავშვის;
ახლა მადლობის სიმღერა ისმის
ნორჩი ნერგების შრიალის ხმაშიც.

ᲫᲝᲗᲐ ᲠᲝᲣᲪᲐ

* * *

ვერ დავრწმუნდები, არა, არ მჯერა!
ეს რა მწუხარე დილა გათენდა!
ნუთუ დაბინდდა იმ თვალთა მზერა,
კაცობრიობას რომ უნათებდა?

ნუთუ ბუნებას მოაკლდა ეშხი
მზესაც მოაკლდა სითბო, ნათება?
ნუთუ ბელადი ჩიბუხით ხელში
კრემლის ფანჯარას ვერ მოადგება?

ო, რა ნათელი დღე დაგვეღამა!
რამდენ სიხარულს დაეცა ჩრდილი!
დღეს ყველა შვილმა დაჰკარგა მამა
და ყველა მამამ --ძვირფასი შვილი!

1953 წ. 6 მარტი

ნულარ მიფრინავ მერცხალო

დიდი სტალინის გლოვის დღეებში მოსკოვიდან ისმოდა სამგლოვიარო მელოდია „ვაფრინდი, შავო მერცხალოს“ ხმაზე.

ნულარ მიფრინავ, მერცხალო,
ნურცა ნიავო დილისა,
ისედაც ვიცით ამბავი
ბრძოლებით დაღლილ გმირისა.

აღარ გვყავს დიდი სტალინი,
გენია ყველა დროისა,
ისმის სამგორის ქვითინი
და მოთქმა ვოლგა-დონისა.

თვალები ცრემლმა აგვივსო,
გული დარდს დაულარია,
მაგრამ ნეტავი სამშობლოს
მტერს მაინც რა უხარია?

ის მოკვდა, მაგრამ კვლავ ცოცხლობს
მისი საქმე და მიზანი,
ჩვენ ისევ დავიგუგუნებთ:
„გმირებო, სტალინისათვის!“

ვინც გვზრდიდა, გვაფოლადებდა,
კვლავ ხალხებს გვიდგას დარაჯად,
სტალინი ჩვენი დროშაა
ძირს დაუხრელი მარადჟამს.

1953 წ. 10 მარტი

ლენინი ცოცხლობს

უდაბნოები ირთვება მწვანით,
გადამწვარ ველებს ბაღები მოქსოვს.
ხალხი ადიდებს მშობლიურ სტალინს,—
მაშასადამე, ლენინი ცოცხლობს.

ჩირაღდანია სამშობლო ჩვენი,
ის აღფრთოვანებს ჰიქმეთს თუ რობსონს.
კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ბრძენი,—
მაშასადამე, ლენინი ცოცხლობს.

კაპიტალიზმი კვლავ ლესავს მახვილს,
ისწრაფვის აკვნის ბავშვები ხოცოს,
წინ ეღობება სიმტკიცე ხალხის,—
ამ სიმტკიცეში ლენინი ცოცხლობს.

სოციალიზმის იზრდება რუკა,
ვერ დათვლი მისი დროშების კოცონს,
სხვა ხალხებს ჩვენი ქვეყანა უყვართ,—
ამ სიყვარულში ლენინი ცოცხლობს.

ხალხი ისწრაფვის მშვიდობისაკენ,
არავის ძალუძს ეს ძალა მოსპოს,
უძლეველია მშვიდობის საქმე,—
მაშასადამე, ლენინი ცოცხლობს.

კაცობრიობამ ყური და თვალი,
მხსნელსა და იმედს მიაპყრო მოსკოვს.
ამხანაგებო, დიდება სტალინს,
ლენინის საქმე სტალინით ცოცხლობს!

1953 წ. 21 იანვარი

სტალინგრადი

როცა იგონებ ხშირად სტალინგრადს,
კაცს სიამაყით გული გევსება.—
მტრის ხერხემალი აქ გადაიმსხვრა,
ფაშისტების მზე აქ ჩაესვენა.

რამდენს გაუძლო ტყვიების დელგმას,
მტკიცედ ალაგმა მხეცთა მხედრობა,
მას სტალინგრადი იმიტომ ერქვა,
რომ სტალინურად მტერს დახვედროდა.

რისხვად გრგვინავდნენ ყორნები ცაზე,
კაცი კაცის ხმას ვერ გაიგებდა,
ათას ყუმბარას აყრიდნენ თავზე,—
ის კი ათასჯერ ძალას იკრებდა.

თუმცა აქ დუღდა მთელი ქვეყანა,
ქალაქი მტრის წინ არ იხრებოდა,—
ბრძოლაში ქედი რომ მოეხარა,
ის სტალინგრადიც არ იქნებოდა.

გმირი ქალაქი! ხალხთა მაისის,
ხალხთა მშვიდობის არის დამხსნელი
და ქვეყანაზე მიტომ გაისმის
ასე ამაყად მისი სახელი.

ახალგაზრდობას უნდა მშვიდობა

რამდენი გმირი სკოლის მერხიდან
ფიქრობდა დიად რამეს შექმნიდა,
გაეზრდებოდა მამულს კაცადა.
როდესაც სკოლის კარი მიხურა,
საზარი ომის ხმამ დაიქუხა,—
ჰაბუკს ჰიტლერმა აღარ აცალა.

გულს რომ ანდობდა, სულს რომ ანდობდა,
ჰაბუკმა სახლში სატრფო დატოვა,
დადგა დამცველად მშობელ ქვეყნისა,
მაგრამ მგლურია ომის ბუნება,
ომიდან ყველა როდი ბრუნდება.
ეაეს სატრფოს ნახვა აღარ ეღირსა.

რამდენმა დედამ შავი ჩაიცვა,
რამდენი დედის ვარდი დამიწდა,
მათი სიცოცხლე ყველას გვინდოდა.
ზოიას გული მისთვის დაიწვა,
ოლეგის გული მისთვის დაიწვა,
რომ ყოფილიყო ქვეყნად მშვიდობა.

როდესაც შეწყდა ნგრევა ქალაქთა,
მტრები საფლავში როცა ჩალაგდა,
განათდა ხალხის თვალთა უპენი,—
არ მოსულიყვნენ გმირნი ომიდან,
არ მოეჯერათ გული შრომითა,
რომ ცას გაეკრა ომის ღრუბელი.

სურთ ჩაგვიღამონ სინათლე თვალთა,
ყოველგან დაძრწის ველური ბანდა,
სიკვდილს სამრად ფეხი აუდგამს.
რად ამზადებენ კვლავ ომის ღადარს,
თქვას ამერიკამ: კორეის კაროან
მის ზარბაზნიან გემებს რა უნდა?!

მაგრამ არსებობს ქვეყნად მოსკოვი,
მშვიდობის ყველა მტერის მომსპობი,
მას ხალხი უძღვნის გულების ძგერას.
ხალხთა მშვიდობა და გაზაფხული
მის სახელშია გამოსახული,
ისაა ხალხთა ძმობის სიმღერა.

მოსკოვი!—აი ჩვენი სიმღერა,
სტალინი!—აი ჩვენი სიმღერა,
მშვიდობა გვინდა, მუდამ გვინდოდა.
მკერდში ოლეგის გული გვიღელავს,
გულში ზოიას ცეცხლი გვიელავს,
ახალგაზრდობას უნდა მშვიდობა!

1952 წ.

ალექსანდრე ჩხაიძე

მეგობრები*

თავი პირველი

როცა ვაჟთა პირველი სკოლის გუნდის მარჯვენა შუამარბმა ნუგზარ ჯაფარიძემ მოხდენილი გარტყმით ანგარიში გაათანაბრა, ბიჭებმა ისეთი ყიჟინი ატეხეს, რომ მაისის მზის ქვეშ ზღვისპირას მოვლემარე თოლიაც კი შეშფოთდა და ფრთების ფარფატით უფრო წყნარ ადგილზე გადაფრინდა.

ყიჟინა არ წყდებოდა. თამაშის დამთავრებას სულ რაღაც ათიოდე წუთი აკლდა, წაგება-მოგება კი ბეწვზე ეკიდა—ანგარიში ორით ორი იყო.

ორივე გუნდს საკმაოდ ჰყავდა გულშემატკივრები, რომლებიც მოედნის გარშემო წრედ შემორტყმულ ხალხში გაბნეულიყვნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ ამხანაგებს.

უმცროსკლასელებს კარებს უკან მწვანე მოლზე მოეკალათებინათ. როცა რომელიმე თავდამსხმელი ბურთს მოიხელთებდა და კარებისაკენ გაიტაცებდა, ისინი ერთ ადგილზე ველარ ჩერდებოდნენ, კისერწაგრძელებულნი, სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ, რა მოხდებოდა. უფრო სულსწრაფები მოედნის ხაზზეც კი გადადიოდნენ და მსაჯს ხშირად უხდებოდა მათი გაფრთხილება.

ყველაზე მეტად ერთი შავტუხა, პატარა ტანის ბიჭი ცხარობდა. ისიც პირველი სკოლიდან იყო, მეექვსეკლასელი ცანგალა, რომელსაც ამხანაგები მეტსახელად „კურკანტელას“ ეძახოდნენ.

— რას ვიზამთ, კურკანტელა, მოვიგებთ?—ეკითხებოდნენ თანასკოლელები.

— მოვიგებთ მაშა,—უპასუხებდა ცანგალა და ცდილობდა ხმა მიეწვდინა თავისი გუნდისათვის:—ანზორ, მიდი! უჩვენე ერთი მაგათ, როგორ უნდა თამაში... უკანიდან მოვიდა, უგანე!.. დაარტყი, რაღას უყურებ!..

ასეთი შეძახილები და შეხვედრის დამთავრებამდე დარჩენილი რამდენიმე წუთი, ძალას მატებდა მოთამაშეებს. არც ერთი გუნდი არ აპირებდა გამარჯვების იოლად დათმობას, მაგრამ ანგარიში—ორით ორი—ჯერჯერობით უცვლელი რჩებოდა.

პიონერთა პარკის საზეიმო გახსნაზე მრავალი ბათუმელი მოსულიყო. ორი მაისი იყო—ბავშვების დღესასწაული, და ზღვა ხალხში ყაყა-

*) ალექსანდრე ჩხაიძის მოთხრობა „მეგობრები“ პრემირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო მხატვრული ნაწარმოების კონკურსზე 1952 წელს.

ჩოსფერი ყელსახვევიანი ბიჭუნები და გოგონები ჭარბობდნენ. მათ დილიდანვე გაავსეს გირლანდებით, ფერადი ალმებითა და ელნათურებით მორთული პარკის ხეივნები, თან სილამაზე, ყიჟინა და სიხალისე მოიტანეს.

პიონერთა პარკის დირექცია ყოველ წელს ახალ-ახალი სანახაობით ახარებდა პატარებს. ახლაც პროგრამა საინტერესო ამბებს იუწყებოდა. ყველაზე წარმტაცი, ალბათ, ღამით ტბაზე გამართული ფეიერვერკი იქნებოდა.

მანამდე კი გოგო-ბიჭები პარკის ხეივნებში გაფანტულიყვნენ და ერთმანეთს სიმარჯვეში, ცელქობასა და ცეკვა-თამაშში ეჯიბრებოდნენ.

პარკის სიამაყე—კოხტა, პატარა თბომავალი „პიონერი“ გარდიგარდმო სერავდა ტბას. მეზღვაურის ლამაზ ფორმაში გამოწყობილი თორმეტი წლის ბიჭუნა—კაპიტანი ისე ამაყად იდგა გემის ერდოზე, გეგონებოდათ, თითქოს „როსიას“ მართავსო. იგი დინჯად აძლევდა ბრძანებებს თავის ტოლ მეზღვაურებს.

როდესაც მზე ზღვისაკენ გადაიხარა, პარკის რადიოკვანძის დიქტორმა გამოაცხადა: ახლა გაიმართება ფინალური შეხვედრა ფეხბურთში პარკის სეზონის გახსნის თასზე. ერთმანეთს შეხვდებიან ვაჟთა პირველი და მესამე სკოლების გუნდებიო.

ახლა პარკში ამაზე საინტერესო აღარაფერი იყო. ყველა კუთხიდან დაიძრნენ ფიზკულტურის „ქალაქისაკენ“. ნავებით მოსეირნეებმა გამალებით მოუსვეს ნიჩბები ნაპირისაკენ. თბომავალმა კურსი პირდაპირ სტადიონისაკენ აიღო. კაპიტანმა და გემის ეკიპაჟმა, ეტყობა, გადაწყვიტეს ვახტი არ მიეტოვებინათ და პირდაპირ გემბანიდან ეცქირათ თამაშისათვის.

სულ მალე მწვანე მოლით დაფარულ მოედანს მაყურებელთა მჭიდრო კედელი შემოერტყა.

ერთ მხარეზე წითელ მაუდგადაფარებული მაგიდა იდგა. მასზე თვალისმომჭრელად კიაფობდა შეჯიბრებაში გამარჯვებულის ჯილდო—ვერცხლის თასი.

მაგიდის გარშემო ორივე სკოლის მოსწავლეებს მოეყარათ თავი და თამაშის დაწყებამდე ერთმანეთს აღიზიანებდნენ:

— უყურეთ, უყურეთ, გამოეთხოვეთ, მალე ველარ ნახავთ!—იმუქრებოდნენ მესამესკოლელები.

— შარშან სამი ბურთი მიიღეთ, დღეს ორ მაგდენს მოგართმევთ.

— სამი წელია ჩვენთანაა, შეგვეჩვია, დღესაც ჩვენთან წამოვა,— ვალში არ რჩებოდნენ პირველი სკოლის ბიჭები.

პიონერთა პარკის გახსნის ტრადიციული ჯილდოს მოსაპოვებლად უკვე ზედიზედ მეოთხე წელია ერთმანეთს ხვდებიან პირველი და მესამე სკოლის ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვება და თასი კი მართლაც ყოველთვის პირველ სკოლას რჩებოდა.

შეჯიბრების ციებ-ცხელებას მარტო მოსწავლეები კი არა, მათი მშობლები და მასწავლებლებიც შეეპყრო, მაგრამ ისინი მეტ-სიდინჯეს იჩენდნენ და პატარების პაექრობაზე მხოლოდ იღიმებოდნენ.

ყველაზე უფრო გამარჯვება მაინც იმ ოცდაორ ჭაბუკს სწყურდა,

რომელთაც საზეიმო ტანსაცმელი სპორტული ფორმით შეეცვალათ და გასახდელ ოთახში მოედანზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ.

პირველი სკოლის გუნდის კაპიტანს ანზორ გეგელიას მისიანები შეუკრებია და უკანასკნელად ეთათბირება.

— თქვენ მხოლოდ ბურთი მომაწოდეთ,—ეუბნება იგი თავდამსხმელებს,—დანარჩენი ჩემზე იყოს.

— ჩემი აზრით, ასე არ ივარგებს,—არ მოწონს მეგობრის თათბირი ნუგზარს, რომელიც დღეს მარჯვენა შუამარბად გამოდის.—ისინი ორ დამცველს მიგიჩენენ და ისე „ჩაგკეტავენ“, რომ კარს ახლოსაც კი არ გაგაკარებენ.

— ვინ? ვაჟა?!—დაცინვით იღიმება ანზორი და იქით იცქირება, სადაც მოწინააღმდეგეებს გაუმართავთ თათბირი.

მათი გუნდის კაპიტანს, ცენტრალურ დამცველ ვაჟა გურეშიძეს, ესმის მეტოქის სიტყვები, მაგრამ პასუხის ნაცვლად მშვიდად იღიმება. მისი ამხანაგებიც იღიმებიან. ეტყობათ, დღეს უკვე აღარ აპირებენ წაგებას; რაღაც ძალზე გულდაჯერებული ჩანან. აჰა ბურთი და მოედანიო—ამბობენ მხოლოდ.

ნუგზარს არ მოწონს ანზორის აზრი, მაგრამ თამაშის წინ შეკამათება არა ღირს. დროც აღარაა. უკვე ისმის მსაჯის სასტვენის ხმა, რომელიც გუნდებს მოედანზე იხმობს.

მსაჯმა, ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელმა, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილემ გიორგი გერაძემ ნიშანი მისცა და ლურჯი და თეთრი მაისურები ერთმანეთში აირია.

თამაში თავიდანვე ისე წარიმართა, რომ ოპტიმისტურად განწყობილი ცანგალაც კი ამას სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდა.

პირველად თასის მფლობელებმა—პირველსკოლელებმა შეუტიეს, მაგრამ ვაჟა გურეშიძე და სხვა დამცველები მტკიცე კედლად იყვნენ აღმართულნი.

თამაში თანდათან გათბნაბრდა. მალე უკვე მესამესკოლელები გადავიდნენ შეტევაზე, თასის მფლობელებს ავიწროებდნენ და ზედიზედ გზავნიდნენ ბურთს მათკენ. მხოლოდ გიზოს სისწრაფე იფარავდა ბადეს შერხევისაგან.

ერთხელ კი მაინც ველარ უშველა. მაღალ ბურთზე ახტა, მაგრამ დაიგვიანა, მინდორზე ხელცარიელი გაიშოტა. მხოლოდ ცალი თვალით დალანდა ბადეში გახვეული ბურთი.

ვაშამ და ყიჟინამ იფეთქა.

— ბიჭებო, მიდით, თქვენ გენაცვალეთ!

— ერთი კიდევ!

— ესეც თქვენ!—აქეზებდნენ თავისიანებს და აბრაზებდნენ დადუმებულ მეტოქეებს მესამე სკოლის ბიჭები.

ახლა თასის მფლობელებიც კარგად ხედავდნენ, რომ ვერცხლის თასი გასაფრენ ფრთებს ისხამდა. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდნენ, თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს ანზორ გეგელიას, რომელიც ამ დროს მოედნის შუაგულიდან იწყებდა თამაშს, იმედით შესცქეროდნენ.

პირველი სკოლის ფეხბურთელები ისევ გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ მოწინააღმდეგემ თავიდანვე გამოიყენა მათი შეცდომა. გა-

მართლდა ნუგზარის წინათგრძნობა—ანზორი საიმედოდ ჰყავდა „ჩაკეტილი“ ორ დამცველს. იგი აღარავის უჯერებდა, ყველგან დარბოდა, იღლებოდა, იბნეოდა და სხვებსაც აბნევდა.

პირველი ბურთი შემთხვევით გატანილად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, მაგრამ როდესაც თასის მფლობელთა ბადე მეორეჯერ შეირხა, მაშინ თვით ცანგალასაც კი შეეპარა ეჭვი—ნაღდად ვაგებთო, იფიქრა, თუმცა სხვების დასანახავად იხტიბარს არ იტეხდა, კარში მდგარ დარცხვენილ გიზოს ამხნევებდა, თავის უფროს მეგობარს ანზორ გეგელიას ხმას აწვდიდა.

მიფერფლილი იმედის ნაპერწკალი წამოღვივდა, როცა თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ანზორი მაინც დაუსხლტა ჩამკეტებს და მეკარის წინ პირისპირ დარჩენილმა თავგამოდებით დაარტყა.

მეკარე მხოლოდ წესის გულისათვის გადახტა ბურთის ასაღებად. მის გადახტომამდე ტაშმა იგრიალა.

მაყურებელთა ყიჟინას თბომავლის საყვირმაც მისცა ბანი. კაპიტანი პირველი სკოლიდან იყო და მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რომ ხმა მიეწვდინა თავისიანებისათვის.

თასის მფლობელები შესასვენებლად თავდახრილნი მიდიოდნენ, მოწინააღმდეგენი კი მხრებგაშლილნი და თავაწეულნი მიაბიჯებდნენ.

ვაჟთა პირველი სკოლის დირექტორი ნიკოლოზ დარჩიძე საპატიო ადგილზე იჯდა და ინტერესით ადევნებდა თვალს თამაშს. იგი ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო, მით უმეტეს ახლა ღელავდა, როდესაც საქმე მისი სკოლის სახელს და ღირსებას შეეხებოდა. ჭილის ქუდს მალ-მალე იხდიდა და დანამულ შუბლს ფართო ხელსახოცით იწმენდდა.

თამაშის პირველი ნახევარი რომ დამთავრდა, სკოლის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ოთარ მეტრეველი თვალებით მიიხმო.

— შგონი წაგებას აპირებენ ჩვენები.

— არავითარ შემთხვევაში, პატივცემულო დირექტორო!

— მიდი მათთან, გამოელაპარაკე, რას ფიქრობენ. გეგელიას ჩემგან გადაეცი, ასე თამაში არ ივარგებს-თქო.

— ახლავე.—ოთარი ადგილიდან მოწყდა და გასახდელ ოთახს მიაშურა.

დირექტორს ბარემ თვითონაც უნდოდა ენახა ბიჭები, ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა, გაამხნევებდა, მაგრამ მეტი სიდინჯე იყო საჭირო: იქვე ახლოს მესამე სკოლის დირექტორი ბალაძე იჯდა. იგი მშვიდად ესაუბრებოდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელს, თანაც ხანდახან მზერას დარჩიძისაკენ გააპარებდა ხოლმე.

მესამე სკოლის ბიჭებმა ამხანაგები მხრებზე შეისვეს და ნაძვნარის ჩრდილისკენ გააქროლეს. ანზორმა კი მოფარება ამჯობინა და გასახდელ ოთახში შეუძღვა გუნდს.

ერთხანს ხმას არავინ იღებდა. ბოლოს გიზომ ველარ მოითმინა:

— ნუთუ წავაგებთ?

ახლა ყველა ერთად ალაპარაკდა:

— არ შეიძლება!

— არ უნდა წავაგოთ!

— წავაგებთ და ხვალ ქალაქში თავს ვერ გამოვყოფთ!

— სკოლაში აღარ მიგვესვლება!

ანზორი ლაპარაკში არ ერეოდა, განზე დამჯდარიყო და წვივსაკრავებს ისწორებდა. ნუგზარს კი მისი სიტყვა უნდოდა გაეგონა.

— ანზორ!—მიმართა ბოლოს თვითონ,—ასე არ ივარგებს, თამაშის ტაქტიკა უნდა შევცვალოთ.

— არავითარი შეცვლა!—იფეთქა გუნდის კაპიტანმა.—მე კიდევ გავიტან გოლს, თქვენ მხოლოდ უკეთ მომაწოდეთ ბურთი.

— ხომ ხედავ, ამით არაფერი გამოდის... ორი დამცველი მოგიჩინეს.

— არაფერია... ორივეს ვაცეკვებ.

— ჯერჯერობით ისინი გაცეკვებენ და...—ჩაილაპარაკა გიზომ, რომელსაც აქამდე ვერ მოენელებინა ორი გაშვებული ბურთი.

— რა გინდათ ჩემგან!—გაბრაზდა ანზორი.—მე ჩემი ვალი მოვიხადე—ერთი ბურთი ხომ გავიტანე. დანარჩენიც თქვენ მოახერხეთ. ჩემსავით ორი ფეხი გაბიათ.

— გუნდის კაპიტანი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს,—მშვიდად შენიშნა ნუგზარმა.

— ვხედავ, ყელში გეჩხირება ჩემი კაპიტნობა,—მიახალა ანზორმა.

ამას კი აღარ მოელოდა ნუგზარი სიყრმის მეგობრისაგან. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ოთახში ფიზკულტურის მასწავლებელი შალვა და კომკავშირული კომიტეტის მდივანი ოთარ მეტრეველი შემოვიდნენ.

ბიჭები ზეზე წამოდგნენ.

— ესე იგი გადაწყვიტეთ წაგოთ, არა?—შეეკითხა შალვა თავდახრილ ფეხბურთელებს.

— არავითარ შემთხვევაში!

— ჩვენ ვეცდებით!

— მეორე ნახევარი კიდევ წინაა!—ერთად ალაპარაკდნენ ბიჭები.

— თუ მეორე ნახევარშიც ასე ითამაშეთ, ორ ბურთს კიდევ მიიღებთ,—ჩაურთო ოთარმა.

— თასსაც ერთი წლით გამოეთხოვეთ,—დაუმატა შალვამ.

— განა ცუდად ვთამაშობთ?—ცადა თავის გამართლება ანზორმა.

— ცუდად!—მიუგო ოთარმა—ისინი კი შარშანდელზე გაცილებით უკეთ თამაშობენ.

მეტი ლაპარაკისათვის დრო აღარ რჩებოდა. შალვამ მოწინააღმდეგის სუსტ მხარეებზე მიუთითა, შემდეგ ანზორს მიუბრუნდა:

— მოწინააღმდეგის დასაბნევად თამაში ნუგზარზე უნდა გადავიტანოთ. შენ ორ დამცველს უკან გაიტყუებ. მაშინ ნუგზარი ადვილად გაარღვევს თავდაცვის ხაზს თავის მხარეზე.

ნუგზარმა ანზორს გახედა, ხომ არ ეწყინაო. უმალვე მიხვდა, რომ ეწყინა, მაგრამ ახლა ერთმანეთის წყენაზე ფიქრის დრო არ იყო. რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თასი ხელიდან არ უნდა გაეშვათ.

მსაჯის სასტვენი ისევ მოედანზე იწვევდა გუნდებს.

ბიჭები გასასვლელად ჩამწკრივდნენ, თავიანთ მეთაურსღა ელოდნენ.

მეთაურმა კი ჩემოდანს წაავლო ხელი, ამხანაგებს გვერდი აუარა და გასასვლელისკენ მარტოდმარტო გაემართა.

— ანზორ, სად მიდიხარ?!—მიაძახეს გაოცებულმა ბიჭებმა.

— ასე გამოდის, მე. გიშლით ხელს,—მიუბრუნდა მათ ანზორი.— კარგი, აღარ ვითამაშებ.—და ამხანაგების განცვიფრებულ სახეებს თვალი რომ შეავლო, თითქოს შერცხვაო, ჩაილაპარაკა:— თანაც ფეხი მტკივა, ლურსმანი შემესო.

— შენ მართალს არ ამბობ!—შეუტია ნუგზარმა მეგობარს და წინ გადაუდგა.—გესმის, რას ჩადიხარ?

— შენ რაღა გინდა, კაპიტნობა შენი იქნება. ახლა გიყურებ, როგორ ითამაშებთ!—ნუგზარი ხელით ჩამოიცილა და გარეთ გავიდა.

— სახვეწარი არაფერი გვაქვს. უკეთესიცაა, თუ არ ითამაშებ,— მიაძახა გიზომ.

— კარგი! დანარჩენზე სკოლაში მოვილაპარაკებთ,—ჩაერია შალვა.—გურამ, ტანზე გაიხადე!—უთხრა სათადარიგო მოთამაშეს, შემდეგ ნუგზარს ხელი მოჭიდა და გუნდის თავში დააყენა.

მესამესკოლელები ახლა უფრო ფრთხილად თამაშობდნენ. ეტყობოდათ, ანგარიში აკმაყოფილებდათ და უფრო თავდაცვის ხაზის გამაგრებაზე ზრუნავდნენ. ამიტომ ერთი თავდამსხმელი უკანაც კი დაწიეს.

ახლა გურამს დასდევდა კვალდაკვალ ორი ჩამკეტი, ხოლო თავისუფლად დარჩენილი ნუგზარი სულ უფრო ხშირად გადადიოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

ერთი ასეთი გასვლა გოლით დაგვირგვინდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

ვაჟა გურეშიძე და მისი ამხანაგები გვიან მიხვდნენ თასის მფლობელთა ეშმაკობას. ახლა ნუგზარზე გადაიტანეს მთელი ყურადღება.

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთიღა აკლდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, ანგარიში უნდა შეცვლილიყო.

ნუგზარმა თავისი მეკარის გადმოწოდებული ბურთი თავით შეაჩერა, გურამს ხელით ანიშნა წინ გაიჭერიო, თვითონ ორი მოთამაშე მოატყუა და კარებისაკენ გაქანდა.

წინ მხოლოდ ვაჟა გურეშიძე ედგა, მხარმარცხნივ გურამი მისდევდა ფეხდაფეხ.

— ვაჟას მოვატყუებ და პირდაპირ კარში გავარტყამო, გაიფიქრა, მაგრამ შეშინდა. ვაი, რომ ააცილოს! დათვლილი წუთები დარჩა.

გურამისკენ მიიხედა, იგი სულ თავისუფალი იდგა და ხელს უქნევდა, აქეთ გადმომაწოდეო.

ფიქრის დრო აღარ იყო. უკანიდან ესმოდა მოახლოებული დამცველების ფეხის ხმა. მკვეთრად შეტრიალდა და ბურთი გურამს გაუგორა. მანაც შეუჩერებლივ დაარტყა. კარის ზედა ძელიდან ასხლეტილი ბურთი ბადეს მიენარცხა.

ეს უკვე გამარჯვება იყო.

ისევ იქუხა ვაშამ და ყიჟინამ. ისევ ააბლავლა გულმეწვია კაპიტანმა გემის საყვირი.

გაბმულად აწივლდა მსაჯის სასტვენიც.

შეხვედრა დამთავრდა.

პირველი სკოლის ბიჭებმა იხუვლეს და მოედანზე გაეფინენ. ხელ-

ში აყვანილი გაარბენინეს დაღლილი, მაგრამ სიხარულით სახეგაბრწყინებული ამხანაგები მაგიდისაკენ, სადაც თასის გადაცემა უნდა მომხდარიყო.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გუნდს გამარჯვება მიულოცა და მუსიკისა და ტაშის გრიალში თასი ნუგზარს გადასცა.

ცანგალას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ხელისგულები ეტკინა ტაშის კვრით. ძალზე უკვირდა, სად დაიკარგა ანზორი, თასის გადაცემის დროსაც რომ არ გამოჩნდა.

მზე ზღვაში ჩაესვენა და დასალიერი ააფერადა. ბინდი ჩამოწვა ხეივნებში. პარკს ზღაპრული იერი დაედო. აციმციმდნენ ვეება ჭადრებზე, ნაძვებსა და არყის ხეებზე გაკიდული ფერადი ელნათურები.

ნავები დასრიალებდნენ ტბაზე. მათ შორის ამაყად მიარღვევდა წყალს „პიონერი". პატარა ტალღები ვერცხლის რკალებივით ლაპლაპებდნენ პროექტორის შუქზე.

უცებ ერთ ადგილას ტკაცანი გაისმა და მაშხალის ცეცხლოვანი ენა აისვეტა ჰაერში. ნარინჯისფერმა ზოლმა რკალი მოხაზა, ნამეხარი ცაცხვის კენწეროსაც კი აცდა, ათას ნაპერწკლად დაიფშვნა და ტბის ზედაპირს გადმოეფრქვა.

ეს თითქოს ნიშანი იყო. ნარინჯისფერმა, წითელმა, ყვითელმა და იისფერმა მაშხალებმა დასერეს ზეცა. ყურთასმენა წაიღო მათმა ტკაცანმა. ტყვიამფრქვევივით აკაკანდა ფეიერვერკი.

მაშხალების შუქმა ვარსკვლავებიც კი გააფერმკრთალა და ღამეს ერთი წუთით დღის სინათლე დაუბრუნა.

თბომავალი „პიონერი" და მის უკან წეროებივით ერთმანეთზე გადაბმული ნავები ტბის შუაგულისაკენ გაემართნენ. მოფარფატე მთას ჩამოჰგავდა პიონერული კოცონისათვის გამზადებული ტივზე დაზვინული ფიჩხი.

გემბანზე ფეხბურთელთა გამარჯვებული გუნდი ჩამწკრივებულიყო. წინ ნუგზარი იდგა ჩირაღდანით ხელში. მას ხვდა წილად კოცონის გაჩაღება. მარცხენა ხელში ვერცხლის თასი ეჭირა, რომელიც მაშხალებისა და ჩირაღდნის შუქზე თვალისმომჭრელად ელვარებდა.

თბომავალი გვერდულად მიადგა ტივს. ნუგზარი გადაიხარა და ჩირაღდანი ფიჩხს შეუკეთა.

ცეცხლის ენები ათამაშდა ჰაერში. აგიზგიზებული კოცონის გარშემო დატრიალდა ნავები.

უხაროდა ნუგზარ ჯაფარიძეს: მისმა სკოლამ თავი ისახელა, საპატიო ჯილდო მოიპოვა, ტრადიციული კოცონიც მან აანთო. მაინც აწუხებდა რაღაც. დამნაშავე არაფერში იყო, მაგრამ მის გვერდით ახლა ანზორი რომ არ იდგა, გული ეთანაღრებოდა.

„ნეტავ სად არის? თასის მიღების დროსაც კი არ მოვიდა. ალბათ ახლა შორიდან მიცქერის".—თითქოს შერცხვაო, უკან დაიხია და ბიჭებს ამოეფარა. თბომავალი როგორც კი მიადგა ნავმისადგომს, თასი გიზოს გადასცა, თვითონ ნაპირზე გადახტა და ხალხში შეერია.

რადაც არ უნდა დაუჯდეს ანზორი ამაღამვე უნდა ნახოს. იმიტომ

კი არა, რომ ბოდიში მოუხადოს და თავი იმართლოს. არა! დაუმტკიცებს, რომ ანზორი მართალი არაა. მეგობრები კი ისევ მეგობრებად დარჩებიან.

ანზორი ამ დროს პარკის ჩაბნელებულ კუთხეში ბალახზე გულაღმა იწვა და ფიქრებს მისცემოდა.

ჯერ კიდევ თამაშზე უარის თქმისთანავე უნდოდა პარკი მიეტოვებინა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია, უცნობ მაყურებელთა ჯგუფში გაერია და იქიდან ადევნებდა თვალს თამაშს.

რომ გეკითხათ, იმ წუთში რას გრძნობდა, ალბათ, ვერ გიპასუხებდათ. გუნდიდან გაქცეულმა კაპიტანმა არც კი იცოდა, ვისი გამარჯვება გაუხარდებოდა ახლა.

როცა მესამე სკოლის გუნდმა მათ კარებში ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, თავისი თავი ისეთ რამეში დაიჭირა, რომ სინდისის ქეჯნაც კი იგრძნო.

„ნუთუ ჩემიანების წაგება მიხარია“?—გაიფიქრა. ამ შეკითხვაზე თავის თავს პასუხი რომ ვერ გასცა, შერცხვა, მოედანს მოსცილდა და პარკის მყუდრო ადგილზე განმარტოვდა.

ტაშის გრიალთან ერთად „პიონერიდან“ ორჯერ მოესმა საყვირის ხმა. „ეს ალბათ რეზოა.“—იცნო თანასკოლელი გულმეწვია კაპიტანი და მიხვდა, რომ გამარჯვება და თასი ისევ მათმა სკოლამ დაინარჩუნა.

ვერ მოითმინა, შებინდებისას შეუმჩნევლად გავიდა ტბის პირად სწორედ იმ დროს, როდესაც ნუგზარი კოცონს აჩაღებდა. მეგობრის მოცინარ სახეს და მის ხელში მოკიაფე ვერცხლის თასს თვალი რომ შეავლო, გაიფიქრა: „უხარია, მეგობარიც ასეთი უნდა.“

სახლისკენ გული არ მიუწევდა. ისევ ძველ ადგილს და თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

დე, მათ იფიქრონ, რომ ანზორი მტყუანია, რომ მან თამაში არ იცის. აკი მწვრთნელი გიორგი გერაძე ყოველთვის აქებს, ამბობს, რომ მისგან კარგი მოთამაშე დადგება. მწვრთნელმა კი მაგათზე მეტი იცის. თვითონაც ერთ დროს განთქმული ფეხბურთელი ყოფილა.

ბათუმში ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებია ჩამოსული. ხვალვე მივა მათ უფროსებთან, გაიგებს, როგორ შეიძლება გუნდში მიღება. ამბობენ, მათთან ფეხბურთის სკოლაცაა. ადრე თუ გვიან მაინც მოახერხებს დიდებთან ფეხბურთის გუნდში თამაშს.

როგორ გუნებაზე დადგებიან ბიჭები, როდესაც ანზორს რამდენიმე წლის შემდეგ ოსტატთა გუნდში მოთამაშეს ნახავენ, ან კიდევ რადიოთი გაიგონებენ მის გვარს. მაშინაც იტყვიან თამაში არ იცისო?

— ანზორ!...—შორიდან ხმა შემოესმა.

ყური მიუგდო. ძახილი განმეორდა.

ანზორმა იცნო ნუგზარის ხმა, მაგრამ პასუხი არ გასცა, პარკს კი დეკიდე გაჰყვა და ქუჩაში გავიდა.

თავი მეორე

დიდ შესვენებაზე ოთარ მეტრეველმა მეცხრე პირველ კლასში შეირბინა და ნუგზარი გააფრთხილა, გაკვეთილების შემდეგ კომკავშირის კომიტეტის სხდომაა მოწვეულიო.

— კომკავშირში მისაღებთა განცხადებებს განვიხილავთ და მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადებაზე ვიმსჯელებთ,—გააცნო დღის წესრიგი კომიტეტის მდივანმა, შემდეგ საკლასო ოთახი შეათვალიერა და ვისაც ეძებდა რომ ვერ იპოვა, ნუგზარს მიუბრუნდა:—ანზორ გეგელია ხომაა დღეს სკოლაში? გააფრთხილე, კომიტეტის სხდომაზე მოვიდეს. მის განცხადებასაც განვიხილავთ. როგორც მახსოვს, შენ აძლევ რეკომენდაციას.

იმდღინდელ შემთხვევის შემდეგ მეგობრები ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ ხეირიანად. მეზობლად ცხოვრობდნენ, მაგრამ სკოლაში თუ სახლში ცალ-ცალკე დადიოდნენ.

ნუგზარს არ გახარებია, რომ ანზორის განცხადებას დღეს იხილავდნენ. „მოვლაპარაკებოდი მაინც. მისი ჯიუტი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება კიდევაც იუკადრისოს ჩემი რეკომენდაცია. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია“.

— ოთარ, იქნებ შემდეგისათვის გადაგვედო ანზორის განცხადება.

— არა, დღესვე. ჯერ ერთი სასწავლო წელი მთავრდება, თანაც კომიტეტმა უნდა იმსჯელოს ანზორ გეგელიას უღირს საქციელზე.

— კარგი, აგრე იყოს,—უხალისოდ დათანხმდა ნუგზარი, მაგრამ კარებთან მაინც შეაჩერა კომიტეტის მდივანი: აჯობებს შენ თუ გააფრთხილებ ანზორსო.

— კარგი.—მიუხვდა ოთარი და ანზორის მოსაძებნად წავიდა.

სკოლის ეზოში გაფანტულიყვნენ მოსწავლეები. მათ ყიჟინას, თამაშს და ცელქობას ფართო ეზოს სიგრძე-სიგანე არ ჰყოფნიდა. რამდენი ბავშვიც იყო, იმდენი საქმე და გასართობი გაჩენილიყო.

„ტყის მეგობრებს“ სკოლის დარაჯისათვის სარწყული გამოერთმიათ და ნარგავებს წყალს ასხურებდნენ.

ზოგიერთებს წიგნები გადაეშალათ და ერთხელ კიდევ ავლებდნენ თვალს გაკვეთილს.

უფროსკლასელები ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ და ფრენბურთის ბადესთან ერთმანეთს სიმარდეში ეჯიბრებოდნენ.

ოთარმა ფრენბურთელები შეათვალიერა და მათ შორის ანზორი რომ ვერ დაინახა, გაუკვირდა. ეზო ერთხელ კიდევ დაზვერა და პალმის ქვეშ გეგელია და ცხარედ მოლაპარაკე მეექვსეკლასელი ცანგალა დაინახა.

ანზორს უგუნებობა ეტყობოდა. გონებაგაფანტული უსმენდა უმცროს მეგობარს.

— დღეს თბილისელები ივარჯიშებენ სტადიონზე. გაკვეთილების შემდეგ პირდაპირ წავიდეთ. გოგიმ მითხრა, რომ...

ცანგალას აღარ დასცალდა იმის მოყოლა, თუ რა უთხრა გოგიმ—

სტადიონის დირექტორის შვილმა. კიბეზე გადმომდგარი ოთარის ძახილი შემოესმათ:

— ანზორ, ერთი წუთით აქ მოდი!

ანზორი ზანტად წამოდგა, მისკენ გამოტყორცნილი ბურთისაკენ არც კი მიუხედავს, ეზო გადაჭრა და კიბეზე ავიდა.

— დღეს გაკვეთილების შემდეგ კომიტეტის სხდომაა. აუცილებლად უნდა მოხვიდე,—უთხრა ოთარმა.

— მოვალ,—მიუგო ანზორმა. უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დაძლია:—მაინც, რატომ მიბარებთ?

— იქ გაიგებ,—მოკლედ მოუჭრა ოთარმა და მეორე სართულზე აირბინა.

— რა უნდოდა?—მოუთმენლად ჰკითხა ცანგალამ.

— კომიტეტის სხდომაზე მიბარებენ.

— მერე... სტადიონი?

— მოვასწრებთ.

— კარგი. მე კუთხეში დაგიცდი.

ამ პირობით დასცილდნენ ერთმანეთს.

ოთარი სამასწავლებლოში შევიდა, სასწავლო ნაწილის გამგისაგან ნებართვა აიღო და მეცხრე პირველი კლასის ჟურნალები გადაათვალიერა.

ანზორ გეგელიას უკანასკნელ თვეში რამდენიმე ორიანის მიღება მოესწრო. დღესაც ცუდი ნიშანი დაეწერა მისთვის ალგებრის მასწავლებელს.

მოსწავლეთა სია ჩაათვალიერა და სიხარულის მაგივრად წყენა გამოიხატა მის სახეზე, როდესაც ნუგზარ ჯაფარიძის გრაფაში იმავე საგანში ხუთიანი დაინახა.

ალგებრის მასწავლებელი, პატარა ტანის, გამხდარი ქალი, ამ დროს სამასწავლებლოში იყო, მაგიდას უჯდა და მოსწავლეთა რვეულებს წითელი მელნით ასწორებდა.

— პატივცემულო თამარ!—მორიდებით მიმართა მას ოთარმა.—რა აზრისა ხართ ანზორ გეგელიაზე!

— ანზორ გეგელიაზე?—თამარმა პენსნე მოიხსნა, ცოტა ხნით დაფიქრდა და მხოლოდ შემდეგ უპასუხა:—როგორ გითხრა... ახლა ჟურნალს ათვალიერებდი და ალბათ ნახავდი, რომ დღეს გეგელიამ ჩემს საგანში ორიანი მიიღო. მიუხედავად ამისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ნიჭიერი ყმაწვილია, მაგრამ მეტისმეტად და ამასთან... უცნაურად ჯიუტი.

— დიახ, დიახ, მეც ასე ვფიქრობ,—ჩაურთო ქართულის მასწავლებელმა სიმონ კობიძემ:—თქვენ წარმოიდგინეთ, მე მას ერთი უცნაურობაც შევამჩნიე—ზოგჯერ მაშინაც კი ამბობს უარს პასუხზე, როდესაც გაკვეთილი მომზადებული აქვს. დიახ, დიახ... ეს მისმა ამხანაგებმაც მითხრეს. გაკვეთილზე წესიერად უჭირავს თავი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სკოლაში წესის გულისათვის დადიოდეს. სინამდვილეში მისი გონება სულ სხვაგანაა. სულ იმ თქვენი ფეხბურთის ბრალია,—კობიძემ სათვალეებს ზემოდან ახედა ოთარს:—რასაკვირ-

ველია, კარგია როდესაც იმარჯვებ, შენს სკოლას ასახელებ, მაგრამ ასე გადაყოლაც არ ვარგა, ყმაწვილო...

კობიძე კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს ზარი აწკრიალდა და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საკლასო ოთახებისაკენ მოუხმო.

ექვსი გაკვეთილი დამთავრდა. ანზორმა წიგნების აბგა ცანგალას გაატანა, თვითონ კი მეორე სართულის განაპირა ოთახს მიაშურა.

კომკავშირის კომიტეტთან რამდენიმე მოსწავლეს, უმთავრესად მეშვიდე და მერვეკლასელებს მოეყარათ თავი. კომკავშირში ღებულობდნენ. ერთმანეთს გაცხარებით რაღაცას ეკითხებოდნენ და უპასუხებდნენ. ზოგიერთს დღეისათვის საგულდაგულოდ დაუთოებული წითელი ყელსახვევი ეკეთა.

ანზორმა იუკადრისა მათთან თავის გაყადრება და შორიახლო გაჩერდა.

კომიტეტის სხდომა დაწყებული იყო. დრო და დრო კარები იღებოდა და გენო თურმანიძის თმააბურძგვნილი, სათვალეებიანი თავი გამოჩნდებოდა. იგი სათითაოდ იხმობდა გარეთ მყოფთ. გამოძახებული ოთახში ოდნავ ფერდაკარგული, მოკრძალებით შედიოდა და ორიოდე წუთის შემდეგ აღელვებული, ლოყებშეფაკლული გამოვარდებოდა.

ამხანაგები გამოსულს ულოცავდნენ და თავიანთ ჯერს ელოდნენ.

დრო გადიოდა, ანზორს კი არავინ ეძახოდა. ერთ-ორჯერ გენოს შეეკითხა, რამდენ ხანს უნდა ვიცადოო. იმან კი ხელით ანიშნა, დამშვიდდი, ნუ ჩქარობო.

დერეფანში ანზორის გარდა, აღარავინ დარჩა. ის იყო წასვლაც დააპირა, რომ კარები გაიღო და გენომ დაუძახა:

— გეგელია, შემოდი!

ანზორი შევიდა და კარებთან გაჩერდა. ოთახი შეათვალიერა: ნუგზარი შეამჩნია, მოშორებით იჯდა ფანჯარასთან.

ოთარმა ანზორის განცხადება და ანკეტა წაიკითხა. თავის მხრივ კი დაუმატა:

— ანზორ გეგელია ითხოვს ლენინური კომკავშირის რიგებში მიღებას. რეკომენდაციას აძლევენ ნუგზარ ჯაფარიძე და უფროსი პიონერხელმძღვანელი გივი ხომერიკი. რას იტყვით ამხანაგებო?

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

ანზორი მიხვდა, რომ ეს არ ჰგავდა კომკავშირში ჩვეულებრივ მიღებას. შეკითხვას არავინ იძლეოდა, თითქოს სახესაც არიდებდნენ. „იმდღევანდელი ამბის ბრალია“,—გაიფიქრა გულში.

ისევ გენომ ითავა და წამოიძახა:

— დაახასიათოს ნუგზარმა თავისი მეგობარი.

მეგობრობაზე ლაპარაკი უადგილოდ ეჩვენა ნუგზარს. ანზორმაც ალმაცერად გახედა გენოს; რა გაეწყობოდა, ნუგზარმა არ დააყოვნა, წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო:

— ანზორ გეგელია კარგი ახალგაზრდაა... უნარიანი, თავდაჭერილი... დისციპლინას არ არღვევს... უყვარს სპორტი...

მეტი ვეღარაფერი გამონახა მეგობრის შესაქებად. სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— სწავლის შესახებ რას იტყვი?—თითქოს მიეშველა გენო.

ნუგზარი შეყოყმანდა. გენო მაინც რამ ააცირა დღეს! განა თვითეულმა მათგანმა კარგად არ იცის, როგორ სწავლობს ანზორი? რაღა ყველაფერი მას უნდა ათქმევინონ.

— ვერც დისციპლინის შესახებ დაგეთანხმები,—ახლა ოთარი ჩაერია ლაპარაკში.—კომკავშირული დისციპლინა მარტო გაკვეთილებზე წყნარად ჯდომას როდი ნიშნავს. აბა რითი შეგვიძლია ავხსნათ გეგელიას საქციელი პიონერთა პარკში, ფეხბურთში შეჯიბრების დროს. შეიძლება შენ თვითონ გვეტყვი?—მიუბრუნდა იგი ანზორს.

— მე მაშინაც გითხარით, რომ ფეხი ვიტკინე.

— არ გვჯერა... ეს არავის სჯერა.

— მე არც არავის ვაჯერებ,—სიბრაზე გაისმა ანზორის ხმაში.

— გეგელია!—ხმას აუწია კომიტეტის მდივანმა.—შენ დღეს კომკავშირში უნდა მიგიღონ. კომკავშირში კი მოწინავე დისციპლინიან მოსწავლეებს ღებულობენ. შენი ნიშნებით თუ ვიმსჯელებო, შეიძლება იმავე კლასშიც დარჩე. ფეხბურთში შეჯიბრების დროს კომკავშირელისათვის შეუფერებლად, უღირსად მოიქეცი. შენ კი იმის მაგივრად, რომ დანაშაული აღიარო, არაკეთილსინდისიერადაც იქცევი, ტყუილს ლაპარაკობ.

— მე ისეთი არაფერი ჩამიდენია.—ამოილაპარაკა ანზორმა.

— არა! ჩაიდინე! შენ მოედანი დატოვე მაშინ, როცა ჩვენი სკოლის გუნდს დამარცხება ემუქრებოდა. სიამაყემ დაგძლია, გასაჭირში ამხანაგებს უმტყუნე. შენს მეგობარს ნუგზარ ჯაფარიძეს შეურაცხყოფა მიაყენე.

ანზორი ხმას არ იღებდა, თავდახრილი იდგა.

ოთარი კომიტეტის წევრებს მიუბრუნდა:

— ამხანაგებო, რას იტყვით?

პირველად გენომ ილაპარაკა:

— ანზორ გეგელიას თავი განთქმულ ფეხბურთელად წარმოუდგენია. უნდა, რომ ყველასაგან და ყველაფერში გამოირჩეოდეს. იგი საკუთარი ჩემოდნის ტარებასაც კი არ კადრულობს. ამისათვის მას მეექვსეკლასელი ცანგალა ჰყავს. ლამაზ ფორმას იცვამს, რომ მოედანზე გამოირჩეოდეს. გუნდის გამარჯვება გამარჯვებად არ მიაჩნია, თუ მან არ გაიტანა ბურთი. ის კი ავიწყდება, რომ მეორე დღეს ყველას დაავიწყდება მის მიერ ლამაზად გატანილი ერთი ან ორი ბურთი, ხოლო გუნდმა რომ წააგოს, მთელ წელიწადს ემახსოვრებათ.

— როგორია შენი წინადადება?—შეეკითხა ოთარი.

— სასწავლო წლის ბოლომდე შევაჩეროთ გეგელიას განცხადების განხილვა. მივცეთ დრო ნიშნების გამოსასწორებლად. დაისვას საკითხი სპორტული სკოლის დირექციის წინაშე—დროებით გაათავისუფლოს იგი ფეხბურთის წრეში მეცადინეობისაგან.

თითქოს დაწერილს კითხულობსო, ისე ჩამოაყალიბა ყველაფერი ეს გენომ და დაჯდა.

— სხვები რას იტყვიან?

ზეზე წამოდგა ბრგე, უკვე ვაუკაცობაში შესული მეთერთმეტეკლასელი დათო დაშნიანი.

— ჩემი აზრით,—დინჯად დაიწყო მან,—ამ შემთხვევაში ანზორ გეგელია დამნაშავეა. მას მართალია ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ დახმარება ხომ სწორედ ჩვენი, კომკავშირული ორგანიზაციის ვალია. დავავალოთ მოწინავე ამხანაგებს ხელი შეუწყონ მეცადინეობაში... ერთი სიტყვით კომკავშირში მისი მიღების საკითხი წლის ბოლოსათვის გადავდოთ. რაც შეეხება სპორტული სკოლიდან გათავისუფლებას, მე ეს ზედმეტად მიმაჩნია. თუ კი მოინდომებს, იქ სიარული მას ხელს არ შეუშლის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ... ჩვენი სკოლა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის ემზადება. გეგელიასთანა ფეხბურთელი ძალიან გვჭირდება... გასაგებია, ალბათ, რისი თქმაც მსურს, რაც უნდა იყოს, იგი კარგი ცენტრალური თავდამსხმელია...

— თუ საჭირო იქნება, სხვაც გამოინახება,—წამოიძახა გენომ.

აქ კი ვეღარ მოითმინა ანზორმა და შეუბღვირა აკვიატებულ თურმანიძეს:

— რატომაც არა, სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი.

ყველას გაეცინა. მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო პატარა, გამხდარი, სათვალიანი გენო ცენტრალური თავდამსხმელის როლში.

ანზორს კიდევ უნდოდა კბილი გაეკრა გენოსათვის, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში სკოლის დირექტორი ნიკოლოზ დარჩიძე შემოვიდა. მან ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის და იქვე კარებთან სკამზე ჩამოჯდა.

ილაპარაკეს კომიტეტის დანარჩენმა წევრებმაც, უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, ფიზკულტურის მასწავლებელმა.

ნუგზარმა თავი შეიკავა. ფანჯრიდან ქუჩას გაცქეროდა: ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ანზორი კი არა, თვითონ იყო კართან ატუზული და ჭირის ოფლდასხმული.

ბოლოს მეტრეველმა ყველას ნათქვამი აწონ-დაწონა, თავისიც დაუმატა და სათქმელი ასე დაასრულა:

— სასწავლო წლის დამთავრებამდე კიდევ ერთი თვეა. ამ ხნის განმავლობაში ანზორს საშუალება ექნება ნიშნები გამოასწოროს. სწავლაში ხელი რომ არ შეეშალოს, ჯერჯერობით გათავისუფლდეს სპორტულ სკოლაში მეცადინეობისაგან. ეს მისთვის სასჯელიც იქნება.

ოთარმა დირექტორს შეხედა. მან თავის დაქნევით მოუწონა წინადადება.

ასეთი იყო კომიტეტის გადაწყვეტილება.

დირექტორის შემოსვლის შემდეგ ანზორი სულ მთლად გაკერპდა და ერთი სიტყვაც არ დასცდენია. როდესაც ჰკითხეს, შენ რაღას იტყვიო, ენა არ მოუბრუნდა. მხოლოდ ესა თქვა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ: ნიშნებს გამოვასწორებო, და ოთახიდან გავიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ, ყველა ელოდა ანზორის თხოვნას—კომკავშირში მიმიღეთ, სპორტულ სკოლაში დამტოვეთ, ნიშნებს გამოვასწორებო. მხოლოდ ნუგზარისათვის არ იყო მოულოდნელი მეგობრის საქციელი.

აქამდე ჩუმად მჯდომი დირექტორი წამოდგა და თავზე ფართო ხელსახოცი გადაისვა.

— ორიოდე სიტყვა მეც უნდა გითხრათ.

— გთხოვთ!

მას დიდი გულისყურით უსმენდნენ. მეგობრობასა და ამხანაგობაზე ლაპარაკობდა. დიდი მწერლები და პედაგოგებიც მოიშველია. შემდეგ დღევანდელ ამბავზე გადავიდა:

— რატომ მოხდა, რომ ისეთ გულითად მეგობრებს შორის, როგორიც არიან ნუგზარ ჯაფარიძე და ანზორ გეგელია, ერთი კარგა ხანია კომკავშირელია, უფრო მეტიც—კომიტეტის წევრია, მეორეს კი დღეს უარი უთხარით კომკავშირში მიღებაზე. ჯაფარიძე წარჩინებული მოსწავლეა, ხოლო გეგელია, ვინ იცის, შეიძლება იმავე კლასშიც დარჩეს.

ნუგზარი თავჩაქინდრული იჯდა. დირექტორი თითქოს მის გულში იხედებოდა. მართალი სიტყვა მტკივნეულ ადგილზე მოხვდა.

— ...განა ნუგზარ ჯაფარიძე მეგობრის ნაკლს ვერ ამჩნევდა? როგორ არა, ამჩნევდა, მაგრამ თვალებს განზრახ იბრმავებდა. დღეს მან ალგებრაში „ხუთი“ მიიღო, გეგელიამ კი ცუდი ნიშანი. კარგ მეგობარს ამ შემთხვევაში სინდისის ქეჯნა უნდა ეგრძნო... და საერთოდ, შეიძლება თუ არა, ამ ორ ახალგაზრდას მეგობრები ვუწოდოთ, როცა მათ არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან იმის გარდა, რომ ერთ კლასში სწავლობენ და მეზობლად ცხოვრობენ.—დირექტორმა კომიტეტის წევრებს გადახედა და დასძინა:—კომიტეტმა ანზორ გეგელიას მიმართ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ დახმარებაც არ უნდა დაივიწყოს. ჩემი წინადადებაა: დაევალოს კომკავშირის კომიტეტის წევრს ნუგზარ ჯაფარიძეს, დახმარება გაუწიოს ანზორ გეგელიას, ისეთი დახმარება, ნამდვილ მეგობარს რომ შეეფერება.

ანზორი კი ამ დროს ჩაფიქრებული მიჰყვებოდა ქუჩას. როგორ?—ფიქრობდა იგი. —განა მე ყველაზე უარესი ვარ, კომკავშირში რომ არ მიმიღეს? მათ ჰგონიათ სწავლა არ შემიძლია, თუ მოვინდომე? ვნახოთ! დრო კიდევ წინაა. გამოცდები გვიჩვენებს. სპორტსკოლაში კი, რომც შემეხვეწონ, მაინც არ წავალ, აი, ვნახოთ! გამოცდებს ჩავაბარებ, სპარტაკიადაში მონაწილეობაზე კი თვითონ ვიტყვი უარს“.

გულში ასე ფიქრობდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა: ისე ვერ გამიმეტებენ, რომ სპორტსკოლიდან დამითხოვონ. გაუჭირდებათ და თვითონვე მომაკითხავენ. სხვა რომ არა იყოს, მწვრთნელი გიორგი გერაძე მაინც არავის დაჩაგვრინებს მის რჩეულს — ქალაქის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს.

მოსახვევში ძახილი შემოესმა. ცანგალას ორივე აბგა ზურგზე მოეგდო და მისკენ მორბოდა. ანზორს კიდევაც გადაავიწყდა, სტადიონზე წასვლა რომ გადაწყვიტეს.

უმცროს მეგობარს თავისი აბგა რომ დაუნახა, გენოს ნათქვამი გაახსენდა: „თავი დიდ ფეხბურთელად მოაქვს. თავისი ჩემოდნის ტარებასაც არ კადრულობს. ამისათვის პატარა ბიჭები ჰყავსო“. თავისთავზე, გენოზე, თუ ცანგალაზე გული მოუვიდა და ხელიდან აბგა გამოგლიჯა.

ცანგალამ გაკვირვებით შეხედა. ეტყობა, კომიტეტის სხდომაზე შეუხურებიათო, გაიფიქრა.

გზა გაგრძელეს. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. უცებ ანზორმა ჰკითხა:

— „კურკანტელ“, როგორ სწავლობ?

ცანგალას ამ მზიან დღეში მეხის გავარდნა უფრო არ გაუკვირდებოდა, ვიდრე ეს შეკითხვა. თვალები დააჭყიტა და მხოლოდ ერთი ბგერა ამომარცვლა:

— აა?!..

— როგორ სწავლობ-მეთქი, არ გესმის?

— ისე რა...—თავის დაძვრენა დააპირა ცანგალამ.

— „ისე რა“—რა პასუხია! „კუდიანი“ ბევრი გყავს?

— მესამე მეოთხედში ორი მყავდა,—როგორც იქნა ამოღერღა ცანგალამ.

— არ ვარგა,—უფროსის კილოთი მიმართა ანზორმა, ცოტა ხანს იყუჩა და დაუმატა:—იცი რა გითხრა? წლის ბოლოს ერთი ორიანიც რომ გამოგყვეს, ჩვენი მეგობრობა გათავდა. გაიგე?

— გავიგე,—ჩაილაპარაკა ცანგალამ, თავისთვის კი გაიფიქრა: დღეს მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარაო. ენა კი ექავებოდა საკითხავად, მე რომ ჭკუას მასწავლი, შენ რამდენი „კუდიანი“ გყავსო, მაგრამ მეგობარს უგუნებობა შეამჩნია და ენას კბილი დააჭირა.

გზაჯვარედინზე შეჩერდნენ. მარცხნივ სახლისაკენ მიდიოდა გზა, მარჯვნივ—სტადიონისაკენ.

ცანგალა ცოტათი შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაბედა, თავი სტადიონის მხარეზე გაიქნია და მეგობარს პირობა შეახსენა:

— ა, არ წავიდეთ?—პასუხი რომ ვერ მიიღო, მეტი დამაჯერებლობისათვის დაუმატა:—ხვალ მაინც კვირაა.

— კარგი, წავიდეთ.—დაეთანხმა ანზორი.

ბაგები ზურგზე მოიგდეს და სტადიონისაკენ მიმავალ, ლარივით სწორ ქუჩას ჩქარი ნაბიჯით გაჰყვნენ.

თავი მესამე

ქალაქის სტადიონზე მისვლა, მაყურებელთა ტრიბუნებისა და სათამაშო მოედნისათვის თვალის შევლება მუდამ სასიამოვნო ერუანტელს გვრიდა ანზორს.

ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ამ ზურმუხტოვან მინდორზე განავარდება, იმ ფართოდ გაშლილ კარში ბურთის გატანა. მაგრამ ჯერ ადრეაო, ამშვიდებდა მწვრთნელი და ანზორიც მოუთმენლად ელოდა იმ სანატრელ დღეს, როდესაც ამ მოედანზე ითამაშებდა. ჯერჯერობით კი ეინს იმით იკლავდა, ხანდახან ხელში ალამს რომ მისცემდნენ და გვერდითი მსაჯობას დაავალებდნენ.

მთელ კავშირში სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელები იყვნენ ჩამოსული ბათუმში საკავშირო პირველობის წინ საწვრთნელი ვარჯიშობისათვის. ამიტომ იყო, რომ დღეს სტადიონზე ბევრ გულმეწვია მაყურებელს მოეყარა თავი. ბავშვები ჭარბობდნენ. ზოგიერთი მათგანი ანზორსა და ცანგალასავით პირდაპირ სკოლიდან მოსულიყო. ისინი ბადის უკან გაწოლილიყვნენ მწვანე მოლზე.

ანზორი და ცანგალა ერთმანეთს დასცილდნენ. ცანგალა მოაჯირზე გადახტა და ბადის უკან მოკალათებულთა ჯგუფს შესცქეროდა. აქ მისი საყვარელი ადგილია. ხაზს გადმოცილებულ ბურთს მოარბენინებს, თუ

მოახერხა ფეხსაც გაჰკრავს. ანზორს კი კარგა ხანია ამ ასაკიდან გამოსულად მიაჩნია თავი. ტრიბუნისაკენ გაემართა, მოედნის ცენტრის პირდაპირ მოხერხებული ადგილი შეარჩია და მზერად გადაიქცა.

წითელ და ლურჯ მაისურებში გამოწყობილი ოცი ფეხბურთელი გაფანტულიყო მოედანზე. ხან აქეთ, ხან კიდევ იქით, სამსართულიანი სახლის სიმაღლეზე ავარდებოდა ბურთი ჰაერში. საოცარია, ეს პატარა ტყავის ბურთი როგორ დაარბენინებს ამოდენა ვაჟკაცებს.

უცებ ერთი დაბალი, ხუჭუჭთმიანი თავდამსხმელი მარჯვენა მხრიდან ელვის სისწრაფით გაქანდა, ზედიზედ ორი დამცველი მოატყუა და ბურთი მარცხნიდან წამოსულ მაღალ ამხანაგს გადააწოდა, თვითონ კი კარებისაკენ გაიჭრა. თითქოს შეპირებული იყვნენო, ბურთი მის წინ გაჩნდა. მანაც აღარ დააყოვნა და კარისკენ გაარტყა. მეკარემ ვეფხის კამარა შეკრა, გაუძნელდა, მაგრამ ბურთს მარჯვენა ხელის თითები მაინც მიაწვდინა. კარს გადაცდენილი ბურთი ცანგალას კერძი გახდა.

— აი, ეს მესმის!—აღტაცებით წამოიძახა ანზორმა. დარტყმაც მოეწონა და მეკარის ნახტომიც.

— მოგეწონა?—შეეხმიანა ვიღაცა.

ანზორმა მოიხედა. გვერდით სპორტის ოსტატის ლურჯ ფორმაში გამოწყობილი კაცი ეჯდა. გულზე თეთრი ასოებით ჰქონდა ამოქარგული—„საქართველო“.

„აქაური არ უნდა იყოს. ნამდვილად ფეხბურთელია. ალბათ, სათადარიგოა“,—გაიფიქრა ანზორმა.

— მომეწონა...—შეაგვიანა პასუხი და ცოტა არ იყოს დაიმორცხვა. იგი ხომ ნამდვილი ფეხბურთელი იყო, მართალია, სათადარიგო, მაგრამ მაინც ოსტატების გუნდში მოთამაშე.

გადაჯდომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ამ გუნდის თამაში არასოდეს ენახა. რადიოთი და გაზეთებით კი ყველა მოთამაშის გვარი იცოდა. მეზობელი მაშინვე მოეწონა ანზორს. რამდენი საინტერესო ამბის გაგება შეიძლებოდა მისგან.

— რა გვარია?—ბოლოს გაბედა შეკითხვა და დაბალ ხუჭუჭთმიან ფეხბურთელზე მიუთითა.

უცნობმა დაუსახელა. ანზორი გათამამდა. ისევ და ისევ ეკითხებოდა მოთამაშეთა გვარებს. მეზობელიც დაუზარებლად უპასუხებდა.

ყველა რომ ჩამოთვალეს, ანზორმა გულდაწყვეტით ჰკითხა:

— კი მაგრამ... თქვენი ცენტრალური თავდამსხმელი დარბაიძე დღეს არ თამაშობს?

— დღეს არა. ისვენებს,—ოდნავ ჩაიღიმა მეზობელმა.

— არც გოგი გორდაძე ჩანს.

— იგი თბილისში დარჩა. სახელმწიფო გამოცდებს აბარებს ინსტიტუტში.

„ფეხბურთელს ინსტიტუტში რა უნდაო?!“—გაუკვირდა ანზორს. ახლა უცნობი ალაპარაკდა:

— შენ, ვაჟკაცო, ძალიან გყვარებია ფეხბურთი.

— ძალიან... ქალაქის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ვთამაშობ ცენტრალურ თავდამსხმელად.

— ოჰო!..—გაეღიმა უცნობს.—რა გქვია?

— ანზორი.

— სახელი ვაჟკაცური გქონია. შენ ის მითხარი, როგორ სწავლობ?

„ესეც სწავლაზე მეკითხება!“—უკმაყოფილოდ გაიფიქრა ანზორმა. მიმოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო და ხმამაღლა უპასუხა:

— არა უშავს.

— ფეხბურთს როგორ თამაშობ?

— უფრო უკეთესად,—წამოცდა თუ იოხუნჯა ანზორმა და უმალვე ენაზე იკბინა.

— ოო... ამას კი ვერ მოგიწონებ. რომელ კლასში ხარ?

— მეცხრეში,—უკვე უხალისოდ მიუგო ანზორმა. ნანობდა კიდევაც—რა ეშმაკად გავუბი ლაპარაკიო.

უცნობი კი არ ეშვებოდა. ანზორს არც კი უყურებდა, მოედნისკენ იმზირებოდა და ისე აძლევდა შეკითხვებს.

— სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?

ანზორს პასუხი შეუგვიანდა. მართლაცდა სად აპირებს სწავლის გაგრძელებას! ამხანაგები ხშირად საუბრობდნენ ამ თემაზე, მომავალი ცხოვრების გზებს ირჩევდნენ, კამათობდნენ. ზოგს მასწავლებლობა უნდა, ზოგს ექიმობა, ზოგი კიდევ ვინ იცის რომელ ინსტიტუტში აპირებს შესვლას. ნუგზარს, მაგალითად, ბევრჯერ უთქვამს, სამთო ინჟინერი უნდა გამოვიდეო. მას კი ერთხელაც არ უფიქრია ამაზე.

პასუხი რომ ვერ მიიღო, უცნობმა მოუხედა.

— ჯერჯერობით არ ვიცი, არ გადამიწყვეტია...—თქვა ანზორმა და გაიფიქრა—„ჯანი გავარდეს, მოდი, ვეტყვი რასაც ვაპირებ, შეიძლება დამეხმაროს კიდევაც“.—მინდა ფეხბურთელი გავხდე, ნამდვილი ფეხბურთელი... აი, ისეთი, რომ ოსტატების გუნდში ვითამაშო...

— აა...—მრავალმნიშვნელოვნად თქვა უცნობმა.

ანზორი ერთხანს ჩუმად იჯდა. თავის თავზე ბრაზობდა, ტრაბახივით გამომივიდაო. შემდეგ ფრთხილად მიიხედა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო, მაგრამ უცნობის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და წასვლა დააპირა.

თითქოს მიუხვდაო, მეზობელმა მარცხენა ხელი მხარზე დაადო, მარჯვენა კი მოედნისკენ გაიშვირა:

— აი, იმ თავდამსხმელს ხომ ხედავ? ალბათ, გაგიგონია კიდევაც.—შუატანის, შავთმიან ფეხბურთელზე მიუთითა, რომელიც ამ დროს საჯარიმოს ურტყამდა.—ის ექიმია. ის კი, მეხუთე ნომერი—ინჟინერი. ბევრი ჩვენგანი ახლაც სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში და კარგადაც სწავლობს.

ანზორი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს მოხდენილი, მარდი, მამაცი ვაჟკაცები, მრავალჯერ რომ აუჩქროლებიათ მისი გული ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სტადიონებზე მოპოვებული გამარჯვებებით, ექიმები, ინჟინრები და აგრონომები იქნებოდნენ.

— მიშას გაუმარჯოს!

ფიქრებში წასული ანზორი ნაცნობმა ხმამ გამოაფხიზლა. თავი ასწია. მათ წინ სპორტული სკოლის მწვრთნელი გიორგი გერაძე იდგა. და უცნობს ხელს ართმევდა.

ანზორმა „გაძრომა“ დააპირა, მაგრამ გიორგიმ შეაჩერა:

— შენც აქა ხარ?

— ჰო... ხვალ კვირაა და...

— ჩვენი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია... ცენტრალური თავდამსხმელი... შეიძლება შენც შეგცვალოს,—მიუბრუნდა იგი მიშას.

— მხოლოდ კარგად თუ ისწავლის,—მიშამ მეგობრულად გაუღიმა ანზორს.

ანზორი წასასვლელად წამოდგა.

— დღეს საღამოს სკოლაში არ დაიგვიანო.—დააწია სიტყვა გიორგიმ.

— კარგი,—მოკლედ მიუგო ანზორმა, თან გაიფიქრა: „ალბათ, ჯერ კიდევ არ იცის კომიტეტის გადაწყვეტილება, ან შეიძლება იცის და თავდებად დამიდგა.“

ცოტა რომ გაიარა, ბიჭები შემოეხვივნენ, ნაცნობებიც და უცნობებიც.

— რა გელაპარაკა?

— საიდან იცნობ?

— როდის თამაშობენ პირველად?—სეტყვასავით დააყარეს კითხვები.

ანზორმა კითხვას გაკვირვებით უპასუხა:

— ძე არც ვიცი, ვინაა ის კაცი!

— ეიი, შენც ფეხბურთელი ხარ, რაღა!—დასცინა მესამე სკოლის გუნდის კაპიტანმა ვაჟა გურეშიძემ.—ის ხომ მიშა დარბაიძეა.

დარბაიძეო?! ანზორს ყელი გაუშრა. აი, თურმე ვინ ყოფილა! იმიტომ უთხრა უცნობს მწვრთნელმა, შეიძლება შენც შეგცვალოსო. მაშინ არ მიაქცია ყურადღება, ახლა კი მიხვდა, თუ რატომ იცქირებოდნენ მათკენ ტრიბუნაზე მსხდომნი.

ახლა თამაში აღარ აინტერესებდა ანზორს, შორიდან უჭვრეტდა დარბაიძეს.

თავი მეოთხე

„ამ ორ მეგობარს შორის მხოლოდ ის არის საერთო, რომ ერთ კლასში სწავლობენ და მეზობლად ცხოვრობენო“,—ახლაც ესმოდა ყურში დირექტორის სიტყვები სპორტული სკოლისაკენ მიმავალ ნუგზარს. რა თქმა უნდა, დირექტორი მართალია. მარტო დღეს კი არა, რამდენჯერ მიულიათ ერთსა და იმავე საგანში ნუგზარს „ხუთი“, ანზორს კი—„ორი.“ მაგრამ ერთხელაც არ დაინტერესებულა რა უშლიდა ხელს, დახმარება ხომ არ სჭირდებოდა, ან მომავალში რას აპირებდა. აი, მეგობრობაც ასეთი უნდა! შედეგი კი ინებე! კომიტეტის სხდომაზე შეარცხვინეს და ის, რასაც მეგობრობის ვალი მოითხოვდა, დღეს დავალებად დააკისრეს.

მოდი და შენც დაეხმარე, ხმასაც რომ არ გცემს? ახლა მასვე დააკისრეს: მწვრთნელს გადაეცი კომიტეტის გადაწყვეტილება, ანზორ გეგელია სასწავლო წლის დამთავრებამდე მეცადინეობაზე აღარ დაუშვას.

უხალისოდ შეაღო ნუგზარმა სპორტული სკოლის კარი. დარბაზი

შეათვალიერა. ზოგიერთები უკვე მოსულიყვნენ და მეცადინეობის დაწ-ყებამდე ორძელსა და რგოლებზე ვარჯიშობდნენ.

მწვრთნელი დარბაზში არ იყო. „ალბათ თავის ოთახშია“,—გაიფიქ-რა და მარცხნივ შეუხვია.

გიორგი გერაძე საწერ მაგიდას უჯდა და წერდა. ლურჯი სვიტრი რეზინასავით შემოსალტოდა ტანზე და გულმკერდის მძლავრ კუნ-თებს უჩენდა.

ნუგზარი მწვრთნელს მიესალმა და ჩამოჯდა. მოთმინებით ელოდა, როდის მორჩებოდა წერას.

ბოლოს გიორგიმ თავი ასწია, საათს დახედა და ნუგზარს ჰკითხა:

— ბიჭები მოვიდნენ?

— გროვდებიან.

— გეგელია მოსულია?

— ანზორი?!—შეყოყმანდა ნუგზარი.—არ დამინახავს.—ერთხანს ჩუმათ იყო, შემდეგ თქვა:—იცით რაშია საქმე, პატივცემულო მასწავ-ლებელო, დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ პიონერთა პარკში იმ დღეს ჩადენილი საქციელისათვის... და აგრეთვე ცუდი ნიშნების გამო... სკოლის კომკავშირულმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ანზორ გეგელია სას-წავლო წლის დამთავრებამდე გათავისუფლდეს ფეხბურთის სექციაში მუშაობისაგან.

გიორგი ერთი წუთით ჩაფიქრდა, კეფა მოიფხანა და ჩაილაპარაკა:

— საწყენია... სპარტაკიადა კარზეა მომდგარი. მაგრამ მაინც ასე ჯობია. კარგი. წადი, ბიჭებს უთხარი, დღეს მეცადინეობის მაგივრად ლექცია გვექნება.

ნუგზარი გასვლას აგვიანებდა. ბოლოს მაინც გაბედა:

— პატივცემულო მასწავლებელო! ასე მე მგონი არ ივარგებს. ხომ იცით მისი სიჯიუტის ამბავი. კარგი იქნება, თუ რამდენიმე სიტყვას ეტყვით. თქვენი ძალიან სჯერა. ანზორს თავისუფლად შეუძლია საგნე-ბი კარგად ჩააბაროს და მომავალ შეჯიბრებაში ჩვენს გვერდით დადგეს.

— ისევ ემდურით ერთმანეთს?—სერიოზულად იკითხა გიორგიმ.

— არ ვემდურით, მაგრამ იმ დღეს გაბრაზებულმა რომ მომაძახა, ჩემს ადგილზე თამაში, „კაპიტნობა“ გინდაო... ალბათ ახლაც ასე ფიქ-რობს... ხეირიანად ხმასაც არ მცემს.

— აი, მეგობრებიც ასეთი უნდა,—უკმაყოფილოდ გაიქნია თავი მწვრთნელმა.—კარგი, მოველაპარაკები, დაბარებული მყავს.

კარებში ერთმანეთს შეეფეთნენ ნუგზარი და ანზორი. ნუგზარს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ანზორმა უხმოდ აუქცია გვერდი და მწვრთნელის მაგიდის წინ გაჩერდა.

ნუგზარი გავიდა.

გიორგიმ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, შემდეგ ანზორის წინ გაჩერდა და უთხრა:

— მე ყველაფერი ვიცი. კომიტეტის გადაწყვეტილება სავსებით სწორად მიმაჩნია. შენ ყოველთვის გასწავლიდნენ, რომ უნებისყოფო სპორტსმენი უიარაღო ჯარისკაციაო. გეყოფა თუ არა ნებისყოფა იმი-სათვის, რომ ნიშნები გამოასწორო და წლის ბოლოსათვის სექციაში სა-მუშაოდ კომკავშირელის ბილეთით მოხვიდე?

— შევძლებ!—ანზორის ხმაში სიმტკიცე ისმოდა.

— ახლა კი დარბაზში წადი, დანარჩენს ლექციაზე მოისმენ.

კარებთან ისევ შეაჩერა:

— მოიცა, როგორ ფიქრობ, ვინ ივარგებს შენს მოსვლამდე ქალაქის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელად?

ანზორი დაფიქრდა, შემდეგ მწვრთნელს თვალებში პირდაპირ შეხედა და წყნარად მიუგო:

— ნუგზარ ჯაფარიძე.

ანზორი ოთახიდან რომ გავიდა, გიორგი ტელეფონს დაწვდა:

— სასტუმრო „პირველი მაისი“ მომეცით... სასტუმროა? შემიერთეთ 313 ნომერი. დარბაიძეს თხოვეთ... მიშა ხარ? გელოდებით!

ტელეფონის მილი დადო და ანზორის პასუხზე ახლა დაფიქრდა— „ნუგზარ ჯაფარიძე“. ის კი ამბობს, ჩემზე გაბრაზებულია, ხმასაც არ მცემსო.

გიორგის გაელიმა და დარბაზში გავიდა.

* * *

ლექციის შემდეგ ბიჭები შემოეხვივნენ დარბაიძეს და შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს. ანზორმა კი შეუმჩნევლად დატოვა დარბაზი და ქუჩაში გავიდა. დარბაიძესთან შეხვედრას ერიდებოდა.

ღამდებოდა. დღის სინათლეს ელნათურების შუქი ცვლიდა.

ანზორი ნელა მიჰყვებოდა ლენინის ქუჩას და დარბაიძის მონათხრობზე ფიქრობდა.

რა კარგად ლაპარაკობდა! რა ამბებს არ მოჰყვა! განსაკუთრებით ბოლო სიტყვები დაამახსოვრდა: საბჭოთა სპორტსმენი უაღრესად კულტურული და განათლებული უნდა იყოსო.

საკვირველი მაინც ის არის, რომ თავის თავზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია. სულ ასე ამბობდა: „ჩვენები, ჩვენი ფეხბურთელები, ჩვენი გუნდი“. ანზორმა კი კარგად იცოდა, რომ მიხეილ დარბაიძის სპორტული ბიოგრაფია ოქროს ასოებით იყო ჩაწერილი საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

„ჩვენში სპორტი პროფესიად როდია გადაქცეული. სწორედ ამით განსხვავდება საბჭოთა სპორტი ბურჟუაზიული სპორტისაგან. ჩვენი სპორტსმენები უპირველეს ყოვლისა კომუნიზმის აქტიური მშენებლები—ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები და აგრონომები არიან“,—ასე თქვა დარბაიძემ.

ანზორმა ჩაიცინა. მან კი ბურთს ფეხი გაკრა თუ არა, მაშინვე სახელგანთქმულ ფეხბურთელად გახდომაზე, დიდების გვირგვინზე დაიწყო ოცნება.

ქუჩის განათებულ კუთხეში საათს ახედა. ჯერ ადრეა. ცოტას გაივლი და შემდეგ შინ წავალო გაიფიქრა და ზღვისპირა პარკისკენ გაჰყვა ქუჩას.

ნუგზარს გადაწყვეტილი ჰქონდა ამაღამვე მოლაპარაკებოდა მეგობარს. დარბაიძის გარშემო შემოხვეული ბიჭები შეათვალიერა, მაგ-

რამ ანზორი არსად ჩანდა. ალბათ მწვრთნელმა ყველაფერი უთხრა და ნაწყენი წავიდაო, გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა. ქალაქის ცენტრისაკენ გასწია. ჯერ ადრეა, სახლში არ წავიდოდა და შეიძლება სადმე შევხვდეო.

სტალინის ქუჩაზე შეუხვია. ფილარმონიის თეატრს გასცდა და რედაქციის შენობას რომ გაუსწორდა, ანზორს მოჰკრა თვალი: სინათლის თეთრი შუქით გაჩირაღდნებულ ჩარჩოსთან იდგა და გაზეთის ახალ ნომერს ათვალიერებდა.

ნუგზარი უკან დაბრუნდა, ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა და ანზორს რომ მიუახლოვდა, თითქოს შემთხვევით შეხვდაო, შეეხმიანა:

— ა, ანზორ! რას კითხულობ?—ახლოს მივიდა და გაზეთის მეოთხე გვერდს თვალი შეავლო.

ანზორმა მოუხედა, შემდეგ ისევ გაზეთს დააცქერდა და მიუგო:

— აგერ, მოსკოვის „სპარტაკს“ გაუმარჯვნია ფინეთში.

— ოჰო, საინტერესოა!—თქვა ნუგზარმა და ინფორმაცია ჩაიკითხა.

ერთხანს ჩუმად იდგნენ. გაზეთს მისჩერებოდნენ, მაგრამ, ეტყობოდა, კითხვით არც ერთი არ კითხულობდა.

ნუგზარმა განცხადებები და რეკლამები ჩაათვალიერა და თითქოს რაღაც მოაგონდაო, ანზორს მიუბრუნდა:

— რაღაც სახლში წასვლა არ მინდა. მოდი, კინოში წავიდეთ.

— წავიდეთ,—ისე სწრაფად დათანხმდა ანზორი, რომ თვითონვე შერცხვა. მეგობარს თვალებში პირდაპირ შეხედა და ჰკითხა: — რა სურათზე?

— ახალი სპორტული ფილმი გადის მასწავლებლის სახლში. ამბობენ საინტერესოაო... ბიჭებს უნახავთ.

ანზორს გადაწყვეტილი ჰქონდა ამაღამ, სახლში მისვლისთანავე ჩაჯდომოდა გაკვეთილებს. პირველ რიგში ალგებრაში მიცემული დავალება უნდოდა შეესრულებინა. მაგრამ ამის თქმა ახლა უხერხულად ჩათვალა და ნუგზარს უთხრა:

— კარგი, წავიდეთ.

— აბა, ვიჩქაროთ! დრო ცოტა დაგვრჩა.

უკანასკნელი სეანსი დაწყებული იყო. ჟურნალს უჩვენებდნენ. ჩაბნელებულ დარბაზში ხელის ფათურით მოძებნეს ცარიელი სკამები და თვალი ეკრანს მიაპყრეს.

ცნობილი ფეხბურთელი, გუნდის კაპიტანი, გასაჭირის დროს მიატოვებს ამხანაგებს. გუნდი აგებს საპასუხისმგებლო შეხვედრას. სახელითა და დიდებით გაამაყებული კაპიტანი ელის, თუ როდის მოვლენ მასთან და თხოვენ დაუბრუნდეს გუნდს. მაგრამ მისი მოლოდინი არ მართლდება. თასს მის დაუხმარებლად იგებენ. კაპიტანს კიცხავენ ამხანაგები, მშობლები, სატრფო. იგი ინანიებს დანაშაულს. კოლექტივი იმარჯვებს პიროვნებაზე.

სეანსის დამთავრებამდე ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. ხანდახან ნუგზარი თუ გააპარებდა თვალს ანზორისაკენ, რომელიც მთელი არსებით გაეტაცნა ფილმს. დარბაზში სინათლემ რომ იფეთქა, თითქოს მაშინ შეამჩნია მან ნუგზარი და მოიღუშა, სახლში მისვლამდე ხმა არ ამოუღია.

ნუგზარი ხედავდა, რომ სურათმა იმოქმედა ანზორზე. მასაც სწორედ ეს უნდოდა, აბა იმაში როგორ გამოუტყდებოდა თავმოყვარე მუგობარს, რომ მან ერთხელ უკვე ნახა ეს სურათი!

ანზორმა მხოლოდ თავისი ეზოს ჭიშკართან დაარღვია დუმილი.

— ჩემი აზრით, ყველაფერში არც კაპიტანი იყო დამნაშავე. რაც არ უნდა იყოს, თამაშის დროს აღელვებული ხარ და... აღარ დაამთავრა.

„ტყდება“,—გაიფიქრა ნუგზარმა, დაამთქნარა და ერთხელ კიდევ გადააგდო ანკესი:

— აჰ, წავედი, უკვე გვიანაა, მე კი ალგებრაში დავალება არ შემისრულებია. შენ?

—მეც ახლა მინდა ვიმეცადინო.—მოკლედ მოჭრა ანზორმა, აჩქარდა, არც გამომშვიდობებია, ისე შევიდა ეზოში.

ნუგზარი კმაყოფილი იყო დღევანდელი საღამოთი. ყინული ლღვებოდა, სჯეროდა, ისინი ისევ მეგობრები იქნებოდნენ. კიდევ უფრო უკეთესები, ვიდრე წინათ იყვნენ.

გასაღები თან ჰქონდა ანზორს და სახლში მისი შესვლა არავის გაუგია. დედ-მამას ეძინა.

ბავშვების ოთახის ნახევრადგამოღებული კარიდან გამოსული შუქი ოდნავ ანათებდა ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახს.

„ისევ არ ძინავს მაგ ეშმაკის ფეხს“,—გაიფიქრა ანზორმა და კარი შეაღო.

ცხრა წლის მედიკო საღამური პერანგის ამარა უჯდა საწერ მაგიდას და ალბომში რაღაცას გულმოდგინედ ხატავდა.

აშლილ ლოგინზე ეტყობოდა, დედას იგი უკვე დაეწვინა, მაგრამ ნამალევად წამომდგარიყო და მთელი დღის ჩანაფიქრი ფერადი ფანქრებით ქაღალდზე გადაჰქონდა.

— რატომ არ გძინავს?—მკაცრად შეეკითხა ანზორი.

პატარა დაიკო ძალიან უყვარდა, მაგრამ უფროსის ვალსაც არ ივიწყებდა და ხანდახან დატუქსავდა ხოლმე.

მედიკო წამოხტა, მკლავზე ჩამოეკიდა და მაგიდასთან მიიყვანა. შემდეგ კართან მიირბინა, ჩუმად მიხურა, ისე, რომ დედას არ გაეგონა, ჰკითხა:

— მითხარი, ანზორ, რა ფერის იყო ის მაშხალა... აი, ხომ გახსოვს, იმ დღეს ყველაზე მაღლა რომ აიჭრა და ტბის შუაგულში დაეშვა? აი, აქ მჭირდება. აიღო ალბომი და ფერადებით აჭრელებული ნაოსტატარი უჩვენა.

— ეს რა არის?!—შეეკითხა ანზორი.

— რა არის?...—გაიბუტა მედიკო.—საკითხავია რა არის?! ეს ხომ ჩვენი პიონერთა პარკია. ხედავ? აი, ნაძვები და ფარნები. ეს კიდევ ტბა.—საჩვენებელი თითი დაადო ფანქრით შეფერადებულ წრეს, რომელსაც ფურცლის ნახევარზე მეტი ეკავა. ტბის გარშემო მოჩანდა მაშხალების მაჩვენებელი ხაზები. მხატვარს ყველა ფერი გამოეყენებინა სურათის „სრულყოფისათვის“. ყველაზე დიდი მაშხალისათვის კი, რომელიც სანახაობის გვირგვინი უნდა ყოფილიყო, ჯერჯერობით ფერი ვერ შეერჩია, მხოლოდ მკრთალად მოეხაზა მისი ადგილი.

აბა, იმ საღამოს მაშხალებისათვის სად ეცალა ანზორს. ისიც იცოდა, რომ პატარა მედიკო ადვილად არ მოეშვებოდა და ალალბედად უთხრა, იისფერიო.

— იისფერი... იისფერი,—ბუტბუტებდა მედიკო; იისფერი ფანქარი შეარჩია და დასანერწყვავად ტუჩებისაკენ გააქანა, მაგრამ დროზე შეჩერდა და ანზორს ახედა. მოაგონდა, რომ ეს აკრძალული ჰქონდა. ფანქარი ხელში გულდაგულ მოიმარჯვა და ერთი იისფერი კონა შემატა ცისარტყელასავით აფერადებულ მაშხალების ჯგუფს.

— აბა, გეყოფა მხატვრობა. დიდი ხანია შენი დაძინების დროა!— ანზორი დასთან მივიდა და ოქროსფერ დალალებზე აკოცა. მერე აბგა გადმოიღო და წიგნების ამოლაგებას შეუდგა.

მედიკო მიხვდა, რომ ძმა მეცადინეობას აპირებდა და უხმოდ დაუთმო ადგილი მაგიდასთან. ეს კია, გაუკვირდა, ასე მონდომებული როდის იყო ჩემი ძმა სწავლაზეო. შემდეგ ლოგინში ჩაწვა და ახლა იქ დაუწყო თვალიერება თავის ნამუშევარს.

ანზორმა ალგებრის სახელმძღვანელო გადაშალა, საშინაო დავალებად მიცემული პირველი მაგალითი რვეულში სუფთად გადაწერა და ამოხსნას შეუდგა.

შეუდგა, მაგრამ მაგალითის გამოყვანა არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა. „ეშმაკმა დალახვროს, რა ძნელია!"—ანზორმა შუბლი მოისრისა. ერთხელ კიდევ ცადა მოეგონებინა ასეთი მაგალითების ამოხსნის წესი და პირობა. არაფერი გამოდიოდა. ერთ-ორჯერ თითქოს სწორი გზაც გამონახა, მაგრამ თავი ვერ მოაბა. ერთხელ ბოლომდეც ჩავიდა, მაგრამ მიღებული და სახელმძღვანელოს ბოლოს მოთავსებული პასუხები ერთმანეთს რომ შეადარა, ისეთი განსხვავება დაინახა, თვითონვე შერცხვა. წიგნი და ციფრებით აჭრელებული რვეული გაბრაზებით გვერდზე მიაგდო.

— რა იყო, ანზორ, არ გამოდის?—მოესმა მედიკოს ხმა. იგი ლოგინში წამომჯდარიყო და თანაგრძნობით შეცქეროდა ძმას.—შეიძლება პასუხში შეცდომაა... ა? ერთხელ მეც ასე მომივიდა. ყველაფერი სწორად გამოვიყვანე, პასუხში კი სხვანაირად ეწერა. იმდენი ვიწვალე, რომ... მერე მასწავლებელმა გვითხრა წიგნში შეცდომაოო. შეიძლება შენთანაც...

— შენი საქმე არაა... დაიძინე!—გაუჯავრდა ანზორი.

მედიკო ისევ ჩაწვა, ალბომი ბალიშქვეშ ამოიდო და თავზე საბანი წაიხურა.

ანზორი წამოდგა, სინათლე გამორთო და ფანჯარასთან მივიდა.

ქალაქს ეძინა, ნაგვიანევი მოსეირნენი თუ ჩაივლიდნენ, ან მსუბუქი მანქანა გაიქროლებდა უხმაუროდ, საყვირის მიუცემლად.

ანზორმა გახურებული შუბლი ზღვიდან მონაბერ გრილ ნიავს მიუშვირა, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

ერთხანს ასე იდგა, ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, მაგრამ ის ამოუხსნელი მაგალითი თავში უტრიალებდა.

თუმცა რა მოხდა! პირველი შემთხვევა ხომ არაა, რომ გაკვეთილი არ მოუმზადებია! ბოლოს და ბოლოს ადრე მივა სკოლაში, თხუთმეტ წუთში გადაიწერს ვინმესაგან და საქმეც გაიჩარხება. არა! მაინც რა

ძალიან უნდოდა, დღესვე, თვითონვე ამოეხსნა მოცემული მაგალითები.

მოპირდაპირე მხარეზე მდებარე სახლის ერთ-ერთ ფანჯარაზე შეჩერდა ანზორის მზერა. იქ ნუგზარი ცხოვრობდა. ამ ფანჯრებიდან ესალმებოდნენ ერთმანეთს დილდილობით მეგობრები. თუ სადმე დააპირებდნენ წასვლას, მხოლოდ მათთვის გასაგები მუნჯური ნიშნებით აგებინებდნენ ისინი ერთმანეთს შეხვედრის დროს და ადგილს.

რამდენიმე დღეა ანზორი ერიდებოდა იქით გახედვას.

ფანჯარაში სინათლე მოჩანდა.

„ალბათ ნუგზარსაც არ ძინავს, მეცადინეობს. ნეტავი მან თუ ამოხსნა ეს მაგალითი? მოდი მივალ,—გაივლო გუნებაში, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა: როგორ ვთქვა, რომ ვერ ამოვხსენი?

სახლში ყველას ეძინა. საათის კაკუნი და მედიკოს მშვიდი სუნთქვა არღვევდა ოთახის მყუდროებას.

ანზორის გონება ფიქრებს ებრძოდა. ბოლოს რვეულს ხელი დაავლო, მშობლების საწოლ ოთახთან ფეხაკრეფით გაიარა და კიბეზე დაეშვა.

ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

ზემოთ აიხედა. ნუგზარის ოთახიდან ისევ მოჩანდა სინათლე.

ბევრი აღარ უფიქრია, ქუჩა გადაჭრა, მესამე სართულზე სულმოუთქმელად აირბინა და ნაცნობი ოთახის კარზე დააკაკუნა.

ეპილოგი

რამდენიმე დღეა „დინამოს“ სტადიონი ხალხითაა სავსე.

საქართველოს მოსწავლეები ტრადიციული სპარტაკიადით აღნიშნავენ სასწავლო წლის დამთავრებას.

სიმარჯვეში, სისწრაფესა და გამძლეობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს ზღვისპირეთის კოხტა ქალაქში ჩამოსული მოსწავლე სპორტსმენები.

ხანდახან აქა-იქ ტაში იფეთქებს. მაყურებლები გულთბილად ესალმებიან სიმაღლეზე ხტომაში, სირბილსა, თუ ბადროს ტყორცნაში გამარჯვებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს—მსოფლიო ასპარეზობებზე ჩვენი ქვეყნის სპორტული სახელის მომავალ დამცველებს.

სპარტაკიადის უკანასკნელი დღეა. თითქმის დამთავრდა შეჯიბრება ყველა სახეში. გამარჯვებულმა გუნდებმა და სპორტსმენებმა დაირიგეს თასები, ალმები და სიგელები.

ერთადერთი დარჩენილი ჯილდო, ყველაზე საპატიო და სანატრელი, დასავლეთის ტრიბუნასთან მაგიდაზე დევს.

მასზე ფეხბურთელის ფიგურაა გამოკვეთილი.

დღეს ფინალია...

მოედანზე მწყობრად გამორბის ფეხბურთელთა ორი მწკრივი.

ერთმანეთის პირისპირ დგება ოცდაორი ჭაბუკი.

ცისფერმაისურიანთა კაპიტანს, შავქოჩორა ბიჭს, მღელვარება ეტყობა.

ან კი როგორ არ ღელავდეს ანზორ გეგელია?

მაყურებელთა ფერადი ტანსაცმელებით ხალიჩასავით მოქარგულ

ტრიბუნებს შეავლო თვალი. იქ დედა და მამა, პატარა მედიკო, სკოლის დირექტორი ლევან მეტრეველი, ცანგალა და ვინ იცის კიდევ რამდენი ნათესავი, უფროსი და ტოლ-მეგობრები ეგულება.

ახლა მხარმარცხნივ ჩამწკრივებულ ამხანაგებს ათვალიერებს.

ამ თერთმეტ ჭაბუკს ანდეს ბათუმელმა მოსწავლეებმა თავიანთი ქალაქის სპორტული ღირსების დაცვა.

ამიტომაა, რომ ღელავს მათი კაპიტანი.

ადგილები დაინაწილეს. მხარმარჯვნივ ნუგზარი დგას. იგი ხელს უჭერს ნიდაყვზე ანზორს და ეჩურჩულება:

— ნუ ღელავ!

მეგობრის ხელის შეხება ამშვიდებს გუნდის კაპიტანს.

სანამ ბურთს გაკრავდა ფეხს, ერთი წუთით აღდგა მის მეხსიერებაში უკანასკნელ დღეებში ნახული და განცდილი—ნუგზართან ერთად მეცადინეობაში გატარებული საღამოები, მეათე კლასში ღირსეულად გადასვლის სიხარული და გუშინ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნის მიერ ჩაბარებული ახალთახალი, ფოლადისფერი კომკავშირული ბილეთი.

დღეს კი აქ, ისევ ამხანაგებთანაა როგორც ტოლი და სწორი.

„მშვიდად“!—თითქოს ამბობენ მისკენ მოპყრობილი ნუგზარის თვალები.

მეგობარს ფიქრი ნუ აქვს, ანზორი მშვიდადაა.

ბურთს მარცხენა ფეხი მსუბუქად გაჰკრა და წინ გაქანდა.

თამაში დაიწყო...

ისევ შეშფოთდა მაყურებელთა ყიჟინით ზღვისპირას მთვლემარე თოლია, ფრთების ლაღი მოქნევით ნაპირს მოსწყდა და მალე რძისფერ ღრუბლებში ჩაქსოვილ სხივთა შორის გაუჩინარდა.

ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲛᲣᲐᲕᲘᲐ

წინ შენი საქმე გაგვიძღვება

იმ დილით ფერი უნებურად ეცვალა მზესაც,
ზღვა ახმაურდა და ცრემლებით მთაც დაიცვარა;
გულშემზარავად გაისმოდა ნიავის კვნესა:
— დიდი სტალინი გარდაიცვალა.

და უმძიმესი დანაკლისი იგრძნო მიწამაც,
ტიროდნენ ხენიც, გლოვის ნიშნად თავჩაქინდრულნი,
ყველა მშრომელმა ვინც მხსნელად და მამად იწამა,
იწვა უძრავი და გარინდული.

ახლა ჩვენს თვალებს მწუხარების ცრემლები ნამავს,
გულს არ შორდება გმინვა და ვიში,
პატარამ, ხუთი წლის წინათ რომ დაჰკარგა მამა,
ახლა ატირდა ობლობის შიშით.

სტალინ!—ამ სახელს ვფიცულობდით ლაღად, ფრთებგაშლილი,
სტალინ!—ამ სიტყვას სასოებით ვიკრავდით გულში,
სტალინ!—ისმოდა ზღვის ტალღების აზვირთებაში,
თუ შოზეიმე შრომის გუგუნში.

ეს იყო რწმენა, რომ გვიძღოდა დროშად მყოფადში,
სტალინ!—ვამბობდით და დგებოდა გულში მზე მაშინ,
ეს სიტყვა სჩანდა ჩვენს წინსვლაში, ჩვენს გმირობაში,
ჩვენი მესაზღვრის ფხიზელ მზერაში.

ჰე, დედამიწავ, იმწუხარე, მთებო დრკებოდეთ,
კაცობრიობა ეთხოვება მამას, მეგობარს;
შავო სიკვდილო, შენთან ომი შეიძლებოდეს,
მთელი მსოფლიო ამხედრდებოდა.

და თუნდ დამარცხდე, წინ აღგიდგეს დრო და ეპოქა,
თუნდ ქვეყანაზე აიკრძალოს შენი „უფლება,“
სამარადისო გამარჯვებად მაინც გეყოფა,
ამ ბუმბერაზის მისაკუთრება.

— მამავ!—ფრანგ მუშას შემოაწვა გულზე ნაღველი,
— მამავ!—და ყელში გაეჩხირა სათქმელი ბერძენს,
— მამავ!—დაგტირის ტუნგუსი თუ ვიეტნამელი,
— მამავ!—გაისმის ალმოდებულ კორეის ველზე.

მწუხრის ზეწარი გადაეკრა დაბა-ქალაქებს
და გლოვის ზარმა მიწის კიდით-კიდე მოჰფინა,
სხვადასხვა ერი, სულ სხვა ენით მოლაპარაკე
ჩვენ შენმა სიბრძნემ დაგვიძმობილა.

და ეს ცრემლები ხომ ფიცია ყველა მათგანის,
შენი სახელით მთელ პლანეტას ავახმიანებთ,
წინ შენი საქმე გაგვიძღვება, ვით ჩირაღდანი,
სტალინურ წრთობის ადამიანებს.

1953 წ.

ის კარს ულებდა ახალ განთიადს

ნიავს სიმღერებს აქ რა დაულევს,
აქ თითქოს ლოდსაც მღერა სწადია,
ყოველ გარიჟრაჟს რომ ახმაურებს
შრომის გმირების მძლე ნაკადია.

აქ ყველა კუნჭულს სხივები ფარავს,
ბრწყინავს მიდამო შუქთა მთოველი;
აქ ცხრაას ორის იგონებს ამბავს
ქუჩა, ქარხანა, დაზგა ყოველი...

ცეცხლი ბუგავდა ამ ზღვის ნაპირებს,
კვამლის სვეტებმა ზეცა დაჰფარეს,
ჰგავდნენ სოფლები ნაცარწაყრილებს
და ქალაქები—ნაქალაქარებს.

ხესაც წყუროდა სიტყვა კეთილი,
ყვავილს—ალერსი, სითბო დედური,
იყო ციხეში გამოკეტილი
აზრი მართალი და გაბედული...

მაშინ წამოდგა მტრისგან დევნილი,
ის, ვისაც ლოცავს ყველა მშობელი,
ქართლის უბიდან ამოფრენილი,
ქვეყნად სინათლის მახარობელი.

ოცნების ველი სწრაფად გასცურა
ზღვასავით ჭრელი და უსასრულო,
თქვა: ან შევაკვდეთ მტერს ვაჟკაცურად,
ან ბოროტება გავანადგუროთ.

შეხედეთ გლეხებს—
რა დარჩენიათ?
მხოლოდ რომ მიწას ოფლი აპკურონ,
შეხედეთ მუშას თვალებცრემლიანს,
უმოწყალოს და ულუკმაპუროს!..

დე, წინ გვიძღოდეს, როგორც ლამპარი,
გვანთებდეს რწმენით და იმედებით
ღვაწლი და საქმე მამაპაპანის,
მტრებს რომ ებრძოდნენ თავგამეტებით!

ჩვენც ხომ მონობა არ გვიწერია,
მტრის მრისხანებას ცეცხლი ვაგემოთ;
ამხანაგებო, ჩვენი ჯერია,
იარაღს ხელი, ამხანაგებო!

...იმ დროსთან დიდი ზღვარი გვაშორებს,
თურმე, რამდენი ბრძოლა გვჭიროდა,
შევხარით ცხრაას ორმოცდათორმეტს,
თუ ცხრაას ორი თავს დაგვტიროდა.

ვინც ბევრჯერ ღამე თეთრად ათია,
ვინც ამ მიდამოს ჯანღი აჰყარა,
ის კარს უღებდა ახალ განთიადს
მშრომელი ხალხის გულგასახარად.

1952 წ.

სწორედ სიმღერა გვეთქმის

ღრუბელი არ ჩანს ცაზე,
ვარსკვლავთა შუქი გვატკბობს...
ბედნიერებით სავსე
ვაჟი მიმართავს სატრფოს:

— ლაღი ცხოვრების შვილებს
მუდამ წინ სწრაფვა გვშვენის,
ღიმილით გაგვაცილებს
მთვარე—მაყარი ჩვენი.

ვაჟკაცებს ჩემი სოფლის,
თვალის სინათლევ ჩემო,
მხოლოდ შრომაში ვჯობნი,
მხოლოდ სიმარჯვეს ვჩემობ?

ახლაც მაჯობონ სცადონ—
ლხინს გავაჩალებ, როგორს?
რად უნდა დავიცადოთ,
რას უნდა დაველოდოთ?

სწორედ ქეიფის დროა,
სწორედ სიმღერა გვეთქმის,
ყოველ გარიჟრაჟს მოაქვს
ღიმილი მზის და ქვეყნის.

ქარო, ერთად რომ გვხედავ,
ჩუმი ჩურჩულით გვლოცავ,
წადი, ახარე დედას
ლამაზი რძალის მოსვლა.

შემოგვეგებოს ტკბილად,
ხალისით შუბლგახსნილი,
გულში ჩაგვიკრას წყვილად
პატარძალი და შვილი.

მამა დაუვლის ყველას,
ყველას ლაღი ხმით ამცნობს:
— ჰე, ძმაო, მეზობელო,
მოყვარევ, სახლიკაცო,

მობრძანდით, გავიხაროთ,
აგრემც არარა გევნოთ,
გულს დარდი გადვიყაროთ—
სულ ქორწილებში გვევლოს!

დინჯად მოგვმართავს პაპა:
— გქონდეთ სიმტკიცე მუხის!
შემოგვერტყმიან სწრაფად
ქალები სიტყვაუხვნი...

წამო, ამავსე ლხენით,
ამ გზას მივყვეთ და ვენდოთ,
ბედნიერება ჩვენი
ჩვენივე ხელით ვჭედოთ!

იაკობ მელია

ბ ე ღ ა დ ს

არის იმედი და ერთი მზე დედამიწაზე,
ეს მზე შენა ხარ, უმაღლესი და უნათლესი.
უხვად რომ აფრქვევ სიცოცხლის შუქს, შუქს ულამაზესს
და დედამიწას რომ აყვავებ სიკეთის თესლით.

ყოველი დილა შენს ნათელ ღიმს დაჰყვება ლხინად,
მსოფლიოს წვდება შენი აზრი და შენი თვალი,
ხალხს შენ აღირსე სინათლის და სიმართლის ხილვა,
შენით კაშკაშებს უკეთესი დღე მომავალის.

შენს დროშას ფიცავს ყველა, ვისაც სიმართლე უყვარს,
მონას ბორკილს ხსნის შენი აზრი, შენი სახელი,
საუკუნეთა ხარ სინდისი, დიადი სუნთქვა,
ბედნიერების და მშვიდობის გამომსახველი!

1952 წ.

დ ი ღ ა

წარმტაცი არის და მარად დიდი
სამშობლოს დილა, მისი ფერ-მადლი,
რადგან კრემლია ფუძე ამ დილის
და მზე—ბელადი.

გავმართე მზერა და ვგრძნობ, რომ ჩემს გულს
მისი ღიმილი მუდამ ღრმად წვდება.
მე ვესალმები გასხივოსნებულს
მზეს, ადამიანს და უკვდავებას!

1952 წ.

სტალინმა პური გამოგვიგზავნა

ზევით არ ცხრება ცეკვა-თამაში
და სიმღერები ამერიკული,
ქვეშ კი ნესტიან ვიწრო სარდაფში
ჩანს სარეცელზე ბავშვი მიკრული.

გადის დღე.
ღღეა თითქოს ხანგრძლივი,
აღარც ღამდება, აღარც თენდება,
ქუჩაში დედა ხელებგაწვდილი
გადაქცეულა თითქოს ვედრებად.

არავის ესმის.
ო, ამ მილანში
პატარა ბავშვი როგორ მწუხრდება,
— დაბრუნდებაო დედილო სახლში,
მაგრამ მშობელი აღარ ბრუნდება...

ნუთუ დასტოვა? ამაოდ ელის!
გულს უიმედო დარდი აწვება...
შიმშილთან ბრძოლა ყოფილა ძნელი
და უფრო ძნელი თავის დაღწევა.

კარს აღებს დედა, ნისლი არ ფარავს,
შვილს გაულიმებს, თითქოს მზისდარად
და ეუბნება: ჩემო პატარავ,
სტალინმა პური გამოგვიგზავნა!

1952 წ.

შადრევანი

დილით შემოდის ბაღში მებაღე,
ნაცნობ ადგილთან ჩერდება წამით,
დაკეტილ ონკანს ღიმილით აღებს,
რომ აამღეროს შადრევნის წყალი.

და ზღვის ნიავი მტრედივით წყნარი,
ბაღში ნავარდით ხალისობს ხშირად...
მინდა ვუსმინო რას მღერის წყალი,
მინდა ვუსმინო ფოთლების შრიალს.

ასე ჩქეფს ჩვენი სიცოცხლე ლაღი,
მწამს ამ სიხარულს ვერვინ დაჩრდილავს...
და მინდა ხოტბა იმ დიდ მებაღის,
ეს სილამაზე ვინც გააჩინა,

ხიხაძირის გაზაფხული

როგორ ამშვენებს ფიჭვნარებს ტოტები ცამდე აყრილი!
მოქუხს ხირხათის მდინარე, მთებს ვაჟკაცურად გაყვირის.
კლდეს დაეჯახა, გააპო, თვით გაიჩინა ნაპირი;
გაინა ჩანჩქერი? სიმღერით აქუხებულა აპრილი.

როგორ ამშვენებს ფიჭვნარებს ტოტები ცამდე აყრილი!
მოქუხს ხირხათის მდინარე, მთებს ვაჟკაცურად გაყვირის:
ჰე, მთებო, გამოიღვიძეთ, მკერდზე აინთეთ ყვავილი!

მაგრამ ხირხათის გადაღმა, თამარის ციხის გადაღმა,
ფესვი ქართული სიცოცხლის ნუთუ დაჭკნა და გადახმა?
შავად ჩანს გულშემზარავი წყვდიადის შავი ნაპირი,
გამოღმა გაზაფხულია და კვირტებს ხეთქავს აპრილი.

აჭარელი გუთნისდედა

ზარის ხმას გავდა, თუ ქვესკნელის ხმა შემოესმა?
ჩახედა ხნულს და არა იყო ბორკილის გარდა.
ეანგიან რკინას თან ამოჰყვა ვაჟკაცის კვნესა
და მოგონებამ შეარხია წარსულის ფარდა.

ვინ შეუბორკა კაცს ხელები რკინით ნეტავი?
ზღვის ნაპირამდეც ვერ მივიდა, თუ მოჰკლეს ძალით?
იქნებ ის იყო ქედუხრელი და გამბედავი
და სიკვდილის წინ კვლავ დაწყევლა რჯული ისლამის.

ან იქნებ იგი, როგორც მონა, მიჰყავდათ თურქებს,
გული ეწვოდა ამ სისხლიან ბორკილის ხმაზე...
იქნებ სულთანის მოწყალება მრავალჯერ უქეს,
მაგრამ ამაოდ, ის ბრძოლაში დაეცა გზაზე.

შეებრალება გუთნისდედას მებრძოლის ხვედრი,
წყევლის ხელბორკილს მტარვალთაგან გაჩენილს გესლად
და თავისუფალ, სწორუპოვარ მადლიან ხელით
ჰირნახულ ველზე მარადიულ სიცოცხლეს თესავს.

ეთეო დოლიძე

მამაპაპისეული

დაბინდდა.

ეზოში შემოვიდა ცალ მხარზე გოდორწამოკიდებული გოგი, რომელსაც ხალათის ღილები გაეხსნა და წაბლისფერი კულული შუბლზე ჩამოშლოდა. შვილიშვილს მოხუცი მიეგება და მზრუნველობით ჰკითხა:

— დაიღალე, შვილო? როგორ ანთებული სახე გაქვს! დაჯექი, დაისვენე.—და სამფეხა სკამი მიაწოდა. გოგიმ გოდორი ძირს დადგა, ცაცხვის ძირას ჩამოჯდა და ზურგით ვეება ხეს მიეყრდნო.

— როგორ არის, შვილო, საქმე, გეგმას შეასრულებთ?—ცოტა ხნის დუმილის შემდეგ იკითხა მოხუცმა.

— კიდეც გადავჭარბებთ. ასეთი დიდი მოსავალი ჯერ არც კი მახსოვს. ერთი კვირაა მანქანები ველარ გვითავდება ზიდვაში. მერედა რა ღვინო დადგება; ცერის სისხოა საფერავისა და რქაწითელის თვითეული მარცვალი.

მოხუცს არაფერი უთქვამს. გოგიმ იყუჩა და შემდეგ განაგრძო.

— ბაბუა ახმედ, დიდი ხანია ერთი აზრი მიტრიალებს თავში: შენც რომ თანახმა იქნებოდე, აი, აქ, კარტოფილს რომ ვოესავთ,—და ხელი გაიშვირა,—იმ მიწას გადავბრუნებ, კარგად დავამუშავებ და ისეთ ვენახს გავაშენებ, რომ მთელი სოფელი შენატროდეს. ნერგებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემპირდა, როცა გინდა, მაშინ წაიღეო.

მოხუცმა თავი გააქნია.

— ჩვენი ეზო სავენახედ არ გამოდგება, შრომა ტყუილად ჩაივლის და მიწაც მოცდება.

— არა, ბაბუა, ჩვენი ეზო სწორედ სავენახეა, აგრონომს შევამოწმებინე.

ახმედ ბაბუა ძლივს შეურიგდა იმ გარემოებას, რომ კოლმეურნეობამ ვენახი გააშენა და შვილიშვილი გოგი ვენახში მუშაობდა. ახლა კი ოჯახშიც უნდა გაშენდეს ვენახი, დაიწუროს ღვინო, არა, ახმედი ამას ვერ შეურიგდება. გულში ეწყინა კიდეც შვილიშვილის განზრახვა, გადაკვრით გააქნია თავი და მტკიცედ თქვა:

— დამეხსენი შვილო. მე ღვინო არ მწამს. ღვინოს შექერ-წყალი მირჩევნია. ადათის მიხედვით ღვინის დალევა და დაყენება ჩვენში არ შეიძლება.

— ეს მაჰმადიანური ადათ-წესები წლებს გაჰყვა და გაქრა, ბაბუა!

— ჩემს ჭაღარას ეცი პატივი, შვილო,—უთხრა მოხუცმა და უძლური ხელები თავზე გადაისვა.—ამ სიბერის ხანს ნუ მაწყენინებ... შენ ის მითხარი, სასიმინდე როდის დავდგათ, მასალა ძირს ყრია და გაფუჭდება.

— კვირა დილით მოვლენ ბიჭები, დამეხმარებიან.—უპასუხა გოგიმ და უსიამოვნოდ წამოდგა.

— გეტყობა, ძალიან დაღლილხარ, შვილო, სამუშაოს ერთბაშად ნუ შიეტანები. ახალგაზრდობის ჯანი და ღონე გერჩის, მაგრამ არც ისე ვარგა, მოსასწრები ხომ არაფერია?

— არა უშავს, ბაბუა, შრომა კაცს არ მოკლავს.

— ვიცი, შვილო, მაგრამ...—აღარ დაათავა მოხუცმა და შვილიშვილს უკან გაჰყვა.

* * *

კვირა დილაც გათენდა.

მზე ნელ-ნელა ამოიზიდა აჭარა-ახალციხის მთებიდან.

მოხუცი ახმედი ბერმუხის გადანაჭერთან იდგა ჯოხს დაყრდნობილი. მკლავებდაკაპიწებული ახალგაზრდები ხუმრობასა და სიცილში მუშაობდნენ.

— ისეთ სასიმინდეს დავდგამთ, რომ მთელ სოფელს თავზე კოშკივით დაჰყურებდეს.—ხუმრობდა ლევანი.

— აბა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, ჰა!—ამხნევებდა მოხუცი ყმაწვილებს.

უცებ ლევანის ბარი რაღაცას წამოედო..—ბიჭოს, ბაბუაშენს მგონი აქ ოქრო აქვს დამარხული!—გაეხუმრა ლევანი გოგის.

— ეგ რა გასაკვირია, ბაბუაჩემი ხელშემონახული კაცია.—ღიმილით უპასუხა მან.

— მართლა, ხუმრობისგარეშე, რამოდენა ქვაა, ბიჭებო, თავი და ბოლო ვერ ვუნახე, მოდი ერთი, დევკაცავ, შენებურად დაჰკარი!—უთხრა ვანოს ლევანმა. ვანო ახლოს მივიდა, ბარი მაგრად დაჰკრა და რამდენიმე წუთში ვეებერთელა ქვა ამოაგდო. ქვისქვეშ მუხის ბელტი აღმოჩნდა, ისიც ამოაგდო და ბარმა ქვევრის თავზე გაიხმაურა.

— ოჰო! აქ სახუმრო საქმე არ არის!—წამოიძახა გოგიმ. როგორც ჩანს, აქ ბაბუაჩემს მართლაც მამაპაპისეული განძი აქვს შენახული.—თქვა და დოინჯი შემოიყარა.

ყმაწვილებმა ორმოში ჩაიხედეს. იქ გარკვევით ჩანდა ქვევრის თავი და ღვინის თეთრი ბრკე.

— კაცო, ეს რა ვიპოვეთ!—წამოიძახა ლევანმა.

— რა ამბავია, რა იპოვეთ, შვილებო, რა?—იკითხა მოხუცმა.

— რა და ქვევრი, ქვევრი, ბაბუა!—აღტაცებით წამოიძახა გოგიმ და ტაში შემოჰკრა.

— ქვევრი?! რას ამბობ, შვილო, ქვევრი საიდან მოვიდოდა ჩემს ეზოში?

— თუ არ გჯერა, მოდი, ნახე!—უთხრა ლევანმა.

მოხუცი ფეხაჩქარებით მივიდა, ჩაიხედა ორმოში, ჩაიმუხლა და ხელით შეეხო ქვევრს და მიწაყრილზე დაჯდა.

მთელი ხუთიოდე წუთი გაოგნებული იჯდა მოხუცი. რაღაცას ფიქრობდა, შუბლს ისრესდა აკანკალებული ხელით, ჩიფჩიფებდა, თავისთვის რაღაცას დუდუნებდა... ბოლოს წამოდგა, ნაოჭიანი შუბლი გახსნა, შვილიშვილს ბეჭებზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— წადი, შვილო, ჭიქა მოიტანე, ვნახოთ თუ მართლა ღვინოა.

გოგიმ ჭიქა მოარბენინა, მოხუცმა ჩაიჩოქა და ქვევრიდან ღვინით სავსე ჭიქა ამოიღო და მაღლა ასწია. კუპრივით შავი ღვინო იყო.

— მოვსინჯავ, ვნახავ როგორია!—აჩქარდა გოგი და ბაბუას ხელი გაუწოდა ჭიქის გამოსართმევად.

— არა, შვილო, დალევა როგორ შეიძლება! ვინ იცის რამდენი ასეული წლისაა... წადი ერთი ალექსის დაუძახე, გურული კაცია, გამოცდილი მეღვინე.—უთხრა მოხუცმა შვილიშვილს.

გოგი ალექსის მოსაყვანად გაიქცა, ახალგაზრდებს კი მოუსვენრობა ეტყობოდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა სპეტაკი თოვლივით თეთრწვერა, წელში რკალივით მოხრილი ალექსი, რომლის რჩევითაც რაიკომში გაგზავნეს კაცი ამბის შესატყობინებლად.

* * *

საღამოს ეზოში ჩამოვიდა რაიკომის მუშაკი, აგრონომი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი.

— მობრძანდით, მობრძანდით, პატივცემულო სტუმრებო, ქუდმოხდით ძიეგება მოხუცი.

სტუმრებმა გულდასმით დაათვალიერეს ქვევრი.

— ბატონო ახმედ, როგორ ფიქრობთ, როდინდელი იქნება ეს ქვევრი?—შეეკითხა რაიკომის მუშაკი.

— არ ვიცი, შვილო. მიკვირს, ძალიან მიკვირს, საიდან გაჩნდა ჩემს ეზოში ქვევრი. ვენახი მე არ მქონია და ჩემს მამას. მაგრამ,—თავი მაღლა აიღო, თითქოს რაღაც მოაგონდა და განაგრძო:—ლანდივით მახსოვს: მაშინ პატარა ვიყავი, შვილო, ჩემი პაპისაგან გამიგონია, ეზოში გვქონდა სალოცავი ხე, რომლის ძირას ჩაფლული იყო პატარა ქვევრი და შიგ სალოცავი ღვინო ინახებოდაო. წელიწადში ერთხელ, თურმე, ამ ხის ძირას სუფრას გაშლიდნენ, ამოიღებდნენ ქვევრიდან სალოცავ ღვინოს და ლოცავდნენ გლეხების მარჯვენას და მათ მომავალს.

— ოო, ახმედი სწორსა ბრძანებს,—თქვა თეთრწვერა ალექსიმ,—სალოცავი ხე მეც მახსოვს. ჩვენს სოფელში ოჯახი არ დარჩებოდა ისეთი, რომ ამ ხესთან სალოცავი დღე არ გადაეხადათ...

ახმედმა ჩიბუხი დაბერტყა. სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა და თქვა:—ალბათ, ესეც სალოცავი ღვინოა, ჩემი მამა-პაპის ხელით დაწურული და შენახული. ნამდვილად... მაგონდება, სწორედ აქ უნდა მდგარიყო ის სალოცავი ხე!..

— ალბათ, ალბათ!—დაუდასტურეს სხვებმაც.

— აბა, მოიტანე ჭიქა, ვნახოთ, როგორია თქვენი სალოცავი ღვინო!—ღიმილით თქვა აგრონომმა.

გოგიმ მოიტანა სქელი, შავი ღვინით სავსე ჭიქა, მიაწოდა და უთხრა:—ბაბუაჩემისათვის რომ გეკითხათ, ჩვენი ეზო სავენახედ არ ვარგაო. აი, უტყუარი ფაქტი. ეს ღვინო ხომ ჩვენს ეზოში დაკრეფილი ყურძნისა იქნება!

— ეს მართლაც ძველი ქართული ღვინოა. ალბათ, მრავალ, დროთა ვითარებამ მოაქცია იგი ამ სიღრმეზე.—თქვა სკოლის დირექტორმა.

— ბაბუაჩემი კი მიმტკიცებდა, რომ ადათის მიხედვით, ჩვენს მამაპაპას ღვინო არ უსვამსო. ვკითხოთ აბა, თუ არ უსვამს, ამ ქვევრსა და ამ ღვინოს!—ამაყად თქვა გოგიმ, რომელიც თავს გამარჯვებულად გრძნობდა.—მე კი უდავოდ მჯერა, რომ სწორედ ჩემი მამაპაპისეულია ეს ქვევრი და ეს ღვინოც...

— სწორი ხარ, შვილო, სწორი, სიმართლემ გაიმარჯვა!—უთხრა მოხუცმა შვილიშვილს და მხარზე ხელი დაჰკრა.—ვიმუშაოთ, გავაცოცხლოთ მიძინებული მამაპაპისეული მარანი!—და იმედიანად ჩამოართვა ხელი.

ბაბუა და შვილიშვილი ღიმილით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მოხუცი უცებ ჭაბუკივით შეტრიალდა, თითქოს რაღაც დავიწყებული გაიხსენაო და სტუმრებს მიმართა:

— აბა ერთი, სახლში შემობრძანდით, ჩვენს მამაპაპისეულ მარანს დალოცვა უნდა,—და რძალს დაუძახა:—ვარდო, ერთი სტუმრებისათვის სუფრა გაშალე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბაბუა ახმედის სახლში ქართული მრავალჟამიერი გაისმა.

ᲖᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ

ფერთა ზეიმში ბრწყინვალებს კრემლი
ღა მისი შუქი პლანეტებს აღწევს,
ზეაღმართული სინათლის ხელით
მოსკოვის ცაზე მშვიდობას აწერს.

კრემლი—მტრისათვის დარდი და ჭმუნვა,
ჩვენთვის იმედი, დღედ აქცევს ღამეს.
ღედამიწა ხომ მზის ირგვლივ ბრუნავს,
მის ირგვლივ ბრუნავს, მაშასადამე.

მისი ვარსკვლავი—სინათლის დედა
კორეელ მებრძოლს სანგარში ათბობს,
იმ ვარსკვლავს ანრი მარტენიც ხედავს,
იმედით უცქერს ციხიდან მნათობს.

კრემლი—სათავე ჩაუქრობ შუქის
მარადისობის თაღქვეშ კიაფობს,
გაუტყორცნია შორს ელვის შუბი
და საზღვრის იქით წყვდიადს მიაპობს.

...აღმართულია ფერების ზღვაში
ადამიანთა სიკეთის კერა,
მილიონების გულისძგერაში,
გადადის მისი ზარების ჟღერა.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ

სიცოცხლით ტოკავს, პატარა ყდაში
ო, რამდენი ცეცხლი ეტევა,
დავხედავ,
გულზე ლენინის სახის
სინათლის შუქი გადამედება.

...ბრძოლაში ვიყავ, გზას ვიკაფავდი.
მხრებზე ტყვიების თქორით ნაწვიმი,
ფრონტზე ფოლადის მეომარს გავდა
ბილეთი—ჩემი გულის ნაწილი.

ომში დავიჭერ, თუმც ვერ გამტეხა
სიკვდილთან ბრძოლის მძაფრ აგონიამ,
ის გულთან მედო, მე მისმა ძალამ
გადამარჩინა, ასე მგონია...

კვლავ გულთან ტოკავს, პატარა ყდაში
ო, რაოდენი ცეცხლი ეტევა,
დავხედავ,
გულზე ლენინის სახის
სინათლის შუქი გადამედება.

ირემი მთაზე

კლდიდან ჩანჩქერი ეშვება ლაღად.
მთა აკვანივით ბინდში ირწევა,
მე გამიტაცა ოცნების ტალღამ,
გადამცა შვებით თავდავიწყებას.

ვარსკვლავთა ნაწერს უღრუბლო ცაზე
ვკითხულობ ღელვით, ვით სატრფოს ბარათს,
და მე მგონია:—შუქს მთაწმინდაზე
მთვარე აკაკის ჭაღარას ჰპარავს.

ვხედავ: ირემი მთაზე ვით დგება
დახლართულ რქებში სხივებგაბმული,
შედგა, გაქვავდა ვით ქანდაკება,
ვით ვერცხლის ყალმით კლდეს მიხატული.

ო, რა გაუძლებს იმ ელვის თვალებს,
ტრფობის ხანძარი გულში ჩაღდება,
მზესთან ნაბრძოლი ეს ბადრი მთვარე
ახლა ირმის რქებს თაფლად ადნება.

თურმე ირემი ღამენათევი
ეტრფის სამშობლოს და მის ბუნებას
და ციდან ლაღად მთვარის ნათელი
დახლართულ რქებზე დაეხურება.

იგი ჩასმულა ბუნების ყდაში,
ცვივა ოცნების თეთრი ფთილები.
ვცან საიდუმლო მე ირმის ხმაში
და ახლა თითქოს მეც ვარ ირემი.

ინეზა ბერიძე

ი ზ ო ლ დ ა ს

შენ ახლა უკვე შეგისრულდა თოთხმეტი წელი
და დღეს პირველად კომკავშირის შეაღებ კარებს,
ნაცრისფერ წიგნაკს დღეს პირველად აიღებ ხელით
და მთელი გრძნობით მას მოუვლი და შეიყვარებ.

დღეს ანთებული აღმაფრენით სავსე გაქვს გული,
ხორცი შეესხა შენს ოცნებას ოქროსფრთებიანს,
ზღვა გულგამთბარი და ლაჟვარდიც სხივმოქარგული
შენი ცხოვრების ამ დიად წუთს ეგებებიან.

ეგებებიან და ტკბილ ჰანგებს უმღერენ მწყობრად
აფერადებულ შენს გაზაფხულს და სიყმაწვილეს,
რომ კომკავშირი წაგიძღვება გზის მანათობლად,
ცხოვრების სიბრძნეს გასწავლის და გაგინაწილებს.

ნაცრისფერ წიგნაკს დღეს პირველად ხელში აიღებ
და მოკრძალებით შეინახავ მას გულთან ახლო,
დღეს შენ პირველად კომკავშირი კარებს გაგიღებს,
რომ ჩვენი ქვეყნის მოგიზგიზე მზე დაინახო!

მზის ბრწყინვალებით მოსილი გაქვს გზა მომავლისა,
და ნეტარების სიხარული წინ გელოდება.
ო, როგორ ვნანობ, რომ არა ვარ თოთხმეტი წლისა
და ეს განცდები არასოდეს განმეორდება.

გმირების სახელს რა დაგვავიწყებს

ცაზე ღრუბლები ჩამოწვა მუქად,
მზემ დაითალხა გულმკერდი თითქოს,
ივნისის დილამ შეწყვიტა სუნთქვა,
ზაფხულის დილამ დაკარგა სითბო.

და შემდეგ იყო ბრძოლის ალმური,
ტყვიების ცეცხლი წინ იშლებოდა;
ცხოვრება ტკბილი და საამური
ომის კაეშნით ინისლებოდა.

იმ მძიმე წლების ტკივილი გვახსოვს:
ელოდა ბავშვი მამას უნახავს
და დედის გლოვა, ცრემლად რომ ათოვს
შვილს დაღუპულს და შვილს დაუმარხავს.

შაგრამ არ შედრკა მარჯვენა ჩვენი,
იმედი გულში ღამეს ათევდა,
ბელადის სიტყვა მზის შუქმომფენი
შუქურ ვარსკვლავად გზას გვინათებდა.

იმ გზაზე ბევრი იშვა რაინდი
მტერშემოსეულ სამშობლოს მხსნელად,
ბევრის წამწამზე ჩამოწვა ბინდი
და უკვდავება დაიდგა ძეგლად.

დღეს როცა ჩადგა ომის მორევი,
როცა წარსულის ფურცვლას დავიწყებთ,
სულ გვეხსომება მათი ბრძოლები,
გმირების სახელს რა დაგვავიწყებს?!

ჯემალ ჯაყელი

მშვიდობა შენდა, ახალო წელო!

სიცოცხლის ჰანგად მსოფლიოს თავზე
კრემლის საათის გუგუნი ისმის,
ეღერს სამი სიტყვა დიდებით სავსე:
სტალინ,
მშვიდობა
და კომუნიზმი!
ეს სიტყვებია ძალა გონების,
ეს იმედია განგელის, ზანგის,
ეს მომცემია ზეშთაგონების,
ეს არის ჰანგი,
მშვიდობის ჰანგი!
გუგუნი ისმის...
ზეცას განიერს
მტრედების ფრთებით მოხატულს ვხედავ,
მრავალჟამიერ,
მრავალჟამიერ,
ახალო წელო, მშვიდობა შენდა!

1953 წ. 1 იანვარი

სამგორელი გუთნისდედა

მზე სვიანი, გამოცდილი
კაცი მარჯვენმადლიანი,
სამი გორის დალოცვილი,
მკერდსავსე, ბეჭადლიანი;

სტალინგრადთან ბრძოლის ველზე
ბევრჯერ ღამეგათეული,
მჩქეფარ მკერდზე, სავსე მკერდზე
ოქროს ვარსკვლავ ანთებული

ტრაქტორს მართავს, თვალსისხამი
რიჟრაჟია გაზაფხულის,
შეტორტმანდა მიწა ხამი,
ნასიცხარი, დაბზარული,

დღემდე სახნისუნახავი
გაფერადდა მიწა ხნულით;
— დაე, იყოს ყანა ხვავის,
ბარაქის და ჭირნახულის.

რომ არ დარჩეს მიწა უქმად,
რომ აზღვავდეს ჯეჯილებად,
რომ მოიმკან ხვავი უხვად,
გაიმართა შეჯიბრება.

და სამგორმა გაიღვიძა,
შებარბაცდა სამი გორა,
ცხელი ქარი გადიკარგა,
ცხელი მტვერიც გადიყოლა.

ტრაქტორს უძღვის, კოლექტიურ
შრომის გმირი ყამირს ქარგავს,
რომ გასცილდეს გეგმის ძღიურს,
გუთნისდედა წუთს არ კარგავს.

თან მანქანის გუგუნს ისმენს
და იგონებს სურათს რამდენს:—
მისი ტანკი ბრძოლით როგორ
მიგრიალდა ბერლინამდე.

გამარჯვების ცხრა მაისი,
კვლავ მამულის დამშვენება,
ქახოვკა და ყარა-ყუმში
გორის ატმის გაშენება.

უფრო გმირულ გაქანებით
მშრალ ბელტებზე ბელტებს აწვენს,
გუგუნებენ მანქანები,
ოფლი ნამავს გმირის ღაწვებს.

ჩქეფს... სიცოცხლის ლანქერია,
გადაიქცა თესლი ყანად,
ხნულს სიცოცხლე გაერია
უხვ მოსავლის მოსაყვანად.

ოთარ ფარეიშვილი

ბურჟუაზიული ლიტერატურის მარაზმი

ასი წლის წინათ, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა თავიანთ გენიალურ ნაშრომში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ასე დაახასიათეს უსირცხვილო ჩარჩობის თავისუფლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: „სადაც კი ბურჟუაზიამ გაბატონებას მიაღწია... მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა ერთი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა... ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან თავის საფასურიან დაქირავებულ მუშებად გადააქცია.“

დღევანდელი კაპიტალისტური სამყაროს კულტურის დეგრადაცია სწორედ ამ „უსინდისო თავისუფლების“ შედეგია. იმპერიალიზმი მომაკვდავი, ლპობადი, პარაზიტული კაპიტალიზმია, რომლისათვისაც დამახასიათებელია ტრესტებისა და მონოპოლიების აღვირახსნილი ბატონობა, მშრომელთა ველური ექსპლოატაცია, მილიტარიზმის ზრდა, პოლიტიკური რეაქცია, კულტურის გახრწნა.

თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურა—ეს არის მასების მზარდი ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და გაღატაკების, კაპიტალიზმის მგლური კანონების—მხეცური კონკურენციის, მტაცებლობისა და ძარცვის იდეოლოგიური იარაღი; თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურა—ეს არის კოლონიზატორობის, კაციჭამიობის, იმპერიალისტური ომების, ხალხთა დამონებისა და ჟლეტის ქადაგება, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და კაცთმოძულეობის „კულტურა“, ბნელეთის მოციქულობის, ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა.

იმპერიალიზმის პირობებში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, ბურჟუაზიული კულტურა სულ უფრო ეცემა და იხრწნება. იგი შეგნებულად და ერთგულად ემსახურება იმპერიალისტურ რეაქციასა და აგრესიას, იგი მშრომელი მასების, კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების დამონების იარაღია.

ბურჟუაზიული კულტურის ყველა ეს მახინჯი თვისებები ყველაზე უფრო სრულყოფილად განსახიერებულია ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ბურჟუაზიულ კულტურაში. იმპერიალიზმის დაქი-

რავებული აგენტების—დოლარით მოსყიდული „მეცნიერების," „მწერლების," „ხელოვნების მუშაკების" მიერ ახალი ომის გაჩაღების ცოფმორეული ქადაგება, კაცთმოძულეობის ფართო პროპაგანდა იმის მაჩვენებელია რომ იმპერიალიზმმა გახრწნის უკიდურეს წერტილს მიაღწია.

მაქსიმ გორკი, ამერიკელი ბიზნესმენების კულტურის შესახებ წერდა: „მათი „კულტურა"—ეს არის მთელი წყება დაწესებულებებისა, რომლებიც სავსებით თავისუფლად მოქმედებენ იმ მიზნით, რომ დაიცვან და გაამართლონ ყოველმხრივ შეუზღუდავი ბატონობა პარაზიტული უმცირესობისა მშრომელ უმრავლესობაზე... მათი კულტურა ეს არის სკოლა, სადაც ტყუიან, ეკლესია, სადაც ტყუიან, პარლამანტი, სადაც აგრეთვე ტყუიან, პრესა, სადაც ტყუიან და ცილს წამებენ; მათი კულტურა ეს არის პოლიცია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება ცემოს და ყლიტოს მუშები"... ამერიკის ცივილიზაციის ბუნება დიდმა მწერალმა ამომწურავად დაახასიათა ამერიკელი ჟურნალისტებისადმი პასუხში: „თქვენი ცივილიზაცია ჩვენი პლანეტის ყველაზე მახინჯი ცივილიზაციაა, რადგან მან საზარლად გაამრავლა ევროპის ცივილიზაციის ყველაზე მრავალფეროვანი და სამარცხვინო სიმახინჯე."

ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული მჯღაბნელები კაპიტალიზმის კრიზისს გვიხატავენ, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის დაცემას საერთოდ. ეს არ არის ახალი ამბავი. 30 წლის წინათ გერმანელი ფაშიზმის წინამორბედი, ბნელეთის მოციქული შპენგლერი თავის წიგნში „ევროპის აღსასრული" კაცთმოძულეობის იდეების განხორციელებაში ეძებდა გამოსავალს. შუასაუკუნოებრივი ობსკურანტიზმის ეს გაბოროტებული მქადაგებელი მსოფლიო კულტურის ხსნას დამპყრობლური ომების გაძლიერებასა და პრუსიის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობაში ხედავდა. იგი ამტკიცებდა, რომ „ომი—ეს არის კაცობრიობის უმაღლესი ყოფიერების მუდმივი ფორმა, და სახელმწიფო არსებობს ომისათვის", რომ მუშათა კლასი, თითქოს, ცივილიზაციის ყველაზე საშინელი მტერია. შპენგლერის მიზანტროპული იდეების უბადრუკი გადამღერებაა ამერიკელი და ინგლისელი ისტორიკოსების და სოციოლოგების დღევანდელი „თეორიები."

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვის, გაცხარებით ქადაგებს კოსმოპოლიტიზმის იდეებს, რითაც ცდილობს ხელი ააღებინონ ხალხებს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ხელი შეუწყოს „მსოფლიო მთავრობის" შექმნას ამერიკელებისა და ინგლისელების ხელმძღვანელობით.

ინგლისელი ისტორიკოსი ტოინბი თავის წიგნში „ცივილიზაცია გამოცდების წინ" მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საკუთარი ნებით დაემორჩილონ ინგლისის და ამერიკის ბურჟუაზიას. მისი აზრით, კატასტროფის გზაზე შემდგარ კაცობრიობას ინგლის-ამერიკის მონოპოლისტთა მსოფლიო ბატონობა იხსნის. დანასრულ იგი ხალხებს აფრთხილებს, თუ ამ დათმობაზე არ წახვალთ, მოგელით ძველი ბერძნების ბედი, რომლებიც ძალით შეიერთა რომმაო.

ბნელეთისმოციქული ბერტრან რასელი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „არავითარი შეთანხმება ატომური ომის შეზღუდვის შესახებ! იგი არა-

ფერს არ მოგვცემს, გარდა ზიანისა... ჩვენ უნდა შევქმნათ მსოფლიო სახელმწიფო, ან უნდა დავიღუპოთ.“

ექსპანსიისა და ძარცვა-გლეჯის პოლიტიკის გასამართლებლად ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები იშველებენ ფაშისტურ ცრუმეცნიერებას, რომელიც ცნობილია გეოპოლიტიკის სახელწოდებით და რომლის მიზანია დაფაროს იმპერიალიზმის დამპყრობლური პოლიტიკის კლასობრივი არსი. გეოპოლიტიკა, რასობრივ თეორიასთან ერთად, მსოფლიო ბატონობის ჰიტლერული იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი იყო. ჰიტლერელთა კრახის შემდეგ მას ამერიკელი განგსტერები ჩაებღაუჭენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა გამალებით დაიწყეს სამხედრო ბლოკებისა და ბაზების მოწყობა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ირგვლივ და თან ცდილობენ ეს აგრესიული მოქმედება გაამართლონ „ძალთა თანაფარდობის“ გეოპოლიტიკური კანონით.

ამერიკელმა და ინგლისელმა დამპყრობლებმა კვლავ ააღორძინეს მალთუსიანური თეორიები, რათა გამოიყენონ ისინი იმპერიალისტური ექსპანსიის ინტერესებისათვის. ინგლისელ-ამერიკელი ცრუსოციოლოგები აშკარად გამოდიან მოსახლეობის ხელოვნურად შემცირების, ე. ი. მშრომელი მოსახლეობის „ნამატის“ გაჟლეტის თეორიებით. ამერიკელი ნეომალთუსიანელის რობერტ კუკის აზრით, საჭიროა ზუსტი კონტროლით თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის ზრდა. ამისათვის, მისი აზრით, არსებობს ორი ფრიად ხელსაყრელი საშუალება: პირველი, ბუნებრივი, რომელშიც იგულისხმება ომი, შიმშილი, ავადმყოფობა, ბავშვთა სიკვდილიანობა; მეორე, ხელოვნური, რომელშიც იგულისხმება მშრომელი მოსახლეობის მასობრივი ძალდატანებით სტერილიზაცია. ამასვე ქადაგებს ომის ცნობილი გამჩაღებელი ჯონ ფოსტერ დალესი თავის წიგნში „ომი ან მშვიდობა.“

ვინმე ამერიკელი ფიზიოლოგი ბრიტნსი კი თავის კოლეგებს მოუწოდებს, მიაღწიონ ხელოვნური განაყოფიერების გზით „მონათა—კაცმაიმუნთა რასის“ შექმნას, რომ ამით კაპიტალისტებს ბლომად მიაწოდონ იაფი და მორჩილი მუშახელი.

ინგლისელ-ამერიკელ მონოპოლისტებს სიკვდილივით ეშინიათ დემოკრატიული აზრებისა, ამიტომ ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებიან ყველაფერს, რასაც თავისუფლების ელფერი აზის.

1950 წლის სექტემბერს ჰოლივუდის კინოსტუდიამ შეწყვიტა კინოფილმის „ჰაიავატას“ გადაღება, რადგან მის სიუჟეტში კომუნისტური პროპაგანდის ელემენტები აღმოჩნდაო. რამდენიმე ხნის შემდეგ „ნიუ-ბორკ ტაიმსმა“ ახსნა, თუ რაში მდგომარეობდა ეს „კომუნისტური პროპაგანდა“. თურმე ჰოლივუდის მესვეურები ყველაზე უფრო შეაწუხა იმან, რომ ჰაიავატა ცდილობდა ზავი დაემყარებინა ინდოეთის მტრულად განწყობილ ტომებს შორის.

ვაშინგტონელმა ინკვიზიტორებმა აკრძალეს მე-16 საუკუნის ცნობილი ინგლისელი დრამატურგი ქრისტეფორე მარლო, რადგან მის ნაწარმოებში თურმე კომუნისტური იდეები აღმოაჩინეს. მათვე აუტოდაფე გაუმართეს მარკ ტვენის წიგნს „იანკი მეფე არტურის სასახლეში,“ („რო-

მელშიც ავტორი საშინლად ამათრახებდა ეკლესიასა და ფეოდალიზმს. სამაგიეროდ ამერიკელი ფაშისტები ფართო რეკლამას უკეთებენ ისეთ წიგნებსა და ფილმებს, რომლებშიც ნაჩვენებია კორეის მშვიდობიანი სოფლებისა და ქალაქების დაბომბვა, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, განგსტერული სისხლიანი საქმეები.

ისინი ცდილობენ დააშინონ მშვიდობისმოყვარე ადამიანები, მოუსპონ მათ სხვა ხალხებთან კულტურული კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა, რკინის ფარდით გამიჯნონ ისინი. ატლანტიკის ბლოკის ქვეყნებში კრძალავენ პროგრესული მწერლების ნაწარმოებებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ამერიკაში აკრძალულია პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულება.

იმპერიალისტურ ამერიკაში სასტიკად იდევნება თავისუფალი აზრი. კიდევ მეტი, აქ ოფიციალურადაა შემოღებული აზრის მიმართ კონტროლი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ჰარისონი ამის შესახებ ამბობს: „აზრის მიმართ კონტროლი, რაც ახლა მთელ ამერიკაში ვრცელდება, უდიდეს საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰიტლერის შემდეგ.“

ბურჟუაზია არაფერს ზოგავს, რომ ლიტერატურა, ისევე როგორც მეცნიერება და ხელოვნება, მთლიანად თავის სამსახურში ჩააყენოს. იგი მწერლებისაგან მოითხოვს ქება-დიდება შეასხან იმპერიალიზმს, ფაშიზმს, იქადაგონ ომის აუცილებლობა და კანონზომიერება, ატომური ბომბის, ბაქტერიოლოგიური იარაღის და ადამიანთა მასობრივი ჟლეტის სხვა საშუალებათა გამოყენების მიზანშეწონილობა, დაარწმუნონ უბრალო ადამიანები კაპიტალიზმის საფუძვლების ურყეობაში.

რას წარმოადგენს დღევანდელი ბურჟუაზიული სამყაროს მხატვრული ლიტერატურა?

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მარშალიზებული ქვეყნების მესვეურნი ცდილობენ ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რათა დაუკარგონ ადამიანს წინსვლისა და განვითარების იმედი, მომავალი ბედნიერი ცხოვრების იდეალები. მოსყიდულ მწერალთა ხროვის დახმარებით ისინი ცდილობენ ადამიანი მოსწყვიტონ რეალურ გარემოს და ხელი ააღებინონ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაზე. ისინი მკითხველებს ჩასჩიჩინებენ, საზოგადოების განვითარებამ უკვე საზღვარს მიაღწია და იგი კვლავ უკან, განვლილი საფეხურებისაკენ უნდა დაბრუნდესო.

ბურჟუაზიულ ლიტერატურაში უკანასკნელ დროს დამკვიდრდა ერთგვარი ლიტერატურული მიმდინარეობა „ეგზისტენციალიზმის“ სახელწოდებით. ბურჟუაზიული მხატვრული ლიტერატურის ამ ერთ-ერთმა მიმდინარეობამ პირველად ფეხი საფრანგეთში მოიკიდა. ლათინური სიტყვა „ეგზისტენცია“ (existentia), რომლისგანაც ამ მიმდინარეობის სახელწოდება წარმოიშვა, არსებობას ნიშნავს, ხოლო თვით ლიტერატურულ მიმდინარეობას მიზნად დაუსახავს მოუსპოს ადამიანს არსებობის სურვილი.

„ეგზისტენციალიზმის“ მიმდევარი მწერლები საქვეყნოდ ქადაგებენ, რომ ამაოა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა, ადამიანი უძლურია შეებრძოლოს ცხოვრების სიძნელეებს. ასე მაგალითად, ერთი ფრანგი მწე-

რალი დე ბავუარიე თავის ნაწარმოებში „ადამიანები მოკვდავნი არიან“, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ადამიანთა ხოცვა, ქალაქებისა და სოფლების განადგურება არავითარი დანაშაული არ არის, რადგან ეს სამყარო ნგრევისათვის არის გაჩენილიო.

ამასვე ამტკიცებენ ამერიკელი რეაქციონერი მწერლები ჰენრი მილერი და ვილიამ ფოგტი. პირველის აზრით, ჩვენს საუკუნეში ადამიანთა მოდგმა უნდა მოისპოს და ქვეყანა ჭიანჭველებს დარჩეთ, ხოლო მეორე თავის ნაწარმოებში „გზა ხსნისაკენ“ მოითხოვს ხელოვნურად მოხდეს მოსახლეობის შემცირება ომის და სხვადასხვა ეპიდემიების გავრცელებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში მოსყიდულ ლიტერატურულ მჯღაბნელებს დავალებული აქვთ გააჩაღონ ახალი ომის პროპაგანდა, შთააგონონ მომავალ თაობას ომების აუცილებლობა, თვითეულ ადამიანს აღუძრან „ომისა და კაცის მკვლელობისადმი ბუნებრივი მისწრაფება“, ძარცვის, გამდიდრების და მორალური აღვირახსნილობის სურვილი. ყოველივე ამას ისინი აკეთებენ დოლარებისათვის.

ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები საშინელი რეპრესიებით, მოსყიდვითა და ტერორით ხშირად აიძულებენ სუსტი ნებისყოფის ხელოვანთ უარყონ საკუთარი მეობა, უარი თქვან იმაზე, რასაც გუშინ საქვეყნოდ აცხადებდნენ და ომის გამჩაღებელთ ემსახურონ. სწორედ ასე მოუვიდა ამერიკელ მწერალს, „ჯუნგლების“, „ჯიმი ხიგინსის“ და „მეფე ნახშირის“ ავტორს ეპტონ სინკლერს. თუ იგი ერთ დროს თავისი ნაწარმოებებით კიცხავდა ამერიკულ „თავისუფლებას“, დღეს უოლ-სტრიტის სალაროსთან დგას ხელგაწვდილი თავის თანამოკალმეების ანდრე ჟიდის, ჯონ პრისტლის, ანდრე მალროს, მოშე პიადეს, ოლდოს ჰაქსლის და სხვათა გვერდით.

სინკლერმა თავისი გამცემლობა პირველად ლეიბორისტთა გაზეთ „ტრიბუნში“ გამოამჟღავნა. სტატიაში „წერილი ინგლისელ მუშებს“ ამერიკელი იმპერიალისტების ეს ყურმოჭრილი მონა აუტოდაფეს უმართავს თავისი შემოქმედების იმ ნაწილს, რომელშიც რეალისტურად იყო ასახული ამერიკის მუშათა კლასის ცხოვრების მძიმე პირობები. იგი ახლა ევედრება მუშებს არ წაიკითხონ „ჯუნგლები“, „მეფე ნახშირი“ და თუ წაიკითხავენ, არ ერწმუნონ ამ წიგნებს, რადგან ის, რაც აქ არის მოთხრობილი, დიდი ხნის წინათ დაიწერაო. ამის შემდეგ, თითქოს, შეიცვალა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ამერიკაში და თითქოს მუშათა კლასის მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდა. მუშათა კლასის მდგომარეობა ამერიკაში მართლაც შეიცვალა, მაგრამ კი არ გაუმჯობესებულა, როგორც ამას სინკლერი ამბობს, არამედ გაუარესდა. საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ტაფტ-ჰარტლის კანონი, რომლის ძალითაც მუშებს ეკრძალებათ კოლექტიური ხელშეკრულებანი, გაფიცვები, პროფკავშირული კრებები და „პოლიტიკური მიზნით“ თანხების დახარჯვა. დღეს ამერიკაში ცხოვრების პირობები აუტანლად გაუარესდა. საკვები პროდუქტები 8 პროცენტით გაძვირდა, არაკვალიფიციური მუშების 94 პროცენტის შემოსავალი სანახევროდ შემცირდა. ამერიკის შეერ-

თებული შტატების მოსახლეობის სამი მეოთხედი მოკლებულია ყოველ-გვარ საექიმო დახმარებას.

რა თქა უნდა, ყოველივე ეს კარგად იცის ეპტონ სინკლერმა, მაგრამ თვალს განგებ ხუჭავს. „ჩრდილოეთისა და სამხრეთის“ ავტორი, რომელიც საქვეყნოდ ამხელდა ზანგებისადმი არაადამიანური მოპყრობის საზიზღროებას, დღეს წერს წიგნს „ო, მოძღვარო, ილაპარაკე“, იცავს ლინჩის წესს, ქება-დიდებას ასხამს ცხოვრების ამერიკულ წესს. ნაწარმოების მთავარი გმირია „60 ოჯახის“ შთამომავალი ავანტურისტი კოსმოპოლიტი ლანი ბედი, რომელსაც მიზნად დაუსახავს ამერიკული ცხოვრების წესები დანერგოს საზღვარგარეთ, ხოლო სამაგიეროდ იქიდან შემოიტანოს ნაქურდალი და ნაძარცვი.

ეპტონ სინკლერს სურს თვალი აუხვიოს და დააბრმაოს ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასი. იგი ბევრს ყბედობს ამერიკულ „თავისუფლებაზე“, მაშინ, როცა იქ სასტიკად იდევნება თავისუფალი აზრის ოდნავი გამოვლინებაც კი, როცა მთელ ამერიკაში აღვირახსნილი ტერორი მძვინვარებს. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის XV ყრილობაზე აღინიშნა, „ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტი და ამერიკის ხალხის თავისუფლება არასოდეს არ ყოფილა ისეთ საშიკვდილო საფრთხეში, როგორც ახლა.“

ეპტონ სინკლერი მუშათა კლასის, დემოკრატიის მტერი გახდა. იგი ეხმარება უოლ-სტრიტის მაგნატებს ფაშიზმის აღორძინებასა და თავისუფლების ჩახშობაში, ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებაში.

რენეგატისა და გამცემლის ასეთივე გზა განვლო ინგლისელმა მწერალმა ჯონ პრისტლიმ. იგი თავიდანვე ვერ იდგა მტკიცე ნიადაგზე, ხშირად იცვლიდა პოზიციას: ხან „მემარცხენე“ მიმდინარეობას ეკუთვნოდა, ხან კი ანტიმარქსისტული პოზიცია ეკავა. რაკი დარწმუნებული იყო, ფართო მასების სიყვარულს დავიმსახურებ, თუ საბჭოთა კავშირის შესახებ რამდენიმე კეთილ სიტყვას ვიტყვიო, ზოგჯერ საბჭოთა მწერლების წიგნების წინასიტყვაობებსაც კი წერდა, ფარისევლურად ლაპარაკობდა ჩვენთან მეგობრობის შესახებ, კიდეც მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში. მაგრამ პრისტლიმ მალე გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი სახე. ბურჟუაზიამ თავისი მოთხოვნა წაუყენა მას და ისიც სულიან-ხორციანად რეაქციის ბანაკში გადაბარგდა.

1949 წელს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად პარიზში სხვა მწერლებთან ერთად პრისტლიც მიიწვიეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ მან დაწერა „ზაფხულის დღის სიზმარი“, რომელშიც მოცემულია ატომური ბომბის აპოლოგია. მისი აზრით, ატომური ბომბი არ არის ცუდი, პირიქით, ატომური ომის შემდეგ ადამიანები უკეთესად იცხოვრებენ. პრისტლი არც ამას დასჯერდა. მალე ამერიკულ ჟურნალ „კოლერსში“ ათავსებს სტატიას „ფარდა იხსნება“. ადამიანი, რომელიც ერთ დროს და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, საბჭოთა მწერლებს „მსოფლიოს სინდისს“ უწოდებდა, რომელსაც „აოცებდა გონიერი და ნიჭიერი ადამიანის სიმრავლე საბჭოთა კავშირში,“ რომელმაც საკუთარი თვალით ნახა „სოციალიზმი საბჭოთა კავშირში და დარწმუნდა, რომ იგი კარგ მაჩვენებლებს იძლევა“, დღეს

ჟურნალ „კოლერსში“ ლაპარაკობს მომავალ ომზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სიამოვნებით ოცნებობს 1960 წელზე, როცა იგი დაიწყებს სეირნობას ოკუპირებულ საბჭოთა ქვეყანაში. აი, რა უბადრუკ ოცნებამდე მივიდა პრისტლი.

ამერიკისა და ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში მრავლად არიან მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, რომლებმაც დიდი ხანია დაკარგეს ზნეობრივი გრძნობის უკანასკნელი ნასახი. მათში ჩაკვდა ყოველგვარი კეთილშობილური იდეალები. ისინი იძულებული არიან ლუკმაპურისათვის გაყიდონ საკუთარი იდეები და კაპიტალიზმის დაქირავებული ლაქიები გახდნენ. დოლარით მოსყიდული რენეგატები შემდგომ საქვეყნოდ ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან ათასნაირ ჭორს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შესახებ. წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ხალხებს მოაწონონ კაპიტალისტური სინამდვილე, დაამტკიცონ, თითქოს კაპიტალისტურ ქვეყნებში „მზატვრული შემოქმედების თავისუფლება“ სუფევდეს.

მთელი ამ ლაყბობით შეიძლება მოტყუვდნენ ერთეული გულუბრყვილო ობივატელები, მაგრამ ხალხებს ვერ მოატყუებენ. პროგრესული ამერიკული ჟურნალი „უორკერი“ თავის ერთ-ერთ სარედაქციო წერილში დაუნდობლად ამხელს ბურჟუაზიული მჯღაბნელების შინაგან ბუნებას. იგი წერს, „მთავარი, რისიც ეშინიათ ჩვენი ლიტერატურის ინდუსტრიის მეთაურებს, არის საღი, მართალი წიგნის გამოსვლა. როცა ასეთი წიგნი გამოჩნდება მაგიდაზე, ისინი მას გაურბიან, როგორც უწმინდურს“. და განაგრძობს: „ამერიკული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი სიუჟეტია აუცილებელი ომი სოციალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს ანიჭებენ ნობელის პრემიას და დიდ ჯილდოს.“

ბურჟუაზია ძალღონესა და საშუალებას არ ზოგავს, რომ თავის გავლენაში მოაქციოს მოსახლეობის ფართო მასები. იგი ტერორსა და დაშინებასთან ერთად რელიგიასაც იყენებს. მას სურს რელიგიური მისტიციზმით მოწამლოს ინტელიგენციის გონება, ხელოვანი ჩამოაშოროს რეალურ გარემოს, ჩაკლას მასში რეალისტური ხელოვნებისადმი მისწრაფება.

ბურჟუაზიული ესთეტიკის კანონმდებლები ცდილობენ ხელოვანთ დაავიწყონ ის, რაც შექმნა ბალზაკმა, სტენდალმა, დიკენსმა, თეკერეიმ, დრაიზერმა და სხვა მრავალმა დიდმა რეალისტმა მწერალმა; შავი ფარდა ჩამოუშვან შემოქმედებასა და რეალურ ცხოვრებას შორის, ხალხისათვის სრულიად უცხო და გაუგებარი გახადონ ლიტერატურული ნაწარმოები.

ამერიკის ბურჟუაზიული ლიტერატურის დაცემა ნათლად ჩანს ნოველებსა და მოთხრობებში. დიდი ხანია ამერიკაში შემოიღეს ეგრეთწოდებული „შორტ სტორის“ ჟანრი. მისი მიზანია ამერიკელ ბიზნესმენს, რომელიც მთელი თავის დროს მოგების მოხვეჭას ანდომებს, თავიდან ააცილოს მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონისა და სხვა ამერიკელი და ევროპელი კლასიკოსების სქელტანიან ნაწარმოებთა კითხვა. ეს არის უმსგავსო ერზაცი მხატვრული ნაწარმოებისა, რომელსაც ყველაფერს აცლიან, რამდენიმე გვერდზე დამახინჯებულად გადმოცემული შინაარსის გარდა.

სამაგიეროდ ამერიკაში დიდი ხანია გავრცელდა „ვაგონში საკითხავი

წიგნი.“ იგი მკვლელობით გატაცებულ ადამიანს რჩევას აძლევს, თუ როგორ შეიძლება რაც შეიძლება მეტი ადამიანის შოკვლა, ქვეყნის რომელ ნაწილში ჯობია წასვლა ომისათვის—ინდონეზიაში, მალაიაში, ვიეტნამში, თუ კორეაში.

„ვაგონში საკითხავი წიგნის“ ყველაზე სახელმოხვეჭილი ავტორია ალჯერონ ბეკვუდი. მისი ნაწარმოებები დიდი ტირაჟით იბეჭდება. იგი მოგვითხრობს მკვლელობის, ქურდობისა და სექსუალური აღვირახსნილობის შესახებ. მისი ნოველების კრებულში „მოთხრობები სიბოროტისა და ზებუნებრიობის შესახებ“ მოთავსებულ ნოველაში „თოჯინა“ მოთხრობილია, თუ როგორ შეიყვარა პოლკოვნიკმა მესტერსმა თავისი თოჯინა, „რომელშიც უცნაური, მაგიური სექსუალური ძალა აღმოაჩინა.“

განგსტერებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობს აგრეთვე ეგრეთწოდებული „რჩეული დეტექტური ნოველები.“ ეს ნოველები სავსეა ძალადობისა და მკვლელობის აღწერით. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, მაგალითად, მყვირალა რეკლამას უკეთებს ვინმე რაიმონდ ჩენდლერის ახალ წიგნს, რომელშიც, როგორც გაზეთი აუწყებს მკითხველს, „ადამიანები ხოცავენ ადამიანებს“, ხოცავენ იმიტომ, რომ ძალადატანება მათთვის ბუნებრივი მოვლენაა.

ამერიკელი მწერლები ერთმანეთს ეჯიბრებიან სინამდვილის დამახინჯებით გადმოცემაში. გამარჯვებული გამოდის ის, ვინც ყველაზე გაუგებრად, ბუნდოვნად დაწერს. ამერიკის რეაქციული მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებში ვერსად ვერ შეხვდებით სოციალურ გარემოს, სამაგიეროდ მათ უყვართ ფსიქიკური ამბების გადმოცემა. მაგალითად, ვინმე რუტ ჰერშბერგერი მთელ წიგნს უძღვნის ფსიქიკურად დაავადებული ქალის ცხოვრების აღწერას. მეორე ავტორის პოლ ბიულსის მოთხრობაში „ცის ქვეშ“ მექსიკელი გლეხები დახატული არიან, როგორც ბოროტებით აღსავსენი, ყოველგვარ ადამიანობას მოკლებულნი, შიშველი ცხოველური ინსტინქტებით. ავტორი საშინლად დასცინის „დაბალ საზოგადოებას.“ აღმოსავლეთში ამერიკელ იმპერიალისტთა ბარბაროსობის ხოტბას წარმოადგენს ჰენრი ფელსენის წიგნი „ლიჩანის მილიონი.“ მისი მთავარი გმირი ნამდვილ ვანდალია, რომელიც ჩინეთში „მოღვაწეობს“ მეორე მსოფლიო ომის დროს. მას საშინლად ეჯავრება ადგილობრივი მცხოვრებნი, მთელი ჩინეთი თავის საკუთრებად წარმოუდგენია და უკვირს, თუ რატომ უწევენ წინააღმდეგობას ადგილობრივი მცხოვრებნი. იგი დაუზოგავად ძარცვავს მშვიდობიან ჩინელ მოსახლეობას, ცდილობს რაც შეიძლება მეტი მკვდარი გაქურდოს, მეტი ნაავაზაკარი წაიღოს სამშობლოში.

ამერიკული ლიტერატურის ეს მარაზმი გადაედო მარშალიზებული ქვეყნების რეაქციულ ლიტერატურასაც. ავადმყოფური ლიტერატურული ნიმუშებით იკვებება საფრანგეთის წიგნის ბაზარი. ფრანგული რეაქციული ჟურნალი „რევიე დე პარი“ მწერლებს ურჩევს, თავი არ შეიწუხონ რომანებისა და მოთხრობებისათვის სიუჟეტების ძებნით, აიღონ რომელიმე სულით დაავადებული ადამიანი, აღწერონ მისი ცხოვრება და შესანიშნავი ნაწარმოებიც მზად იქნებაო.

ასე დასცეს და გაათახსირეს უოლ-სტრიტის ფრანგმა ლაქიებმა საფ-

რანგეთის კლასიკური რომანის სახელი. ბალზაკისა და ჰიუგოს ქვეყანაში მწერალს დეტექტური ნაწარმოების შექმნას უსახავენ მიზნად.

მაგრამ ამერიკელი რეაქციონერები ამასაც არ სჯერდებიან. ისინი ხშირად უსაყვედურებენ ფრანგ სატელიტებს, რომ მკვლელობას ზოგიერთ ნაწარმოებში არა აქვს მასობრივი ხასიათი, რომ ზოგიერთი მწერალი ცოტას ფიქრობს და ცოტას წერს ამერიკელთა „დიდი მისიის" განხორციელებაზე.

მარაზმი საბავშვო ლიტერატურასაც გადაედო. თუ ნაწარმოები ბავშვების ცხოვრებას ეხება, აქ აუცილებლად მთავარი მოქმედი პირია ხევროპათი ბავშვი. მაგალითად, ამერიკელი მწერალი უორდ ლორენსი თავის საბავშვო წიგნში „თეთრი ძაღლი" მოგვითხრობს ამერიკელ ბავშვზე, რომელიც გამდიდრების მანიით არის შეპყრობილი. ან კიდევ, ვინმე ტ. მაბრის მოთხრობა „აკლდამაში" გამოყვანილი ყავს ბავშვი, რომელმაც გაიგო, რომ მდიდარმა მეზობელმა თავის გარდაცვლილ ცოლს აკლდამაში ძვირფასი განძი ჩააყოლა. ბავშვი ჩაიპარება აკლდამაში მკვდრის გასაძარცვავად.

ფრანგული საბავშვო ლიტერატურა სავსეა განგსტერული ტიპებით. პარიზის ყველა წიგნის დიდ მაღაზიაში შეხვდებით საბავშვო ლიტერატურის ახალ „შედევრებს" საერთო სათაურით „შავი სერია." აი, ამ სერიის რამდენიმე მოთხრობა: „ასი მეტრის სიჩუმე," „მე შევირთე აჩრდილი," „კოშმარი," „სიკვდილის დედოფალი" და სხვა. სათაურებიც კი ნათლად მეტყველებს, თუ რას უმზადებენ ბავშვებს ფრანგი რეაქციონერი მწერლები. კიდევ უფრო ცუდადაა კინოებისა და თეატრების საქმე. იმის გამო, რომ არ არსებობს საბავშვო თეატრები და კინოები, ბავშვები იძულებული არიან უყურონ ჰოლივუდის მიერ შეთითხნილ განგსტერულ სურათებს: „ვნებების ბაღი", „ერთი სიკვდილის დასასრული," „შეცდომების ეზო", „სიკვდილი არ მოვიდა პაემანზე", „ყვითელი ქვის საიდუმლოება", „აქ მოითხოვენ მკვლელს" და სხვა. მათში ნაჩვენებია ათასგვარი ბოროტმოქმედება, ძარცვა-ყაჩაღობა და მკვლელობა, სადისტების საქციელი, უდანაშაულო ადამიანების წამების, სექსუალური აღვირახსნილობის სურათები. ყველაფერი ეს ადრიდანვე რყვნის და ამახინჯებს ბავშვის გონებას.

საინტერესო ამბავს მოგვითხრობს საფრანგეთის ერთ-ერთი ბავშვთა სახლის აღმზრდელი. მან თავის აღსაზრდელთ თურმე თხოვა დაეხატათ რაიმე მათთვის საინტერესო სურათი. ბავშვების მიერ დახატული 50 სურათიდან 49-ზე დახატული ყოფილან განგსტერები, რომლებიც ხოცავენ ადამიანებს ავტომატური რევოლვერებით, ხმლებით, მომწამლავი ნივთიერებებით, წყალბადისა და ატომის ბომბებით. 50 ბავშვიდან 49-ს სურათებში 196 ადამიანი მოუკლავს. ასე ზრდიან იმპერიალისტები მომავალ თაობას.

ბურჟუაზიული ლიტერატურის მესვეურები ყოველ ნაბიჯზე უკიჟინებენ მწერლებს: აქეთ „ცხოვრების ამერიკული წესი," ყოველი ღონით მოაწონეთ იგი მკითხველსო. მაგრამ ამერიკის ცხოვრება ძლიერ ცოტა მასალას იძლევა იმისათვის, რომ „ცხოვრების ამერიკული წესი" ვინმეს

მოეწონოს. ამის დამალვას თვით რეაქციონერი მწერლებიც ვერ ახერხებენ. ყოველკვირეული ჟურნალი „სატურდეი რევიუ ოფ ლიტერატურ“ ბრალს სდებს ამერიკელ მწერლებს, რომ ისინი ამახინჯებენ ამერიკის სინამდვილეს, ზიზღით უყურებენ მის ცხოვრებას. „შეიძლება დარწმუნებით ითქვას,—წერს ჟურნალი,—რომ არასოდეს, გარდა ყველაზე მძიმე რეპრესიის წლებისა, არ გამოსულა ამდენი წიგნი, დაწერილი მწერლების მიერ, რომლებშიც სინამდვილეს უყურებდნენ ასე ნაღვლიანად და ზიზღით.“

გაბრაზებული ჟურნალი ჭკუას ასწავლის და ემუქრება ამერიკელ მწერლებს, რომ დროა წერონ „მომღიმარე ამერიკის“ შესახებ, ქება-დიდება შეასხან დოლარს, არ მიბაძონ ისეთ მწერალს, როგორიც არის დრაიზერი, რადგან იგი თურმე, „ამერიკის ტრაგედიაში“ „ამახინჯებს ამერიკის სინამდვილეს“, ვერ უპასუხებს ახალ „ესთეტიკურ მოთხოვნილებას.“ ასევე აღშფოთებულია ინგლისური ჟურნალი „ბრიტიშ ბუკ ნიუსიც“.

ბურჟუაზია ყოველნაირად დევნის და ავიწროებს პროგრესულ ლიტერატურას, იმ მწერლებს, რომლებიც ხმას იმაღლებენ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და ქადაგებენ მშვიდობასა და დემოკრატიულ იდეებს. ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით 1947 წლიდან, ინგლისში ზედიზედ დაიხურა რამდენიმე დიდი პროგრესული გამომცემლობა, ჟურნალი და გაზეთი. ამ ამბით შეწუხებული ერთი ინგლისური ჟურნალი გოდებდა, ხმება ჩვენი კულტურის ბაღიო. საუკუნენახევრის ისტორია ჰქონდა ჟურნალ „ველშ რევიუს“, რომელშიც თავის დროზე იბეჭდებოდნენ მერედიტი, თეკერეი, დიკენსი და სხვები, მაგრამ ამან ინგლისელ რეაქციონერებს ხელი არ შეუშალა დაეხურათ ეს ჟურნალი მისი პროგრესული შინაარსის გამო. ასეთივე ბედი ეწია სხვა მოწინავე ჟურნალებსაც.

მიუხედავად ასეთი დიდი დევნა-შევიწროებისა, ბურჟუაზიამ მაინც ვერ მოანერხა პროგრესული ლიტერატურის ხმის ჩახშობა. რეაქციული გაზეთი „ტაიმსი“ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ნახევარი სამყარო კომუნისტური იდეოლოგიით არის გატაცებული,“ რომ „დასავლეთის ლიტერატურა ლოდინის პერიოდშია... მწერლები სულშეხუთულნი არიან... მათ არ ჰყოფნით რწმენა... ის, რაც მათს შეგნებაში ხდება, შეიძლება შევადაროთ არაწესიერად მომუშავე ავტომობილის ძრავას, რომლის მოქმედება თანდათანობით კლებულობს.“ „ინგლისში,—ჭანაგრძობს გაზეთი,—გასასყიდად გამოტანილი ბელეტრისტიკის მეტი ნაწილი გაჟღენთილია ერთგვარი თამბაქოსებრი ნარკოზით, თითქმის ყველგან მეორდება ერთი და იგივე ტიპები, ჭურჭლის მრეცხავის ოცნება ცოლად გაყვეს ჰერცოგის ვაჟს.“

უარეს მდგომარეობაშია ინგლისის თეატრი. რეპერტუარიდან გაქრნენ ძველი კლასიკოსები. ინგლისში თეატრი მლიქვნელურად იხრის ქედს ამერიკის „კულტურის“ წინაშე, მუხლმოდრეკილი შესთხოვს დახმარებას ამერიკელ „ესთეტიკოსებს,“ რადგან, თურმე მხოლოდ ამერიკას შეუძლია „მოამარაგოს დასავლეთი საჭირო იდეოლოგიით,“ რომ თითქოს „დასავლეთ ევროპას არა აქვს საშუალება აირჩიოს რომელიმე სხვა იდეოლოგია, გარდა ამერიკულისა“.

აი, სანამდე მიიყვანეს მილტონისა და შექსპირის სამშობლო მისმა დღევანდელმა მესვეურებმა. მსხვილი ბურჟუაზიის სასახლის პოეტები „ცხოვრების ამერიკული წესისა“ და კულტურის მოთაყვანენი, პირწავარდნილი რეაქციონერები და კოსმოპოლიტები ხდებიან. პუბლიცისტი მილტონ მური, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს პაციფისტი იყო, ახლა ატომურ ბომბებს ელოლიავება, ის მიაჩნია დედამიწაზე ბედნიერების დამყარების ერთადერთ საშუალებად. რეაქციონერმა პუბლიცისტმა ბერტრან რასელმა უტიფრად განაცხადა, რომ იგი პაციფისტი იყო, ვიდრე ნაციზმს გაეცნობოდა, ახლა კი ფიქრობს, რომ ომი კომუნისტების წინააღმდეგ აუცილებელია.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები ცდილობენ გააღვივონ ომის ისტერია, ძირი გამოუთხარონ მშვიდობას. მათ მიზნად გაიხადეს მკითხველის გონება ჩამოაცილონ საჭირბოროტო საკითხებს, ჩაუნერგონ მას მისტიკური განცდები, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის იდეა, ჩაახშონ ადამიანებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილი. მაგრამ იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ ხალხის დასამორჩილებლად ეს არ კმარა. „დემოკრატიულ“ ამერიკაში დღეს ფაშისტური ტერორი მძინვარებს. ამერიკის გესტაპოს ხელმძღვანელი ედგარ ჰუვერი. და მთელი მისი ბანდა ცდილობს ყოველ ამერიკელს გადაუხსნას თავის ქალა და შიგ ჩაიხედოს, რომ გაიგოს, ვინ რას ფიქრობს. ამასთანავე ჰუვერი საქვეყნოდ იკვეხნის, კომუნისტი მუშის ყოველი ნაბიჯი ვიცი და სულ მალე ამერიკაში ერთი კომუნისტიც აღარ იქნებაო.

იუსტიციის მინისტრი მაკგრატი უფრო შორს მიდის. იგი ირწმუნება, რომ მან იცის ყველა კომუნისტის მოქმედება, რომ მას აღრიცხული ჰყავს 500 ათასი საეჭვო პირი, რომლებსაც თვალყურს ადევნებს მაშინაც, როცა მათ სძინავთ. იმ დროს, როცა პატიოსან ადამიანებს თვალყურს ადევნებენ მაშინაც კი, როცა მათ სძინავთ, თავიანთ ბინძურ ზრახვებს დაუფარავად, ცინიკურად გამოთქვამენ ომის გამჩაღებლები და მათი საჭურვლისმტვირთველები. მაგალითად, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი თეოდორ რომზერი თავის წიგნში „მშვიდობა ან შავი ჭირი“ ხოტბას ასხამს ბაქტერიოლოგიურ ომს. „ომის დროსაც კი გამოთქვამდენ აზრს,—ამტკიცებს ეს „პროფესორი“,—რომ ბიოლოგიური იარაღი ძლიერ ბინძური და საზიზღარი რამაა... მე კი ვფიქრობ, რომ ეს უფრო საკითხის ემოციური განჭვრეტის შედეგია, ვიდრე გონივრულად განჭვრეტისა. რა განსხვავებაა ადამიანი მოკვდება იოლად თუ წვალებით? განა ეს სულერთი არ არის? ის ხომ მკვდარი იქნება.“

მე-20 საუკუნის ეს „განსწავლული დემოკრატები“ და უოლ-სტრიტის დაქირავებული მჯღაბნელები აღორძინებენ ყველა იმ ბარბაროსულ ჩვევებს, რაც დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა და რის მოგონებაც სასირცხვოდ მიაჩნია ყველა შეგნებულ ადამიანს. ისინი აუტოდაფეს უმართავენ ნათელი, ჯანსაღი გონების ყოველ ნაყოფს. პროგრესული ლიტერატურის დევნის სურათს ასე გვიხატავს თანამედროვე პროგრესული ამერიკელი მწერალი ჰოვარდ ფასტი. „ალი გიზგიზით ავარდა. ცხოვრების ამერიკული წესის დამცველებმა ხელი დაავლეს ჩვენი წიგნების დასტას და კოცონის ირგვლივ ცეკვა დაიწყეს. ცეკვავდნენ და თან წიგნებს

ცეცხლში ყრიდნენ. ჩვენ სანახევროდ ბნელში ვიყავით, მაგრამ ისინი ისე გარკვევით ჩანდნენ, თითქოს ჩვენს წინ კარგად განათებული სცენა იყო, ხოლო მასზე გულმოდგინე რეპეტიციის შემდეგ ხდებოდა იმ ცეკვის გათამაშება, რომელიც ცივილიზაციის სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენს.“

ასეთია ჭეშმარიტი კულტურის ხვედრი ამერიკაში და მარშალიზებულ ქვეყნებში. ომის გამჩაღებლები ცდილობენ მკითხველს დაავიწყონ ის ჰუმანისტური აზრები, რასაც ძველი და ახალი დროის პროგრესული მწერლები ქადაგებდნენ, ჩამოაშორონ თანამედროვე მკითხველი მშვიდობის მომხრეთა ბანაკს და თავიანთი დაქირავებული მწერლუკების დახმარებით ადამიანში გააღვივონ ბარბაროსული, ფაშისტური ინსტინქტები, დაუკარგონ ხალხს თავისი თავის, მომავლის რწმენა.

მაგრამ მათი ცდა ამაოა. მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკისა და ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში ციხეები სავსეა პროგრესული ადამიანებით, მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე ადამიანებს საშინლად დევნიან და ავიწროებენ, დემოკრატიული ძალების ფრონტი ამ ქვეყნებში მაინც დღითიდღე ძლიერდება.

მთელი მსოფლიოს უბრალო, პატიოსანი ადამიანების გულისყური მიპყრობილია საბჭოთა მწერლებისაკენ და ბურჟუაზიული ქვეყნების ისეთი მოწინავე, პროგრესული მწერლებისაკენ, როგორიც არიან ინგლისელი ლინდსეი, ო' კეისი, ოლრიჯი და სხვები, ამერიკელი ჰოვარდ ფასტი, სტეფან გეიმსი, ა. მალცი, ჩილელი პოეტი პაბლო ნერუდა, არგენტინელი ალფრედ ვარელა, 82 წლის დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ-ნექსე, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი, ფრანგი მწერლები ლუი არაგონი, ჟან ლაფიტი, პიერ დეკსი, ანდრე სტილი, ნორვეგიელი მუშა მწერალი ლარსენი, პაკისტანელი პროგრესული მწერალი ჰაიზ ახმედ ფაიზისი და სხვები. ყველა ესენი ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან რეალისტური ლიტერატურის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების დამკვიდრებისათვის. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებთ, ძალას მატებთ ყველაზე უფრო მებრძოლი, ყველაზე უფრო იდეური საბჭოთა ლიტერატურის მაგალითი.

ინგლის-ამერიკელ ომისგამჩაღებელთა გააფთრებული ცდის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მტკიცდება მშვიდობის დამცველთა ფრონტი. იგი გაიმარჯვებს, რადგან მისი საქმე სამართლიანია.

ალექსანდრე ჩავლეიშვილი

დეტალები რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში

1

სიტყვა დეტალს გარკვეული ტერმინის სახით იყენებენ როგორც ჰუმანიტარულ, ისე ტექნიკურ მეცნიერებაში. მაგალითად, ამბობენ „მანქანის დეტალები“ და ამით აღნიშნავენ მანქანის ნაწილებს: ჭანჭიკს, ლილვს, ქანჩს, კბილანას და ა. შ. ლიტერატურის მეცნიერებას აინტერესებს მხატვრული ლიტერატურის დეტალების არსის გარკვევა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რეალისტური მხატვრული ლიტერატურის დეტალები. რეალიზმი გულისხმობს დეტალების სიმართლეს, მაგრამ თავისთავად დეტალების სიმართლე და სისწორე არ განსაზღვრავს რეალიზმის არსს ლიტერატურაში. რეალიზმის არსის დეფინიციაში დეტალების სიმართლესთან ერთად მთავარია ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში სწორად გადმოცემა. მათ ერთიანობაში ვლინდება რეალიზმის არსი. სწორედ ამას გვასწავლიან მარქსიზმის კლასიკოსები: „ჩემი აზრით—ამბობს ენგელსი—რეალიზმი დეტალების სიმართლის გარდა, გულისხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში სწორ გადმოცემას.“[1] მ. ჰარკნესის მოთხრობის „ქალაქელი ქალიშვილის“ განხილვის მაგალითზე ფ. ენგელსი კონკრეტულად განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს ტიპიური ხასიათის ტიპიურ გარემოებაში სწორად, მართლად გადმოცემა. მრავალი წერილი გამოქვეყნდა ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში გადმოცემასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად, მაგრამ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავენ, არ შეიძლება დავიწყებულ იქნას რეალიზმის მეორე მხარის—დეტალების სიმართლის დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები.[2] გადაუდებელ ამოცანას შეადგენს, ფრ. ენგელსის მიერ მოცემული რეალიზმის კლასიკური განსაზღვრების საფუძველზე, შესწავლილ იქნას დეტალების სიმართლის დაცვასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები. წინამდებარე ნაშრომი ამის ცდას წარმოადგენს.

---

[1]) იხ. К. Маркс, Ф. Энгельс—Об искусстве. 1937 წ. გვ. 163.
[2]) იხ. ჟურნალი „Октябрь“, 1952 წ., № 10, გვ. 185.

2

რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში, დეტალების სიმართლის არსის გარკვევასთან დაკავშირებით, პირველად იმის შესახებ უნდა ითქვას, თუ რატომ წარმოადგენს დეტალის ჩვენება რეალიზმის განუყრელ თვისებას, ე. ი. რით არის გამოწვეული დეტალების აუცილებელი არსებობა რეალისტურ ლიტერატურაში?

დეტალების აუცილებლობა რეალიზმში გამომდინარეობს მხატვრული ლიტერატურის თავისებურებიდან. როგორც ცნობილია, სიტყვაკაზმული ლიტერატურის სპეციფიკა მხატვრული სახეა, მხატვრული სახე კი წარმოადგენს ზოგადისა და კერძოს ერთიანობას. ეს ერთიანობა ყოველთვის კონკრეტული მოვლენის სახით ვლინდება. მხატვრული განზოგადების დროს ზოგადი კი არ წყდება კონკრეტულს, არამედ ამ კონკრეტულის საშუალებით ვლინდება მთელი სურათოვნებით. ლიტერატურულ სახეში ზოგადი მოცემულია კონკრეტული ერთეულის, კერძოს სახით. მხატვრული კონკრეტიზაციის გარეშე ლიტერატურული შემოქმედება შეუძლებელია. კონკრეტიზაცია კი უშუალოდ დაკავშირებულია მხატვრულ ინდივიდუალიზაციასთან. ინდივიდუალიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი ინდივიდის გამოსატვას, არამედ საერთოდ მოვლენის არსის, ზოგადის ჩვენებას მის გრძნობად-კონკრეტულობაში. **მოვლენის გრძნობად-კონკრეტული, ინდივიდუალიზირებული ჩვენების ერთერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს დეტალიზაცია.** დეტალიზაცია, ანუ დეტალების ფიქსაცია ხელს უწყობს მოვლენის კონკრეტულ მხარეთა სახეობრივ ჩვენებას.

დეტალები **ხელს უწყობენ სახის ცხოველმყოფელი რეალობისა და განუმეორებელი კონკრეტულობის შექმნას.** დეტალების მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება მოვლენის სრულყოფილი კონკრეტიზაცია, რადგან ეს დეტალები სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებთან უშუალო კავშირში იმყოფებიან. მაშასადამე, დეტალების არსებობა რეალიზმში აიხსნება არა შემთხვევითი გარემოებით, არამედ იგი გამოწვეულია თვით მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკით, როგორც მოვლენის მხატვრული კონკრეტიზაციის ერთ-ერთი საშუალება. მხატვრულ ლიტერატურას საერთოდ ახასიათებს დეტალები, მაგრამ **რეალისტურ ლიტერატურაში დეტალების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მართალი დეტალებია. დეტალების სიმართლის დაცვა რეალიზმის განუყრელი თვისებაა.** ამიტომ უნდა ითქვას, რომ ანტიმარქსისტულია პროფ. ა. ევლახოვის ის აზრი, თითქოს დეტალიზაციის არსებობას მხატვრულ ნაწარმოებში იწვევდეს არა მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, არამედ მწერლის დაავადება. პროფ. ევლახოვს მოჰყავს რა ლ. ტოლსტოის ნაწერებიდან მოვლენის დეტალიზაციის მაგალითები, იგი მიაჩნია ლ. ტოლსტოის, როგორც ეპილეპტიკის, მეტყველების დამახასიათებელ ნიშნად. თურმე ლ. ტოლსტოის, როგორც ეპილეპტიკს, „არ შეუძლია იაზროვნოს სხვაგვარად, თუ არა დეტალიზირებულად“.[1]) ასეთი ინტერპრეტაცია იდეალის-

[1]) Проф. А. М. Евлахов—Конституциональные особенности Л. Н. Толстого, 1930 წ., გვ. 49.

ტურია. ლ. ტოლსტოი ეპილეპტიკი არ ყოფილა და მას შემოქმედებაში დეტალიზაციის არსებობა გამოწვეულია მხატვრული ლიტერატურის თავისებურებით. თვით ლევ ტოლსტოი ამბობდა: „Талантом я называю способность: в словесном искусстве легко выражать свои мысли и впечатления и подмечать и запоминать **характерные подробности**[1]) ეს დამახასიათებელი წვრილმანები იგივე დეტალებია. დეტალი მხატვრულ ლიტერატურაში ეწოდება ისეთ წვრილმანს, რომელიც ხელს უწყობს გამოხატვის ობიექტის კონკრეტიზაციას, მის გრძნობად-კონკრეტულ, სახეობრივ ჩვენებას. ე. ი. დეტალი ხელს უწყობს გამოხატვის ობიექტის არსის სურათხატოვნულ გამოვლენას და სხვა ობიექტებისაგან განმასხვავებელი ცხოველმყოფელობის შენარჩუნებას. შეიძლება რომელიმე დეტალი არ იყოს პირველხარისხოვანი, მაგრამ ის მაინც ხელს უწყობს მოვლენის სრულყოფილ გამოსახვას.

დეტალებას სიმართლის დაცვა და გამოყენება: ახასიათებს ყველა დროისა და ქვეყნის ჭეშმარიტი მწერლების შემოქმედება. დეტალების სიმართლე თან ახლავდა რეალიზმს, მაშინ, როდესაც იგი ყალიბდებოდა გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებად და მაშინაც, როდესაც რეალიზმი ვლინდებოდა, როგორც ლიტერატურის ელემენტი და უძველეს დროშიაც გზას იკაფავდა სტიქიურად: „Трезвый и разумный реализм... так же древен, как сами классики,—წერს გონჩაროვი.—Что или кто был реальнее Гомера? Какая правда в **живописи деталей**: в пирах, в битвах, в описаниях ран, до мелочных описаний домашней жизни, утвари в „Одиссее"[2]).

ყველა ცნობილი მწერალი გრძნობდა დეტალების აუცილებელ საჭიროებას. ჭეშმარიტი მწერლები სისტემატურად აგროვებენ ზუსტ, დეტალურ ცნობებს, რათა სრულყოფილად შეძლონ მოვლენის კონკრეტიზაცია. ალ. ყაზბეგს „მოძღვარზე" მუშაობის პროცესში „ზოგი საჭირო ცნობა... პ. კარბელაშვილისაგანაც მიუღია. უკანასკნელი ამის შესახებ თავის მოგონებაში წერს: „ახლაც თვალწინ მიდგა საწყალი სანდრო, პატარა მაგიდასთან მიმჯდარი, მხრებჩავარდნილი, თავჩაღუნული... წერს და წერს. ზოგჯერ აიმართებოდა მჯდომარე და შემეკითხებოდა: „გეთაყვა, პოლე, მითხარი: მღვდელს საზიარებელი მოწყობილობა მუდამ თან დააქვს?" ეს იყო მაშინ, როცა თავის უკვდავ „მოძღვარსა" წერდა და მე, როგორც ყოფილ სემინარიელს, დაწვრილებით მაამბობინებდა მღვდელთმოქმედების საქმეს".[3]) დეტალების საჭიროების შესახებ ძალზე საინტერესოა ნ. გოგოლის აზრი: „У меня только то и выходило хорошо, что взято было мной из действительности, из данных, мне известных. Угадывать человека я мог только тогда, когда мне представлялись самые **мельчайшие подробности** его внешности... Чем более вещей принимал я в соображенье, тем у меня верней выходило созданье".[4])

1) იხ. Русские писатели о литературе, ტ. II, 1939 წ., გვ.122.
2) იხ. Русские писатели о литературе ტ. I, 1939 წ., გვ. 428.
3) იხ. ალ. ყაზბეგი—თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1948 წ., (ს. ყუბანეიშვილის შენიშვნები) გვ. 525-526.
4) იხ. Русские писатели о литературе, ტ. I. 1939 წ., გვ. 314.

დეტალების მნიშვნელობა მეტად დიდია რეალისტი მწერლების შემოქმედებაში. ეს დეტალები ეხმარება მათ მოვლენების, ტიპების რეალური კონკრეტულობის შექმნაში. აი რას ამბობს კიდევ ნ. გოგოლი ამ დეტალების შესახებ: „Чем выше достоинство взятого лица, тем ощутительней, тем осязательней нужно выставить его перед читателем. Для этого **нужны все те бесчисленные мелочи и подробности, которые говорят, что взятое лицо действительно жило на свете,** иначе оно станет идеальным, будет бледно и, сколько ни навяжи ему добродетелей, будет все ничтожно".[1]) ნ. გოგოლი სისტემატურად ზრუნავდა დეტალების შეკრება-შეგროვებისათვის. იგი ხშირად მიმართავდა თხოვნით ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს, რათა მიეწოდებინათ მისთვის ამა თუ იმ მოვლენის დეტალური აღწერა. ნ. გოგოლი სწერს დედას: „Вы имеете тонкий, наблюдательный ум, вы много знаете обычаи и нравы малороссиян наших, и потому, я знаю, вы не откажетесь сообщать мне их в нашей переписке. Это мне очень нужно. В следующем письме я ожидаю от вас описания полного наряда сельского дьячка, от верхняго платья до самых сапогов".

მწერლების ასეთი გულმოდგინე ზრუნვა დეტალებისათვის არ არის შემთხვევითი. მართალი დეტალები კერძოობით ნაშნებთან ერთად საჭირონი არიან, რათა მათი საშუალებით გამოხატვის ობიექტი მკითხველმა აღიქვას როგორც სინამდვილის მოვლენა. ეს უთვალავი მართალი დეტალები გვაჯერებენ გამოსახული მოვლენის რეალობაში. დეტალების სიმართლე რეალიზმის აუცილებელი პირობაა.

3

რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში დეტალების სიმართლე უპირველეს ყოვლისა ნიშნავს **მნიშვნელოვანი დეტალის ფიქსაციას. მნიშვნელოვანი** კი ის **დეტალებია, რომლებიც ემსახურებიან მოვლენის არსის სრულყოფილად ჩვენებას.** ამიტომ დეტალიზაცია მხატვრულ შემოქმედებაში თვით მიზანი როდია, არამედ საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს ზოგადის, ტიპიურის მაქსიმალური სისავსით გამოვლენას.

მწერლის მიერ ფიქსირებული დეტალები, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ეფუძნებოდეს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში სწორად გადმოცემას. ყოველი დეტალი, წვრილმანი და ინდივიდუალური, რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში უნდა ავლენდეს მოვლენის არსის რომელიმე მხარეს. მოვლენის არსის სახეობრივი ჩვენებისათვის დეტალის გამოყენება რეალისტი მწერლის შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი თავისებურებაა. დეტალი ხელს უწყობს მოვლენის არსის სრულყოფილად გამოვლენას. ამ დებულების ცხადსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ნ. გოგოლი ბრწყინვალედ იყენებს ჩიბუხს, როგორც დეტალს, მოქ-

1) იხ. Русские писатели о литературе, ტ. I. 1939 წ., გვ. 315. (ხაზგასმა ყველგან ჩემია ა. ჩ.),

მედი პირის არსის გამოსავლენად. „მკვდარი სულებიდან“ ცნობილია, რომ პავლე ჩიჩიკოვს აზრად მოუვიდა მკვდარი სულები ეყიდა და მემამულე მანილოვს მიადგა:

— განზრახვა მაქვს ისეთი მკვდრები შევიძინო, რომლებიც რევიზიის მხრივ ჯერ კიდევ ცოცხლებში ითვლებიან...

მანილოვს **ჩიბუხი დაუვარდა იატაკზე** და, რა ერთი დააღო პირი, რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე პირღია დარჩა... ბოლოს მანილოვმა **აიღო ჩიბუხი** და მეგობარს დაბლიდან შეხედა... გაიფიქრა, იქნებ ჩემი სტუმარი ანაზღეულად შეიშალაო... რა არ იფიქრა მანილოვმა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ იმაზე უკეთესი ვერა გაარიგა რა, რომ **დარჩენილი ბოლი პირიდან წვნიკ ხვეულებად გამოუშვა**...

— მე მსურს სულები, რომლებიც უკვე მიიცვალნენ.

მანილოვი სულერთიანად დაიბნა. გრძნობდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, უნდა ეკითხა რამე, მაგრამ რა ეკითხა, ეშმაკმა უწყის. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ისევ **ბოლი გამოუშვა**, მაგრამ უკვე **პირიდან** კი არა, არამედ **ცხვირის ნესტოებიდან**.

— მაშ ასე, თუ დაბრკოლება აღარაა, ღვთით, შეგვიძლია ნასყიდობის სიმტკიცის სიგელის შედგენა დავიწყოთ,—თქვა ჩიჩიკოვმა.

— რაო, მკვდარ სულებზე სიმტკიცის სიგელი?

— არა, ერთი და!—მიუგო ჩიჩიკოვმა,—ჩვენ ჩავწეროთ, რომ ისინი ცოცხლები არიან, სწორედ ისე, როგორც სარევიზიო საბუთებშია აღნიშნული...—მანილოვს უკანასკნელი სიტყვები მოეწონა, მაგრამ საქმის ვითარებაში მაინც ვერ გაერკვა და პასუხის ნაცვლად ისე მაგრად **დაუწყო ჭაჩვა თავის ჩიბუხს**, რომ ფაგოტივით ააზრიალა. ისე გეგონებოდათ, თითქოს მას უნდოდა იქიდან გამოექაჩა ნამდვილი აზრი ასეთი უჩვეულო ამბის ირგვლივ, მაგრამ **ჩიბუხი ხრიალებდა** და მეტი არაფერი“[1].

როგორც ვხედავთ, **ჩიბუხი აქტიურად ერევა მკვდარი სულებით ვაჭრობის საქმეში**. ჩიბუხის იატაკზე დავარდნა, დარჩენილი ბოლის პირიდან და ცხვირის ნესტოებიდან გამოშვება, ჩიბუხის ფაგოტივით ახრიალება მხოლოდ ამიტომ არის ნაჩვენები მწერლის მიერ, რომ ამით ხელი შეუწყოს მანილოვის გაკვირვების პროცესის მაქსიმალური სრულყოფით გამოხატვას.

მკვდარი სულების ყიდვა ისეთი კომერციული წამოწყება იყო, რომელმაც მანილოვი ძლიერ გააკვირვა. ასეთი უჩვეულო მოვლენის მიზეზი ვერ აეხსნა და ამიტომ ჩიბუხს აწვალებდა. ჩიბუხი, როგორც მხატვრული დეტალი, იძლევა გაკვირვების განცდით შეპყრობილი მანილოვის მხატვრულ ინდივიდუალიზაციას.

მწერალ პ. ლორიას „დელი მურადში“ ადგილი აქვს ასეთ მოვლენას: წყავნარაში მიმავალი ანდრო ბერტაძე გზაში ხვდება ამავე სოფლის მცხოვრებ მურად ოდილაძეს. მურადს თამბაქოს მოწევა მოუნდა. „ჯიბიდან ფხვიერი თუთუნი ამოიფერთხა, ქაღალდზე დაყარა და შეხვევა დაუწყო. არ დაემორჩილა ქაღალდი თითებს, არ მოიგრიხა, ფხვიერი თუთუნი არ გაჩერდა შიგ და მიწაზე დაიბნა...

1) ნ. გოგოლი—მკვდარი სულები, 1937 წ., გვ. 39-40.

— მე მოგაწევინებ თამბაქოს,—მგზავრმა (ანდრომ) ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, გახსნა და ახალგაზრდას გაუწოდა. ახალგაზრდამ ჯერ სათუთუნეს დახედა, შემდეგ შიგ ჩაწყობილი **პაპიროსები** დაათვალიერა, ბოლოს თითქოს საუკეთესო აარჩია, ერთი ამოიღო, შეაბრუნ-შემოაბრუნა ხელში, შეხედ-შემოხედა და პირში ჩაიდო.

მგზავრმა ერთი თავისთვის ამოიღო, სათუთუნე ჯიბეში ჩაიდვა და წუმწუმა აანთო.

— ჯერ თქვენ მოუკიდეთ,—გაიპატიჟა ახალგაზრდამ, როცა მგზავრმა პირველად შესთავაზა ცეცხლი. მგზავრი არ შედავებია, მოუკიდა და შემდეგ მას მიაწოდა.

— რა კარგი თუთუნია!—ზედიზედ ამოუშვა ბოლი ახალგაზრდამ და მგზავრს მიუბრუნდა.

— საით მიბრძანდებით?—კითხა მან. დაგრეხილი კვამლი ისევ **ამოუშვა პირიდან და, სანამ არ გაიფანტა, თვალი არ მოუშორებია.**

— სოფელ წყავნარაში.—მიუგო მგზავრმა.—შორსაა აქედან?

— ორი საათის სავალი იქნება. მეც იქაური ვარ... **რა კარგი თუთუნია!** კიდევ **დახედა პაპიროსს** და გაიღიმა.

— მოგწონს?

— კარგი ვის არ მოეწონება! ქალალდის გემოც არ ახლავს. მე კი ქალალდსაც ვერ ვშოულობ. თუთუნი ხომ არაფრად ვარგა.

— რატომ?—შეაწყვეტინა მგზავრმა,—თქვენებურ თამბაქოს ძალიან აქებენ!

— აქებენ!—გაიმეორა ახალგაზრდამ,—ტყუილა აქებენ!.. არა, ასეთი თუთუნი ჩვენში არ მოვა. **თუმცა,—გააბოლა** და შემდეგ **დაუმატა,**— მართლაც შეიძლება ამაზე უკეთესი თამბაქოს დამზადება.—მაგრად მოსწია და **კვამლი დიდხანს გააჩერა პირში,**—დამუშავებაზეა ყველაფერი.“

ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო წვრილმანია. მგზავრმა პაპიროსი მოაწევინა თანამგზავრს. აქ არაჩვეულებრივი არაფერია, მაგრამ თამბაქოს მოწევის ეს კონკრეტული შემთხვევა მწერალ პ. ლორიას მიერ წარმოდგენილია, როგორც მნიშვნელოვანი წვრილმანი, მხატვრული განზოგადების საგულისხმო დეტალი. პაპიროსის მოწევის შესახებ იმიტომ მოგვითხრობს მწერალი, რომ ამის საშუალებით ნაწარმოების დასაწყისშივე გვიჩვენოს ანდრო ბერტაძის უნარი ადამიანებზე ზემოქმედებისა. რომანის მიხედვით ანდრო ბერტაძის მოღვაწეობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მან, როგორც კომუნისტმა, ხელი შეუწყოს აჭარაში ახალშექმნილ საბჭოთა წყობილების წინმსვლელობას, გაზარდოს მშრომელთა აქტივობა, განამტკიცოს ადამიანებში სახალხო დოვლათისადმი სოციალისტური დამოკიდებულების იდეა—ამისათვის ბერტაძე იყენებს პაპიროსსაც კი. პაპიროსის მოწევით მურად ოდილაძემ იგრძნო, რომ მის სოფელში კარგი ხარისხის თამბაქოა, მაგრამ ცუდად ამუშავებენ: „დამუშავებაზეა ყველაფერი“ ამბობს მურადი და ამით ავტორმა გვიჩვენა, რომ **ამ** ჭეშმარიტ დასკვნამდე ოდილაძის მისვლას ბიძგი მისცა ანდროს მიერ მიწოდებულმა პაპიროსმა. სწორედ ამის გამო აღნიშნული დეტალი იქცევა ტიპიურის წვრილმანად, ტიპიზაციის ხელისშემწყობ ჭეშმარიტ, სწორ და მართალ დეტალად.

დეტალებისადმი რეალისტური სიმართლით მიდგომის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ილია ობლომოვის მოსამსახურე ზაქარის ინდივიდუალიზაცია. ი. გონჩაროვი მრავალ მართალ დეტალს იყენებს ზაქარის კონკრეტული სახის შესაქმნელად. ზაქარის მრავალი უცნაური თვისება გაიჩინა და მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზაქარის უხეში დამოკიდებულება ნივთებისადმი. როდესაც ზაქარი მილაგ-მოლაგებას მოინდომებდა „იმტვრეოდა და ძირს ცვიოდა სხვადასხვა ნივთი, იმსხვრეოდა ჭურჭელი, ყირაზე გადადიოდა სკამები". აქ მეტად დამახასიათებელი დეტალია წარმოდგენილი: **ნივთების მტვრევა**. ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო და შემთხვევითი წვრილმანია, მაგრამ დიდი რეალისტისათვის არ არსებობს უმაზნო დეტალი. ჭეშმარიტი მწერლისათვის დეტალი ტიპიზაციის ხელისშემწყობია. და სწორედ ასეთია ზაქარის ქცევის დეტალები. მის მიერ ნივთების მსხვრევა განსაზღვრულია ტიპიური გარემოთი, ზაქარის აღზრდის პირობებით. ზაქარის მიერ ნივთების მტვრევა „იმიტომ ხდებოდა, რომ ზაქარი იზრდებოდა არა აზიზად მორთულ ვიწრო, ნახევრად ბნელ მდიდრულ კაბინეტებსა და ბუდუარებში, სადაც, ეშმაკმა იცის, რა არ დგას, არამედ სოფელში, ღიაცისქვეშ, ფართოდ გაშლილ მიდამოებში. ასე იყო ზაქარი მიჩვეული სამსახურს. იქ მას გარს ერტყა მაგარი, უხეში ნივთები, რომლებთანაც საჭირო არ იყო მოძრაობის მოზომვა. საქმე ჰქონდა ისეთ ზორბა და მძიმე ხელსაწყოებთან, როგორიცაა ნიჩაბი, ძალაყინი, რკინის ჩანგალი, ანდა ისეთი დგამები, რომელთაც ადგილიდანვე ვერ დაძრავდი". ასეთ პირობებში აღზრდილი ზაქარი, ქალაქში ამტვრევს ნივთებს, რადგან აქ იგი ვერ ზომავს ძალას „ყველა ნივთს ერთნაირი ძალით ჰკიდებს ხელს... თუ უბრძანეს ჭიქაში წყალი ჩაასხიო, იგი ამ საქმეს იმდენსავე ღონეს მოანდომებს, რამდენიც საჭიროა ალაყაფის კარის გასაღებად."[1])

აქ მოცემულია დეტალის სიმართლის დაცვის კლასიკური მაგალითი. ტიპიურის მთელი სისავსით გამოვლენისათვის ხელისშეწყობა დეტალების სიმართლის მაჩვენებელია. დეტალების სიმართლის დაცვა აუცილებელია არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ხელოვნების ყოველ დარგში. მაგალითად, მხატვრობაში დეტალი სურათის განუყოფელი ელემენტია. ხელოვნებაში საერთოდ არ შეიძლება დეტალების შეუფასებლობა, წვრილმანების უგულებელყოფა, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი ისეთი დეტალით არის დაინტერესებული, რომელიც მიმართულია მოვლენის შინაგანი არსის გახსნისაკენ: **„Никакою мелочью нельзя пренебрегать в искусстве,—უთქვამს ლევ ტოლსტოის,—потому что иногда какая-нибудь полуоторванная пуговица может осветить известную сторону жизни данного лица. И пуговицу непременно надо изобразить. Но надо, чтобы и все усилия, и полуоторванная пуговица были направлены исключительно на внутреннюю сущность дела, а не отвлекали внимания от главного и важного частностями и пустяками".**[2]) ისეთი დეტალი, რომელსაც არ მივყევართ მოვლენის არსის გახსნისაკენ, არ შეიძლება

1) ი. გონჩაროვი—ობლომოვი. 1951 წ., გვ. 79.
2) იხ. Русские писатели о литературе 1939 წ., ტ. II, გვ. 132.

მართალ, სწორ დეტალად ჩაითვალოს. დეტალის მოწყვეტა მოვლენის არსისაგან და დეტალის თვითმიზნად გადაქცევა მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდება, როგორც უხეში ნატურალიზმი. ასეთ შემთხვევაში ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს ცუდ ინდივიდუალიზაციასთან, რომელიც **„Сводится к мелочному умничанию и составляет существенный признак выдыхающейся литературы эпигонов“.**[1])

მხატვრული ნაწარმოების გადატვირთვა ტიპიურს მოწყვეტილი დეტალებით ცუდი ინდივიდუალიზაციის გამოვლენაა, ხოლო ასეთი ნატურალისტური ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს მოვლენის განვითარების ობიექტური ტენდენციის შეგნებული იგნორაციის საშუალებას, რაც დამახასიათებელია მომაკვდავი კლასის ლიტერატურისათვის. ამის მაჩვენებელია თანამედროვე პირსისხლიანი ბურჟუაზიის უდღეური ლიტერატურა. დეტალებით გატაცება, დეტალისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება არსებითად ანტირეალიზმია ლიტერატურაში. ასეთ შემთხვევაში მწერლები დეტალებს შეგნებულად სწყვეტენ ტიპიურს, ხოლო ტიპიურს მოწყვეტილი დეტალი არ შეიძლება სწორ, მართალ, ჭეშმარიტ დეტალად ჩაითვალოს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით სწორი და მართალია ის დეტალი, რომელიც ტიპიურის გამოვლენის ხელშემწყობია. ჭეშმარიტი რეალისტი მწერალი დაინტერესებულია არა **დეტალების ტიპიზაციით**, არამედ **დეტალების საშუალებით მოვლენის ტიპიზირებულად გამოხატვით.** თავისთავად დეტალი არ არის გადამწყვეტი, მთავარი და წამყვანი მნიშვნელობის მქონე და ამიტომაც იწოდება დეტალად, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ ხელს უწყობს მოვლენის არსის, ტიპიურის გამოვლინებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მართალი დეტალები ყოველთვის სოციალურ სიბრტყეზე წარმოგვიდგება, რადგან ისინი ტიპიურის დეტალებია, ხოლო ტიპიური ყოველთვის სოციალურია: „ტიპიურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ—ისტორიული მოვლენის არსს,“ გვასწავლის ამხანაგი გ. მალენკოვი და სწორედ, ამის საფუძველზე უნდა იქნას განხილული თვითეული მხატვრული დეტალის **სიმართლის ხარისხი.** რამდენადაც დეტალი ხელს უწყობს ტიპიურის გამოვლინებას, ამდენად იქცევა იგი აუცილებელ, მართალ მხატვრულ დეტალად.

ამ დებულების საილუსტრაციოდ კიდევ მოვიყვანთ ერთ მაგალითს ლ. ტოლსტოის შემოქმედებიდან. „აღდგომაში“ ასეთ ადგილს ვხვდებით: როდესაც სენატორმა ვლადიმერ ვასილევიჩ ვოლფმა ნეხლიუდოვის მიტანილი წერილი წაიკითხა, მიმართა ნეხლიუდოვს:

— „დიდად მოხარული ვარ როგორც თქვენი გაცნობის, ისე იმის, რომ შემთხვევა მეძლევა ვასიამოვნო გრაფ ივან მიხაილოვიჩს,—ეუბნებოდა ვოლფი, **აბოლებდა სურნელოვან მოტრედისფერო კვამლს და სიფრთხილით ნელა იცილებდა ტუჩებიდან სიგარას, რომ ფერფლი არ გადმოვარდნილიყო.**

— „შესაძლოა, საკასაციო საბაბი საკმაო საფუძვლიანი არ გამოდგეს,—

1) К. Маркс, Ф. Энгельс – Об искусстве, 1937 წ., გვ. 177.

თქვა ნეხლიუდოვმა,—მაგრამ თვით საქმიდან, ვგონებ, ჩანს, რომ ბრალდებული გაუგებრობით იქნა დამნაშავედ ცნობილი.

— დიახ, ეგ შესაძლებელია, მაგრამ სენატს არ შეუძლია საქმის არსებითად განხილვა,—უთხრა ვლადიმერ ვასილევიჩმა და **დააკვირდა ფერფლს.**—სენატი ადევნებს თვალყურს მხოლოდ იმას, სწორად არის შეფარდებული და განმარტებული კანონი, თუ არა.

— ეს ჩემის აზრით, არაჩვეულებრივი შემთხვევაა.

— ვიცი, ვიცი. ყველა შემთხვევა არაჩვეულებრივია. ჩვენ გავაკეთებთ, რაც საჭიროა. მორჩა და გათავდა.

ფერფლი ჯერ კიდევ არ მოსცილებოდა სიგარას, თუმცა უკვე გაბზარულიყო და სახიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდა.—თქვენ პეტერბურგის იშვიათი სტუმარი ბრძანდებით?—ჰკითხა ვოლფმა და **დაიკავა სიგარა ისე, რომ ფერფლი არ გადავარდნილიყო. მაგრამ ფერფლი მაინც შექანდა და ვოლფმა ფრთხილად მიიტანა საფერფლესთან, რომელშიაც ჩაინთქა".**1)

აქედან ცხადია, რომ სიგარა და ფერფლი, როგორც დეტალები იშვიათი ოსტატობით არის გამოყენებული სენატორი ვოლფის დასახასიათებლად. ვოლფი დიდი ბოროტმოქმედია. უდანაშაულო ადამიანებს ციმბირში ასახლებდნენ, სამუდამოდ ღუპავდნენ, ამ საზიზღარ საქმეში ვოლფი აქტიურად მონაწილეობდა და იგი ერთხელაც არ ცდილა, რომ საქმე სწორად განეხილა. იგი სიგარასა და ფერფლს უფრო გულმოდგინედ აკვირდება, ვიდრე უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანებს. **ვოლფი ცდილობს სიგარა ისე დაიკავოს, რომ ფერფლი არ გადავარდეს, ხოლო თუ უდანაშაულო მასლოვა უფსკრულში ვარდება, ეს მას არ ადარდებს.** სიგარისა და ფერფლის მხატვრული ფიქსაციით ნათლად არის ნაჩვენები ვოლფის სოციალური არსი, მისი ბოროტი ბუნება... ასეთია ამ დეტალის შინაარსობრივი ფუნქცია.

სიგარა, მისი კვამლი და ფერფლი თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ მოვლენებს, რომლებსაც რაღაც განსაკუთრებული გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ. ამიტომ იწოდებიან ისინი დეტალებად. ვოლფის **ეს სიგარა, კვამლი და ფერფლი არ გამოჩნდებოდა მეცნიერულ ცნებებში, ლოგიკურ კატეგორიებში, მაგრამ მხატვრულ სახეში კი ჩანს,** როგორც ვოლფის ბოროტი არსების გრძნობად-კონკრეტულად ჩვენების თვალსაჩინო დეტალი. ამიტომ ისინი მნიშვნელოვანი მართალი დეტალებია.

მაშასადამე, რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში დეტალების სიმართლე უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მოვლენის არსის გამოვლენისათვის ხელისშემწყობი დეტალის ფიქსაციას. რეალიზმში მართალ დეტალებად ის დეტალები ჩაითვლებიან, რომლებიც ხელს უწყობენ **ტიპიურის** სრულყოფილად გამოვლენას, ე. ი. იმის გამოვლენას, რაც „ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს" (გ. მალენკოვი).

დეტალების სიმართლის დაცვა, როგორც წესი, სრულყოფილად

1) ლ. ტოლსტოი „აღდგომა", 1937 წ., გვ. 302-303.

ვლინდება საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდს იყენებს.

სერგეი ტუტარინოვი პიატიგორსკში ჩავიდა ხე-ტყის თაობაზე. აი იგი მმართველის კაბინეტშია. „სერგეი გაჩერდა მაგიდასთან, რომელიც ნუქი ლაქით იყო მოპირკეთებული, და **უნებურად** ყურადღება მიაქცია **ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობას.** ის გაკეთებული იყო **ძირკვების მაგვარად, რომლებიც ტყის გაკაფვის შემდეგ რჩება ხოლმე.** მაგიდასთან იჯდა მმართველი, რომელიც უკვე ახალგაზრდა აღარ იყო, მაღალი საფეთქლები ჰქონდა და წმინდად დავარცხნილ თმებში ოდნავ შესამჩნევი ჭაღარა შეჰპარვოდა“.[1]) ავტორი გვარწმუნებს, რომ სერგეიმ ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობას ყურადღება **უნებურად** მიაქციაო, მაგრამ თვით ავტორს ამ დეტალისათვის უნებურად არ გაუსვამს ხაზი. და მართლაც, საინტერესოა, თუ რად დასჭირდა ავტორს ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობა. განა ამის გარეშე არ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა? მოხდა კი ის, რომ მმართველმა მოუსმინა ტუტარინოვს, დიდხანს ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა ფრონტელთა ვამოცდილების პოპულარიზაცია, მაგრამ მისი თხოვნა მაინც არ დააკმაყოფილა: „ჰო, მართლა!.. იცით რა, ყველაფერი ეს ასე იოლად როდი კეთდება... უთხრა მან ტუტარინოვს, მაგრამ არა უშავს, **კეთილი სიტყვით დაგეხმარებით.** სტავროპოლში წადით! ეს ძალიან ადვილია: ჩაჯდები თვითმფრინავში და ორმოცი წუთის შემდეგ სტავროპოლში აქნებით“. ეს მმართველი ისეთი კაცია, რომელიც არ ზოგავს კეთილ სიტყვებს. „სერგეისათვის ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ნ კანტორის მმართველი ლაპარაკის მოყვარული კაცი იყო... თავისი ხასიათის მიხედვით, იმ სამეურნეო ხელმძღვანელების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თვლიან: თუ დიდხანს საუბრობენ მთხოვნელებთან სრულიად განყენებულ თემებზე, ამით ისინი უჩვენებენ მათ, რომ ასეთი პასუხსაგები თანამდებობები ტყუილად არ უკავიათ... ისინი მზად არიან საუბარი გააბან ყოველი მიზეზის გამო და უმიზეზოდაც. შენ მას მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყვი, ის კი ამ სიტყვას იქვე რომელიმე მნიშვნელოვან თეზისს მიუმატებს—და დაიწყებს ლექციის კითხვას!.. იგი არასოდეს პირდაპირ არ იტყვის: ჰო თუ არა. თქვენ მისგან ვერასოდეს გარკვეულ პასუხს ვერ გაიგონებთ: „ჰო, გავაკეთებ“, ან „არა, არ გავაკეთებ“. ერთდაიმავე დროს იგი მომხრეც არის და წინააღმდეგიც.“[2]) ასეთი იყო აღნიშნული მმართველი. მართალია, ასეთი მმართველი ჩვენში მრავალი არ არის, ხშირად არ გვხვდება, არც ყველაზე გავრცელებულია, მაგრამ მაინც ტიპიურია, რადგან „ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს“, „გვასწავლის ამხ. გ. მალენკოვი. ამის საფუძველზე გასაგები ხდება ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობის ფუნქცია. ისინი ისეთი დეტალებია, რომლებიც ხელს უწყობენ ტიპიურის გამოვლენას, მმართველის არსის დახასიათებას. შემთხვევით არ აღმოჩნდა ასეთი მმართველის კაბინეტში ისე-

1) ს. ბაბაევსკი—ოქროს ვარსკვლავის კავალერი, გვ. 128, 1951 წ.

2) იქვე, გვ. 129.

თი ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობა, რომელიც გაკეთებული იყო ისეთი ძირკვების მსგავსად, რომლებიც „ტყის გაჩეხვის შემდეგ რჩებიან". **ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობა აქ შემთხვევით არ ედარება ტყის გაჩეხვის შემდეგ დარჩენილ ძირკვებს. ეს შედარება ავლენს ამ მმართველის უდღეურობას, მის უპერსპექტივობას.** მის შეგნებაში ისეთი კაპიტალისტური გადმონაშთებია, **რომლებიც უნდა გაქრეს ისე, როგორც საბოლოოდ ქრება და ისპობა ტყის გაჩეხვის შემდეგ დარჩენილი ძირკვები.** ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობა თავისთავად წვრილმანია. მას არ აქვს უშუალო არსებითი კავშირი მმართველის ხასიათთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ბრინჯაოს სამელნის მოწყობილობა, როგორც დეტალი, ხელს უწყობს აღნიშნული მმართველის შეგნების მომაკვდავობის, უდღეურობის კონკრეტულ ჩვენებას. საბჭოთა ლიტერატურისათვის სწორედ ასეთი ძართალი დეტალებია დამახასიათებელი.

ერთ მაგალითს კიდევ დავუმატებთ. სტალინური პრემიის ლაურეატის მწერალ ლეო ქიაჩელის რომანში „გვადი ბიგვა" ადგილი აქვს ასეთ მოვლენას:

„ვახშმობის დრო იყო. ტასია და გოჩა კერის ცეცხლს უსხდნენ. ნაჭაზე მზა ღომის სავსე კარდალა ეკიდა, შუაში სუთი და ჩოგანჩარჭობილი. ტასია მოკლე დაბალ სკამზე იჯდა. იდაყვებით მუხლებზე დაბჯენილიყო, ორივე ხელის გული ლოყებზე აქეთ-იქით ჩამოეწყო და ცეცხლს მიშტერებოდა. მის პირდაპირ, კერის მეორე მხარეს, თავმაღალ ძველებურ სკამზე გოჩა მოკალათებულიყო. მხარბეჭით სკამის მაღალ თავს მისწოლოდა, ფეხი ფეხზე გადაედვა. ხელში წკირი ეჭირა და ხანჯლის მოკლე დანით სთლიდა. ერთობოდა.

ცოლ-ქმარი წაჩხუბებულივით ერთმანეთს თვალს არიდებდნენ და სდუმდნენ.

სახლში ისეთი სიჩუმე იყო გამეფებული, **რომ ღომის შიშინიც კი მკაფიოდ ისმოდა.** თუმცა ეს შიშინი დღეს არ იყო მაინცდამაინც ჩვეულებრივი. დროგამოშვებით იგი **უცნაურ სტვენასა და წივილში გადადიოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ღომში დაგუბებული ორთქლი გარეთ გამოსავალ გზას ახალი ნასვრეტებით იკვლევდა.** ხმა კოღოს გაბზუილებაზე უფრო წვრილი იყო, მაგრამ კილო კი სხვადასხვანაირი ჰქონდა. ალბათ, ნასვრეტი იყო ბევრი და თვითოეული თავისებურად უქცევდა, თითქოს მრავალხმიანი მუსიკა უკრავსო...

გოჩას კი საბოლოოდ მობეზრდა ღომის დაუსრულებელი, გულისგამაწყალებელი შიშინი...

— ჰოდა, თუ არავის მოელი, შე კაი ქალო, დროა: ამოაგე შენი ღომი და ის იქნებაო,—მიმართა ბოლოს ისეთი ხმით, თითქოს ცოლისაგან არაფერი სწყენიაო.

ტასია უსიტყვოდ წამოდგა. კუთხისაკენ მიიქცა. თავსაკრავი შეისწორა. კალთა ფრთხილად დაიბერტყა და სახელოები წაიკარწახა. როცა ამას მორჩა, ქმრისაკენ მალულადაც კი არ გაუხედავს, ისე კერას მიუახლოვდა და თვალებდახრილი. ღომიდან ჩოგანი და სუთი ამოაძრო. ჩოგანი ნაჭის რგოლში შეარჭო მომაღლოდ. სუთი კი ღომის მოსაზელად მოიმარჯვა. ეტყობოდა ჩამოუხსნელად, ნაჭაზევე აპირებდა მოზელვას. მაგრამ პირ-

ველსავე მოქნევაზე **სუთი კარდალას დააცილა და იმის მაგიერ, რომ ღომში ჩაეცა, თავი შიგ შუა ცეცხლში უკრა.** თავადაც ისე წაბარბაცდა, რომ კინაღამ წონასწორობა დაჰკარგა და ზედ მიჰყვა.

— რას შვრები, დედაკაცო?—ახლა კი იყვირა გოჩამ და წამოდგა.

— რას ვშვრები და იმას, რომ არ შემიძლია! არა და არა! — სასოწარკვეთილებით წარმოთქვა ტასიამ და **სუთი ნიგუზლებში ჩაანარცხა.** ისევ თავის სკამზე დაჯდა მოწყვეტილად.—არ შემიძლია, ჰა![1])

ლეო ქიაჩელი აქ დიდი ოსტატობით და პოეტური ალღოთი იყენებს დეტალებს ადამიანთა სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. ღომით სავსე კარდალა, ღომის შიშინი, სუთის ნიგუზლებში ჩანარცხება დეტალების ისეთი ამოქმედებაა რამაც უნდა ჩაგვახედოს მოქმედი პირების ფსიქიურ სამყაროში. საქმე ის არის, რომ გოჩა სალანდია თავის ქალიშვილს ნაიას გაუჯავრდა, ნაია მამისუნებურად სახლიდან გაიქცა, გოჩამ ეს არ იცოდა. ტასიას კი გოჩასათვის ვერ გაემხილა ერთადერთი ქალიშვილის სახლიდან გაპარვისა და დაუბრუნებლობის ამბავი. ამიტომ ტასია დიდ შიშსა და სულიერ ტანჯვას განიცდიდა. ამ ტანჯვის გადმოსაცემად ავტორმა აამოძრავა მთელი რიგი დეტალები. რომ არაფერი ვთქვათ სუთისა და ჩოგნის შესახებ, საკმარისი იქნება გავიხსენოთ კარდალაში ღომის შიშინი, რომელიც დროგამოშვებით „უცნაურ სტვენასა და წივილში გადადიოდა. **ეს მაშინ ხდებოდა, როცა ღომში დაგუბებული ორთქლი გარეთ გამოსავალ გზას ახალი ნასვრეტებით იკვლევდა.**“ ეს დეტალი ტროპულად გადმოგვცემს ტასიას სულიერ მდგომარეობას, მის მწუხარებასა და დარდს: „დარდი კი ისე აწვა ტასიას გულზე, რომ ქალიშვილის მამისუნებურად სახლიდან წასვლის ამბავი აქამდე თუმცა საიდუმლოდ შეენახა, მაგრამ მისი აუცილებელი გამხელის საათი უკვე მოახლოვებულიყო: ადრე თუ გვიან გოჩა უთუოდ ვახშამს მოითხოვდა, ხოლო სუფრაზე ისე არ დაჯდებოდა, თუ შვილი გვერდით არ ეყოლებოდა. ტასიას დარდიც სწორედ ეს იყო: როცა გოჩა იკითხავდა, შვილი სად არისო, რა უნდა ეპასუხნა?“ ბოლოს და ბოლოს ეს საიდუმლო უნდა გამომჟღავნებულიყო... და გზა გაეკვლია ისე, როგორც **„ღომში დაგუბებული ორთქლი გარეთ გამოსავალ გზას ახალი ნასვრეტებით იკვლევდა.“** ღომში დაგუბებული ორთქლის გარეთ გამოსვლა გადატანითი მნიშვნელობით, ტროპულად გამოხატავს ტასიას სულიერ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში დეტალების სიმართლე არ უნდა იქნას გაგებული, როგორც დეტალების მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობის სიზუსტის დაცვა. დეტალების მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობის დაცვით რომ დავკმაყოფილდეთ, მაშინ ტროპულ თქმებს მნიშვნელობა აღარ ექნება ლიტერატურაში. **რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში დეტალების სიმართლის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დეტალების ტროპული გააზრება.** ტროპულობა ხელს უწყობს დეტალის მხატვრულობას. ზოგიერთი დეტალის სიმართლის დაცვა ამ ტროპულობის ფილტრში ტარდება: ეპითეტის, შედარების, მეტაფორის შექმნაში დაცული

1) ლ. ქიაჩელი, თხზულებანი ტ. III 1950 წ., გვ. 133-136.

უნდა იქნას დეტალების სიმართლე. თვითეული მათგანი ისე უნდა იქნას შედგენილი, რომ არ ღალატობდეს მხატვრულ სიმართლეს. ავიღოთ, მაგალითად, შედარების საკითხი. „ყოველგვარი შედარება,—გვასწავლის ვლ. ლენინი—ამსგავსებს შესადარებელ საგანთა ან ცნებათა მხოლოდ ერთ მხარეს ან მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, ხოლო სხვა მხარეებს დროებით და პირობით განყენებულს ხდის“[1]) ე. ი. შედარების საფუძველს წარმოადგენს შესადარებელი ობიექტების ერთ ან ზოგიერთ მხარეთა მსგავსება. აი, ამ მხარეთა მსგავსების სიმართლეში ვლინდება შედარების სიკარგე, რამდენად მწერლის მიერ მოხდენილად არის შერჩეული, მოძებნილი და გააზრებული ამ მხარეთა მსგავსება, იმდენად შედარება სრულყოფილია და მხატვრული სიმართლეც დაცული. თუ არ იქნა გამონახული შესადარებელი ობიექტების მხარეთა მსგავსების მართალი, სწორი საფუძველი, მაშინ შედარება ყალბია და არღვევს დეტალების სიმართლეს, ამით კი ირღვევა თვით მხატვრული სიმართლე.

პირდაპირი გაგებით არ შეიძლება არსებობდეს „ტალღების ჯოგი,“ „ოქროს თავთავი“, მაგრამ ესენი მართალი რეალისტური ტროპებია, იმის გამო, რომ ზღვის ზედაპირზე ამდგარი ტალღები ემსგავსებიან, მოგვაგონებენ ველად გაფენილ საქონლის ჯოგს. პირდაპირი გაგებით არც ის შეიძლება, რომ პურის თავთავი ოქროსი იყოს, მაგრამ დამწიფებული თავთავი ფერით (სიყვითლით) ემსგავსება ოქროს და ამ საფუძველზე პური, როგორც ძვირფასი ჭირნახული, რეალისტურად ემსგავსება ოქროს თავთავს. ამიტომ მხატვრულ ლიტერატურაში არ შეიძლება დეტალი ყოველთვის გვესმოდეს მისი პირდაპირი სისწორის მნიშვნელობით, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობის დროსაც არ შეიძლება ადგილი არ ექნეს დეტალების სიმართლეს. მართალია, ეს სიმართლე სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარებაში ვლინდება, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც დეტალების სიმართლესთან გვაქვს საქმე, რომელიც გამოვლენილია ტროპული ასპექტით. რასაკვირველია, ყველა ტროპი არ არის დეტალისეული, ე. ი. დეტალების გამოყენებით შექმნილი. ამიტომ ჩვენს მიერ წამოყენებული დებულება არ ვრცელდება ყველა ტროპზე, არამედ მხოლოდ ისეთებზე, რომლებშიაც ტროპულობა შექმნილია **დეტალების** მსგავსების საფუძველზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ტროპული თქმების უბადლო ოსტატი შოთა რუსთველი ფატმანს ათქმევინებს ნესტან-დარეჯანის შესახებ:

> შინა შევიდი, მას წინა ედგის **ცრემლისა გუბები,**
> შიგან **მელნისა მორევსა** ეყარის **გიშრის შუბები,**
> **მელნისა ტბათათ** იღვრების **სავსე სათისა რუბები,**
> შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს **მარგალიტი ტყუბები.**[2])

ეს გიშრის შუბები, სათის რუბები, მარგალიტის ტყუპები ისეთი დეტალებია, რომლებიც გადატანით მნიშვნელობით, ტროპულად გვისახავენ ატირებული ნესტან-დარეჯანის კონკრეტულ სახეს.

თვით „ვეფხისტყაოსნის“ დასახასიათებლად პოეტი გ. ლეონიძე იყენებს შესანიშნავ ტროპულ დეტალებს:

---

1) ლენინი, თხზულებანი, ტ. VIII. გვ. 535.
2) შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. 1951 წ., გვ. 241.

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი....
ჩაგცქერი;
წიგნი კი არა,—**ურჟოლა ხარ**
ჩამოქაფებულ ჩანჩქერის.
...წიგნო, წინ მიუძღვებოდი
ხალხს უკვდავების ნაღარით;
შენ გწერდა დიდი რუსთველი,
თავს ოქროგადანაყარი.1)

დიდებული ტროპია პ. პავლენკოს „ბედნიერებიდან“ ქვემოთ მოყვანილი შედარება:

„შეზარხოშებული ამერიკელი მეზღვაურები... ექსპონატივით ათვალიერებდნენ ევროპაევს. სათითაოდ სინჯავდნენ მის მედლებს და თან ისე უბრახუნებდნენ მკერდზე ხელს, **თითქოს ცნობათა ბიუროს** ფანჯარაა.“2)

აქ ერთმანეთს ედარება ევროპაევის მკერდი და ცნობათა ბიუროს ფანჯარა. ცნობათა ბიუროს ფანჯარა ისეთი დეტალია, რომელიც ცოცხლად, სურათხატოვნად, გრძნობად კონკრეტულად გვაჩვენებს ამერიკელი მეზღვაურების ევროპაევით დაინტერესებას.

ბელადის სამშობლოს დასახატავად პოეტი ალ. მირცხულავა იყენებს მთელ რიგ ტროპულ დეტალებს. აი, ერთი მაგალითი:

მთას გადაივლი, ისევ მთებია,
ტყის ფარჩეულით შემოსილები,
ისევ ფრიალო დაღმართებია,
ირგვლივ **ყღერაა სხივთა სიმების.**
ველზე გაშლილა **მდელოს ხავერდი**
ამოქსოვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი **და** რქანაყარი,
ხეები დგანან, როგორც ირმები3)

რასაკვირველია, პირდაპირი მნიშვნელობით არ შეიძლება ხეებს რქები ჰქონდეთ და ირმებივით იდგნენ, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით ეს და მრავალი სხვა ტროპი ამ ლექსში ისეთი ტროპისეული დეტალებია, რომლებიც ხელს უწყობენ აყვავებული სამშობლოს კონკრეტული სურათის მოცემას.

სტალინ! ეგ შენი სამშობლო არი,
სამაგალითო მხარედ ქებული,

ამბობს პოეტი და მართლაც პოეტის მიერ შექმნილ ყოველ ტროპს, ამ საფუძველზე გააზრებულ დეტალებს მივყავართ ბელადის სამშობლოს არსის ცხადყოფისაკენ, მისი კონკრეტული მხატვრული სახის შექმნისაკენ.

პოეტ ანდრო თევზაძის ლექსში „იმერეთი“ გვხვდება ასეთი სტროფი:

ენახო თქვენი შემოდგომა,
ლარზე მაჭრის წყაროები,
სიმინდების ამხედრება
ხანჯლებივით ტაროები.4)

---

1) გ. ლეონიძე—ლექსები და პოემები, 1952 წელი, გვ. 36—37.
2) პ. პავლენკო—ბედნიერება. 1951 წ., გვ. 200.
3) ალ. მირცხულავა—რჩეული, 1952 წ., გვ. 98.
4) ა. თევზაძე—ლექსები, 1948 წ., გვ. 20.

პირდაპირი გაგებით შეუძლებელია არსებობდეს მაჭრის წყაროები, რადგან წყარო წყლის არის და არა ღვინის. ასევე შეუძლებელია სიმინდების, როგორც უსულო საგნის, ამხედრება, რადგან ამხედრება მხედართან არის დაკავშირებული, ხოლო მხედარი კი სულიერი არსებაა. მაგრამ იარაღასხმულ მხედარსა და ტაროიან სიმინდს შორის არსებობს რეალური მსგავსება: გრძელ ტაროიანი სიმინდის შეხედვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ჩვენს თვალწინ გამარჯვებული სატევარიანი მხედარი იდგეს. გადატანითი მნიშვნელობით ჩვენ წარმოგვიდგება გამარჯვებული, საამაყო, ბარაქიანი მოსავალი. ამ შემთხვევაში მაჭრის წყაროები, ხანჯლებივით ტაროები ისეთი დეტალებია, რომლებიც ტროპული გააზრებით იძლევიან მოვლენის კონკრეტულ, მართალ დახასიათებას. ამიტომ ისინი ტროპისეული მართალი დეტალებია.

ჭარი შეწყდა, რომ კიოდა,
არც ღრუბლების მდევდა ფარდა,
ცას გაეხსნა ღილკილო და
მზე ლენინის ორდენს ჰგავდა.

ამბობს პოეტი ნესტორ მალაზონია ლექსში „მფრინავის ბარათი.“ უშიშარი საბჭოთა მფრინავი, წარმატებით დაბომბავს რა ვერაგი ფაშისტების ბუნაგს, გამარჯვებული უკან ბრუნდება. მას მოელის ჯილდო და იგი შემდეგ მართლაც დაჯილდოებული იქნა. ეს მომავალი ჯილდო პოეტმა გამოხატა ტროპით „ცას გაეხსნა ღილკილო და მზე ლენინის ორდენს ჰგავდა.“ როგორც ცნობილია, ცას ღილკილო არ გააჩნია და ამიტომ პირდაპირი გაგებით არც მისი გახსნა შეეძლო, მაგრამ ტროპულად აქ ღილკილო და მისი გახსნა ისეთი დეტალია, რომელიც რეალისტური მეტაფორულობით მოხდენილად იუწყება ჯილდოს მომავალ მიღებას.

რეალისტური ტროპულობის შესახებ იმიტომ ვამბობთ, რომ რეალისტური მხატვრული ლიტერატურისათვის სწორედ ეს მომენტია გადამწყვეტი, თორემ ისეთი ტროპებიც არსებობენ, რომლებიც აყალბებენ საგნებისა და ცნებების მხარეთა შორის ჭეშმარიტ მსგავსებას. ასეთ ტროპებში დეტალებს ისეთ თვისებას შიაწერენ და მათ შორის ისეთ ურთიერთობას ამყარებენ, რომელსაც არ შეიძლება ადგილი ექნეს გადატანითი მნიშვნელობის გაგებითაც. მაგალითად, ნ. ჩაჩავას ადრინდელ ლექსში „კალოშები და სიყვარული“ ვხვდებით ასეთ ტროპულ თქმას: „დარდი გალოშნეთ ჩვილხბოსავით რომ აჭმევთ ძუძუს“, ან კიდევ: „გუშინ დავთვერი და მთვარე ღვინოს გადავაყოლე“. ვ. გაფრინდაშვილს ერთ ლექსში ნახმარი აქვს ასეთი ტროპი: „ცივი ქარების ჭრის ირონია“, ან კიდევ: „ეს შემოდგომა არის მეძავი“. ანალიზის გარეშეც ცხადია, რომ ასეთი ტროპები არ შეიძლება ჩაითვალოს რეალისტურ, მართალ ტროპებად. რასაკვირველია, ასეთი გაუმართლებელი ტროპები არ არის დამახასიათებელი ნ. ჩაჩავასა და ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებისათვის საერთოდ. უნდა ითქვას, რომ ცალკეულ მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა, ცნობილი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაშიაც. ტროპულ დეტალებს იმიტომ გამოვყოფთ დეტალების ცალკე სახედ, რომ განვასხვავოთ ისეთი დეტალებისაგან, რომლებშიც არაფერია ტროპული, რომლებშიც სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით ახმარებიან და საგანს თუ

მოვლენას უშუალო ლოგიკური სიზუსტით წარმოგვიდგენენ. მაგალითად, ნ. გოგოლის „მკვდარ სულებში“ ნათქვამია: „თუმცა პოჩტმეისტერი დიდი მოლაყბე ადამიანი იყო, მაგრამ ისიც კი, რა წამს ქაღალდი ხელში აიღო, უმალ დადუმდა, ფიქრმორეული გამომეტყველება აიკრა სახეზე, **ქვედა ტუჩი ზედა ტუჩს გადაადო** და ამ მდგომარეობაში დარჩა, ვიდრე თამაში არ მოთავდა.“[1]) ქვედა ტუჩის ზედა ტუჩზე გადადება მნიშვნელოვანი დეტალია, იგი მართლად გამოხატავს პოჩტმეისტერის ბიუროკრატულ გულქვაობას, მაგრამ ამას იგი დეტალის პირდაპირი მნიშვნელობის აღნიშვნით წარმოგვიდგენს, რადგან ტუჩის ტუჩზე გადადებაში არაფერია ტროპული. აგრეთვე არაფერია ტროპული პელაგია ნილოვას პორტრეტულ დეტალებში: „მარჯვენა წარბის ზევით ჰქონდა ღრმა ჭრილობა, რომელიც **წარბს ოდნავ მაღლა** სწევდა. თითქოს მარჯვენა ყურიც მარცხენაზე **უფრო მაღლა** იყო.“[2]) ჭრილობის გამო ოდნავ მაღლა აწეული წარბი, ყურთა შორის დისპროპორცია ისეთი დეტალებია, რომლებიც პირდაპირი ლოგიკური სიზუსტით იძლევა განაწამები დედის სახეს, აღნიშნული დეტალები დედის „სახეს ისეთ გამომეტყველებას აძლევდა, თითქოს იგი ყოველთვის დამფრთხალი ისმენსო“.[3]) ცხადია, ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს ტროპული და არატროპული დეტალები. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ერთი და იგივე გამოთქმა ხან არატროპული იყოს და ხან კი ტროპული. ეს დამოკიდებულია კონტექსტზე. მაგალითად, „მარჯვენა ხელი“ პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანის სხეულის მარჯვენა ხელს ნიშნავს, მარცხენა ხელის საპირისპიროდ, მაგრამ, როდესაც ამბობენ „ვანო ნიკოს მარჯვენა ხელიაო“, აქ მარჯვენა ხელი ისეთი დეტალია, რომელიც ტანის ნაწილს კი არ აღნიშნავს, არამედ შველას, ნიკოსადმი დახმარებას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ გამოთქმასთან, რომელიც იცავს სამართლეს, მაგრამ არა მისი პირდაპირი ლოგიკური სიზუსტის თვალსაზრისით, არამედ ტროპული, გადატანითი მნიშვნელობით.

მაშასადამე, დეტალების სიმართლე რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდება **სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების გზითაც, ე. ი. ტროპულობის საშუალებით.** ასეთი დეტალების სიმართლეს განსაზღვრავს საგნების ან ცნებების ზოგიერთი მხარის მსგავსება.

ფორმალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ნატურალიზმი და საერთოდ ყველა ჯურის ანტირეალისტური ლიტერატურული მიმართულებანი არ გულისხმობს დეტალების სიმართლის დაცვას. პირიქით, ამახინჯებენ, არღვევენ დეტალების სიმართლეს. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ ამბობს **ფ. ენგელსი დეტალების სიმართლის შესახებ რეალიზმის ლიტერატურაში და არა საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაში.** დეტალების სიმართლის დარღვევა, როგორც წესი, ახასიათებს ანტირეალისტურ ლიტერატურას. თუმცა დეტალების სიმართლის დაუცველობის ცალკეული შემთხვევები გვხვდება რეალისტი მწერლების შემოქმედებაში და ზოგჯერ თვით სოციალისტური რეალიზმის მეთოდით მოშუშავე საბჭოთა მწერ-

1) გოგოლი—მკვდარი სულები, 1937 წ., გვ. 16.
2) მ. გორკი—დედა, გვ. 10.
3) იქვე.

ლების შემოქმედებაშიც. აქამდე ჩვენ ვწერდით დეტალების სიმართლის დაცვის შესახებ და არ შევხებივართ დეტალების სიმართლის, სისწორის დარღვევის საკითხს—ამასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას შემდეგი:

დეტალების სიმართლის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს ადგილი აქვს ცნობილი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებში. მაგალითად ა. პუშკინი უსაყვედურებდა ბაირონს დეტალების სისწორის დარღვევას: „Байрон говорил,—წერს პუშკინი—что никогда не возьмется описывать страну, которой не видал бы собственными глазами. Однако ж в „Дон Жуане" описывает он Россию; зато приметны некоторые погрешности противу местности. Например, он говорит о грязи улиц Измаила; Дон Жуан отправляется в Петербург в кибитке, **беспокойной повозке без рессор, по дурной каменистой дороге.** Измаил взят был зимою, в жестокий мороз. На улицах неприятельские трупы прикрыты были снегом, и победитель ехал по ним, удивляясь опрятности города: „помилуй бог, как чисто!"... Зимняя кибитка не беспокойна, а зимняя дорога не комениста".[1]) მაშასადამე, ა. პუშკინი ბაირონს შენიშნავს ადგილის საწინააღმდეგო შეცდომებს ე. ი. გეოგრაფიული დეტალების სიმართლის დაუცველობას. ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით სხვა ცნობილი მწერლების შემოქმედებაშიც. მაგალითად, მ. გორკი აკრიტიკებს მ. შაგინიანის შემდეგ გამოთქმას: „Пыль... густая до того, что чихнуть страшно—заползает в глотку и ноздри". ამაზე მაქსიმ გორკი შენიშნავს:— „Но—ведь чихают именно потому, что пыль уже „заползла" в ноздри, раздражила слизистые оболочки, и чихание является именно результатом раздражения. Кстати: пыль—не ползает, а летает".[2])

თვით მაქსიმ გორკი აღნიშნავდა მის ნაწარმოებებში დეტალების სიმართლის დარღვევის რამდენიმე შემთხვევას: 1. „ზღვა ბაინოდა"—ვწერდი მე და დიდხანს მჯეროდა, რომ ეს კარგია." 2. „ღუმელი კი თქვენთან დგას არა ასე," შემნიშნა ლ. ნ. ტოლსტოიმ, ლაპარაკობდა რა მოთხრობაზე „ოცდაექვსი და ერთი". აღმოჩნდა, რომ... ღუმელის ცეცხლს არ შეეძლო გაენათებია მუშები ისე, როგორც მე მეწერა". 3. „ა. პ. ჩეხოვმა მითხრა „თომა გორდეევის" მედინსკაიას შესახებ: „მას... სამი ყური აქვს, ერთი—ნიკაპზე, შეხედეთ," ეს სწორი იყო,—ისე უხეიროდ დავაჯინე ქალი სინათლის მიმართ." მოჰყავს რა ეს მაგალითები, მ. გორკი იქვე აკეთებს მეტად საგულისხმო დასკვნას: „ასეთ, თითქოს წვრილმან, შეცდომებს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ **ისინი არღვევენ ხელოვნების სიმართლეს**"[3]) აქედან გამომდინარეობს ასეთი დასკვნა:

ყოველი რეალისტი მწერალი შეგნებულად ზრუნავს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს დეტალების სიმართლის დარღვევა, დაიცვას დეტალების სიმართლე, რათა ამით ხელი შეუწყოს ხელოვნების სიმართლის განმტკიცებას.

ლ. ტოლსტოის უთქვამს ს. ა. ტოლსტოისათვის: „მე დავწერე, რომ

1) А. Пушкин—Сочинения, 1938 წ., გვ. 693 (ხაზგასმა ავტორისაა ა. ჩ.)
2) М Горький—О литературе, 1937 წ., გვ. 132
3) იქვე, გვ. 218, 219.

ვრონსკი და ანა გაჩერდნენ ერთსა და იმავე ნომერში, ეს კი შეუძლებელია, ისინი აუცილებლად უნდა გაჩერდნენ პეტერბურგში, უკიდურეს შემთხვევაში სხვადასხვა სართულზე... აქედან კი ის გამოდის, რომ სცენები, საუბრები და მათთან სხვადასხვა პიროვნებების მისვლა ხდება ცალკე და საჭიროა გადაკეთდეს.“[1])

მოხდენილი დეტალების შერჩევაზე მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ცნობილი მწერლები. ისინი დიდი პოეტური ალღოთი ამჩნევენ დეტალური კონკრეტიზაციის შეფერხებას და დროულად ღებულობენ ზომებს მოვლენის მართებული და სრულყოფილი დეტალიზაციისათვის, ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: „მე მეწერა ასე:— წერს მოგონებაში დ. გრიგოროვიჩი,—როდესაც არღანი შეწყვეტს დაკვრას, ჩინოვნიკი ფანჯრიდან აგდებს შაურიანს, რომელიც ეცემა მეარღნის ფეხებთან. „ასე არა, ასე არა,—უცებ აგზნებულად ალაპარაკდა დოსტოევსკი—სრულიადაც ასე არა! თქვენ გამოგდით მეტად მშრალად: შაურიანი დაეცა ფეხებთან. უნდა თქმულიყო: შაურიანი დაეცა ქვაფენილზე **წკარუნითა და ხტომა-ხტომით.**“[2])

„წკარუნისა“ და „ხტომა-ხტომის“ მიმატება უფრო ნათლად წარმოგვიდგენს შაურიანის დავარდნის კონკრეტულ სახეს. სახის კონკრეტულობის შესაქმნელად აუცილებელია მართალი დეტალების ფიქსაცია, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა არ არის დაცული დეტალების სიმართლე.

დეტალების სიმართლის დარღვევას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სახე:

ა) ლოგიკური შეცდომები დეტალების სიმართლის დაცვაში. დეტალების სიმართლის დარღვევის ამ თავისებური სახისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ აშკარად ჩანს ფაქტიური ხასიათის შეცდომები, შინაარსობრივი შეუსაბამობანი და ულოგიკობანი. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: ლ. ტოლსტოი სწერს ვ. ჩერტკოვს: „თქვენი მოთხრობა სადაა, მაგრამ მასში არის ნაკლოვანებანი არა ფორმაში, არამედ, რაც მთავარია, შინაარსში. მაგალითად, გომბეშო დევს გულაღმა, ხოლო შემდეგ იქვე ნათქვამია, რომ იგი წაფორთხდა წინ. აუცილებლად უნდა ითქვას, თუ **როგორ გადმობრუნდა იგი.**“[3]) ე. ი. თუ ეს არ ითქვა მაშინ დარღვეული იქნება დეტალის სიმართლე, რადგან გულაღმა დადებულ გომბეშოს არ შეუძლია წინ წაფორთხდეს. გომბეშოს გადმობრუნების გამოტოვება მართლაც რომ ფაქტიური, ლოგიკური ხასიათის შეცდომაა, რადგან ყველამ იცის, რომ ზურგით გომბეშო ვერ წაფორთხდება.

ბ) დეტალების სიმართლე დარღვეულია მაშინაც, როდესაც არ არის დაცული დეტალის ფსიქოლოგიური სიმართლე, ე. ი. რეალიზმში დეტალების სიმართლე გულისხმობს დეტალების ფსიქოლოგიური სიმართლის დაცვას. თავის მოგონებაში ა. ლუკონინა წერს: „წავუკითხე რა ჩემი ნაწარმოები ი. ტურგენევს, იგი დარჩა კმაყოფილი, მაგრამ მან მირჩია, შემეცვალა ერთი ადგილი. სახელდობრ, მე ვაიძულე დუმუშკა მოეთხრო

1) იხ. Русские писатели о литературе, ტ. II, 1939 წ., გვ. 138.
2) იქვე, გვ. 211-212.
3) იხ. Русские писатели о литературе, ტ. II, 1939 წ., გვ. 138.

თავისი ბავშვობის შესახებ, მაშინ, როდესაც ივი ქმრის მოწამვლის ცდის შემდეგ ჩაკეტილი ზის აბანოში. „ეს არ არის სწორი—შენიშნა ივანე სერგეევიჩმა,—ტრაგიკული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება დუმუშკა, დაუშვებლად ხდის მოთხრობას ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანების შესახებ. დუმუშკას შეუძლია იყოს მდუმარე, ან და აკეთოს, რაც მას სურს, მხოლოდ ისე არ მოუთხროს“.1)

მაშასადამე, დეტალი მაშინ არის მართალი, **როცა იგი მოტივირებულია ფსიქოლოგიურად. შეესიტყვება ადამიანთა ფსიქიურ მდგომარეობას.**

დეტალების ფსიქოლოგიური სიმართლის დარღვევის შემთხვევებს ვხვდებით ნიჭიერი მწერლის ლ. ქიაჩელის ნაწარმოებშიც. მოვიყვანთ ამის ერთ მაგალითს. გვადი ბიგვა გზაზე მძინარე პახვალას წააწყდა. გვადიმ შეისვენა და შემწვარი სიმინდი შეჭამა. „სიმინდის ჭამა რომ გაათავა, გვადის წყალი მოსწყურდა. დოქს წაეტანა. აიღო. არ ემჩატა. ამაზე მიხვდა, რომ ნახევარი თუ იქნებოდა დალეული. ნეშოს საცობი მოხადა, **ცოტა გადმოღვარა,** მერე მიიყუდა და დალია. პირველი ყლაპისთანავე, თითქოს **გველმა უკბინაო,** ისე შეხტა, დოქი პირიდან შოიგლიჯა და წამოიყვირა:

— ეს რა ამბავია! ღვინოა, თუ?

პირი გააწკაპუნა.

— ნამდვილად ღვინოა! ა?—წამოიძახა კიდევ. აღმოჩენამ გიჟივით გაახარა“.2)

ჩვენი აზრით აქ არ არის დაცული დეტალების ფსიქოლოგიური სიმართლე. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დალევამდე დოქიდან წყლის ცოტა გადმოღვრას არ შეიძლება ეჭვი არ აღეძრა გვადისათვის ღვინის არსებობაში, რადგან ცოტა გადმოღვრის დროსაც კი შეიძლებოდა მხედველობითი და ყნოსვითი შეგრძნების საშუალებით გვადის ყურადღება მიეპყრო სითხის სუნსა და ფერს. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, ფსიქოლოგიურად დაუჯერებელია, ღვინის გემოს შეგრძნებისას გვადი ისე შემხტარიყოს, „თითქოს გველმა უკბინა“. გველის კბენასთან ანალოგია დაუჯერებელია იმიტომ, რომ გვადის მაშინვე ეჭვის გრძნობა გაუჩნდა ღვინო არ იყოსო და არა საწამლავი რამ. ხოლო ღვინის გემოს შეგრძნობის დროს არ შეიძლებოდა ბიგვა ისე შემხტარიყო „თითქოს გველმა უკბინა“, რადგან გვადი ღვინოს ეწყობოდა და მისი მიღებისას სიამოვნებას განიცდიდა: „მაშინვე მეორედ მოიყუდა დოქი... დოქისს ტუჩს წურბელასავით მიეკრა და ყლუნტი-ყლუნტით გამოსცალა.“ ავტორი იქვე ამბობს, რომ „ღვინით ნასიამოვნებმა მთელი სახე გაშალაო.“ ამის გამო გვადი არ შეიძლებოდა ისე შემხტარიყო „თითქოს გველმა უკბინა“, როგორც ამას ავტორი გვარწმუნებს. გვადის სწრაფი შეხტომა სიამოვნების განცდასთან არის დაკავშირებული, ხოლო ის, რაც სიამოვნების შეგრძნებას იძლევა, არ შეიძლება შეედაროს გველის კბენის დროს მიღებულ საზარელ შეგრძნებას.

1) იხ. Русские писатели о литературе. ტ. I; 1939 წ., გვ. 370.
2) ლ. ქიაჩელი, თხზულებანი, 1950 წ., ტ. III, გვ. 91.

ბ) დეტალის სიმართლის დარღვევას ადგილი აქვს აგრეთვე მაშინაც, როდესაც დეტალი აღქმულია თვითნებურად, სუბიექტურად.

სუბიექტურს კ. მარქსი უწოდებს ისეთ ფსიქიურ მდგომარეობას, როდესაც „ერთი და იგივე საგანი სხვადასხვანაირად გადატყდება სხვადასხვა პიროვნებაში“ ე. ი. ზოგჯერ, არა სწორი აღქმის გამო, სუბიექტი საგანს მიაწერს ისეთ თვისებას, რაც მოცემულ შომენტში არ შეიძლება მას გააჩნდეს ობიექტურად. შეგრძნებები ზოგჯერ არ იძლევიან მოვლენის სწორ სახეს, ე. ი. დეტალის თვალსაჩინოებრივი აღქმა არ შეესატყვისება მის ნამდვილ განსაზღვრულობას.

ასეთ შემთხვევაში დეტალის აღქმა არ გაივლის ზუსტ ინტელექტუალურ შემოწმებას და ხდება მწერლის უშუალო მცდარი შთაბეჭდილების მსხვერპლი. ამის ცხადსაყოფად ვ. ვერესაევს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „თქვენს წინ არის სულ ახლახან მოხნული მინდორი, მასთან—კაშკაშა ოქროსფერი დაისი. თქვენ იცით, რომ მიწა შავია, თქვენ ასეც დასწერთ: „შავ ხნულში ოქროსფერი დაისი“ და ამით თქვენ აჩვენებთ, რომ არ შეგიძლიათ დაინახოთ: ოქროსფერი დაისის ქვეშ ხნულს აქვს გარკვევით ლილისფერი და არა შავი ფერი.“[1]) მაშასადამე, მახინჯდება დეტალის ფაქტიური მდგომარეობის აღქმა, ე. ი. ირღვევა დეტალების სიმართლე და ამის გამო ეცემა ნაწარმოების მხატვრულობის ხარისხი. მ. გორკი აკრიტიკებს რა ერთ ნაწარმოებს, სხვათა შორის ავტორს უსაყვედურებს შემდეგს: „Бежит человек,— „обгоняя его, будто оторванная ветром, по воздуху летела его собственная, мертвенно-желтая нога“. Автор хотел сделать „страшно“, а сделал смешно. И так как человек бежал ночью, в „предгрозовой тьме“, — он едва ли мог видеть цвет своей ноги“.[2]) ე. ი. ნაწარმოების ავტორი ამახინჯებს დეტალის მხედველობითი შეგრძნების სიმართლეს.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში მართალ დეტალებს წარმოადგენენ ისეთი **დეტალები, რომლებიც იცავენ: საგნის ასახვის ლოგიკურ სიზუსტეს, ჭეშმარიტ ტროპულ გააზრებას, ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესატყვისობას და ამით ხელს უწყობენ ტიპიურის გამოსახვას, ნაწარმოების იდეის გახსნას.** სწორედ ასეთ დეტალებს გულისხმობს რეალიზმი. ასეთი დეტალები ხელს უწყობენ მოვლენის არსის სწორად გამოსახვას, მხატვრული სიმართლის განხორციელებას.

5

დეტალების სიმართლის დაცვისათვის მწერლების შემოქმედებითი მუშაობა წარმოადგენს მხატვრულ ნაწარმოებთა ვარიანტულობის ერთ-ერთ მიზეზს.

მწერლები ყოველთვის იმის ცდაში არიან, რომ ნაწარმოები გახადონ ღრმა იდეური, პოეტურად სრულყოფილი. ამით არის გამოწვეული ნაწა-

1) В. Вересаев— Что нужно для того, чтобы быть писателем (იხ. წიგნი — „Как и над чем работать писателю“. 1937 წ. გვ. 65).
2) М. Горький—О литературе, 1937 წ., გვ. 107.

რმოების ვარიანტების არსებობა. ნაწარმოების სრულყოფისათვის ბრძოლა თავს იჩენს დეტალებზე მუშაობაშიც. ამ შემთხვევაში ავტორი ცდილობს დააზუსტოს რომელიმე დეტალი, ან შესცვალოს უკეთესით, გაასწოროს ფაქტიური ხასიათის შეცდომები და ა. შ. ეს არის მეტად გულმოდგინე მუშაობა, რომელიც არ ჩანს ნაწარმოების საბოლოო ტექსტში, მაგრამ რომელიც შესაძლებელია შესწავლილ იქნას ნაწარმოებთა ვარიანტების უკანასკნელ რედაქციასთან შედარებით. მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს:

აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავიდან" ცნობილია, რომ დამარცხებული აფრანიკი უკან გაიქცა თავისი ჯარით, მას ჯარითვე დაედევნა ორბელიძე, რომელიც კიდევაც დაუახლოვდა და ეს არის უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი.

მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში შერგო მან თავი.

ასე ეწერა აკაკის პირველად, მაგრამ მას არ მოსწონებია უკანასკნელი ტაეპი და შეუცვლია ასე:

და ხეობაში ამოყო თავი.[1])

ე. ი. „შერგოს" ნაცვლად წერს „ამოყოს" და დღეს ეს ადგილი სწორედ ასეა წარმოდგენილი საბოლოო ტექსტში. ასეთი ცვლილება ბუნებრივია, რადგან თავის შერგვა შესაძლებელია ისეთ რამეში, რაც ზევიდანაც გადახურულია. მაგალითად, შეიძლება ითქვას მაღაროში შერგო თავი, მაგრამ არ შეიძლება ითქვას მაღაროში ამოყო თავი. ამიტომ ხეობის მიმართ აუცილებლად უნდა თქმულიყო თავის ამოყოფა და არა თავის შერგვა. სიტყვების ასეთი შეცვლით აკაკიმ დაიცვა დეტალების სისწორე. აქ წვრილმანის ლოგიკური სისწორე მართლად არის გადმოცემული, რითაც შექმნილია ტაეპის ახალი ვარიანტი. ამან საერთოდ ხელი შეუწყო „თორნიკე ერისთავის" ვარიანტების გაჩენას.

ვარიანტულობის გამომწვევი დეტალებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება ნათლად ჩანს კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში." ჩვენ შევადარეთ ამ რომანის ზოგიერთი ნაწილის ადრინდელი და ახლანდელი ტექსტები და მეტად საინტერესო მოვლენა გამომჟღავნდა. შედარების მასალად ავიღეთ რომანის უკანასკნელი ნაწილი „მორევი", რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1941 წელს. ეს ნაწილი წარმოდგენილია „კოლხეთის ცისკარში", რომელიც 1952 წელს გამოიცა. ამ ორი ტექსტის შედარებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ნიჭიერ მწერალს კ. ლორთქიფანიძეს მეტად საინტერესო მუშაობა ჩაუტარებია ნაწარმოების გაუმჯობესების მიზნით. ეს შემოქმედებითი მუშაობა შეხებია მთელი რომანის კომპოზიციას, ტიპაჟს, სიუჟეტს და ა. შ., მაგრამ ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მთელი ამ შემოქმედებითი მუშაობის ანალიზი. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმ მუშაობას, რაც ავტორს უწარმოებია

1) პროკლე კეკელიძე, „აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის" ავტობიოგრაფია. (იხ. სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXLXb, 1946 წ., გვ. 148).

დეტალების სიმართლის დაცვისა და სრულყოფის მიზნით. მოვიტანთ ამის რამდენიმე მაგალითს:

„მორევი“	„კოლხეთის ცისკარი“
თხებს უკანასკნელ ფოთლამდე გაეფცქვნათ ვაზი. (გვ. 47).	თხებს უკანასკნელ ფოთლამდე გაეფცქვნათ ბოძზე **დაგრეხილი** ვაზი. (გვ. 278).

აქ მოძებნილია ახალი დეტალი, რაც ვაზის **დაგრეხილობით გამოიხატა.** ცხადია, რომ ასეთი დეტალის დამატება საჭირო იყო, რადგან ვაზის დაგრეხილობა საერთოდ ცნობილია და ამიტომ გამოთქმა „დაგრეხილი ვაზი“ იცავს გამოხატვის ობიექტის დეტალურ განსაზღვრულობას, ავლენს ვაზის ერთ თავისებურ მხარეს და ამდენად იგი მართალი დეტალია.

თალიკო „პალატიდან ჭრაქს გამოიტანდა და ისე მიანათებდა ეზოში **ჩამოსულ** მოხუცს, რომ სინათლე პირველად წელზე **მოხვედროდა**“. (გვ. 39).	თალიკო „პალატიდან ჭრაქს გამოიტანდა და ისე მიანათებდა ეზოში **შემოსულ** მამას, რომ სინათლე პირველად წელზე **მისდგომოდა**“. (გვ. 273).

ცხადია, რომ გამოთქმა „სინათლე მისდგომოდა“ უფრო ზუსტად გადმოგვცემს მოვლენის ობიექტურ მყოფობას, ვიდრე „სინათლე მოხვედროდა.“ ასეთი **ნიუანსების** დანახვა და ამის მიხედვით დეტალების დაზუსტება პოეტური ნიჭისა და ალღოს საუკეთესო მაჩვენებელია. მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთი მაგალითის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით:

ორლულიანი ფილთა კედლის სამკაულად გადაიქცა. მშვიდად ეკიდა ძველებურ ნოხზე მოვერცხლილ ყანწებს **შორის,** რომ შარშან მოულოდნელად ბარნაბას ნადირობის საღერღელი აეშალა.1)	ორლულიანი ფილთა კედლის სამკაულად გადაიქცა. მშვიდად ეკიდა ძველებურ ნოხზე მოვერცხლილი ყანწების **გვერდით,** მაგრამ ამ გაზაფხულზე, ერთს წვიმიან ღამეს, ბარნაბას ვიღაც ცხენოსანმა დიმიტრი გელოვანის წერილი მოუტანა. სწორედ ამ დღიდან ყველასათვის მოულოდნელად ბარნაბა საგანელიძეს ნადირობის საღერღელი აეშალა.2)

ამ ორი ტექსტის ურთიერთ შედარების შედეგად ირკვევა შემდეგი: 1) გამოთქმა ფილთა ეკიდა ნოხზე „მოვერცხლილ ყანწებს **შორის**“, შეცვლილია გამოთქმით „მოვერცხლილი ყანწების **გვერდით**“. ეს უკანასკნელი რედაქცია იცავს თოფის, როგორც დეტალის, კედელზე ჩამოკიდების სიმართლეს, რადგან ფილთის ჩამოკიდება „ყანწებს შორის“ არ შეეფერება ბარნაბა საგანელიძის, როგორც კულაკის ტიპის, სოციალურ მდგომარეობას. მართლაც, ფილთის დაკიდება ყანწებს **შორის** შეიძლება აიხსნას მხოლოდ ესთეტიკური მოთხოვნილებით, რომ ამგვარი დაკიდებით იგი ამშვენებდეს კედელს. ამ შემთხვევაში გვყავს ისეთი პიროვნება, რომელიც დაინტერესებულია კედელზე თოფის არა **მხოლოდ ჩამოკიდებით,** არამედ ლამაზად ჩამოკიდებით. მაგრამ ასეთ მოთხოვნილებას, ე. ი. ნივთებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ბარნაბა საგანელიძის ოჯახში, იმ კაცის ოჯახში, რომელიც განიცდიდა კლასობრივი ლიკვიდაციის პროცესს. ბარნაბა ისეთი კულაკი იყო, რომელსაც კაცის დანახვაც ეზარებოდა და რომელმაც წინასწარ

1) კ. ლორთქიფანიძე—მორევი (ნაწილი პირველი), 1941 წ., გვ. 21.
2) „კოლხეთის ცისკარი“, 1952 წ., გვ. 264.

„მუხის ფიცრებისაგან საწნახელივით მაგარი კუბო გაიკეთა და პალატში დადგა". მაგრამ, როგორც ავტორი ამბობს, „საკვდილისათვისაც ვერ მოიცალა... ამიტომ კუბოს საკეტი გაუკეთა,—შაქარი, ყველი, ბრინჯი, სახაჭაპურე ფქვილი,—ყველაფერი შიგ ჩაკეტა, გულიც იმ კუბოსავით ჩაითხრო და ხანდახან დილიდან სალამომდე შინაურებს სიტყვას არ შესძრახავდა." ასეთი კაცის ოჯახში, განა შეიძლებოდა ნივთები სილამაზის კანონების მიხედვით ყოფილიყო შექმნილი და განლაგებული? ან ვინმე გაბედავდა, ეზრუნა იმისათვის, რომ თოფი **ყანწებს შორის დაეკიდა**, როგორც კედლის დამამშვენებელი სამკაული? ამიტომ ავტორი სწორად მოიქცა, როცა ტექსტის საბოლოო რედაქციაში ფილთა თოფი ყანწების გვერდით მიკიდულად წარმოგვიდგინა. ამ შემთხვევაში არ იგრძნობა ნივთებისადმი განსაკუთრებული ესთეტიკური დაინტერესებულობა. ამით დაცულია დეტალების სიმართლე, რადგან იგი სწორად გადმოგვცემს ბარნაბა საგანელიძის სოციალური განწარულების არსს.

2) საბოლოო ტექსტში გასწორებულია ის აზრობრივი ბუნდოვანობა, რასაც ადგილი აქვს პირვანდელ ტექსტში. აქ არ ჩანს იმის მიზეზი, თუ რატომ აეშალა „მოულოდნელად ბარნაბას ნადირობის საღერღელი". „კოლხეთის ცისკარში" კი ნათქვამია: ბარნაბას ვიღაც ცხენოსანმა დიმიტრი გელოვანის წერილი მიუტანა. სწორედ ამ დღიდან ყველასათვის მოულოდნელად ბარნაბა საგანელიძეს ნადირობის საღერღელი აეშალა." აქ მოტივირებულია ბარნაბას მოქმედება, აზრი ნათლად არის გამოთქმული და დაცულია აზრობრივი სიმართლე.

3) აქვე შევნიშნავთ, რომ კ. ლორთქიფანიძის პოეტური ალღო არ ტოვებს არც ერთ დეტალს მართალი გააზრების გარეშე. ა. ჩეხოვი ასწავლიდა მწერლებს, რომ ნაწარმოებში არაფერი არ უნდა იყოს ზედმეტი. „ყველაფერი ის, რასაც არ აქვს პირდაპირი კავშირი მოთხრობასთან, დაუნდობლად უნდა იქნას ამოგდებული. თუ თქვენ პირველ თავში ლაპარაკობთ, რომ კედელზე ჰკიდია თოფი, მეორე ან მესამე თავში ის აუცილებლად უნდა გავარდეს, ხოლო თუ არ გავარდება, არც უნდა ეკიდოს."[1] მართლაც, ბარნაბა საგანელიძის თოფი არ დარჩენილა გაუსროლელი.

შეიძლებოდა მრავალი ანალოგიური ფაქტის მოტანა სხვა მწერლების შემოქმედებიდან. მაგრამ ჩვენი აზრით, ისინი აღნიშნულ მაგალითებთან ერთად მხოლოდ იმ დებულებას განამტკიცებენ, რომ დეტალებზე **მუშაობა წარმოადგენს ნაწარმოების ვარიანტულობის ერთ-ერთ მიზეზს.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დეტალების სიმართლის დაცვისათვის მწერლების შემოქმედებითი მუშაობის კონკრეტულ ანალიზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მწერლების მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. აუცილებელია ამ მიმართულებით მრავალი მეცნიერული შრომის გამოქვეყნება.

---

1) იხ. Русские писатели о литературе, ტ. II. 1939 წ., გვ 443.

ვასილ გოგოლაძე

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული. წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ახალია.

ავტორს კრებული რამდენიმე ციკლად დაუყვია: „სიტყვა მშვიდობაზე“, „ახალგაზრდობა“, „ჭოროხის ხვაშიადი“, „შვიდი ლექსი შუა აზიაზე“.

წიგნი იხსნება ციკლით „სიტყვა მშვიდობაზე“. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა პოეტმა იცის ფასი ხალხთა მშვიდობისა, რომ დღეს, როცა ამერიკის იმპერიალიზმი იარაღს აჟღარუნებს და ადამიანთა მოდგმას ემუქრება მოსპობით, ამზადებს ომს საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სტალინის ეპოქის მომღერალი პოეტი პირველ რიგებში დგას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მას ესმის, რომ ხიშტზე ძლიერია კალმის პატარა წვერით დაწერილი მართალი სიტყვა, სიტყვა, რომელიც რაზმავს საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი გამარჯვებისათვის, აღაფრთოვანებს მათ შრომაში და ბრძოლაში.

ფრიდონ ხალვაშის აღნიშნული წიგნი იხსნება ლექსით—„გაზაფხული“, რომელშიც პოეტი გაზაფხულს აკავშირებს მშვიდობასთან. როგორც გაზაფხულს მოაქვს ადამიანისათვის სიხარული, ისევე მშვიდობიანობა საშუალებას აძლევს ხალხებს იყვნენ უსაზღვროდ ბედნიერნი, აშენონ კომუნიზმის დიადი შენობა. პოეტი გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს გულის—მოსკოვისადმი... მოსკოვი არის მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანების ბედნიერების სიმბოლო, სწორედ აქედან იფრქვევა სინათლის შუქი მსოფლიოს ყოველ კუთხეში. მოსკოვი უქმნის ხალხებს მომავალს, ბედნიერ ცხოვრებას.

„მტრედისფერია მოსკოვის ზეცა,
იგი ხსნის ქვეყნის ოთხივე კედელს,
მზე მდინარეზე ყინულებს ლეწავს
და გაზაფხული შემოაქვთ მტრედებს.
აქ ავდრიანი ქარი არა ქრის,
ყოველი დილა თვალს ახელს აქვე,
დგას გაზაფხულის დედაქალაქი
და მსოფლიოზე სინათლეს აფრქვევს“, წერს პოეტი.

შემდგომ ლექსში—„მოსკოვისაკენ მიდიან გზები“,—პოეტი კვლავ გვაცნობს მის აღტაცებას მოსკოვით, სადაც ,. ადამიანს შეუძლია უფრო

ახლოს შეხედოს მზის ამოსვლას, საითკენაც მიილტვიან მსოფლიოს გზები. პოეტი გვეუბნება, რომ მშვიდობა იჭედება ყველგან: საბჭოთა ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, სადაც საბჭოთა მოწინავე მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება შეერთებულია მუშისა და კოლმეურნის შრომასთან მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად. მშვიდობა იჭედება იქ, სადაც შემოქმედებითს შრომას ეწევიან, როგორც პოეტი ამბობს: „მშვიდობას ნიშნავს მღელვარე ყანა, ათქვირებული ჩაის ბუჩქები“.

„მშვიდობა არის,—მშრომელის ხელმა
რომ დადგა ხვავი მთებისოდენი,
მშიდობა არის,—ბობოყვათელმა
მკერდზე აინთო შვიდი ორდენი.“

მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხები მარტო როდი არიან. კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, იქ დამყარებული რეაქციული წყობილების მიუხედავად, ჩვენ გვყვანან მოკავშირეები, თანამგრძნობები, თანამებრძოლები, რომლებიც თავგამოდებით იცავენ მშვიდობას. თურქი ხალხის სასახელო შვილი ნაზიმ ჰიქმეთის გაუტეხელი ნებისყოფა, მისი ლექსების ყოველი სტრიქონი მიმართულია საკუთარი ხალხის დასაცავად ამერიკელ-თურქ მოძალადეებისაგან, მიმართულია იქეთკენ, რომ დაიცვას მშვიდობა მთელს მსოფლიოში. „გრიგალს მიაპობს ჯარისკაცივით ნაზიმ ჰიქმეთის ლექსი“-ო—ამბობს პოეტი. ზანგი რობსონის მრისხანე ხმა, მისი ბრძოლა მშვიდობისათვის მიმართულია ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ზანგი ხალხის ინტერესების დასაცავად, და პოეტი მღერის რობსონზე.

„მშვიდობის შუქი სიმღერას უნთებს,
მსოფლიო უსმენს მქუხარე რობსონს,
იგი სამშობლოს ეძახის რუსეთს,
სინათლის გამჩენს ეძახის მოსკოვს“.

ამაღელვებელი ლექსია „დედის სიტყვა“, მიძღვნილი ზოია კოსმოდემიანსკაიას დედისადმი, რომელმაც პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მომხრეთა პარიზის კონგრესზე. კითხულობთ მის სტრიქონებს და თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ ურყევი ნებისყოფის, შვილების გმირობით გამხნევებული, ამაყი საბჭოთა დედა, რომელსაც ყველაზე მეტი უფლება აქვს მოითხოვოს ხალხებს შორის მშვიდობა, რადგან მან მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგად დაკარგა ორი შვილი, დედა, რომელმაც თავისი თვალით იხილა ადამიანის სამოსელში გახვეული იმპერიალისტების ვერაგობა და მხეცობა. ზოიას დედამ კარგად იცის, რომ მისებრ შვილების აღმზრდელი დედა საყოველთაო სიყვარულით არის გარემოსილი. პოეტი წერს:

„დედა მუშტების აშვერით
ასე ამთავრებს სიტყვას:
— მე ყველა დედის სახელით
ამ ტრიბუნიდან მითქვამს:
როგორაც გვიყვარს შვილები,
ისე მშვიდობა გვიყვარს!“

ფ. ხალვაშს საყურადღებო ლექსი აქვს მიძღვნილი მშობლიურ ბათუმისადმი, რომელიც იყო ჭაბუკი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ასპარეზი და რომელიც მშვენიერდება და წინ მიდის.

„ზღვის და ხმელეთის ღიმილივით მოჩანს ბათუმი,
სანაპიროზე ბაღნარებით წამომართული.
როგორ გაზრდილა, მხარი ცამდი აუწევია,
მის გათენებას დაღამება არ უწერია.
მშვიდობა არის, მზე ბაღნარებს ქარგავს ფერადად,
მზე საუკუნის გარიჟრაჟზე მოგვცა ბელადმა“.

წიგნის მეორე განყოფილება „ახალგაზრდობა“—შეიცავს ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ ლექსებს. პოეტი მთელი გრძნობით უმღერის საბჭოთა ბედნიერ ახალგაზრდობას, კოშევოისა და მატროსოვის თაობის ახალგაზრდობას.

ამ ციკლის ლექსებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მოცემულია ახალგაზრდობის ცხოვრებისა და ბრძოლის ეპიზოდები მშვიდობისათვის ბრძოლაში. ლექსები: „ამხანაგ ლ. ბერიასადმი“, „ერთი ლექსის საღამო“, „იულიუს ფუჩიკი მშვიდობის ფესტივალზე“, „სიმღერა გმირ ჯინჭარაძეზე“ და სხვა, გამოხატავს ახალგაზრდობის პატრიოტულ განცდებს სამშობლოსადმი, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავდადების მზადყოფნას და მათ ბრძოლასა და შრომას კომუნიზმისათვის.

საინტერესოა ლექსების ციკლი „ჭოროხის ხვაშიადი“. ამ ციკლის ლექსები გადმოგვცემენ აჭარის წარსულს, მის ბრძოლას თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ, თურქეთისა, რომელიც სამასი წლის მანძილზე მაჯლაჯუნასავით თავზე აჯდა აჭარელ მშრომელებს და სისხლს სწოვდა, სპობდა ყოველივე ქართულს. როცა ამ ლექსებს კითხულობთ და ძველ ყოფას ადარებთ თანამედროვე აჭარის მშრომელთა ცხოვრებას, სიხარულით აღივსებით, უსაზღვრო კმაყოფილება გიპყრობთ და წრფელი მადლობის გრძნობებით გაიმსჭვალებით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელმაც ბნელეთში შეანათა და ნამდვილი, ადამიანური სიცოცხლე დაამკვიდრა. ამიტომ ამ ლექსებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ ახალგაზრდობისათვის. პოეტი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავს თავისი დედასამშობლოს—საქართველოსადმი, რომლის განუყოფელი ნაწილია აჭარა.

ფ. ხალვაშს, როგორც პოეტს, აქვს საკუთარი ხმა, ახლის შეგრძნობის უნარი, პოეტური ფერების მოძებნის გემოვნება, რასაც ამტკიცებს სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა, ამიტომ მით უფრო სასაყვედუროა, რომ ლექსების კრებულში შეტანილია ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც ატყვია აჩქარება, მარტო რითმებით გატაცება.

თემატურად საყურადღებო ლექსია—„მშვიდობის ქუჩა“, მაგრამ მასში არის ბუნდოვანი სტრიქონები:

„მიაქვს მასალა „ვოლგამშენისთვის“,
გზას მოძრაობა არ მიატოვებს,
ქალაქი წინა ხაზებზე გადის
და აგუგუნებს ექსკავატორებს“.

დაუმუშავებლობის შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსი „ბალადა ორ გზაზე“ სადაც ვკითხულობთ:

„წევს ოკეანე ნისლში გაშლილი,
ჩქარობს და არც კი სძინავს კაპიტანს,
იცის—ბომბეის ტანჯავს შიმშილი,
კარგია პურს თუ ადრე ჩაიტანს.“

ლექსში „შემოდგომა კორეაში“ ვკითხულობთ:

„მიწა დაფარა ცეცხლის მორევმა,
კვნესის მწუხარე მზით შეფერილი,
და სისხლში ცურავს მთელი კორეა
ანძებდამტვრეულ კრეისერივით.“

თავი რომ დავანებოთ ამ სტროფის პოეტურ სისუსტეს, იგი არ გადმოგვცემს კორეელი ხალხის გმირული ბრძოლის ნამდვილ სურათს. განა მთელი კორეა ანძებდამტვრეულ კრეისერს შეიძლება შევადაროთ?

გაუგებარია, რომელ პერიოდს აგვიწერს პოეტი თავისი ლექსის— „ბალადა შოფერზე“ ქვემოდმოყვანილ სტროფში:

„დღედაღამ ოფლი სდიოდა,
არ ჰქონდა მაინც სარჩო,
და უთქვამს:—„ჩემი სიცოცხლე
რაღა ტანჯვაში ვხარჯო,
წავალ ვიშრომებ იქ, სადაც
იციან შრომის ფასი“.
და ერთი შვილით, თურმე, სარფს
მოადგა ბერიკაცი.
სიმართლეს სად იშოვიდა,
კაცს ბედი ჰქონდა მრუდე.
შიმშილმა დასცა, აქაურ
კენჭებმა ჩაიხუტეს...
ეს ძველად იყო, მაშინ სარფს
შუა არ ჰქონდა ზღუდე“.

გამოდის, რომ ძველად, როცა ორად არ იყო გაყოფილი სარფი, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო ისეთი ქვეყანა, სადაც იცოდნენ შრომის ფასი? ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ პოეტი დაუმუშავებელი ლექსების შეტანასაც არ მორიდებია მის ახლადგამოცემულ წიგნში.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა ფრიდონ ხალვაშის ლექსების ახალი წიგნი მოწმობს პოეტის ზრდას.

ზოთა ქურიძე

„ბაგრატიონი“ ბათუმის თეატრში

ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ამირან შერვაშიძის ხუთმოქმედებიანი პიესა „ბაგრატიონი.“

გამოჩენილი მხედართუფროსის, 1812 წლის სამამულო ომის სახელოვანი გმირის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის მრავალფეროვანი ცხოვრება დრამატურგს მდიდარ მასალას აძლევდა შეექმნა პოლიტიკურად მახვილი და ღრმადიდეური პატრიოტული პიესა. ეს შესაძლებლობა დრამატურგმა კარგად გამოიყენა.

პიესის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვეთებით, თუმცა გასული საუკუნის დამდეგის ისტორიულ ამბებს გადმოგვცემს. იმ მდიდარი მასალიდან, რაც ბაგრატიონის გარშემო წლების მანძილზე დაგროვდა, დრამატურგს შეურჩევია მხოლოდ დამახასიათებელი, მხოლოდ ისეთი, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოგვცემს გამოჩენილი მხედართუფროსის სამხედრო გენიას, სამშობლოსადმი, დიდი რუსი ხალხისადმი მის უმწიკვლო სამსახურს, უსაზღვრო ერთგულებასა და თავდადებას, რომელიც ყველაზე უფრო ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას. ამის შედეგად პიესა საკმაოდ ტენდენციურია, ხოლო ტენდენციურობის გარეშე, როგორც ცნობილია, არ არსებობს მოწინავე იდეებით გამსჭვალული ლიტერატურა.

პიესაში ხაზგასმულია ბაგრატიონის დემოკრატიზმი, ღრმა სიყვარული და ერთგულება რუსი ხალხისადმი, ურყევი რწმენა რუსი ჯარისკაცისადმი. დრამატურგი ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდით ახერხებს გადმოგვცეს ბაგრატიონის უშუალო კავშირი ხალხთან, რუსეთის არმიასთან. ამ მხრივ დამახასიათებელია ჯარისკაცებთან დიდი მხედართუფროსის საუბრის ეპიზოდი. თავისუფალ დროს ბაგრატიონი მიდის ჯარისკაცებთან და გულითადად, უბრალოდ, როგორც თანასწორი თანასწორთან, ესაუბრება მათ. ბევრ ჯარისკაცს იგი პირადად იცნობს და ახსოვს მათი შეუდარებელი გმირობა სხვადასხვა ლაშქრობებსა და ბრძოლებში. ბაგრატიონი ისე ახლოს დგას ჯარისკაცებთან, რომ ზოგჯერ მათ ჩიბუხს ეწევა. ჯარისკაცებსაც უყვართ და აფასებენ ბაგრატიონს. ამ სიყვარულის მკაფიო გამომხატველია ვასილის მცირედი ჯარისკაცური საჩუქარი.

ბაგრატიონს იგი სახსოვრად აძლევს არა მარტო საყვარელ ჩიბუხს, არამედ ხის სათუთუნესაც, რომელიც თავისი ხელით გათალა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს. ამ პატარა ეპიზოდით დრამატურგი საკმაოდ ბევრს ამბობს. იგი დამაჯერებლად გადმოგვცემს ბაგრატიონისა და რუსეთის არმიის ურთიერთ სიყვარულს, მათს უშუალო კავშირს, დიდი მხედართუფროსის უბრალოებას.

ასევე უბრალოდ, მაგრამ დამაჯერებლად გვიჩვენებს დრამატურგი ბაგრატიონის ერთ-ერთ ძვირფას თვისებას—დაუყოვნებლივ მხარი დაეჭირა რუსი პატრიოტების ყოველგვარი თაოსნობისათვის, რაც კი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. ბაგრატიონი პირველი დაეხმარა დენის დავიდოვს პარტიზანული მოძრაობის გაჩაღებაში ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ და ამით ხელი შეუწყო საყოველთაო-სახალხო ომის გაძლიერებას უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განსათავისუფლებლად. დიდმა მხედართუფროსმა წინასწარ განჭვრიტა, თუ რა სარგებლობას მოუტანდა სამშობლოს, რუსეთის არმიას უბრალო გლეხის ნიკიფოროვის თაოსნობა რუსეთის არმიის დასახმარებლად სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის შეგროვების შესახებ. ბაგრატიონმა პატრიოტი გლეხი, თავისი დამბაჩით დაასაჩუქრა და რუსეთის არმიის სახელით მადლობა გადაუხადა სამშობლოსადმი ერთგულებისათვის. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამავე ეპიზოდში დრამატურგი მკაფიოდ გვიჩვენებს ბაგრატიონის ზიზღს ბატონყმობისადმი, მის ღრმა დემოკრატიულ მისწრაფებებს, მემამულეთა ანტიპატრიოტიზმს და გონებრივ სიჩლუნგეს.

რამდენადაც მხურვალედ უყვარდა ბაგრატიონს რუსი ხალხი და რუსი ჯარისკაცი, იმდენად ძაგდა მას სასახლის ინტრიგები, გონებაჩლუნგი ბიუროკრატი მოხელეები, გენერლები, რომლებიც ბრძოლის ველზე სახელოვანი მხედრული საქმეებით დაწინაურებას ამჯობინებდნენ მეფის სასახლეში „დამსახურებულ“ კარიერას. განსაკუთრებული ზიზღით ეკიდებოდა ბაგრატიონი უგვარტომო კოსმოპოლიტებს—მეფის სასახლეში მოკალათებულ უცხოელებს, რომლებიც მხოლოდ პირადი კეთილდღეობის, გამდიდრებისა და კარიერისათვის ზრუნავდნენ და არაფრად მიაჩნდათ რუსეთის ინტერესები. დრამატურგი რამდენიმე კარგად მოფიქრებულ სცენაში ბოლომდე ამხელს ამ უგვარტომო კოსმოპოლიტებს, როგორც პირადი ანგარებით გატაცებულ სამხედრო „ჭოღვაწეებს“. აი ერთი ეპიზოდი: უცხოელი გენერალი ბენიგსენი რუსეთის ტერიტორიაზე ნაპოლეონის არმიის შემოჭრას შეხვდა როგორც ტიპიური კერძო მესაკუთრე, რომელიც თავის საკუთრებას, თავის ქონებას ყველაფერზე მაღლა აყენებს. ომის დაწყება მას მხოლოდ იმდენად აწუხებს, რამდენადაც მის ქონებას ვილნოში საფრთხე მოელის. იგი უპირველეს ყოვლისა იმისათვის ზრუნავს, რომ არ დაკარგოს ეს ქონება, როგორმე მიყიდოს იგი მეფეს და, როცა მიზანს მიაღწევს, სავსებით მშვიდად გრძნობს თავს—მის ინტერესებს, მის პირად ქონებას საფრთხე აღარ მოელის. ამიტომ დიდი მამხილებელი ძალით გაისმის ბაგრატიონის მიერ წარმოთქმული სიტყვები გენერალ ბარკლაი დე-ტოლისთან საუბარში: „თქვენ ყველანი ერთი ცომისაგან გამომცხვარი ნაზუქები ხართ—უცხოელები!“ და როცა ბარკლაი დე-ტოლი შეეცადა გაეიგივებინა რუსეთის იმპერიის არარუს

ეროვნებათა წარმომადგენლები უცხოელ უგვარტომო კოსმოპოლიტებთან—აი შენც არა ხარ რუსი, ქართველი ხარო, ბაგრატიონმა მას საკადრისი პასუხი გასცა: „ეგ კი არ გამოგივიდათ! საქართველომ, ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი რუსი ხალხის ბედს“. ამით დრამატურგმა ნათლად გვიჩვენა, რომ რუსეთის ბედი საკუთარ ბედად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის ყველა არარუს ხალხს, რომ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას თავისი დიდი წარსული აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პიესაში ხალხის პატრიოტიზმი სამართლიანად არის გამიჯნული იმდროინდელი სოციალური წყობილებისადმი ერთგულებისაგან, „ოფიციალური პატრიოტიზმისაგან“. 1812 წლის სამამულო ომში რუსი ხალხი მხოლოდ თავის სამშობლოს იცავდა და არა ბატონყმურ-თვითმპყრობელურ რეჟიმს. დრამატურგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ სურდათ გამოეყენებინათ ნაპოლეონის აგენტებს რუსი ხალხის ეს სიძულვილი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობისადმი, რათა ამით შეესუსტებინათ რუსეთის არმიისა და რუსი პატრიოტების წინააღმდეგობის ძალა. ისინი ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ნაპოლეონი გლეხებს პირდებოდა ბატონყმობის მოსპობას, პირად განთავისუფლებას, მაგრამ რუსი პატრიოტები ამ ანკესს არ წამოეგნენ. „სისულელეს ამბობ. ბონაპარტეც და ალექსანდრეც მეფენი არიან. ისინი ჩვენთვის არ იბრძვიან. ამჟამად ჩვენ დედა რუსეთის დასაცავად უნდა ვიზრუნოთ“,—ასე პასუხობს უბრალო გლეხი ნიკიფოროვი მტრის აგენტს.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დრამატურგი არ იფარგლება ბაგრატიონის მარტო სამხედრო მოღვაწეობით და ამასთან ერთად გვიჩვენებს მისი პირადი ცხოვრების ზოგიერთ დამახასიათებელ ეპიზოდსაც. დრამატურგი ამ შემთხვევაშიც სწორ პოზიციაზე დგას. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გენერალ ბაგრატიონს არ ჰქონდა ხალხის ინტერესებისაგან გამოთიშული პირადი ინტერესები. მისი პირადი ცხოვრება ექვემდებარებოდა და ემორჩილებოდა ხალხის, სამშობლოს ცხოვრებას.

დიდი სიყვარულით შეუქმნია დრამატურგს გამოჩენილი რუსი მხედართუფროსების—ბაგრატიონის საყვარელი მასწავლებლების სუვოროვისა და კუტუზოვის, აგრეთვე რუსეთის სხვა პატრიოტთა მხატვრული სახეები. მართალია, ისინი მხოლოდ ეპიზოდურ სცენებში მონაწილეობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრამატურგი მაინც ახერხებს გვიჩვენოს მათი მგზნებარე პატრიოტიზმი, მათი თავდადება და ერთგულება რუსი ხალხისადმი.

პიესაში კარგადაა ნაჩვენები აგრეთვე მეფის სასახლის ცხოვრება და მშრომელი ხალხის სიძულვილი ბატონყმობისადმი, მეფისა და მისი მოხელეებისადმი. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მისწრაფებათა გადმოსაცემად დრამატურგი მიმართავს მკვეთრ კონტრასტებს. იმ დროს, როცა მეფის სასახლე, მოხელეები და მემამულეები გართული არიან ინტრიგებით, კარიერისტული მისწრაფებით და ფუქსავატურად ცხოვრობენ, რუსეთის ჭეშმარიტი პატრიოტები—მშრომელები დაუღალავად ზრუნავენ სამშობლოს გადასარჩენად. ერთ-ერთი რუსი მემამულე, მაგალითად, სამამულო ომის დღეებში, მაშინაც კი, როდესაც ნაპოლეონის არმია მისი მამულიდან უკვე შორს აღარ იდგა, ორი დღე-ღამე პრეფე-

რანსს თამაშობდა და ქეიფობდა. იგი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გაიგო, რომ მის ქონებას საფრთხე ელოდა და, უპირველეს ყოვლისა, თავისი მამულის ბედი აწუხებდა. ეს ის მემამულეა, რომელმაც ბრძანება გასცა, გაეროზგათ გლეხი ნიკიფოროვი იმისათვის, რომ სოფლელებს მოუწოდა შეეგროვებინათ სურსათ-სანოვაგე და ფურაჟი რუსეთის არმიისათვის. ამ ეპიზოდით დრამატურგი თვალნათლივ გვიჩვენებს რუსეთის ნამდვილ პატრიოტებს, ვინ იბრძოდა სამშობლოს ინტერესებისათვის და ვინ ღალატობდა რუსეთის ინტერესებს.

ნაპოლეონის სახის შექმნისას დრამატურგს ზომიერად გამოუყენებია სატირიკული ხერხები და დამაჯერებლად გადმოგვცემს „მსოფლიო ბატონობისაკენ“ არა მარტო ბონოპარტეს მისწრაფების სასტიკ მარცხს, არამედ საერთოდ ყოველგარი ასეთი მისწრაფების სრულ უნიადაგობას. მიუხედავად იმისა, რომ გულდასმით და ხანგრძლივად ემზადებოდა რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის, ნაპოლეონმა სასტიკი დამარცხება განიცადა რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე. ნაპოლეონმა წინასწარ დაიპყრო თითქმის მთელი ევროპა, რათა რუსეთის წინააღმდეგ გამოეყვანა არა მარტო ფრანგთა არმიები, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების ჯარისკაცებიც. „მსოფლიო ბატონობის“ უსაფუძვლო იდეითა და ევროპაში იოლად მოპოვებული წარმატებებით თავბრუდახვეული ნაპოლეონი არავითარ ანგარიშს არ უწევდა ისტორიის გაკვეთილებს. კიდევ მეტი იგი ზვიადად ფიქრობდა, რომ ისტორიას თვითონ ქმნიდა. მე ისტორიისაგან კი არ ვსწავლობ, არამედ ვკარნახობ ისტორიას“,—აცხადებს იგი. ნაპოლეონს არაფრად მიაჩნდა მსხვერპლი, ხალხის უკიდურესი გაჭირვება, ის ნგრევა და განადგურება, რაც ომის განუყრელი თანამგზავრია. მას ომი ხელობად მიაჩნდა. „ომი ჩემი ხელობაა. მე მას შევეჩვიე“, ამბობს ნაპოლეონი. მისთვის ომი სახელის მოხვეჭისა და პატივმოყვარეობის საქმეა. „ერთი ზედმეტი ომი ზედმეტი ტრიუმფია ჩემთვის“,—აცხადებს იგი. ნაპოლეონის სახით ასეთი ტრაქტოვკა ამხილებს „მსოფლიო ბატონობის“ თანამედროვე პრეცენდენტებსაც—ამერიკელ-ინგლისელ ომის გამჩაღებლებს, რომლებიც, მიუხედავად ხალხთა დღითი-დღე მზარდი წინააღმდეგობისა, გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს და ისწრაფვიან თავიანთი ბატონობა გაავრცელონ მსოფლიოს ყველა ხალხზე.

რა თქმა უნდა, პიესას აქვს ნაკლოვანებებიც. იგი რამდენადმე ფრაგმენტულია და კომპოზიციურად ჯეროვნად არ არის შეკრული. ხშირად სურათი არ წარმოადგენს წინა სურათის ბუნებრივ გაგრძელებას და საფუძვლად არ უდევს მომდევნო სურათს. ეს იმით აიხსნება, რომ დრამატურგი გადმოგვცემს ბაგრატიონის ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტს, ცალკეულ ფრაგმენტებს, უმთავრესად სამამულო ომის პერიოდიდან, და ამ ფრაგმენტებს მექანიკურად აკავშირებს ერთიმეორესთან. ამითვე აიხსნება, რომ პიესაში ხასიათები არ ვითარდება. პიესის დასაწყისშივე ბაგრატიონის ხასიათი მოცემულია როგორც სავსებით ჩამოყალიბებული, რაც შემდეგ რაიმე შესამჩნევ ცვლილებას არ განიცდის. ასევე ითქმის სხვა პერსონაჟთა შესახებაც, ამასთან ზოგიერთ მათგანს აკლია დამუშავება და შემდგომ დახვეწას მოითხოვს. მკრთალია, მაგალითად, დენის დავიდოვის სახე. იგი წარმოგვიდგება მხო-

ლოდ როგორც მოუთმენელი, სულწასული ადამიანი და გაუგებარი რჩება—რად ენდობოდა ასე დენის დავიდოვს ბაგრატიონი, როგორ გახდა ასეთი ადამიანი პარტიზანული მოძრაობის ინიციატორი და ხელმძღვანელი. პიესაში ასახვა ვერ ჰპოვა აგრეთვე რუსი ქალების უბადლო პატრიოტიზმმა. მათი თავდადებული ბრძოლა ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ, სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არც ერთ ეპიზოდში არ ჩანს.

პიესის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ენობრივად არ არის გამართული და ხშირად იგრძნობა რუსიციზმები. აი ზოგიერთი მათგანი: „იყავით სრული იმედით, თქვენო ბრწყინვალებავ“, „ორი დღე-ღამეა პრეფერანსს თამაშობს და ქეიფს შეექცევა“, „მე ძალიან შორს ვდგევარ იმისაგან, რომ ბაგრატიონს შესთავაზოთ ასეთი შეურაცხმყოფელი გამოსავალი“, „დღეს თუ არა ხვალ, რუსეთი დაეცემა ჩვენი დიდი არმიის ძლიერების ქვეშ“ და ა. შ. რუსული სახელისა და გვარის ქართულად გადმოღებისას დრამატურგი არ იცავს ერთიან ტრანსკრიპციას. ასე, მაგალითად, სკავრონსკაიას პიესაში ჰქვია ელიზავეტა, (უნდა ერქვას ელისაბედი), სახელსა და მამისსახელს ხან ქართული დაბოლოებით წარმოთქვამენ, ხან კი რუსულით.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, დრამატურგმა ცხადყო, რომ თეატრის კოლექტივთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირით შეუძლია შექმნას იდეურად გამართული და პოლიტიკურად მახვილი პიესა. სასურველია დრამატურგმა ასეთივე სიყვარულით ასახოს ჩვენი დიადი თანამედროვის—საბჭოთა ადამიანის ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობამ (სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი შ. მესხი) და დამდგმელმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟ. შ. ინასარიძემ, დიდი მუშაობა გასწიეს დრამატურგთან ერთად, რათა შეექმნათ იდეურად გამართული, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლი. ამ მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია. სპექტაკლი „ბაგრატიონი“ გულთბილად მიიღო მაყურებელმა და თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად და მის სერიოზულ შემოქმედებით წარმატებად მიიჩნია.

დამდგმელ რეჟისორს შ. ინასარიძეს სამართლიანად გაუმახვილებია ყურადღება მოქმედი პირების ხასიათების სწორად გახსნაზე. ამით სპექტაკლმა უთუოდ მოიგო. ძირითადი როლების შემსრულებელნი მოწოდების სიმაღლეზე დგანან და მთელ კოლექტივთან ერთად საკმაოდ მწყობრ ანსამბლს ქმნიან.

ბაგრატიონის საინტერესო და მიმზიდველ სახეს ხატავს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კობალაძე. მისი თამაში გამოირჩევა დიდი შინაგანი სითბოთი. განსაკუთრებით კარგად გადმოგვცემს იგი ბაგრატიონის თავდადებასა და ერთგულებას სამშობლოსადმი, უსაზღვრო სიყვარულს რუსი ხალხისა და რუსი ჯარისკაცისადმი, მის დემოკრატიულ მისწრაფებებს. სამწუხაროდ მსახიობი ზოგიერთ სცენაში მიმართავს ქართული ენისათვის შეუფერებელ მახვილს. მეტი გამომსახველობაა საჭირო ბაგრატიონის სიკვდილის ეპიზოდში.

მშვენივრად ასრულებს ნაპოლეონის როლს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ხინიკაძე. მსახიობს როლი გააზრებულად მიჰყავს და სერიოზულ შემოქმედებით წარმატებას აღწევს. ხმა, ჟესტი, პოზა, მთელი რიგი საინტერესო მიზანსცენები ნაპოლეონს წარმოგვიდგენენ, როგორც თავისთავში დარწმუნებულ დიქტატორს, ხალხთა სისხლიან დამპყრობს, რომელმაც რუსი ხალხის დამორჩილება და „მსოფლიო ბატონობა“ განიზრახა. ამასთან მსახიობი ნაპოლეონის მარცხს წარმოგვიდგენს არა მარტო როგორც პიროვნების მარცხს, იგი ცხადად გვიჩვენებს „მსოფლიო ბატონობის“ თვით იდეის განწირულობასა და უნიადაგობას. „მსოფლიო ბატონობის“ პრეცენდენტს, უეჭველია, იგივე ბედი მოელის, რაც ნაპოლეონმა განიცადა რუსეთის ველებზე.

კარგია ფრანგ ბერტიეს როლში საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. მგელაძე. ბერტიე ცდილობს გამოიყენოს პეტრე ბაგრატიონის ოჯახური მდგომარეობა და უპატიოსნო გზით თავიდან მოიცილოს სახელოვანი მხედართუფროსი, რაც ფრანგთა სარდლობის აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებას. განსაკუთრებით ძლიერად მიჰყავს მსახიობს სცენა ბაგრატიონის მეუღლე ელიზავეტა სკავრონსკაიასთან.

პეტრე ბაგრატიონის მეუღლის ელიზავეტა სკავრონსკაიას როლს ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. თეთრაძე. ელიზავეტა სკავრონსკაია გაორებული პიროვნებაა. იგი აღტაცებულია ბაგრატიონის სახელით, მისი სამხედრო გენიითა და უშიშროებით, მაგრამ ამავე დროს არისტოკრატიულ სალონებში აღზრდილს არ მოსწონს დიდი მხედართუფროსის უბრალო ჯარისკაცური ცხოვრება, მისი პირდაპირობა და გულწრფელობა. მან ვერ გაიგო ბაგრატიონის ხასიათი და მისწრაფებანი, არ ესმის, რომ ბაგრატიონი არ შეიძლებოდა ყოფილიყო „დენდი“, მეფის სასახლის ინტრიგების მონაწილე და ურცხვი კარიერისტი. სკავრონსკაიას ამ გაორებას, რამაც იგი დანაშაულამდე მიიყვანა და ფრანგი ბერტიეს ბრმა იარაღი გახადა, ნ. თეთრაძე გულწრფელად და დამაჯერებლად გადმოგვცემს.

გამოჩენილი რუსი ფელდმარშლების სუვოროვისა და კუტუზოვის დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. ახვლედიანი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. ღლონტი. ისინი რუსეთის ამ სახელოვან მხედართუფროსებს წარმოგვიდგენენ როგორც მგზნებარე პატრიოტებს, რომლებისათვისაც ხალხთან კავშირი და რუსეთისადმი სიყვარული არის მძლავრი დასაყრდენი ძალა მრავალრიცხოვან ლაშქრობასა და გამარჯვებაში.

უნიჭო და გონებაშეზღუდული გერმანელი გენერლის, სიმდიდრისა და სახელის მოხვეჭის მიზნით რუსეთის არმიის სამსახურში მყოფ ბენიგსენის როლს დამაჯერებლად ასრულებს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. სვანელი. მსახიობი გვიჩვენებს ამ უცხოელი გენერლის გაიძვერობას, მოჩვენებითს კეთილშობილებას, რუსეთისადმი მისი ერთგულების სიყალბეს და კარიერისტულ მისწრაფებებს. ბენიგსენისა და მისი მსგავსი სამხედრო „სპეციალისტებისადმი“ პატივისცემაში ნათლად გა-

მოსკვივის მეფის რუსეთის მმართველი წრეების მონური ქედის მოხრა ყოველგვარი უცხოურისადმი, მათი ანტიპატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი.

საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნიან აგრეთვე აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. დოლონაძე (იმპერატორი პავლე პირველი), მსახიობი ს. ძიძაძე (დენის დავიდოვი), მსახიობი მ. ჯალადანია (პოლიციის მინისტრი ბალაშოვი) და ა. შ. მეტს მოველოდით მსახიობ ი. ზოიძისაგან ბარკლაი დე-ტოლის როლში. ბაგრატიონის არმიის ჯარისკაცის პახომის როლს კარგად ასრულებს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი შ. გეჯაძე, მაგრამ რამდენადმე აშარჟებს მას.

მაღალ მხატვრულ დონეზე დგას სტალინური პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. თავაძის მხატვრობა. დამაკმაყოფილებელია აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის ა. კორშონის მუსიკა. ორკესტრს კარგად უძღვება დირიჟორი ნ. ქადაგიძე.

სპექტაკლი „ბაგრატიონი" ბათუმის სახელმწიფო თეატრის ახალი შემოქმედებითი წარმატებაა. იგი ცხადყოფს, როგორი დადებითი შედეგი მოაქვს დრამატურგისა და თეატრის კოლექტივის შემოქმედებითს კავშირს. ეს კავშირი მომავალში უფრო უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს. ეს იქნება როგორც თეატრის, ისე ადგილობრივი დრამატურგიული ძალების პროფესიული წინსვლის ერთ-ერთი სერიოზული პირობა.

ლადო ზარაზიძე

ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი

აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის 30 წლისთავის გამო

1952 წლის სექტემბერში შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. მის მიერ 30 წლის მანძილზე მოპოვებული შემოქმედებითი წარმატებები ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა, პოლიტიკისა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღორძინება და აყვავება.

ქართული კულტურის საერთო აღმავლობის ფონზე იფურჩქნება და წარმატებებს აღწევს ხელოვნება და ლიტერატურა აჭარაში, სადაც კულტურულ მშენებლობას უდიდესი სიძნელეების გადალახვა დასჭირდა, რადგანაც საქართველოს ეს კუთხე სამასი წლის განმავლობაში გმინავდა თურქი დამპყრობლების უღელქვეშ, რომელთა ბატონობამ ბევრი რამ ეროვნული წაბილწა და გადააგვარა.

მაგრამ აჭარლები, ეს ქართველი ტომი, მთელ სამხრეთ საქართველოს ქართველებთან ერთად საუკუნეთა მანძილზე მამაცურად იბრძოდნენ ქართული ეროვნული სულიერი სახის შენარჩუნებისათვის, რის გასაქრობად არავითარ ველურ საშუალებას არ ერიდებოდნენ თურქი დამპყრობლები. თურქმა მტარვალებმა აჭარაში მოსპეს მეურნეობის მრავალი დარგი, მაგალითად, მევენახეობა და მეაბრეშუმეობა, ჩაკლეს კულტურული ცხოვრება, რაც აქ წინათ წყაროსავით ჩქეფდა. მაგრამ აჭარის მშრომელთა თავგანწირულ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია—მათ შეინარჩუნეს მშობლიური ქართული ენა—კულტურის ძირითადი მონაპოვარი, და 1878 წელს, რუსთა მხედრობის მიერ განთავისუფლებულნი, კვლავ დაუბრუნდნენ დედა-სამშობლოს—საქართველოს.

საქართველოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწენი ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ აჭარაში წარმატების გზაზე დაეყენებინათ ქართული კულტურის საქმე. მართალია, ამ მხრივ მათ ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ აჭარაში ნამდვილი კულტურული აღორძინება, კულტურისა და ხელოვნების კერების შექმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. ახლა აჭარა მოფენილია სკოლების, კლუბების, სამკითხველოების ფართო ქსელით. ამან უზრუნველჰყო აჭარის მკვიდრთა გათვითცნობიერება, მათი კულტურული დონის ამაღლება.

კულტურული ცხოვრების აღმავლობის პროცესში დაიბადა და გაიზარდა ბევრი სახელოვნო დაწესებულება, რომლებმაც ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს. ერთი ამათგანია აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მომღერალთა გუნდის სახით ჩამოყალიბდა 1922 წელს, ცნობილი ლოტბარის, შემდეგში საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მელიტონ კუხიანიძის თაოსნობით.

გუნდმა იმთავითვე მიზნად დაისახა შეესწავლა აჭარის მუსიკალური ფოლკლორი, რომელიც გამოირჩევა თავისი მელოდიურობით. ანსამბლმა ძველი აჭარული ცეკვების შესწავლა-გავრცელების მხრივაც ბევრი რამ გააკეთა. გუნდმა შეისწავლა აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები და ცეკვები. შემდეგში ამითაც არ დაკმაყოფილდა და დაამუშავა ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე მოძმე ხალხთა სიმღერა-ცეკვები.

სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაზე, რომელიც 1929 წელს მოეწყო თბილისში, აჭარის შერეული მომღერალთა აკადემიური გუნდიც მონაწილეობდა.

გაზეთი „კომუნისტი" ამ ოლიმპიადაზე მონაწილე აჭარის გუნდის შესახებ წერდა: „აჭარის აკადემიური გუნდი მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით წარმოადგენს იმგვარ მხატვრულ დამუშავებულ ერთეულს, რომლის შემოქმედება განსაკუთრებულად ჩაითვლება. გუნდი სავსებით ემორჩილება ნიჭიერი ლოტბარის განზრახვას; ამ გუნდის საორგანიზაციო, ტექნიკური და მხატვრული მხარე ნამდვილად პირველხარისხოვანია და ამიტომ პირველხარისხოვანი უნდა იყოს მისი კვალიფიკაციაც არა მარტო საბჭოთა საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში."

ჟიურის გადაწყვეტილებით აჭარის აკადემიურ გუნდს პირველი ჯილდო მიეკუთვნა.

იმავე წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აჭარის აკადემიური გუნდი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში.

მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ კონცერტს დაესწრო ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც დიდი შეფასება მისცა გუნდის მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ აჭარის მომღერალთა გუნდი ის პირველი მერცხალი იყო, რომელმაც ჩვენს დედაქალაქს უჩვენა საბჭოთა საქართველოს მიღწევები ქართული მუსიკალური ხელოვნების დარგში.

გაზეთი „იზვესტია" 1929 წლის 21 ივლისის ნომერში წერდა: „შესრულების იშვიათი ოსტატობა და საუკეთესო მხატვრული დისციპლინა აჭარის სახელმწიფო აკადემიური გუნდისა, რომელმაც თავისი პირველი ტურნე საბჭოთა კავშირში მოსკოვში გამოსვლებით დაიწყო, მაჩვენებელია იმის, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია"...

აჭარის გუნდის კონცერტები იყო ქართული ეროვნული ხელოვნების ნამდვილი ტრიუმფი. გუნდს იმთავითვე ჰქონდა მდიდარი რეპერ-

ტუარი, როგორც ქართული, ისევე საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბ-ლიკების ხალხური სიმღერებით.

1941 წლიდან აჭარის აკადემიურ გუნდს სახელი შეეცვალა და ეწოდა აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ანსამბლი შესანიშნავი სკოლა იყო ვოკალური დარგის მსახიობები-სათვის. აქ მიიღო პირველი ვოკალური წრთობა საქართველოს ისეთმა გამოჩენილმა მომღერლებმა, როგორიც არიან სსრკ სახალხო არტისტი დავით ანდღულაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნიკოლოზ ბელაკნელი, მსახიობები გიორგი გოცირიძე, ასია სტეპანიანცი, ვარლამ გაბიძაშვილი და სხვები.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ანსამბლს სათავეში უდგას ამავე კოლექტივში აღზრდილი ნიჭიერი ლოტბარი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მირიან ჩხიკვიშვილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ანსამბლში შენარჩუნებულია მომღერალთა ძირითადი ბირთვი, რომელიც ანსამბლის არსებობის 30 წლის მანძილზე განუწყვეტლივ უმწიკვლოდ მუშაობს.

ამ ბირთვში შედიან კოტე ჯინჭარაძე, ნიკოლოზ გიორგაძე, ალექ-სანდრა ლოპატინა, ელენე კოსტავა, სერგო ბეგალოვი და ანსამბლის ახლანდელი ხელმძღვანელი მირიან ჩხიკვიშვილი.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი განუწყვეტლივ იზრდება ახალ-გაზრდა ნიჭიერი შემსრულებლებით. აჭარის მუსიკალურმა სასწავლე-ბელმა მნიშვნელოვანი კადრები აღუზარდა ჩვენს ანსამბლს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლში გაზრდილი და დავაჟკა-ცებული ნიჭიერი სოლისტების მილიცა კობალაძის, ალექსანდრე შალა-ძის, გუგული გაბისონიას და სხვათა მუშაობა.

ანსამბლის მხატვრულ სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრუ-ლებს მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის ასსრ დამ-სახურებული არტისტი, ნიჭიერი ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე.

ანსამბლის მიერ დადგმული ბევრი ცეკვა შესრულებულია ფაქიზი გემოვნებით და ქორეოგრაფიული ოსტატობით. პირველ რიგში ყურად-ღებას იპყრობს ცეკვები „ქართული“, „ხორუმი“, „ფერხული“, „ლა-ზური“, „განდაგანა“, „სვანური“ და სხვა.

ცეკვების ანსამბლში მოწონებას იმსახურებენ ნიჭიერი შემსრუ-ლებლები კობალაძე, ლუკაშვილი, ჩიჩუა, მიქელაძე და სხვები.

ანსამბლის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფოლკ-ლორს. ხალხური სიმღერის მუსიკალურ-პოეტური ენა, გამომუშავებუ-ლი საუკუნეების მანძილზე, აქ ღებულობს ახალ განვითარებას, ის მთლიანად ექვემდებარება საბჭოთა სინამდვილის ასახვას.

ანსამბლი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხური სიმღე-რების გამოყენებას, გადამუშავებას და მის მოტივებზე ახალი სიმღე-რების შექმნას. გუნდის რეპერტუარში ამჟამად არის 20 სიმღერა, რო-მელთაც სათავე ხალხურ შემოქმედებაში აქვთ.

სიმღერები „დილა არის“, „წანინა“, „სიმღერა სამშობლოზე“, „აჭა-რული შაირები“ და სხვ. ყველა ხალხურია და გუნდმა იგი უცვლელად შეიტანა თავის რეპერტუარში. ხოლო „სიმღერა საქართველოზე“,

„მშვიდობის ხმა ყოვლად უძლეური“, „დელი ოდელი ოდელა“, „მზიური საქართველო“ და სხვ., რომლებიც დამუშავებულია კომპოზიტორების მიერ და შესულია გუნდის რეპერტუარში, ხალხურ მოტივებზე აგებული სიმღერებია.

პროფესიული და ხალხური ხელოვნების სიახლოვე განსაკუთრებით იგრძნობა საყოველთაო-სახალხო თემებზე დაწერილ სიმღერებში. ასეთებია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერები.

აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მხოლოდ ნიჭიერი შემსრულებელი კოლექტივი როდია, იგი ამავე დროს ახალი სიმღერების შემქმნელიცაა. მან შექმნა ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სიმღერები, რომლებიც ხალხში გადავიდა და საქართველოს მრავალ კუთხეში პროფესიულ და თვითმოქმედი მუსიკალური კოლექტივების რეპერტუარს ამშვენებენ.

ანსამბლი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა წარსულის მუსიკალური შემოქმედების მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლას და გამოყენებას, ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას. მის რეპერტუარში ფართოდ არიან წარმოდგენილნი ისეთი კომპოზიტორები, როგორიცაა ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, კოტე მეღვინეთ-უხუცესი, მელიტონ ბალანჩივაძე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სიმღერის ტექსტზე მუშაობას. სიმღერის ტექსტი აქ გაგებულია, როგორც მუსიკალური ხელოვნების აუცილებელი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს მუსიკალური ნაწარმოების ზემოქმედების ძალას, მის ემოციურობას.

ანსამბლი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა აჭარაში მომუშავე პოეტებთან და კომპოზიტორებთან შემოქმედებითი კავშირის განსამტკიცებლად.

ანსამბლის რეპერტუარში შეტანილია ბათუმელი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალექსი ფარცხალაძის ოცი სიმღერა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ანსამბლის მიერ შესრულებული ფარცხალაძის „კომკავშირული მარში“, „აყვავებული აჭარა“, „საბჭოთა არმიას“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლის მიერ დამუშავებული ფარცხალაძის ორი სიმღერა დიდი სტალინისადმი მიძღვნილი. ეს სიმღერებია „დიდ სტალინს“ და „სტალინ მშვიდობის მედროშევ“.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი ხშირად იყენებს აჭარაში მომუშავე პოეტების ნესტორ მალაზონიას, გიორგი სალუქვაძის, ფრიდონ ხალვაშის და სხვათა ლექსების ტექსტებს.

ანსამბლის მეჩონგურეთა ჯგუფი წარმატებით ასრულებს აჭარის დამსახურებული არტისტის ვ. სადრაძის „საბჭოთა აჭარას“ და „აჭარულ შაირებს“.

ანსამბლის რეპერტუარში ყოველთვის დროზე და მკაფიოდ ისახებოდა თანამედროვე აქტუალური საკითხები, საბჭოთა სინამდვილის ღირსშესანიშნავი მოვლენები, სოციალისტური სამშობლოს წარმატებები.

დიდი სამამულო ომის პერიოდში გუნდმა დაამუშავა 15 ახალი სიმღერა, რომლებიც ემსახურებოდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს, განუმტკიცებდნენ საბჭოთა ადამიანებს გამარჯვების რწმენას.

ამჟამად, როდესაც მთელ მსოფლიოში გაჩაღებულია მშვიდობისათვის ბრძოლა, რომელსაც სათავეში უდგას მძლავრი საბჭოთა კავშირი, მკაფიოდ გაისმის გუნდის მიერ მშვიდობის თემაზე შესრულებული სიმღერები—ნოვიკოვის „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი“, დუნაევსკის „იბრძოლეთ მშვიდობისათვის“, კოკელაძის „მშვიდობის ხმა მზიურ საქართველოდან“, კირვალიძის „მშვიდობა ყოვლად უძლეავი“ და სხვა.

აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მუშაობაში იყო ნაკლოვანებები და ხარვეზები. ზოგიერთი სიმღერის ტექსტი მჭლე და მხატვრულად სუსტი იყო, ზოგიერთ სიმღერას კი აკლდა დამუშავება. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრაში ანსამბლს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებულმა ცნობილმა დადგენილებებმა.

პარტიის ამ დირექტივებმა ხელი შეუწყვეს ანსამბლის რეპერტუარის არსებითად გაუმჯობესებას, სიმღერების მხატვრული დონის ამაღლებას.

ეჭვი არ არის, რომ აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი შემდგომში კიდევ უფრო გააუმჯობესებს თავის შემოქმედებითს მუშაობას, გაამდიდრებს რეპერტუარს თანამედროვე აქტუალურ თემებზე შექმნილი სიმღერებით და აქტიურად მოემსახურება დიადი კომუნიზმის მშენებელ გმირ ადამიანებს.

СССР Академия Наук Груз. ССР
Фундаментальная библиотека
Фундаментальная библиотека

შ ი ნ ა ა რ ს ი

მხატვრული ლიტერატურა

ი. გრიშაშვილი

ის ყველაფერი იყო ჩვენთვის 3
შავი არშია 3
საბჭოთა მეომრის პასუხი 4

პარმენ ლორია

შემოქმედების ძალა 5

ნესტორ მალაზონია

ლენინ-სტალინის პარტიას 43
კვირაობაზე თქმული ლექსები 50

ანდრო თევზაძე

კვლავ ჩვენთან არის 52
გამარჯვებულთა ყრილობა 53
სტალინისადმი 54
ილიას გახსენება მყინვართან 55

მამია ვარშანიძე

გორელი ბავშვი 57
ამ გზით იარე 58
ბურსას ციხეში 59
მოსკოვში 60

პარმენ რურუა

ის იცოცხლებს 61
ბერიძე ვარ გვარადა 62
პაპა 63

დავით მეძველია

ბედნიერი კერა 64

ფრიდონ ხალვაში

სტალინის ქუჩა 95
ოქტომბრის დროშა 96
აჭარელი მევენახე 97
თერგი 98

ნანა გვარიშვილი

სტალინი ქვეყნის გასხივოსნება 99
მშენებლობის ქრონიკა 100

შოთა როყვა

*** (ვერ დავრწმუნდები) 101
ნუღარ მიფრინავ მერცხალო 101
ლენინი ცოცხლობს 102
სტალინგრადი 103
ახალგაზრდობას უნდა მშვიდობა 103

ალექსანდრე ჩხაიძე

მეგობრები 105

ქსენია მუავია

წინ შენი საქმე გაგვიძღვება 130
ის კარს უღებდა ახალ განთიადს 131
სწორედ სიმღერა გვეთქმის 132

იაკობ მელია

წელადს 134
დილა 134
სტალინმა პური გამოგვიგზავნა 135
შადრევანი 135
ხიხაძირის გაზაფხული 136
აჭარელი გუთნისდედა 136

ეთერ დოლიძე

მამაპაპისეული 137

შოთა კომახიძე

კრემლი 141
კომკავშირული ბილეთი 141
ირემი მთაზე 142

ინეზა ბერიძე

იზოლდას 143
გმირების სახელს რა დაგვავიწყებს 143

ჯემალ ჯაყელი

მშვიდობა შენდა ახალო წელო 145
სამგორელი გუთნისდედა 145

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ოთარ ფარეიშვილი

ბურჟუაზიული ლიტერატურის მარაზმი 147

ალექსანდრე ჩავლეიშვილი

დეტალები რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში . . 159

ვასილ გოგოლაძე

ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებული 182

თეატრალური ცხოვრება

შოთა ქურიძე

„ბაგრატიონი“ ბათუმის თეატრში 186

ლადო შარაშიძე

ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი 193

რედაქტორი ან. თევზაძე

მხატვარი ალ. მესხი

ტექ. რედაქტორი კ. ჩხარტიშვილი

კორექტორები { თ. დიდიძე
შ. დარჩია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1953 წლის 14 მაისს, ქაღალდის ზომა 70x108 1/16.
17,12 საბეჭდი, 11,21 საავტორო და 11,94 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა.
შეკვეთის № 1637. ემ 00005. ტირაჟი 1 000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობისა
და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია,
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვერდი	სტრიქონი	**დაბეჭდილია:**	**უნდა იყოს:**
189	17 ქვემოდან	პრეცენდენტებსაც	პრეტენდენტებსაც
191	10 ზემოდან	პრეცენდენტს,	პრეტენდენტს“,